საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-ი/
1975/2

ეს

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

I 3135

1 · 1975

თბილისი
ТБИЛИСИ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.III.75; შეკვ. № 3567; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 17.68; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.42; უე 01859; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

რუსეთის პირველი რევოლუციის 70 წლისთავისათვის

მ. ჯიჯეიშვილი, დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია 5
ნ. გულგაკოვა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლის ფორმები პარტიის ერთიანობისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში . . 14

წერილები

შ. თეთვაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის (1933—1937 წწ.) 27
მ. ინაძე, ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი 43
ვ. ითონიშვილი, ამიერკავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის საკითხები საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში 64

ცნობები და შენიშვნები

ო. ჩიქოვანი, მიწის პრობლემა საქართველოში და კოლხეთის მელიორაციის მნიშვნელობა 82
გ. ალასანია, ბახიანის ბრძოლის თარიღისათვის 89
ნ. შენგელია, იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ 93
თ. აბაშიძე, ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების სასოიურღალო სიგელები 108
ბ. გიგინეიშვილი, ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის 115
ლ. ჩლაიძე, ქართულ-აღმოსავლური დემონოლოგიური ურთიერთობიდან . . 125
ნ. ალადაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული რელიეფების ერთი ჯგუფი . 134
ბ. ზაქარაია, ციხედიდის ნასახლარი 147
მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის განვითარების ძირითადი ეტაპები შუა საუკუნეების საქართველოში 152
ლ. გაგუნია, ხის საწნახელი 159
ნ. აბესაძე, ხელოსნური ორგანიზაციები დასავლეთ საქართველოს ქალაქებში . . 165

დისკუსია და განხილვა

გ. ფურცელაძე, თერგდალეულთა მსოფლმხედველობის საკითხისათვის . . . 171

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. კაციტაძე, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის . 183

ქრონიკა და ინფორმაცია

ვ. სილოგავა, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები 186
ვ. ჯაფარიძე, გ. ლომთათიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია . . 192
შალვა ამირანაშვილი (ნეკროლოგი) 194

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

К 70-ЛЕТИЮ ПЕРВОЙ РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ

М. ДЖИДЖЕЙШВИЛИ, Генеральная репетиция Великого Октября . . . 5
Н. БУЛГАКОВА, Формы борьбы закавказских большевистских организаций за единство партии в годы первой русской революции 14

СТАТЬИ

Ш. ТЕТВАДЗЕ, Деятельность Коммунистической партии Грузии по развертыванию внутрипартийной демократии и укреплению партийной дисциплины (1933—1937 гг.) 27
М. ИНАДЗЕ, Афины и Восточное Причерноморье 43
В. ИТОНИШВИЛИ, Вопросы семейного быта народов Закавказья в советской этнографической науке 64

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

О. ЧИКОВАНИ, Земельная проблема в Грузии и значение мелиорации Колхиды 82
Г. АЛАСАНИА, О дате Басианского сражения 89
Н. ШЕНГЕЛИЯ, Иби Биби о походе Ала ад-Дина Кейкобада в Грузию . . 93
Т. АБАШИДЗЕ, Сойюргальные грамоты грузинско-персидских двуязычных документов 108
Б. ГИГИНЕЙШВИЛИ. К происхождению этнонима Гениох 115
Л. ЧЛАИДЗЕ, Из грузино-восточных демонологических отношений . . 125
Н. АЛАДАШВИЛИ, Одна группа грузинских рельефов раннефеодальной эпохи 134
П. ЗАКАРАЯ, Селище Цихедиди 147
М. МИЦИШВИЛИ, Основные этапы развития поливной керамики в средневековой Грузии 152
Л. ГАБУНИЯ, Деревянная давильня 159
Н. АБЕСАДЗЕ, Ремесленные организации в городах Западной Грузии . . 165

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Г. ПУРЦЕЛАДЗЕ, К вопросу о мировоззрении Тергдалеульцев 171

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Д. КАЦИТАДЗЕ, Материалы к социально-экономической истории Грузии . . 183

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

В. СИЛОГАВА, Грузинские эпиграфические памятники 186
В. ДЖАПАРИДЗЕ, Научная сессия, посвященная памяти Г. Ломтатидзе . . 192
Ш. Я. Амиранашвили, (некролог) 194

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია ჯიჯეიშვილი

დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. რევოლუციამ აამოძრავა რუსეთის იმპერიის მშრომელთა ფართო მასები, მძლავრად შეარყია მეფის თვითმპყრობელობა — მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა. მან პოლიტიკური ცხოვრებისა და თავდადებული რევოლუციური ბრძოლისათვის დარაზმა მსოფლიოს მილიონობით ადამიანი, დასაბამი მისცა ევროპის მუშათა მოძრაობისა და აზიის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობას. რევოლუციამ ნათელი ფურცელი ჩაწერა რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. „1905 წლის“ გენერალური რეპეტიცია“ რომ არა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“[1].

ეს რევოლუცია მოამზადა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მთელმა მსვლელობამ. ცარიზმი, როგორც ცნობილია, დიდად აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდას, მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის განვითარებას. იგი ახორციელებდა არარუსი ხალხების უხეში ჩაგვრის, ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ეროვნული კულტურის ჩახშობის, ხალხთა შორის მტრობისა და შუღლის გაღვივების პოლიტიკას. ეროვნულ მხარეებში ცარიზმი არა მარტო ამკვიდრებდა ეკონომიურ ჩამორჩენილობას, არამედ „დედაენის ხმარებასაც კი კრძალავდა და უცოდინარობას უმზადებდა ხალხის მასებს“[2]. მაშასადამე, ჩაგვრის ძირითადი სახეები (მემამულური, კაპიტალისტური და ეროვნული) და თვითმპყრობელობის პოლიციური დესპოტიზმი აუტანელს ხდიდნენ მუშებისა და გლეხების ცხოვრების პირობებს, განსაკუთრებით ამწვავებდნენ და აღრმავებდნენ სოციალურ წინააღმდეგობებს. ყოველივე ამის გამო ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, მიუხედავად ბატონყმობის ჭარბი გადმონაშთებისა, რუსეთში სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი, ყალიბდებოდა ახალი საზოგადოებრივი ძალა — პროლეტარიატი, მტკიცდებოდა მისი კლასობრივი თვითშეგნება და ორგანიზაციული დარაზმულობა.

XX საუკუნის დამდეგს რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს, ყველაზე სუსტ რგოლს იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემაში. ამ დროისათვის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი თანდათანობით გადმოვიდა რუსეთში. 900-იანი წლების მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა, რომელიც ფართოდ გავრცელდა რუსეთში, აგრეთვე რუსეთ-იაპონიის ომმა გამოაჩინეს ცარიზმის სიდამპლე, უკიდურესად გაამწვავეს გაბატონებული კლასებისა და მშრომელთა ფართო მასების წინააღმდეგობა, ხელი შეუწყვეს რევოლუციური კრიზისის გაღრმავებას

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 13.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 402.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასობრივ ძალთა ახალი განლაგება რუსეთის სახალხო რევოლუციას ძირეულად განასხვავებდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან. ამ რევოლუციაში რუსეთის მუშათა კლასი მსოფლიო ისტორიაში პირველად გამოვიდა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი ჩაგრული მასების ბელადი. რევოლუციის გამარჯვებით მუშათა კლასი ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლო მას მოეპოვებინა დემოკრატიული თავისუფლება, განემტკიცებინა თავისი ორგანიზაციები, შეეძინა მშრომელი მასებისადმი ხელმძღვანელობის ჩვევები და დაეწყო ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის.

მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს განასახიერებდა ბოლშევიკური პარტია, რომელსაც ჰქონდა მოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. რევოლუციის წლებში მკაფიოდ გამოვლინდა ბოლშევიკური პარტიისა და მშრომელთა ბელადის ვ. ი. ლენინის, როგორც მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსის, როლი. მან დაასაბუთა მიმდინარე სახალხო რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის აუცილებლობა. გვიჩვენა რომ, რაც უფრო ფართო და ღრმაა მასების რევოლუციური მოძრაობა, მით უფრო იზრდება პროლეტარული პარტიის როლი და მნიშვნელობა, მისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა. ბოლშევიკურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის იდეების საფუძველზე შეიმუშავა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის რევოლუციური ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა.

მარქსიზმის საგანძურში უდიდესი წვლილია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის ლენინური თეორია. „დემოკრატიული რევოლუციიდან, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზატორული პროლეტარიატის ძლიერების კვალდაკვალ, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე... შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“[3]. ახალი ისტორიული ეპოქის მეცნიერულ ანალიზზე დაფუძნებულმა ლენინურმა თეორიამ დასახა რევოლუციური პრაქტიკის ერთადერთი სწორი გზა. ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ბოლშევიკების მიერ აღებული პოლიტიკური კურსის სისწორე.

მუშათა კლასი დიდი შეუპოვრობით ეწეოდა ბრძოლას ბოლშევიკური პროგრამის განხორციელებისათვის. მან შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი გლეხობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და მასთან რევოლუციური კავშირის დამყარებაში. „რევოლუციის დროს პროლეტარიატის მასობრივი გაფიცვებისა და შეიარაღებული ბრძოლების შემოქმედებით გაიშალა გლეხთა ფართო მოძრაობა. პირველად ისტორიაში იქმნებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. რუს პროლეტარიატთან და გლეხობასთან ერთად ცარიზმისა და ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ იბრძოდნენ უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის, შუა აზიისა და რუსეთის სხვა ეროვნული რაიონების მუშები და გლეხები“[4].

მაშასადამე, რუსეთის მუშათა კლასის მძლავრმა საგაფიცვო მოძრაობამ უკვე 1905 წლის გაზაფხულზე გამოიწვია „გლეხთა პირველი დიდი, არა მარ-

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 286.

[4] სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუციის 70 წლისთავის შესახებ“ (გაზ. „კომუნისტი“, № 7, 1975 წ. 9 იანვარი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო ეკონომიური, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გამოღვიძება"[5], „ეკონომიურ და პოლიტიკურ გაფიცვათა გადახლართვა"[6], ხოლო გლეხთა შღელვარებამ — ჯარისკაცთა აჯანყებანი, არმიის ერთი ნაწილის შეტაკება მეორესთან. საზოგადოების ამ სოციალური ფენების კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლის უმთავრეს მეთოდს, ფორმასა და საშუალებას წარმოადგენდა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვა. რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ იგი „თავისი შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ ბრძოლის საშუალებით პროლეტარული". რევოლუცია იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, რადგან, მიზანს, რომლისთვისაც შეეძლო მიეღწია საკუთარი ძალებით, შეადგენდა დემოკრატიული რესპუბლიკა, 8-საათიანი სამუშაო დღე, უმსხვილესი თავადაზნაურული მიწების კონფისკაცია. რევოლუცია აგრეთვე იყო პროლეტარული, რადგან, ჯერ ერთი, პროლეტარიატი იყო მისი ხელმძღვანელი, ავანგარდი, და მეორეც, „ბრძოლის სპეციფიკური პროლეტარული საშუალება, სახელდობრ გაფიცვა, წარმოადგენდა მასების ამოძრავების მთავარ საშუალებას და ყველაზე მეტად დამახასიათებელ მოვლენას"[7].

რუსეთის სახალხო რევოლუცია 1905 წლის 9 იანვრის ამბებით დაიწყო. ამ დღეს პეტერბურგში დახვრიტეს მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია. მაგრამ ამით მეფის თვითმპყრობელობამ ვერ შეძლო მუშათა და გლეხთა მასების დაშინება, ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის ზრდის შეჩერება. მუშათა კლასმა სამოქალაქო ომის გაკვეთილი მიიღო. „პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთ დღეს ისეთი ნაბიჯი გადადგა, როგორსაც იგი უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა"[8]. 9 იანვარი რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის ამოსავალი პუნქტი გახდა. მუშათა საპროტესტო გაფიცვებმა მოიცვა მთელი ქვეყანა, ამოძრავდა გლეხობა, მოსწავლე ახალგაზრდობასა და დემოკრატიული ინტელიგენციის ფენებში გაძლიერდა რევოლუციური განწყობილება. რევოლუციამ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო.

რევოლუციის მსვლელობამ ნათელყო ბოლშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორე, სავსებით დაადასტურა ლენინური დებულება პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ რევოლუციურ მოძრაობაში. მუშათა კლასი გამოვიდა როგორც ყველა მშრომელის ძირეული ინტერესების თანმიმდევრული გამომხატველი, საერთო დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა. იგი იყო რუსეთის რევოლუციის ერთადერთი ბელადი, რომელსაც შეეძლო დაერაზმა რევოლუციური ძალები თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად, ბოლომდე მეეყვანა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია[9]. მუშათა კლასის ბრძოლა განსაზღვრავდა რევოლუციის მთელ განვითარებას, მის გაქანებას, ფორმებს. ვ. ი. ლენინი წერდა, „კაცობრიობამ 1905 წლამდე კიდევ არ იცოდა, თუ რა დიდი, რა გრანდიოზული შეიძლება იყოს და იქნება პროლეტარიატის ძალთა დაძაბვა, თუ საქმე იმას შეეხება, რომ იბრძოლოს ნამდვილად დიადი მიზნებისათვის, იბრძოლოს ნამდვილად რევოლუციურად"[10].

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 318.
[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 316.
[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 314.
[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 101.
[9] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 65.
[10] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 315.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, რუსეთის მუშათა კლასმა მეფის თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა უდრეკი სიმტკიცე და მზადყოფნა გაეღო მსხვერპლი თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისა და პროგრესისათვის. მან ცხადყო, რომ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს საზოგადოებაში განსაზღვრავს მისი არა რაოდენობა, არამედ რევოლუციური ენერგია, პოლიტიკური შეგნება, უნარი რევოლუციის მოკავშირედ მიიმხროს გლეხთა ფართო მასები. მუშათა კლასის მამაცობისა და გმირობის მაგალითია მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა, განსაკუთრებით კი სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკური გაფიცვა, კლასობრივი ბრძოლები პეტერბურგში, ივანოვო-ვოზნესენსკსა და სხვა ქალაქებში, რუსეთის ცენტრსა და განაპირა მხარეებში. არასრული ცნობებით 1905 წლის გაფიცვებში მონაწილეობდა 2 863 173 მუშა, რევოლუციის სამი წლის განმავლობაში საგაფიცვო ბრძოლებში მონაწილე მუშათა საერთო რაოდენობის 60,8 პროცენტი[11]. საგაფიცვო მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვების შეხამება. სწორედ გაფიცვების ამ ორივე სახეობის მჭიდრო და განუყრელი კავშირი განსაკუთრებულ ძალას აძლევდა მუშათა მოძრაობას.

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!" გაფიცვის მონაწილეთა რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. მშრომელი მასების შეტევის გამო მეფის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელშიც მოსახლეობას ფარისევლურად აღუთქვამდა სამოქალაქო თავისუფლებას, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევას. ბოლშევიკები მშრომელ მასებს განუმარტავდნენ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი იყო ცარიზმის მორიგი მანევრი და მიზნად ისახავდა დროის მოგებას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ რეაქციული ძალების დასარაზმავად. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის 19 ოქტომბრის პროკლამაციაში, რომლის ავტორი იყო ი. ბ. სტალინი, ნათქვამია: „მეფის თვითმპყრობელობა წინ ეღობება ხალხის რევოლუციას, მას უნდა თავისი გუშინდელი მანიფესტით შეაფერხოს ეს დიადი მოძრაობა, — ცხადია, რევოლუციის ტალღები შთანთქავს და შორს გადაისვრის მეფის თვითმპყრობელობას... დაე უფრო მძლავრად დასჭექოს მეხმა, დაე უფრო მძლავრად დაქროლოს ქარტეხილმა! გამარჯვების წამი მოახლოვდა!"[12].

მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. 1905 წელს მთელ რუსეთში აღრიცხული იყო გლეხთა 3,5 ათასზე მეტი გამოსვლა. განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო გლეხთა ბრძოლამ მემამულეების წინააღმდეგ. 1905—1907 წლებში ბრძოლის ამ ფორმაზე მოდიოდა გლეხთა გამოსვლების საერთო რაოდენობის 75,4 პროცენტი. გლეხთა რევოლუციური ბრძოლების ძირითადი და უმაღლესი ფორმა — ორგანიზებული პოლიტიკური გამოსვლები — მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირში ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით — ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოსა და ბალტიისპირეთში. რუსეთის იმპერიის სხვა

---

[11] В. Е. Варзар, Статистика стачек рабочих на фабриках и заводах за трехлетие 1906—1908 гг., СПб., 1910, გვ. 6—7.

[12] „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები", თბ., 1955, გვ. 496.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილებში გლეხთა მოძრაობა შედარებით სტიქიურ და ნაკლებად ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა[13].

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკების აგრარულ პროგრამას მემამულეების, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწების კონფისკაციისა და მთელი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ბოლშევიკები ამ მოთხოვნებს მართებულად უკავშირებდნენ მეფის თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. ისინი მოუწოდებდნენ გლეხთა ფართო მასებს, განსაკუთრებით სოფლის პროლეტარულსა და ნახევრადპროლეტარულ ფენებს, დაუყოვნებლივ დაეკავებინათ მემამულეთა მიწები, შეექმნათ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, აქტიურად დაეჭირათ მხარი მუშათა კლასისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის მუშათა კლასი თავისი რევოლუციური მაგალითით მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აღაფრთოვანებდა იმპერიაში მოსახლე ყველა ეროვნების მშრომელ მასებს. პეტერბურგისა და მოსკოვის პროლეტარიატთან ერთად საგაფიცვო ბრძოლების ავანგარდში იდგნენ რიგის, ვარშავის, ლოძისა და ბაქოს მუშები. ეროვნულ რაიონებში გაფართოვდა გლეხთა მოძრაობა. „უმაგალითო გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამ საქართველოში. ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი იყო“[14]. გლეხთა მოძრაობის განვითარებას ხელს უწყობდა მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — ბოლშევიკების ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მოღვაწეობა, პირველ რიგში ვ. ი. ლენინის ნაშრომების („სოფლის ღარიბებს“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“, „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“ და სხვ.), აგრეთვე პროკლამაციების, ფურცლებისა და სხვა არალეგალური ლიტერატურის გავრცელება. 1905 წლის პირველ ნახევარში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე გამოსცა 19 დასახელების გაზეთი, მოწოდება და ბროშურა, რომლის ტირაჟი აღწევდა 140 ათასამდე ეგზემპლარს. მარტო ივლისის არალეგალურ სტამბაში 1905 წლის 8 იანვრიდან 20 ნოემბრამდე არასრული ცნობით დაიბეჭდა 280 ათასამდე ეგზემპლარი გაზეთი, პროკლამაცია და ფურცელი[15]. აქ თუ გავითვალისწინებთ ქუთაისის, ჭიათურის, ოზურგეთის, გორის, თელავის, სიღნაღის, ბორჯომისა და საქართველოს სხვა რაიონების არალეგალურ სტამბებში გამოცემული პროკლამაციებისა და ფურცლების რაოდენობას, ნათელი გახდება ის დიდი მუშაობა, რომელსაც ეწეოდნენ საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციური ლიტერატურის შექმნისა და მშრომელთა ფართო მასებში გავრცელებისათვის. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო საქმიანობამ მართებულად დაიმსახურა ლენინური გაზეთის „პროლეტარის“ მაღალი შეფასება[16].

---

[13] С. М. Дубровский, Крестьянское движение в революции 1905—1907 гг., М., 1956, გვ. 65—66.

[14] „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები)“, თბ., 1955, გვ. 19.

[15] ზ. გეგეშიძე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები, თბ., 1965, გვ. 101.

[16] Газ. „Пролетарии“ № 12, 16 (3) августа 1905 г.

რევოლუციის პირველ თვეებში საქართველოს ბოლშევიკების მიერ გამოცემული პროკლამაციებისა და ფურცლების დიდი ნაწილი მიძღვნილი იყო მუშებისადმი. მარტის მეორე ნახევრიდან მათ სპეციალურად გლეხობისათვის გამოსცეს პროკლამაციები, რომლებშიც სოფლის მშრომელებს განუმარტავდნენ ბოლშევიკური პარტიის აგრარულ პოლიტიკას, მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის განმტკიცების აუცილებლობას, მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. მაგალითად, 19 მარტის პროკლამაციაში „ქართლ-კახეთის გლეხკაცობას", ნათქვამია: „გატყდა ძველი დროება. დაირღვა სოფლის მყუდროება. სოფელმაც გაახილა თვალი და ახმაურდა... გურიიდან დაწყებული ქიზიყამდე ყველგან ფეხზე დადგა გლეხკაცობა... მათ წინ მიუძღვიან ქალაქის მუშები, და ასე, სოფლისა და ქალაქის მშრომელნი, ერთ დიდ ჯარად გადაქცეულნი, სასტიკი იერიშით მიდიან „ძველი წესების" წინააღმდეგ". პროკლამაცია ხაზგასმით აღნიშნავდა მუშათა კლასის წამყვან როლს და გლეხობას მოუწოდებდა: „გ ა ვ ი მ ძ ღ ვ ა რ ო თ წ ი ნ ქ ა ლ ა ქ ი ს მ უ შ ებ ი და გავყვეთ მათ დემოკრატიული რესპუბლიკებისაკენ. გავყვეთ და მათთან ერთად დავლეწოთ საზიზღარი წესები, რომ გზა გავიკაფოთ იმ თანასწორობის ცხოვრებისაკენ, იმ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი წესებისაკენ, საითკენაც ასე გაფაციცებით მიისწრაფვიან ქალაქის მუშები და ღარიბი გლეხკაცობა"[17].

საქართველოში გლეხთა მოძრაობის განსაკუთრებით ფართო მასშტაბზე ვეზეთი „ვპერიოდი" წერდა: „გურიის გლეხთა მოძრაობა იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს ისტორიაში. ეს გლეხთა ჩვეულებრივი ამბოხება კი არ არის, არაუფედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად უერთდება მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას"[18].

მეფის ხელისუფლება სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა აჯანყების ძირითადი კერების გასანადგურებლად. გლეხთა რაზმები პარტიზანული ბრძოლებით დიდ ზიანს აყენებდნენ დამსჯელი ჯარის ნაწილებს. მთელ რუსეთში გახდა ცნობილი ნასაკირალთან აჯანყებული გლეხობის გმირული ბრძოლა. ამასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი ჟურნალ „მოგზაურის" რედაქციას წერდა: „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის, სახალხო მასწავლებელთა და სახალხო განათლების მოღვაწეთა შერეული კრება თავის ძმურ სალამს უგზავნის ქართველი ერის ყველა მებრძოლთ, გურულებსაც, რომელნიც რუსეთის მშრომელი ხალხის დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში დგანან. კრება პატივს სცემს ბრძოლებში მოკლულთა ხსოვნას. დახოცილთ დიდება, ცოცხლებს — თავისუფლება"[19].

ამრიგად, მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გავლენითა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მოღვაწეობის შედეგად გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოში, რომელიც თავდაპირველად დაიწყო როგორც აგრარული მოძრაობა, მალე მიიღო პოლიტიკური და შემტევი ხასიათი. ამასთან, სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული მასების ბრძოლა წარიმართა არა მარტო მემამულეებისა და თვითმპყრობელობის, არამედ სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის წინააღმდეგაც. ამის გამო კულაკობა თავიდანვე გამოვიდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

[17] „რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები", გვ. 342—346.

[18] Газ. „В п е р е д", № 14, 12 апреля (30 Марта) 1905 г.

[19] ჟურნ. „მ ო გ ზ ა უ რ ი", № 40, 1905 წლის 13 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის პროლეტარული მასები ფართოდ იყენებდნენ რევოლუციური ბრძოლის ისეთ პროლეტარულ ფორმებსა და მეთოდებს, როგორიცაა საპროტესტო მანიფესტაციები და დემონსტრაციები, გაფიცვები და ბოიკოტი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და მემამულეების მიმართ, ექსპლუატატორთა კარმიდამოსა და მეურნეობის დარბევა, მემამულეთა სამეურნეო ინვენტარისა და ადგილმამულის ურთიერთშორის განაწილება, მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დარბევა და მეფის მოხელეთა გარეკვა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტებისა და სახალხო სასამართლოს შექმნა, მოსახლეობის შეიარაღება, მებრძოლი „წითელი რაზმების" შედგენა, აჯანყებები და ადგილობრივი ხელისუფლების დაპყრობა, — ჩვეულებრივი მოვლენები იყო საქართველოს სოფელში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში[20].

ძაძლიერდა რევოლუციური განწყობილება არმიასა და ფლოტში, რომლებიც თვითმპყრობელობის ბურჯს წარმოადგენდნენ. მთელმა მსოფლიომ შეიტყო ჯავშნოსან „პოტიომკინის" მატროსების გმირობის ამბავი, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს დიდი სამხედრო ხომალდი და აშკარად გადავიდნენ რევოლუციის მხარეზე. „ჯავშნოსანი „პოტიომკინი" — წერდა ვ. ი. ლენინი, — რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად დარჩა და, როგორიც უნდა იყოს მისი ბედი, ჩვენს თვალწინაა უეჭველი და უაღრესად საგულისხმო ფაქტი: რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ა რ მ ი ი ს ბ ი რ თ ვ ი ს შ ე ქ მ ნ ის ც დ ა"[21].

რევოლუციის აღმავლობის პერიოდში მუშათა კლასის, ხალხის მასების რევოლუციური შემოქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიაში უმაგალითო მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები — მუშათა დეპუტატების საბჭოები. რევოლუციური ხელისუფლების, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ეს ორგანოები შეიქმნა საგაფიცვო ბრძოლისა და შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობისათვის ივანოვო-ვოზნესენსკში, პეტერბურგში, მოსკოვში, ბაქოში, კიევსა და სხვა ქალაქებსა და დაბებში. მუშათა დეპუტატების საბჭოები ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახ ორგანოებად, შეიარაღებული აჯანყების ორგანოებად გადაიქცნენ და განმსაზღვრელი როლი შეასრულეს მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელი მასების განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

ამავე პერიოდში შეიქმნა მუშათა კლასის პროფესიული ორგანიზაციები — პროფესიული კავშირები. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ ორგანიზაციების მოღვაწეობას. ისინი გადაჭრით ამხელდნენ პროფესიული კავშირების „ნეიტრალობის" მენშევიკურ ოპორტუნისტულ თეორიას და იბრძოდნენ მათი ჩამოყალიბებისათვის მუშათა კლასის მებრძოლ ორგანიზაციებად.

რევოლუციის შემდგომმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვიდან შეიარაღებულ აჯანყებაზე გადასვლის საკითხი. ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ აჯანყების მოსამზადებლად. მათი ხელმძღვანელობით შეიქმნა მებრძოლი რაზმები და იარაღის დამამზადებელი სახელოსნოები პეტერბურგში, მოსკოვში, უკრაინაში, კავკასიისა და სხვა ქალაქებსა და რაიონებში, მოეწყო ქუჩის ბრძოლებისა და სროლის სწავლება და სხვ. აჯანყების დროშა პირველად მოსკოვის პროლეტარიატმა აღმართა. 7

20 ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბ., 1959, გვ. 108—109.

21 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 667.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერს დაიწყო მოსკოველი მუშების საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, 10 დეკემბერს იგი შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა. მოსკოვის ქუჩებში ათასამდე ბარიკადი აღიმართა, გააფთრებული ბრძოლები ცხრა დღეს გაგრძელდა.

მუშათა პოლიტიკურ გაფიცვას და შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი ჰქონდა რუსეთის მთელ რიგ ქალაქებსა (ნიჟნი ნოვგოროდი, დონის როსტოვი ნოვოროსიისკი, კრასნოიარსკი, ჩიტა და სხვ.) და ეროვნულ რაიონებში (უკრაინა, ამიერკავკასია, ფინეთი და სხვ.). 12 დეკემბერს თბილისში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა გამოცხადდა. შეიქმნა შეიარაღებული აჯანყების შტაბი, რომელიც წარმართავდა მებრძოლი რაზმების მოქმედებას, ნაძალადევსა და დიდუბეში აჯანყებულ მუშათა უთანასწორო ბრძოლას ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. შეუპოვარი რევოლუციური ბრძოლა წარმოებდა გორის, დუშეთის, შორაპნის, თელავის, სენაკის, ლეჩხუმისა და საქართველოს სხვა მაზრებში. აჯანყებული გლეხობა თავგამეტებით ებრძოდა შავრაზმელებს. აჯანყებულები კეტავდნენ მთავრობის დაწესებულებებს, სასამართლოებს, აძევებდნენ მთავრობის მოხელეებს და ფაქტიურად რევოლუციურ წესებს ამყარებდნენ. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები გადაიქცნენ რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად, რომლებიც სოფლის საჭირბოროტო საკითხებს რევოლუციურად წყვეტდნენ. ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელოვანი ნაწილი აჯანყებული მუშებისა და გლეხების ხელში იყო[22].

ვ. ი. ლენინი რევოლუციური ბრძოლების, განსაკუთრებით კი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების გამოცდილების განზოგადებისას საქართველოსა და მთელ კავკასიას ასახელებდა ისეთ მოწინავე მხარეებთან ერთად „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“[23].

დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში დაიწყო მეორე პერიოდი, რევოლუციური მოძრაობის თანდათანობითი შენელებისა და რეაქციის გაძლიერების პერიოდი. ბოლშევიკებმა შეცვალეს ბრძოლის თავიანთი ტაქტიკა. ისინი გადავიდნენ ორგანიზებული უკანდახევის, ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამების ტაქტიკაზე.

1905—1907 წლების რევოლუციამ უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის შემდგომ განვითარებაზე, ღრმა კვალი დატოვა ხალხის შეგნებაში. მან შეგნებული რევოლუციური შემოქმედებისათვის დარაზმა მშრომელთა ფართო მასები. რევოლუციამ ნათელყო მუშათა კლასის წამყვანი როლი თავისუფლებისა და დემოკრატიული გარდაქმნისათვის ბრძოლაში. ლიბერალურ ბურჟუაზიას მან წაართვა მასების ხელმძღვანელობა და „რუსეთის ყველა ჩაგრულ და ექსპლუატირებულ კლასს მოუპოვა უნარი აწარმოონ რევოლუციური მასობრივი ბრძოლა“[24]. რევოლუციამ „გაამართლა მარქსიზმის ყველა ძირითადი თეორიული დებულება, სოციალ-დემოკრატიის ყველა არსებითი ლოზუნგი“[25]. მან დაამკვიდრა ინტერნაციონალური ტრადიციები პროლეტარულ მოძრაობაში, ხაზი გაუსვა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მშრო-

---

22 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 232.

23 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 127.

24 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 486.

25 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა ერთიანი, ინტერნაციონალური ფრონტის შექმნის მნიშვნელობას, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის უმაღლესი ფორმების (მასობრივი გაფიცვა, შეიარაღებული აჯანყება) განმსაზღვრელ როლს ხალხთა ფართო მასების დარაზმვაში მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის პირველ რევოლუციას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. მან უდიდესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური გამოსვლების ზრდაზე. რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლას მაღალ შეფასებას აძლევდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები ა. ბებელი, კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი, პ. ლაფარგი და სხვ. კ. ლიბკნეხტმა რუსეთის რევოლუციურ ამბებს უწოდა მობრუნების პუნქტი ევროპის ხალხთა ისტორიაში. იგი გერმანელ მუშებს მოუწოდებდა „დამდგარიყვნენ რუსეთის რევოლუციის დროშის ქვეშ". რუსეთის ამბების გავლენით 1905 წელს გერმანიაში გაიფიცა 5,8 ათასი მუშა, ოთხჯერ მეტი წინა წელთან შედარებით. ევროპის ბევრ ქვეყანაში პოლიტიკურმა გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა მასობრივი ხასიათი მიიღო[26].

1905—1907 წლების რევოლუციამ გამოიწვია კოლონიური აღმოსავლეთის (თურქეთი, ირანი, ჩინეთი და სხვ.) ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. „მსოფლიო კაპიტალიზმმა და 1905 წლის მოძრაობამ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — საბოლოოდ გამოაღვიძეს აზია, ასეული მილიონობით დაბეჩავებულმა... მოსახლეობამ გამოიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის და ადამიანის საანბანო უფლებისათვის, დემოკრატიისათვის საბრძოლველად"[27].

რუსეთის მუშებისა და გლეხების თავდაღებული ბრძოლა აღაფრთოვანებდა აგრეთვე მშრომელთა ფართო მასებს ამერიკის კონტინენტზე. მექსიკის რევოლუციის მონაწილე რომერო ფლორესი ამბობდა: „ბრძოლა, რომელიც მაშინ რუსეთში წარმოებდა, იყო გზის მაშუქებელი ვარსკვლავი. ამ უდიდეს ხალხში ჩვენს იმედს ვხედავდით"[28].

ამრიგად, იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციის „გამოცდილებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს ყ ვ ე ლ ა პროლეტარული რევოლუციისათვის"[29], თანამედროვე ეტაპზე საერთო დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველსაყოფად. 1905—1907 წლების რევოლუციისაგან ევროპის ქვეყნებში წარმოებული ბრძოლის ფორმათა განსხვავების მიუხედავად, რუსეთის სახალხო რევოლუცია კვლავ „რჩება ევროპის მომავალი რევოლუციის პ რ ო ლ ო გ ა დ"[30].

---

[26] „История Коммуинстической партии Советского союза", т. 1, М., 1966, გვ. 235—236.

[27] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 80.

[28] „Первая русская революция 1905—1907 гг. и международное революционное движение", 11, М., 1956, გვ. 240.

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 412.

[30] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 332.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა. და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. С. БУЛГАКОВА

ФОРМЫ БОРЬБЫ ЗАКАВКАЗСКИХ БОЛЬШЕВИСТСКИХ ОРГАНИЗАЦИЙ ЗА ЕДИНСТВО ПАРТИИ В ГОДЫ ПЕРВОЙ РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ

Важнейшей закономерностью деятельности и самого существования марксистско-ленинской партии является партийное единство. Оно вытекает из классовой сущности партии, призванной объединить рабочий класс, организовать, направить его действия на борьбу против буржуазии, за социализм и коммунизм. Только являясь союзом единомыслящих и единодействующих марксистов-ленинцев, партия способна объединить широкие слои пролетариата, всех трудящихся и эксплуатируемых на борьбу за революционное преобразование мира.

Идейное и организационное единство, монолитность партийных рядов, высокая сознательная дисциплина всех коммунистов являются нерушимым законом жизни КПСС — записано в ее Уставе[1]. Эта оценка — итог многолетней теоретической и организаторской деятельности партии, выковавшей свое единство в борьбе с оппортунизмом.

Одним из важнейших этапов в развитии нашей партии явился период 1905—1907 гг. Здесь, в огне революции, проверялась правильность партийной программы, тактики, организационных принципов большевизма, формировалось, укреплялось, совершенствовалось партийное единство[2]. В эти же годы практика революционной борьбы, жизнь пар-

---

[1] См. Устав Коммунистической партии Советского Союза. Партиздат. 1974, стр. 5.

[2] В трудах советских историков, посвященных деятельности РСДРП в годы первой русской революции и предшествующему ей периоду, освещались и вопросы борьбы за партийное единство. Среди них следует выделить работы: М. А .Зотова, «Борьба В. И. Ленина за сплочение местных организаций на позициях большевизма в период между II и III съездами РСДРП». М., 1961; Его же, «Борьба за созыв III съезда РСДРП и местные партийные организации (апрель—январь 1905 г.), «Вопросы истории КПСС», № 7, 1966; А. С. Зашкильняка «Борьба большевиков за укрепление местных партийных организаций (1904—1905 гг.)». Львов, 1963; Я. Р. Волина, «Борьба В. И. Ленина против оппортунизма за создание и укрепление партии нового типа (1894—1904 гг.)», Пермь, 1965; Н. И. Кузнецова «Из истории ЦК РСДРП и его организационных связей, накануне и в период подъема первой русской революции». М., 1967; В. А. Гринько, Н. А. Митькин, Е. Ф. Сопин, С. С. Шаумян, «Борьба партии большевиков против троцкизма (1903 — февраль 1917)». М., 1968; М. М. Крейдлиной «Деятельность Петербургского комитета большевиков по распространению и пропаганде произведений В. И. Ленина накануне и в ходе первой русской революции (1905—1907 гг.)». Л. 1970; А. Ф. Костина «Ленин — создатель партии нового типа (1884—1904). М., 1970; И. В. Ярового «Роль большевистской печати в борьбе местных организаций за единство партии и руководство рабочими массами в период революции 1905—1907 гг.» Ростов-на-Дону, 1971; И. М. Авазашвили. Большевистские организации Закавказья в период первой русской революции. Тбилиси, 1972. Однако ни один из авторов не ставил перед собой задачи специального анализа форм борьбы за партийное единство.

ეროვნული ბიბლიოთეკა

тийных организаций выдвинули формы и методы борьбы за единство партии, вытекавшие из ленинских организационных принципов. Они не только прочно вошли в арсенал большевизма, но и приобрели всеобщий характер. Раскрытию главных из них посвящена данная статья.

I съезд, собравшийся в 1898 г., не дал основ партийного единства; оно, как указывал В. И. Ленин, оставалось только идеей, директивой[3].

Грань между партийным и непартийным определили, принятые в 1903 г. на II съезде РСДРП, Программа и Устав партии, резолюции по тактическим вопросам.

Нарушителями партийных решений выступили меньшевики. Начав с бойкота центральных учреждений партии и борьбы за места в них, они захватили партийные центры, создали свои фракционный орган и особую организацию в России, осуществили **тайный нечестный раскол.** Отказом от участия в работе III съезда РСДРП и созывом фракционной конференции в Женеве они оформили раскол и фактически.

Разногласия между меньшевиками и большевиками, а затем и раскол В. И. Ленин рассматривал, как результат острой борьбы двух течений — оппортунистического и революционного в их своеобразной форме, соответствующей определенному периоду русской революции и видел корни расхождений в ее экономическом содержании[4]. Большевизм выражал пролетарскую сущность движения, меньшевизм являлся оппортунистическим, мещански-интеллигентским крылом. В спорах большевиков и меньшевиков столкнулись два взгляда на партию, принципы ее построения, ее роль в революции, ее программу и тактику. Будет ли партия дисциплинированным, организованным авангардом пролетариата, руководителем его борьбы за решительную победу буржуазно-демократической революции, как пролога революции социалистической (большевики) или ей предоставляется место регистратора событий, арьергарда, уныло плетущегося за классом, уступающего место руководителя в революции либеральной буржуазии (меньшевики). Свои позиции большевики закрепили в решениях созванного по требованию партийных комитетов III съезда РСДРП. Научное обобщение решений съезда, оценка характера, перспектив, движущих сил русской революции, детальная разработка общепартийной политики в ней, критика враждебных пролетариям идей и тактики меньшевизма была дана В. И. Лениным в работе «Две тактики социал-демократии в демократической революции».

Претворяя в жизнь партийные решения, большевики выступали носителями и защитниками партийности в РСДРП, борцами за партийное единство. Разрабатывая и отстаивая большевистские организационные принципы и тактику, партийную программу от нападок оппортунистов, В. И. Ленин, большевики защищали общепартийные интересы, точку зрения революционной социал-демократии вообще. Благодаря этому понятия «большевизм» и «партия» стали равнозначными в сознании организованных рабочих.

Вокруг общепартийного знамени большевики объединяли всех сторонников партии и партийности. Они выявляли взгляды большинства организованных марксистов, закрепляли в определенных решениях высших органов партии.

Для большевистских решений и резолюций, созданных на основе творческого применения революционной теории, на основе учета опыта международного рабочего и социалистического движения и российской

[3] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 16, стр. 100.
[4] В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 13, стр. 396.

специфики, характерны четкость и строгая научность. Они принимались партией для руководства в практической работе. На всем историческом пути большевики действовали на основе партийных законов, бережно, уважительно относились к ним, строго их соблюдали, разоблачали оппортунистов, как нарушителей партийной законности.

В основу борьбы большевиков за партийное единство был положен метод разоблачения оппортунистической сущности меньшевизма. Решалась задача изоляции меньшевистских лидеров и вырывания из-под их влияния социал-демократических рабочих, сплочения пролетарских революционеров на базе революционного марксизма, на почве съездовских решений. Метод порождал соответствующие формы борьбы. Большевики раскрывали перед партийными массами политический смысл раскольнических действий меньшевиков. Выдвинутый В. И. Лениным лозунг «Все разногласия на суд партии!» выражал доверие к самостоятельному суждению революционных социал-демократов, осуществление на практике демократизма действия. Этот принцип отражался в уставах местных партийных организаций. Так, § 16 Устава Тифлисской организации РСДРП требовал всякое постановление комитета, кроме конспиративных, немедленно передавать на обсуждение членов партии через посредство районных комитетов. Предложение группы членов партии или района в целом выносилось на обсуждение всей местной организации. Аналогичные пункты имелись в Уставах Кутаисской и Квирильской организаций[5].

Устав Батумской социал-демократической организации требовал обсуждения организацией, в случае надобности, всякого предложения, выставленного пятнадцатью членами партии. Постановлением организации считалось принятое мнение ее большинства[6].

Местные партийные организации используя, предоставленное им Уставом РСДРП, право автономии, организовывали обмен мнениями, дискуссии, в ходе которых вырабатывался общий взгляд на принципиальные вопросы партийной политики, определялись формы и методы борьбы за ее проведение в жизнь.

Организованные большевиками, дискуссии и обсуждения выявляли сущность и меру партийных разногласий, помогали убедить отсталых и колеблющихся, высвободить из-под влияния оппортунистов обманутых их демагогией товарищей. Однако свобода обсуждения, свобода критики связывалась большевиками с характером этой критики. Большевики решительно выступали против критики, направленной на разрушение, дезорганизацию партии, против попыток оппортунистов организовать бесплодные споры, превращающие партию в дискуссионный клуб, ослабляющие и разлагающие боевой штаб пролетариата.

«Свобода обсуждения, единство действия, — вот чего мы должны добиться»[7]. Эти ленинские слова, сказанные вождем партии после IV съезда РСДРП, подводили итог сделанного большевиками и определяли принципиальные позиции партии в проведении идейной борьбы, в выработке партийного единства, а также ориентировали партийные организации в их практической деятельности.

Дискуссии по вопросам политическим, организационным, теоретическим в годы первой русской революции проводились в партийных кружках и на рабочих собраниях, на митингах и крестьянских сходах, в России и за границей. Ожесточенные споры с меньшевиками вели

---

5 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 3, ед. хр. 62, л. 86, 91—92, 97.

6 Там же, ед. хр. 63, л. 72.

7 В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 13, стр. 64.

большевики Грузии. Иногда они проходили на массовых собраниях. В Перевисской общине, например, на сходке присутствовало до 1000 человек, а в с. Мгвимеви — до 1.200[8]. Для ведения дискуссий с меньшевиками в 1905 г. Кавказским Союзным комитетом были выделены И. Сталин, М. Цхакая, М. Бочоридзе, А. Цулукидзе, а также члены Тифлисского комитета и пропагандисты[9]. К семи Чиатурским шахтам партийный комитет прикрепил своих пропагандистов, которым вменялось в обязанность разъяснять, исходя из решений III съезда РСДРП, смысл партийной политики, разоблачать меньшевиков, сплачивать передовых рабочих вокруг партийной организации.

В спорах с меньшевиками приходилось преодолевать, свойственные им, искажение фактов и демагогию, сочетавшиеся с крайним невежеством в теории. Так, на собрание в с. Хидистави (Гурия) меньшевики пришли с целью его срыва. Они не смогли выставить своих представителей знакомых с внутрипартийными разногласиями и прибегли к фальсификации партийных решений, меньшевики договорились до утверждения, что проведение в жизнь Устава, принятого III съездом партии, должно привести к установлению диктатуры Ленина, ибо, по их мнению, предварительным условием установления диктатуры пролетариата является установление диктатуры одного человека[10].

За отсутствием идейных аргументов меньшевики иногда прибегали к прямым хулиганским действиям. Так, в Батуме они попытались учинить кулачную расправу над большевиками[11].

В Тифлисе на собрании, где присутствовали рабочие удельной и свечной фабрик, после поражения в дискуссии меньшевик схватил горящую лампу и хотел бросить в докладчика-большевика. Рабочие выгнали хулигана и двух его сторонников[12].

Меньшевики пытались представить большевиков как узурпаторов-самодержцев, ничего общего не имеющих с рабочими. Какая-то весьма незначительная часть рабочих оказывалась под их влиянием. П. Г. Смидович (Матрена) сообщал в редакцию газеты «Пролетарий» 29 июля (11 августа) 1905 г. об одном собрании тифлисских меньшевиков, на котором обсуждался вопрос о помощи Бакинской меньшевистской организации. Разбор дел выявил нехватку людей, которых можно было бы направить в Баку. Тогда один из присутствовавших заявил: «Надо послать. Здесь мы боремся в сомодержавием, а там с самодержавием и большинством»[13].

Такие рассуждения являлись результатом чудовищной, антипартийной по содержанию, пропаганды грузинских меньшевиков, искажавших смысл внутрипартийной борьбы.

Открытые выступления большевиков, прямые и четко аргументированные ответы на вопросы революционной практики, беспощадная остроумная критика меньшевистских измышлений завоевывала на сторону последовательных пролетарских революционеров, на сторону партии большинство организаций.

В выработке общего мнения, определившего общие действия революционеров Закавказья, положительную роль сыграли дискуссии о решениях III съезда РСДРП, о думской тактике. Летом 1905 г. в Грузии

8 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 2, ед. хр. 24, л. 87.

9 Там же, ед. хр. 2, л. 51.

10 ЦПА ИМЛ, ф. 25, ед. хр. 438, л. 1—3, об.

11 Там же, ед. хр. 457, л. 2.

12 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 2, ч. I, ед. хр. 5, л. 155.

13 ЦПА ИМЛ, ф. 26, оп. 1, ед. хр. 230, л. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

были проведены собрания и конференции с докладами делегатов съезда об его итогах. В принятых резолюциях признавалась закономерность съезда и выражалась готовность поддержать его решения. Рабочие приглашали большевиков рассказать о разногласиях в РСДРП, хотели вникнуть глубже в их суть, возмущались дезорганизаторской деятельностью меньшевиков, их стремлением представить разногласия в виде сплетен[14]. Большевики проникали в организации, занятые меньшевиками. Они обосновывали необходимость для полной победы революции победоносного вооруженного восстания и принимали меры для организации вооружения народа.

Правильность тактики большевиков подтвердилась в ходе революции, она стала тактикой широких масс. Даже в тех районах, где преобладали меньшевики, противодействовавшие вооруженной борьбе, массы действовали вопреки меньшевистским лидерам, оказывали помощь повстанцам других районов[15]. Этому способствовала идейная борьба, проведенная большевиками. Грузинские меньшевики, подобно своим российским собратьям по оппортунизму, отрицали необходимость военной организации и военно-технической подготовки восстания, что нашло свое выражение в решениях их конференции в Женеве.

Одним из вопросов, который дискутировался на собраниях в Грузии был вопрос о членстве в партии. Грузинские меньшевики принимали в РСДРП всех желающих, нарушая тем самым даже мартовскую формулировку первого параграфа Устава, требовавшего признания партийной программы.

В письме в редакцию «Пролетария» 13(26) июля 1905 г. из Имеретико-Мингрельского комитета сообщали, что меньшевики набрали в свои ряды мальчишек и профанов, окрестив их социал-демократами[16]. Грузинские меньшевики не изменили своего отношения к приему в партию и после IV съезда РСДРП, когда и они приняли параграф Устава в ленинской формулировке. Газета «Дро» 9 апреля 1907 г. поместила письмо из Гурии, в котором описывалось процедура приема в партию. Достаточно было заявить о своем желании вступить в ряды РСДРП, чтобы стать ее членом, «не зная при этом о жизни партии, ни о ее учении»[17]. Когда на одном из собраний присутствовавший большевик указал на необходимость соблюдения требований первого параграфа Устава, вступавший в партию возразил: «Господин, вы говорите о каких-то законах и учении. Но почему все это в отношении меня понадобилось? Вот сидят мои соседи, чем они лучше меня — умом ли, образованностью, красноречием?» — программу мы тоже не знаем», — послышалось на собрании[18]. Такой подход к приему в партию со стороны меньшевиков привел к засорению организации случайными, неустойчивыми людьми. С 1906 по 1907 гг. Гурийская организация выросла в 6 раз. Та же газета «Дро» писала, что наличие на 280 дымов до 200 членов партии здесь считается обычным[19].

Большевики и меньшевики в понятие «организованный рабочий» вкладывали разное содержание. На это обращала внимание Н. К. Крупская в письмах в местные комитеты. В то время как меньшевики

---

[14] ЦПА ИМЛ, ф. 26, оп. 1, ед. хр. 79, 96.

[15] См. Очерки истории Коммунистической партии Грузии — Тбилиси, 1971, стр. 164—165.

[16] ЦПА ИМЛ, ф. 26, оп. 1, ед. хр. 79.

[17] ГФ ИМЛ, ф. 8, оп. 3, ед. хр. 458, л. 38.

[18] ГФ ИМЛ, ф. 8, оп. 3, ед. хр. 458, л. 38.

[19] Там же, л. 39.

к их числу относили всякого, кто ходит на массовки, большевики включали только «входящих в организации»[20]. В письме в Баку от 12(25) июня 1905 г. Н. К. Крупская спрашивала о количестве организованных рабочих и о том, какое понятие комитет вкладывает в это определение. Н. К. Крупская сообщала, что «Искра» в качестве рекламы опубликовала статистику, по которой у меньшевиков в 2 раза больше организованных рабочих, чем у большевиков. Особенно чудовищные цифры меньшевики давали по Кавказу[21]. Такая «статистика» являлась результатом проводимого меньшевиками приема, с одной стороны, и махинацией с цифрами — с другой.

Грузинские меньшевики делили членов партии на две категории (рабочие и нерабочие). В резолюции собрания Тифлисской районной рабочей организации и руководящего коллектива РСДРП от 27 марта 1906 г. членство в партии определялось:

а) Членом партии является всякий рабочий, который принимает партийную программу, оказывает партии материальную помощь и приводит в исполнение все решения партии.

б) Членом партии является всякий нерабочий, который принимает партийную программу, оказывает партии материальную помощь и активно действует в партийной организации[22].

Таким образом, получалось, что член партии — рабочий выступал только в качестве исполнителя решений, в то время как член партии — нерабочий считался активным деятелем, руководителем организации.

В печати, на собраниях большевики разоблачали меньшевиков, как нарушителей партийного Устава, как дезорганизаторов. В своих действиях они руководствовались требованиями общепартийного Устава, ленинскими организационными принципами. Уставы местных большевистских парторганизаций соответствовали общепартийному. В них обращалось внимание на строгий отбор членов из лучшей, сознательной, организованной части рабочего класса. В рядах самой организации члены РСДРП рабочие и нерабочие пользовались одинаковыми правами и несли обязанности, определенные партийным Уставом. Вместе с тем, выполняя ленинское требование необходимости вовлечения рабочих в комитеты, большевики постоянно готовили кадры партийных организаторов и пропагандистов из среды пролетариата. Вся работа строилась на основе последовательного проведения в жизнь принципов демократического централизма.

В проекте Устава Тифлисской организации (июнь 1906) подчеркивалось, что член партии обязан подчиняться решениям партии в целом и решению большинства данной организации, «привлекать новых членов партии путем распространения идей социал-демократов и вообще действовать в интересах партии»[23].

Большевики постоянно повышали требования к вступающим в партию. В некоторых парторганизациях вводится институт рекомендаций. По Уставу Красноярской организации РСДРП (июль 1906) для вступления в партию требовалось представить не менее 3-х рекомендаций членов организации[24].

---

[20] ЦПА ИМЛ, ф. 17, оп. 1, ед. хр. 563.

[21] ЦПА ИМЛ, ф. 26, оп. 1, ед. хр. 174.

[22] ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 4, ед. хр. 972, л. 4.

[23] Там же, ед. хр. 967, л. 1.

[24] Партийный архив Красноярского крайкома КПСС (ПАКК), ф. 64, оп. 1, ед. хр. 254, л. 1.

По проекту Устава Тифлисского комитета РСДРП прием в партию производился ячейками большинством голосов. Решение утверждалось районным комитетом, постановление которого входило в силу, если оно не было обжаловано в течение 2-х недель в Тифлисский руководящий комитет. Однако вопрос о приеме мог быть поставлен лишь в том случае, если человек в течение 2-х месяцев был сочуствующим. В это время он знакомился с партийной программой и принимал ее, оказывал материальную поддержку партии, принимал участие в политических выступлениях под руководством партии[25]. Устав организации подтверждал обязательность тщательного соблюдения ленинского первого параграфа Устава РСДРП.

Действия большевиков Кавказа направлял Союзный комитет, последовательно стоящий на ленинских позициях. Уже в начале августа 1905 г. его представитель сообщал в редакцию «Пролетария» об изменении обстановки в Грузии в пользу большевиков[26]. Это же подтверждал Д. С. Постоловский. В письмах в партийные центры он указывал, что большинство сознательных рабочих Тифлиса на стороне большевиков[27].

Большевики отвоевывали у меньшевиков организации. Так было в Чиатурах[28]. Резолюцию, оценивающую большевиков, как истинных защитников интересов пролетариата, приняли сельские рабочие Чохатаури. Собрание постановило выйти из организации «меньшинства», «организоваться в особую организацию»[29].

Сельская молодежь с. Хидистави, после дебатов с меньшевиками, заявили, что истина на стороне «большинства». Поэтому, — сказано в резолюции, — мы порываем с организацией «меньшинства» и организуемся отдельно»[30]. Идейное размежевание с меньшевиками завершалось размежеванием организационным.

В определенных условиях такие действия становятся формой борьбы за партийное единство. Когда убедить инакомыслящих не удается, а они продолжают извращать марксизм, раскалывать организации, называя себя марксистами, то остается один выход — организационное размежевание с ними. Так поступал В. И. Ленин в 1904—1905 гг., когда в противовес тайному расколу, осуществленному меньшевиками, провозгласил открытый раскол и призвал к созданию «впередовской» партии, к разрыву всяких отношений с дезорганизаторами[31]. Такое организационное размежевание с оппортунистами осуществили большевики-ленинцы в Праге в 1912 г.

Лозунг организационного размежевания с явными оппортунистами сочетался с борьбой за объединение всех партийных элементов на строго принципиальной основе. В связи с этим В. И. Ленин резко критиковал примиренчество ЦК РСДРП накануне III съезда партии, выдвинувшего лозунг «Единство во чтобы то ни стало!» Большевики принимали все возможное для возвращения в партию из отколовшейся ее части тех, кто хотел соблюдать ее законы. Выполняя волю партийных комитетов, требовавших восстановления единства РСДРП, В. И. Ленин разработал план и платформу объединения, которые представил в ви-

---

25 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 4, ед. хр. 962, л. 1.

26 ЦПА, ИМЛ, ф. 26, оп. 1, ед. хр. 255.

27 Там же, ед. хр. 222, л. 2.

28 См. Очерки истории Коммунистической партии Грузии, стр. 123.

29 Газета «Борьба пролетариата» № 2 от 15(28) июля 1905 г.

30 ГФ ИМЛ, ф. 8, оп. 3, ед. хр. 414, л. 30.

31 В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 9, стр. 299.

ეროვნული ბიბლიოთეკა

де проектов резолюций к IV съезду партии[32]. Однако план объединения РСДРП был сорван меньшевиками.

Выработке партийного единства помогала большевистская пропаганда и агитация, которую также следует рассматривать в качестве одной из форм борьбы за единство партии. Все дело агитации и пропаганды большевики осуществляли с точки зрения подготовки масс к революции, обучая их не одной только книжкой, а участием в повседневной борьбе. Пропагандисты революционной теории одновременно выступали организаторами борьбы масс.

Выясняя ближайшие и конечные цели борьбы, вооружая организационных пролетариев знанием законов общественной жизни и классовой борьбы, партийная пропаганда и агитация должна была помочь наметить формы и методы политической деятельности, выработать единые взгляды русских марксистов, предопределить единство их действий по революционному преобразованию России.

Анализ документов того времени показывает огромный спрос комитетов на работы классиков марксизма и особенно на произведения В. И. Ленина. Партийные комитеты обеих столиц, Одессы, Саратова, Закавказья и других районов России постоянно жаловались на недостаток партийной литературы и требовали ее у партийных центров. Имеретино-Мингрельский комитет в июне 1905 г. в письме в редакцию газеты «Пролетарий» указывал на отсутствие в организациях информации о положении дел в партии и на огромную нужду в работах В. И. Ленина «Что делать?», «Шаг вперед, два шага назад», в органе большевиков — «Пролетарий». Эти материалы нужны, как подчеркивал автор письма, «для разоблачения страшной демагогии меньшевиков, которые игнорируют логические доводы и спекулируют на невежестве масс»[33].

М. Г. Цхакая характеризуя положение в партийных организациях Закавказья, сообщал В. И. Ленину о большой нужде в партийной литературе. На рабочих собраниях обсуждались вопросы о соотношении стихийности и сознательности, о пролетарском движении и др. Рабочие требовали сведений о В. И. Ленине, пропагандисты разыскивали «Что делать?», «Шаг вперед, два шага назад», чтобы подготовился к дискуссии[34].

Г. Паркадзе вспоминал последствии, что в Чиатурском районе Грузии в 1905 г. трудно было найти среди членов партии — рабочего человека, который не изъявлял бы желания видеть автора «Что делать?» Если так трудно встретиться с Лениным, то хоть портрет покажите нам, неужели портрет нельзя достать?» — с упреком говорили рабочие. Когда просьба дошла до Ленина, то он просил передать, что ему не удается переслать свой портрет и советовал им: представьте себе русского рабочего — это и будет Ленин»[35].

То же самое наблюдалось и в других районах России.

Ленинские работы учили, убеждали, направляли, вооружали знанием революционной теории и определяли общую политическую линию партии.

Коллективным пропагандистом и агитатором выступала большевистская печать. Газеты «Вперед», «Пролетарий», «Новая жизнь» выполняли роль Центрального Органа РСДРП. Ленинское направление одобряли и поддерживали местные комитеты партии, постоянно требо-

---

32 В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 12, стр. 239—270.

33 ЦПА ИМЛ, ф. 26, оп. 2, ед. хр. 79, л. 3.

34 Там же, ф. 2, оп. 5, ед. хр. 176, л. 5.

35 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 2, ч. I, ед. хр. 39, л. 146.

вавшие увеличить количество присылаемых экземпляров. Так, в письме из Тифлиса Н. К. Крупской (август 1905 г.) сообщалось о развернувшейся борьбе с меньшевиками и необходимости партийной литературы, в особенности «Пролетария»[36].

Газета помогала выяснить суть партийных разногласий. Она печатала руководящие партийные материалы, теоретические статьи, хронику революционных событий. От имени редакции «Пролетария» В. И. Ленин рекомендовал местным комитетам перепечатывать в листках статьи и заметки из ЦО, пересказывать содержание лозунгов, изменяя их сообразно местным условиям[37]. Проведение в жизнь такой меры давало возможность выяснить правильность лозунгов ЦО, установить единство действий организаций.

В партийную печать рабочие обращались за выяснением непонятных вопросов. Так, газета «Новая жизнь» на запрос двинских товарищей разъяснила на своих страницах тактику партии и рекомендовала им прочесть «Две тактики социал-демократии в демократической революции» В. И. Ленина[38].

В годы первой русской революции в разное время легальные большевистские газеты издавались в Москве, Тифлисе, Чите, Красноярске и других городах. Они способствовали распространению ленинских большевистских лозунгов в массах, выработке и укреплению идейного и организационного единства партии, сплочению пролетариата под знаменем РСДРП.

Значительное место в раскрытии идей партии и ее лозунгов в массах занимала листковая пропаганда. В листовках разъяснялись лозунги партии, определялась программа непосредственных действий, разоблачались враждебные пролетариату партии и группы. Они издавались массовым тиражом. Только за октябрь 1905 г. в Красноярске и других городах Енисейской губернии было распространено 42.500 экземпляров листовок[39].

Значительная листковая пропаганда проводилась в Закавказье. В листовке, выпущенной Имеретино-Мингрельским комитетом (июль 1905 г.), разъяснялась непоследовательность политики мелкобуржуазных партий, отражавшая непоследовательность, двойственность мелкой буржуазии. Ей противопоставлялся пролетариат и его партия[40]. В листовках разъяснялись конкретные требования партийной программы.

Листовки разоблачали антипартийные раскольнические действия меньшевиков. Батумский комитет рассказал рабочим о незаконной реорганизации меньшевиками комитета и обвинил их в нарушении партийного Устава. «Наш долг, — писали батумские большевики, — с уважением относиться к требованиям... Устава. Игнорирование партийного Устава, его нарушение отдельными лицами или же организациями является преступлением перед партией»[41]. Листовка призывала твердо стоять на страже партийных интересов, ограждать партию от раскола и дезорганизации. «Каждый шаг, направленный к распылению и расколу партии, должен считаться величайшим преступлением»[42]. Листовка

---

36 ЦПА ИМЛ, ф. 26, оп. 1, ед. хр. 266.

37 В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. II, стр. 321—322.

38 «Пролетарий» № 13, 9(22) августа 1905 г.

39 Государственный архив Красноярского края (ГАКК), ф. 827, оп. 1, ед. хр. 43. л. 37.

40 См. Листовки Кавказского Союза РСДРП 1903—1905 г. М., 1955, стр. 381—382.

41 Там же, стр. 367—328.

42 Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

звала к объединению революционеров на почве марксизма и партийных решений.

Большевистские прокламации отличались определенностью, четкостью формулировок, конкретностью постановки задач. Это обеспечивало им успех среди рабочих в выработке и проведении в жизнь единой политики.

Огромный размах в годы первой русской революции получила устная пропаганда и агитация. О ее постановке в Петербурге сообщал В. И. Ленину С. И. Гусев в январе 1905 г.[43]. Он рассказывал о трех типах кружков, действовавших в городе:

1) Низшие кружки — «летучки» — непостоянного состава и неравномерно собиравшиеся. Они устраивались «каждый день по несколько раз в каждом районе». Агитатор произносил одну и ту же речь по определенному вопросу в нескольких местах. Темы выступлений определяла агитационно-пропагандистская коллегия ПК.

2) Кружки среднего типа — постоянного состава и регулярно собиравшиеся, работающие по определенной программе.

3) Пропагандистские кружки из лучших рабочих[44]. Широкая агитация, проводимая питерскими большевиками смыкалась с пропагандой, ставящей задачу теоретической подготовки кадров пропагандистов и агитаторов из самых рабочих — активных борцов за партию и партийность.

В Курске к июню 1905 г. действовало 19 кружков, среди них 8 готовили рабочих-организаторов и 1 — пропагандистов[45]. Полностью в руках большевиков сосредоточивались пропаганда и агитация в Иваново-Вознесенске[46].

Широкая сеть партийных кружков действовала в Закавказье. Кружковая пропаганда была наиболее распространенной формой пропаганды на начальном этапе революции.

Кружки создавались не только среди рабочих, но и среди крестьян, солдат, учащейся молодежи. Исходя из ленинских указаний, Саратовский комитет РСДРП разработал программу занятий в крестьянских кружках, рассчитанную на 5 лекций. В ней ставилась задача дать критическую оценку современного политического строя России, определить расстановку сил, обосновывать необходимость союза рабочего класса с крестьянством и руководящей роли рабочего класса в этом союзе, разъяснить аграрную программу РСДРП и роль партии в революционной борьбе. Борьба пролетариата и крестьянства России рассматривалась как составная часть мирового революционного процесса.

Эта программа была напечатана на страницах «Пролетария», редакция которого рекомендовала ее как полезный материал для обсуждения практической стороны работы в деревне[47].

Агитационно-пропагандистская работа проводилась большевиками с целью разъяснения партийной программы и тактики, организации единства действий всех отрядов борцов революции.

Однако пропаганда и агитация как в России, так и за границей велась разобщенно. Партийные комитеты потребовали от ЦК РСДРП единообразного плана и направляющих документов[48].

---

[43] Журнал «Пролетарская революция», 1935, № 2, стр. 27.

[44] Там же, 1925, № 2, стр. 32.

[45] ЦПА ИМЛ, ф. 25, оп. 1, ед. хр. 64, л. 1.

[46] Там же, ед. хр. 72, л. 2.

[47] «Пролетарий», № 1 от 27 (14) мая 1905 г.

[48] «Пролетарская революция», 1925, № 7, стр. 36.

Исходя из задач начавшейся революции в России, III съезд РСДРП специальным решением определил задачи большевистской пропаганды и агитации[49]. Он поручил ЦК организовать литературно-пропагандистскую группу для выработки общей программы для кружков и составления применительно к ней популярных брошюр по главным вопросам партийной программы, тактики и организации. В целях помощи местным комитетам было предложено принять меры к созданию разъездных групп агитаторов и пропагандистов.

Такая агитационно-пропагандистская коллегия была создана, возглавил ее И. Х. Лалаянц. Она обсудила вопрос об организации пропаганды на местах и признала необходимым составить две схемы общих пропагандистских программ:

1) Для кружков низшего типа (в 6—7 лекций), состав которых комплектовался из посетителей так называемых «летучек», которые отличались от массовых собраний (массовок) меньшей численностью, большим постоянством состава и известной систематичностью в содержании речей.

2) Для кружков высшего типа (18—20 лекций), состав которых подбирался из лучших членов низших кружков и «вообще из лиц способных и развитых»[50].

Программа давала минимум знаний, необходимых партийному работнику, по теории, истории, тактике и организации социал-демократии. При проведении занятий пропагандистам рекомендовалось для иллюстраций использовать современный материал. Газета опубликовала так же список литературы, необходимой для подготовки пропагандиста.

На заседании агитационно-пропагандистской коллегии была создана группа разъездных пропагандистов. Ответственным пропагандистом ЦК РСДРП стал Инсаров (И. Х. Лалаянц)[51].

Программы, подготовленные съездом группы литераторов-пропагандистов, образованной при ЦК РСДРП, были первыми общепартийными пропагандистскими программами.

Составленные рекомендации, как и сами программы, явились результатом изучения опыта постановки пропаганды и агитации как в России, так и за границей.

Можно предположить, что ответственному пропагандисту ЦК РСДРП И. Х. Лалаянцу наряду с другими программами была известна программа занятий Тифлисского комитета. Она состояла из десяти разделов, дававших основы марксистско-ленинского мировоззрения. Первая часть программы содержала общие сведения, характеризующие современный капиталистический строй, раскрывала сущность капиталистической эксплуатации, доказывала неизбежность победы социализма, как результата победы социалистической революции. Вторая часть — раскрывала положения марксизма применительно к России. Здесь излагались основные положения программы-минимум РСДРП, история революционного движения в России от выступления декабристов до II съезда партии[52].

Вся работа пропагандистов, выступавших одновременно и организаторами партийной работы, направлялась партийными комитетами. Так, в апреле 1905 г. в с. Хони на квартире А. Цулукидзе состоялась трехдневная конференция пропагандистов Имеретино-Мингрельского коми-

---

49 КПСС в резолюциях и решениях..., ч. I, стр. 83—84.

50 «Пролетарий», № 16 от 14 (1) сентября 1905 г.

51 Сб. Партия в революции 1905 г. Партиздат, 1934, стр. 6.

52 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 1, ед. хр. 874, л. 2—5.

тета. На ней обсуждались вопросы ведения пропагандистской работы, подготовки вооруженного восстания и другие, касавшиеся организации и тактики партии. На основе принятых решений были проведены митинги, в том числе и районный[53].

Следующая конференция (съезд) пропагандистов Имеретино-Мингрельского комитета состоялась в августе 1905 г. Вновь на повестке дня стояли вопросы тактики и организации, они решались с ленинских позиций, на основе постановлений III съезда РСДРП. Конференция решила проводить активный бойкот Государственной думы, приступить к усиленной агитации среди крестьян, призывающей к отказу платить налоги и отбывать воинскую повинность[54].

Была принята структура социал-демократической крестьянской организации. Основу ее составляли первоначальные кружки из наиболее сознательных и революционно настроенных сельских рабочих, крестьян и полупролетариев. Кружок избирал десятского, который представлял его в следующей инстанции — сельской социал-демократической группе. Сельские группы из десятских избирали сотского, собрание которых составляло общую группу. Представители общих групп (тысяцкие) организовывали революционный районный комитет, который получал права автономной группы после утверждения вышестоящим комитетом[55].

Эта структура легла в основу строения сельских парторганизаций Ее подтвердило собрание пропагандистов и организаторов Горийской организации РСДРП (август 1906)[56]. Собрание указало на необходимость привлечения в организации сознательных крестьян с пролетарскими идеями.

Решением конференции предлагалось провести митинги в селах и намечалась их схема. Сохранилась запись: «Разобрать Манифест об учредительном собрании. О демократической республике и вскользь о социализме»[57].

В постановлении собрания пропагандисты получили практические рекомендации и политическое направление.

Первоначальной формой пропагандистской работы выступали массовые собрания, на которых обсуждались текущие вопросы. Вслед за ними шли массовки и «летучки», где рабочих знакомили с партийной программой-минимум, разбирали текущие политические и внутрипартийные вопросы. Наиболее способные из них выдвигались в социал-демократические кружки. Так в ходе первой русской революции складывались формы партийной агитационно-пропагандистской работы, через которые большевики идейно завоевывали пролетарский авангард и широкие массы пролетариев, выковывали и укрепляли партийное единство.

В связи с реорганизацией всей деятельности партии в условиях развития революции расширился размах и демократизировались формы агитационно-пропагандистской работы. Центр тяжести ее переносится в широкие рабочие аудитории, однако, сохраняются и кружки. Меняется структура пропагандистских органов партии, происходит процесс централизации агитационно-пропагандистской работы.

Спад революции приводит к сокращению размаха пропаганды и агитации. Вместе с тем работа большевиков по политическому воспитанию масс продолжалась, продолжалось их обучение революционной

---

53 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 2, ч. I, д. 4, л. 184—185.

54 Там же, оп. 3, д. 61, л. 103.

55 Там же, оп. 3, ед. хр. 61, л. 104.

56 Там же, оп. 5, ед. хр. 83, л. 53.

57 Там же.

ეროვნული ბიბლიოთეკა

науке марксизма. В письме из Тифлиса (лето 1907 г.) в центральные учреждения партии сообщалось об «умственном голоде», нехватке пропагандистов и организаторов, стремлении рабочих изучать революционную науку. «Та идейная работа, которая ведется, — отмечал автор письма — должна быть отнесена за счет большевиков. С тем количеством сил, которые находятся у них, они делают все, что можно»[58].

Постановка партийной пропаганды помогала выработке революционного мировоззрения, росту классовой сознательности, формированию единства взглядов марксистов-ленинцев. Каждый шаг пролетарской борьбы, слитый с деятельностью большевиков, сближал массы рабочего класса с партией.

В ходе классовых битв передовые рабочие осваивали марксизм-ленинизм, превращались в сознательных бойцов революции, единомыслящих и единодействующих. Пройдя школу ленинского воспитания, пролетарии России смогли пережить полосу реакции, сохранить и укрепить свои организации, разгромить оппортунистов, подготовиться к революции и победить в ней, завоевать власть и построить развитое социалистическое общество.

Опыт борьбы большевиков за партийное единство, накопленный в период революции 1905—1907 гг., совершенствовался и расширялся в последующие годы, проверялась ходом революционных событий правильность форм и методов борьбы за него.

Практика подтвердила необходимость разоблачения перед массами антипартийной сущности теоретических доводов и пагубности для дела революции практических предложений оппортунистов. Такое разоблачение помогло изолировать оппортунистических лидеров и вырвать из-под их влияния обманутых рабочих. Идейный разгром оппортунистов дополняется организационным размежеванием с ними. Широкое освещение вопросов теории и партийной политики в печати и устной пропаганде, изучение и обсуждение их в сети партийного просвещения, широко поставленная информация способствуют выработке сознательного отношения к политическим вопросам у массы членов партии, точка зрения которых учитывается в принимаемых решениях, выполнение которых — обязанность коммунистов, организующих беспартийных, осуществляющих единство слова и дела.

Формы борьбы за партийное единство, сложившееся еще в годы первой русской революции вошли в жизнь ряда коммунистических и рабочих партий.

Опыт нашей партии по-прежнему является образцом тактики для всех.

---

58 ПАГФ ИМЛ, ф. 8, оп. 3, ед. хр. 63, л. 28.

Представил отдел истории социалистической революции Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა თეთვაძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის

(1933—1937 წწ.)

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობამ (1934 წლის 26 იანვარი — 10 თებერვალი) სოციალისტური მშენებლობის შემდგომი ამოცანების შემუშავებასთან ერთად მიიღო პარტიის ყველა ორგანიზაციაში ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის გადაწყვეტილებანი. ყრილობამ გაითვალისწინა მეორე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად ორგანიზაციული მუშაობის მზარდი როლი, ყოველმხრივ განიხილა პარტიული მშენებლობის საკითხები და შეიმუშავა ორგანიზაციული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსური პროგრამა ყრილობამ ახალი რედაქციით მიიღო პარტიის წესდება, რომელშიც პირველად შევიდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის სრული ფორმულირება. წესდებამ პარტიის თითოეულ წევრზე განამტკიცა უფლება მონაწილეობა მიეღოთ პარტიის პოლიტიკის საქმიან განხილვაში, ამასთან ერთად წესდება მოითხოვდა მკაცრ პარტიულ დისციპლინას, უმცირესობის უმრავლესობისადმი უსიტყვოდ დამორჩილებას, ქვემდგომი ორგანოების მიერ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა განუხრელ გატარებას.

პარტიის წესდებაში შეტანილი მთელი რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებები ხელს უწყობდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოებასა და ცენტრალიზმის განმტკიცებას, იგი მიმართული იყო პარტიული დისციპლინის ამაღლების, პარტიული მასების აქტივობის ზრდისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად მათი პასუხისმგებლობის ამაღლებისაკენ.

ამ სტატიაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის კონკრეტული მაგალითებისა და საარქივო მასალების ფართო გამოყენებით განზოგადებულია და გაანალიზებულია მეორე ხუთწლედის პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის გამოცდილება შინაპარტიული დემოკრატიის გაშლისათვის. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიუხედავად ზოგიერთი უარყოფითი მხარეებისა, რაც დაკავშირებული იყო ბერიას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობასთან, შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების განუხრელი განხორციელების საფუძველზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კპ(ბ) ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გაშალეს შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის. შინაპარტიული დემოკრატიის გაშლის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი უპირველეს ყოვლისა იყო პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების ჩატარების პრაქტიკის გაუმჯობესება.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარებისას განუხრელად ხელმძღვანელობდნენ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით „საწარმოთა პარტუჯრედების მუშაობის შესახებ“. ამ დადგენილებით ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსა და პარტიულ უჯრედებს დაავალა გაეთვალისწინებინათ პარტიული კრების მოსამზადებელი მუშაობის ყველა მხარე, უზრუნველეყოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკის, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება და სისტემატურად შეემოწმებინათ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა[1].

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლაში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტიული კრებების მომზადება და ჩატარება.

პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების კარგი გამოცდილება ჰქონდათ თბილისის, ბათუმის, ხაშურის და ჭიათურის სამრეწველო საწარმოთა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც სისტემატურად იხილავდნენ ადგილობრივი ცხოვრების საკითხებს, წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდულ როლს, პარტიული დისციპლინისა და პარტიული ეთიკის საკითხებს და სხვ.

კომუნისტთა მაღალი აქტივობით ჩატარდა 1933 წლის დეკემბერში პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. საწარმოო კოლექტივები, დამკვრელი მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები იღებდნენ გადიდებულ ვალდებულებებს გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად, შეიქმნა ახალი დამკვრელი ბრიგადები, ფართოდ გაიშალა მუშაობა ტექნიკის დაუფლებისათვის. პარტიული უჯრედების მუშაობისა და კომუნისტთა ავანგარდული როლის შესამოწმებლად შეიქმნა თვითშემმოწმებელი ბრიგადები. თბილისში ამ ბრიგადებში მონაწილეობა მიიღო 6500 კომუნისტმა ანუ ორგანიზაციის 46,2 პროცენტმა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტთა დასწრება 98 პროცენტს უდრიდა[2].

პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების გაუმჯობესებას ხელი შეუწყო კომუნისტთა კრებების მომზადების საკითხებზე საქალაქო და რაიონული კომიტეტების სხდომებზე ცალკეული პარტიული ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენამ. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრების მომზადების საკითხებს სისტემატურად იხილავდა, აგრეთვე, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი.

---

[1] Справочник партийного работника, вып. VIII, 1934, გვ. 431.

[2] ეურნ. „პარტიული მშენებლობა“, 1934, № 1—2, გვ. 27—28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული კრების მომზადებასა და ჩატარების გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო კპ(ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1935 წლის 29 მარტის დადგენილებას „პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანების შესახებ“, რომელიც შემუშავებულ იქნა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მსხვილი ორგანიზაციის გამოცდილებისა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა ადრინდელ გადაწყვეტილებათა გათვალისწინების საფუძველზე. დადგენილება წარმოადგენდა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გამოცოცხლებისა და კომუნისტთა აქტივობის ამაღლებისათვის ბრძოლის კონკრეტულ სახელმძღვანელოს ჩვენი ქვეყნის ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათ შორის საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის. ეს დადგენილება საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა და გაზეთ „პრავდაში“ 1935 წლის 28 მარტს გამოაქვეყნა. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაეთვალისწინებინათ დადგენილებაში მითითებული ნაკლოვანებანი და განუხრელად ეხელმძღვანელათ მასში დასახული პრაქტიკული მითითებებით.

ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1935 წლის 29 მარტის დადგენილება განხილულ იქნა საქართველოს კპ(ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, ხოლო შემდეგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და სხდომებზე განხილვის შემდეგ მის შესახებ იმსჯელეს საქალაქო და რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორთა თათბირებზე, სადაც შეიმუშავეს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში აღნიშნული დადგენილების განხილვის კონკრეტული ღონისძიება. პარტიული კრებების ჩატარებას წინ უძღოდა ფართო მოსამზადებელი მუშაობა. წინასწარ იხილავდნენ კრებების ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს, ყველა კომუნისტმა რამდენიმე დღით ადრე იცოდა კრების დღის წესრიგი. კომუნისტთა კრებებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრები.

საკითხის განხილვის პროცესში კომუნისტებმა პარტიულ-აღმზრდელობით და პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში ამხილეს კონკრეტული ნაკლოვანებები. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში განხილვის შედეგები გააანალიზეს და განიხილეს საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე. პლენუმებმა შეიმუშავეს საქმიანი და კონკრეტული ღონისძიება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად.

ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1935 წლის 29 მარტის დადგენილების შემდეგ საქართველოს კპ(ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტები სისტემატურად იხილავდნენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების საკითხებს.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ პარტიული კრების მომზადებას, საკითხის ღრმად შესწავლის მიზნით იქმნებოდა თვითშემმოწმებელი ბრიგადები, დადგენილების შემუშავებისათვის კი კომისიები, რომლებიც მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ კომუნისტთა კრიტიკულ გამოსვლებს და წინადადებებს. მიღებული დადგენილების შესრულებაზე დაწესებული იყო მკაცრი კონტროლი. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიულ კრებებზე კომუნისტთა დასწრება 96—98

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტს შეადგენდა, ხოლო კამათში მონაწილეობას იღებდა დამსწრე კომუნისტთა 38—40 პროცენტი[3].

პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ უფრო მტკიცედ განეხორციელებინათ წარმოებაში, კოლმეურნეობაში და დაწესებულებაში თავიანთი ხელმძღვანელობა, მიეღწიათ შინაპარტიული დემოკრატიის თანმიმდევრული განხორციელებისათვის, ფართოდ გაეშალათ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აქტიურად ჩაებათ კომუნისტები პარტიულ ცხოვრებაში. კარგად ორგანიზებულმა პარტიულმა კრებებმა ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, კომუნისტთა თვითმოქმედებისა და ინიციატივის ზრდას, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე მათი ავანგარდული როლის შემდგომ ამაღლებას.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები პერიოდულად ისმენდნენ წარმოებაში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში კომუნისტთა ავანგარდულ როლს.

1934—1937 წლებში რესპუბლიკის თითქმის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში დაინერგა პარტიულ კრებებზე კომუნისტთა თვითანგარიშების მოსმენა. ამ ანგარიშებში დაწვრილებით იყო გაშუქებული თუ როგორ ასრულებდნენ კომუნისტები პარტიის წესდებით დაკისრებულ მოვალეობებს. 1934 წლის იანვარში ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღეებში ლენინური გაწვევის კომუნისტები დაწვრილებითი ანგარიშით გამოვიდნენ ღია პარტიულ და მუშათა საერთო კრებებზე. გაზეთმა „კომუნისტმა“ ანშლაგით — „პირველი ლენინური გაწვევის კომუნისტები აბარებენ პარტიას ათი წლის მუშაობის ანგარიშებს“, გამოაქვეყნა ლენინური გაწვევის კომუნისტთა ფართო თვითანგარიშები.

თბილისის 26 კომისრის რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა 1936 წლის მარტსა და აპრილში მოისმინეს 1000-მდე კომუნისტის თვითანგარიში[4].

კომუნისტთა თვითანგარიშების მოსმენამ საგრძნობლად აამაღლა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, განამტკიცა პარტიული და საწარმოო დისციპლინა, ხელი შეუწყო საწარმოო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას. მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში თვითანგარიშების მოსმენა რიგ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა და იგი არ იყო დაკავშირებული კომუნისტის ავანგარდული როლის ამაღლებასთან.

შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე პარტიული ორგანიზაციების აქტივობის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულა საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 17 დეკემბრის დადგენილებამ „პარტიული აქტივის კრებების შესახებ“, რომლის მიღებაც იმ გარემოებით იყო ნაკარნახევი, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია პარტიული აქტივის კრებების რეგულარული მოწვევის ნაცვლად ატარებდნენ პარტიული კომიტეტების გაფართოებულ სხდომებს. ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო მუშაობის ასეთი

---

[3] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 20, აღწ. 1, ს. 627, ფურც. 2.

[4] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკა და მიუთითა, რომ აღდგენილიყო პარტიული აქტივის კრებების მოწვევა[5].

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების შემდეგ პარტიული აქტივის კრებები გადაიქცა პარტიული მუშაობის მუდმივმოქმედ ფორმად, ამაღლდა მათი მნიშვნელობა პარტიული კადრების აღზრდასა და დაწინაურებაში, პარტიული აქტივის მუშაობის გამოცოცხლებაში, ფართო პარტიული მასა ჩაება პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურ მუშაობაში. ასრულებდნენ რა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს პარტიული აქტივის მუშაობა. პარტიული აქტივის კრებებს სისტემატურად იწვევდნენ საქართველოს კპ(ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტები. პარტიული აქტივის კრებები ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში გადაიქცნენ კომუნისტთა აქტივობისა და თვითკრიტიკის გაშლის, პარტიული ორგანოების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელების ეფექტურ საშუალებად. აქტივის კრებებზე განაზოგადებდნენ კომუნისტთა გამოცდილებას, ავლენდნენ პარტიულ მუშაობაში ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, მიუთითებდნენ მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი გააქტიურების მიზნით საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1935 წლის 27 მარტს მიიღო დადგენილება „საკავშირო კპ(ბ) საქალაქო კომიტეტებში პარტკადრების განყოფილების შექმნის შესახებ“[6]. პარტიის საქალაქო კომიტეტებთან პარტიული კადრების განყოფილების შექმნა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რადგან მან პარტიული ხელმძღვანელობა დაუახლოვა პარტიულ მასებს და ხელი შეუწყო ახალი კადრების აღზრდასა და დაწინაურებას.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 27 მარტის დადგენილებით პარტიული კადრების განყოფილება შეიქმნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან. პარტიული კადრების განყოფილების შექმნის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა როგორც საქალაქო კომიტეტის, ისე რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორთა მუშაობის პრაქტიკა. ინსტრუქტორთა მუშაობის ცენტრში იდგა პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. საქალაქო კომიტეტის პარტიული კადრების განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკას. საქალაქო კომიტეტი სწავლობდა, განაზოგადებდა და ისმენდა პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების დადებით გამოცდილებას[7].

შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციის, კომუნისტთა შემდგომი აქტივობისა და თვითშემოქმედების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 20 მარტის დადგენილებამ „პარტიის რაიკომების შესახებ იმ სარაიონო პარტიულ ორგანიზაციებ-

---

[5] Журн. «Большевик», 1935, № 7, გვ 5.

[6] Журн. «Партийное строительство», 1935, № 7, გვ. 47—48.

[7] გაზ. „კომუნისტი“, 1935 წლის 18 ივლისი.

ში, სადაც კომუნისტების რაოდენობა მცირეა"[8]. ამ დადგენილების მიღება იმით იყო ნაკარნახევი, რომ ბევრ მცირერიცხოვან რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში შედიოდნენ მთელი პარტორგანიზაციის წევრთა ნახევარი და მეტიც, ხოლო რაიკომის ბიუროში — რაიკომის პლენუმის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა ამგვარი არასწორი ორგანიზაციის გამო რაიკომის ბიურო ცვლიდა პარტიის რაიკომის პლენუმს, ხოლო პლენუმი, რომელიც იკრიბებოდა არარეგულარულად და გაფართოებული შემადგენლობით, რაიონული პარტიული აქტივის კრებებს.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაწესდა მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი რაიონული პარტიული ორგანოების არჩევის ახალი წესი: 1. მცირერიცხოვან რაიონულ ორგანიზაციებში რაიონულ კომიტეტებს ირჩევდნენ არა კონფერენციებზე, არამედ კომუნისტთა საერთო პარტიულ კრებებზე; 2. პარტიის ასეთი რაიკომების წევრთა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 9 წევრზე მეტი; 3. ეს რაიკომები მიმდინარე მუშაობისათვის რაიკომის ბიუროს არ ირჩევდნენ, არამედ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ რაიონული პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას და ასრულებდნენ რაიკომის ბიუროს ფუნქციებსაც.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 20 მარტის დადგენილების განხორციელებამ უზრუნველყო რიგით კომუნისტებთან რაიკომების მჭიდრო კავშირის დამყარება, პარტიის წევრთა აქტიური მონაწილეობა რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, მცირერიცხოვანი რაიონული პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის გამოცოცხლება და ბრძოლისუნარიანობის ამაღლება.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 20 მარტის დადგენილების განხორციელებაზე სპეციალურად იმსჯელა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. ბიუროს გადაწყვეტილებით მცირერიცხოვან რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებად მიჩნეულ იქნენ: ყაზბეგის, ქვემო სვანეთის, ლენინგორის, ქედის, თიანეთისა და ხულოს რაიონული კომიტეტები.

მცირერიცხოვანი რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ნაყოფიერი მუშაობა განახორციელეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორებმა, საორგანიზაციო ჯგუფებმა. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მცირერიცხოვან პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების ჩატარებასა და ერთეულ კომუნისტთა შორის მუშაობის საკითხებს.

1934—1937 წლებში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგილებზე პარტიული მუშაობის გაძლიერებისა და რაიკომებისადმი

[8] Журн. «Партийное строительство», 1936, № 8, გვ. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარების გაწევის მიზნით სისტემატურად აგზავნიდა ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო და პროპაგანდისტთა ჯგუფებს, სპეციალურ კომისიებს, სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე გამოიყო ცენტრალური კომიტეტის პარტორგანიზატორები.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო პერიოდულად იხილავდა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის კონკრეტულ საკითხებს. პრაქტიკაში იყო შემოღებული რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო-განყოფილებათა გამგეების დასწრება ბიუროს სხდომებზე და ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო თათბირებზე. საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიკომებისადმი ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების დახმარება. ადგილებზე ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და პასუხისმგებელ მუშაკთა მიმაგრებასთან ერთად ტარდებოდა საწარმოო-დარგობრივი ზონალური თათბირები. ცენტრალურმა კომიტეტმა პრაქტიკაში შემოიღო, აგრეთვე, ცალკეულ საქალაქო და რაიონული კომიტეტებისადმი პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე სპეციალური მეთოდური წერილების დაგზავნა.

ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა და ბიუროს სხდომაზე განიხილა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები. 1933—1937 წლებში ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილებები საქართველოს კპ(ბ) ახალციხის, ადიგენის, ზემო სვანეთის, თიანეთის, ლაგოდეხის, ტყიბულის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონული კომიტეტების მუშაობაზე[9]. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1935 წლის მაისში ყოველმხრივ განიხილა საკითხი „საქართველოს კპ(ბ) ჭიათურის, ქუთაისის და სტალინის ორგანიზაციებში პარტიული მუშაობის შესახებ“ და მიიღო კონკრეტული დადგენილება[10]. ამ დადგენილებამ დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციებისა და თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლის ამაღლებაში.

1933—1937 წლებში ჩატარდა საქართველოს კპ(ბ) IX (1934 წლის 10—14 იანვარი) და X (1937 წლის 15—21 მაისი) ყრილობები. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებმა, დამკვრელებმა და სტახანოველებმა[11]. თავიანთ სიტყვებში დელეგატები ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ღრმა ანალიზს იძლეოდნენ, მიუთითებდნენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის არსებით ნაკლოვანებებზე, განაზოგადებდნენ თავიანთ მუშაობის გამოცდილებას. ყრილობებმა შეიმუშავეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების, პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

---

9 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 4846, ფურც. 5—6; ს. 4858; ფურც. 17, 20, 133; ს. 4986, ფურც. 170; ს. 5380, ფურც. 126—127; ს. 5382, ფურც. 114; ს. 5900, ფურც. 184 და სხვ.

10 ჟურნ. „პარტიული მშენებლობა“, 1935, № 6—7, გვ. 35—42.

11 საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის ირგვლივ IX ყრილობაზე კამათში მონაწილეობა მიიღო 43 დელეგატმა, ხოლო X ყრილობაზე 62 დელეგატმა.

ამავე წლებში ჩატარდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ 9 პლენუმი და ბიუროს 202 სხდომა. ტარდებოდა, აგრეთვე, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს სხდომები, პლენუმები, აქტივის კრებები, რომლებზეც განიხილებოდა რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების, პოლიტიკური, იდეოლოგიური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის აქტუალური საკითხები.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული დახმარება. მათ შემოღებული ჰქონდათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე პარტიული კომიტეტების წევრთა მიმაგრება. საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სისტემატურად იხილავდნენ პარტიული კრებების ჩატარების შედეგებს, ხოლო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი განაზოგადებდა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ცალკეული რაიკომების ხელმძღვანელობის გამოცდილებას.

რესპუბლიკაში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების დანერგვას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სწავლობდნენ და განაზოგადებდნენ პარტიული მუშაობის მოწინავე გამოცდილებას. საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტის ბიურომ 1935 წლის 14 სექტემბერს განიხილა თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესახებ. ბიურომ აუცილებლად მიიჩნია, რომ თბილისის კომიტეტს შემოეღო ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა თათბირი, რომელიც განაზოგადებდა პარტიული მუშაობის აქტუალურ საკითხებს. თბილისის კომიტეტთან თვეში ერთხელ უნდა მოწვეულიყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომის მდივანთა და პარტორგთა დარგობრივი თათბირები, რომლებიც მოისმენდნენ ძირეულ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა მოხსენებებს, ინფორმაციებსა და სხვ.[12].

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შინაარსი, ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი, განმტკიცდა პარტიული დისციპლინა, კომუნისტები საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის შესანიშნავ მაგალითს გვიჩვენებდნენ. სამრეწველო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები ატარებდნენ პარტიულ ტექნიკურ კონფერენციებს. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების შედეგად საგრძნობლად ამაღლდა მუშაობის შინაარსი და მათი როლი კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაში.

1933—1937 წლებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ცენტრში იყო კადრების შერჩევისა და აღზრდის ლენინური პრინციპების განუხრელი გატარება. დიდი ყურადღება ექცეოდა სოფლის ძირეულ პარტიულ და საბჭოთა კადრების შერჩევასა და განმტკიცებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა ღონისძიებანი რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი კადრების

12 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 17, აღწ. 1, ს. 2188, ფურ. 297.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმტკიცებისათვის, საქართველოს კპ(ბ) X და XI ყრილობებს შუა პერიოდში ხელმძღვანელ პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 4000-ზე მეტი კაცი[13].

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. პარტიული კომიტეტები სისტემატურად იხილავდნენ სახალხო მეურნეობის განვითარების, კულტურული მშენებლობის, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე მიღებული თავიანთი დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებების წარმატებით შესრულებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფმა, რომელიც 1934 წლის მარტში შეიქმნა[14].

1936 წლის 5 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა და დაამტკიცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც კანონმდებლობით იქნა განმტკიცებული ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებანი. მასში აღნიშნული იყო, რომ სოციალისტური სისტემა დამკვიდრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება საზოგადოების მტკიცე ეკონომიური საფუძველი გახდა. გაფართოვდა და გაღრმავდა სოციალისტური დემოკრატია. ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც ადგენდა სსრ კავშირში აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უშუალო შესვლას გაუქმდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. ამიერკავკასიის ფედერაციამ უზრუნველყო სოციალიზმის გრანდიოზული გამარჯვებანი აზერბაიჯანსა, საქართველოსა და სომხეთში, განამტკიცა ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, რითაც მთლიანად შეასრულა თავისი დიდი ისტორიული როლი.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის 23 აპრილის დადგენილებით ლიკვიდირებულ იქნა საკავშირო კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი. აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტი უშუალოდ დაუმორჩილდნენ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს[15]. განხორციელებულმა ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო აამაღლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივა და თვითშემოქმედება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში.

საარქივო მასალების ანალიზი მოწმობს, რომ შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების გატარება დიდ ზემოქმედებას ახდენდა პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობაზე. კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურმა პრინციპმა და შინაპარტიულმა დემოკრატიამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეორე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას, პირველადი პარტიული

---

13 საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, სახელგამი, 1939, გვ. 15.

14 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 7985, ფურც. 63.

15 ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1937, № 8, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებისა და თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლის ამაღლებას. მაგრამ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპებმა და კოლექტიურმა ხელმძღვანელობამ ვერ ჰპოვა ყოველმხრივი განვითარება და მისი ნამდვილი გამოვლინება. ბერიას საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობის წლებში შეინიშნებოდა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევები და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების უგულებელყოფა. ამას მოწმობს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, ბიუროს სხდომების არარეგულარული მოწვევა, ბევრი გამოჩენილი და საბჭოთა მუშაკის, აგრეთვე, მეცნიერებისა და კულტურის ზოგიერთი მოღვაწის დაუსაბუთებელი რეპრესიები.

რესპუბლიკაში პიროვნების კულტის გავლენით ფართოდ გავრცელდა ერთპიროვნული ხელმძღვანელობის ყოვლად უვარგისი პრაქტიკა. ძალიან ხშირად ჩქმალავდნენ ნაკლოვანებებს და ალამაზებდნენ სინამდვილეს. ბერიასა და მისი დამქაშების კარიერისტულმა მისწრაფებებმა, რეპრესიებმა, გამოიწვია სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესუსტება.

კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს — პლენუმის როლის აშკარა უგულებელყოფაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1933 წელს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი არ ჩატარებულა, 1934 წელს ჩატარდა 2 პლენუმი, 1935 წელს კი მხოლოდ ერთი. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებიც აშკარად ამცირებდნენ პლენუმის როლს. არ იცავდნენ მათი მოწვევის ვადებს. პლენუმებზე იხილავდნენ საერთო ორგანიზაციულ საკითხებს, ხოლო შინაპარტიული მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ მთელ რიგ მნიშვნელოვან სამეურნეო-პოლიტიკურ და განსაკუთრებით კადრების დაწინაურების საკითხებზე არავითარი კოლექტიური მსჯელობა, აზრთა ურთიერთგაზიარება არ სწარმოებდა. იგი ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროს წევრთა ფორმალური შეკითხვის წესით ტარდებოდა. პარტიის ზუგდიდის რაიკომი ბიუროს მოუწვევლად საკითხების 30 პროცენტზე მეტს შეკითხვის წესით წყვეტდა. უხეშად ირღვეოდა კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები პარტიის ადიგენის, ბათუმისა და სხვა რაიკომებში[16].

საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობაზე მიღებული წესდებით პირველადი პარტიული ორგანიზაციების, რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტების არჩევნები წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, ხოლო სამხარეო, საოლქო კომიტეტების, ნაციონალური კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა წელიწადნახევარში ერთხელ. წესდების ამ მოთხოვნას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და მათ შორის საქართველოს პარტიული ორგანიზაციაც არ იცავდნენ. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტებისა და თვით საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა 1934 წლიდან 1937 წლამდე არ არჩეულა და არ ჩაუბარებიათ ანგარიშები. არ

16 ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1935, № 1, გვ. 9; 1937, № 3, გვ. 57—58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარებულა, აგრეთვე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამასთან დაკავშირებით ფართოდ გავრცელდა პარტიულ ორგანოებში ხელმძღვანელ მუშაკთა კოოპტაციით შეყვანის გაუმართლებელი და უვარგისი პრაქტიკა. ამის შედეგად ზოგიერთი პარტიული კომიტეტის წევრთა უმრავლესობა კოოპტირებული იყო. მაგალითად, 1937 წელს ბაღდადის (მაიაკოვსკი) რაიკომში იყო 13 არჩეული და 23 კოოპტირებული წევრი, ტყიბულში — 22 არჩეული და 25 კოოპტირებული, ბაშკიჩეთში (დმანისი) — 12 არჩეული და 14 კოოპტირებული, გალში — 2 არჩეული და 23 კოოპტირებული, სოხუმის რაიკომში — 7 არჩეული და 16 კოოპტირებული. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს 7 წევრიდან და კანდიდატიდან 6 კოოპტაციის წესით იყო შეყვანილი. აჭარის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში 14 წევრი კოოპტირებული იყო[17]. პარტიის ჭიათურის რაიონული კომიტეტის 45 წევრიდან 22 კოოპტაციით იყო შეყვანილი, ხოლო რაიკომის ბიუროს 7 წევრიდან სამი[18]. პარტიის ადიგენის, ბათუმის, ზნაურის, ბორჩალოს (მარნეული) და სხვა რაიკომების წევრთა 50—60 პროცენტზე მეტი კოოპტირებული იყო[19].

არჩევითობის პრინციპი კიდევ უფრო აშკარად პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ირღვეოდა. პრაქტიკაში ფართოდ იყო შემოღებული პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომის მდივანთა და პარტორგების დანიშვნა.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით დაგმო პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობაში შინაპარტიული დემოკრატიისა და კოლექტიურობის ასეთი დარღვევები და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო პლენუმების როლის ამაღლების, პარტიული კომიტეტების ბიუროსა და აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება წარმოადგენდა მობრუნების ეტაპს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო სისტემის შემოღება უზრუნველყოფდა საბჭოთა დემოკრატიის სრულ განვითარებას, მას არ შეიძლებოდა არ გაეძლიერებინა და გააძლიერა კიდეც ხალხის მასების პოლიტიკური აქტივობა, სახელმწიფო მმართველობაში ჩააბა მშრომელთა ახალი ფენები. ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით კომუნისტურ პარტიას, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში ხელმძღვანელსა და წარმართველ ძალას შესაბამისად უნდა გარდაექმნა შინაპარტიული მუშაობა, რათა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისტორიული მობრუნების სათავეში ყოფილიყო.

შინაპარტიული დემოკრატია სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ამიტომ ამ დარგში დარღვევებს ახალი კონსტიტუციის პრინციპების განხორციელებასთან დაკავშირებით შესაძლო იყო სერიოზული უარყოფითი შედეგები გამოეწვია. სწორედ ამიტომ პარტიის ხელმძღვანელობაში შინაპარტიული ცხოვრების დემოკრა-

---

[17] საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პარტიული არქივი, ფ. 1, აღწ. 4, ს. 305, ფურც. 117.

[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 89, აღწ. 1, ს. 645, ფურც. 1.

[19] ჟურნ. „პარტიული მშენებლობა“, 1937, № 3, გვ. 57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიზაციისა და კოლექტიურობის განუხრელი გატარების საკითხებმა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის მუშაობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა. პლენუმმა ა. ა. ჟდანოვის მოხსენებასთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება „პარტიული ორგანიზაციების მომზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ახალი საარჩევნო სისტემის მიხედვით და ამის შესაბამისად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნა“, რომელშიც აღნიშნა, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში დაინერგა პარტიის წესდებისა და შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის გაუმართლებელი პრაქტიკა: არჩევითობას ცვლიდნენ კოოპტაციით, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ასარჩევი კანდიდატების კენჭისყრა ხდებოდა სიით და არა პერსონალურად, არ იცავდნენ პარტიული ორგანოების არჩევის ვადებს და სხვ. პლენუმმა გააკრიტიკა წესდების ეს უხეში დარღვევები და მიუთითა, რომ „დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძვლების დარღვევის ყველა ეს ფაქტი ზიანს აყენებს პარტიას...“[20].

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იგი პარტიულ ორგანიზაციებს დაეხმარა თავიანთი მუშაობა გარდაექმნათ დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე, განუხრელად გაეტარებინათ შინაპარტიული დემოკრატია. ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვა და შესწავლა საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული აქტივის კრებებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა მაღალი აქტივობით, მწვავე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში მიმდინარეობდა. თავიანთ გამოსვლებში კომუნისტებმა ერთსულოვნად მოიწონეს პლენუმის გადაწყვეტილებები, ამხილეს პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს მათი გამოსწორების გზები. კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების საკითხებს. პარტიული კრებების რეზოლუციებში პლენუმის გადაწყვეტილებები შეფასებული იყო, როგორც პარტიაში დემოკრატიული ცენტრალიზმის განხორციელების, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, პარტიის მოღვაწეობაზე თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლების ახალი საფეხური.

1937 წლის 19—20 მარტს გაიმართა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა ინფორმაცია საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. პლენუმმა მიიღო დადგენილება „პირველადი პარტორგანიზაციების პარტკომიტეტების არჩევნების, სარაიონო, საქალაქო და საოლქო პარტკონფერენციების ჩატარებისა და საქართველოს კპ(ბ) X ყრილობის მოწვევის შესახებ“[21].

1937 წლის 21 მარტს გამოქვეყნდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის. მასში მოცემული იყო დახურული (ფარული) კენჭისყრის ჩატარების წესი. მიმართვა მნიშვნელოვანი

---

20 სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, თბ., 1956, გვ. 405.

21 ჟურნ. „პარტიული მშენებლობა“, 1937, № 6, გვ. 23—24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული დოკუმენტი იყო, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციული წყობის სახელმძღვანელო პრინციპის — დემოკრატიული ცენტრალიზმის განუხრელ განხორციელებას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები ჩატარდა 1937 წლის მარტ-მაისში. არჩევნები მიმდინარეობდა პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების მაღალი აქტივობის, მასებთან მათი კავშირის განმტკიცების, ნაკლოვანებათა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, არჩევნები შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებაში პრაქტიკულ განხორციელებად გადაიქცა. პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 21294 კომუნისტმა ანუ დამსწრეთა 63 პროცენტმა. 3033 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან 796 პარტიული ორგანიზაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული[22]. პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების წევრებად აირჩიეს 2807 კაცი, აქედან 784 პირველად იყო არჩეული. სოციალური მდგომარეობით მუშა იყო 1610, გლეხი — 396, მოსამსახურე — 801. არჩეულ იქნა 2439 პარტორგი და 582 პარტკომი. პირველად იყო არჩეული 483 პარტორგი და 101 პარტკომი. პარტორგთა და პარტკომის მდივანთა შორის სოციალური მდგომარეობით მუშა იყო — 1375, გლეხი — 1159 და 487 მოსამსახურე[23].

საარქივო მასალების ანალიზი მოწმობს, რომ საქართველოს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში დიდი აქტივობის ნიშნით ჩატარდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, მათ თითქმის ყველა კომუნისტი ესწრებოდა. ფართოდ იყო გაშლილი შინაპარტიული დემოკრატია, ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში კამათში გამოსვლას თხოულობდა აღრიცხვაზე მყოფი თითქმის ყველა კომუნისტი. საქმიანი და კრიტიკული იყო გამოსვლები იმ კომუნისტებისა, რომლებიც წინათ პასიურად ითვლებოდნენ. მაგრამ საანგარიშო-საარჩევნო კრებების დროს რესპუბლიკის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში არ იცავდნენ საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. პარტიის ცალკეული საქალაქო და რაიონული კომიტეტი უხეშად არღვევდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივას „პარტორგანოების არჩევნების ორგანიზაციის შესახებ". მაგალითად, ქალაქ ქუთაისის რიგ პარტიულ ორგანიზაციებში უხეშად დაარღვიეს შინაპარტიული დემოკრატია და არჩევნების ჩატარების წესი. ინდუსტრიული მუშფაკისა და „ლიტოპონმშენის" პარტორგანიზაციებში არ აირჩიეს დამთვლელი კომისიები, ხმების დათვლა პარტიის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელმა მოახდინა. მსგავს დარღვევებს ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიც.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების დროს დაშვებული შეცდომებისა და დარღვევების გამო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მთელ რიგ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში გააუქმეს საანგარიშო-საარჩევნო

---

22 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 704; ჟურნ. „პარტიული მშენებლობა", 1937, № 9—10, გვ. 93—94.

23 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 55, ს. 85, ფურც. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებები და არჩევნები ხელმეორედ დანიშნეს. არჩევნები გაუქმდა — ზესტაფონის რაიონში — 29 პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, აჭარაში — 46-ში, აფხაზეთში — 23-ში, ქუთაისში — 11-ში, თბილისის კიროვის რაიონში — 4 პარტიულ ორგანიზაციაში და სხვ.[24].

რესპუბლიკაში პარტიული ორგანოების არჩევნებისას მტკიცედ იქნა დაცული შინაპარტიული დემოკრატია, ამაღლდა კომუნისტთა აქტივობა და თავისი პარტიული ხელმძღვანელისადმი მომთხოვნელობა. შინაპარტიული დემოკრატიის დამახინჯებათა აღმოფხვრამ და არჩევნების დროს დემოკრატიული ცენტრალიზმის დაცვამ თითოეულ კომუნისტს საშუალება მისცა კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეგრძნო თავისი პარტიული ორგანიზაციის წინაშე. პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული კომიტეტების, პარტორგების მუშაობის შესახებ ჩვენ მიერ გაანალიზებული დოკუმენტები მოწმობენ, რომ კომუნისტებმა საქმიანად მოჰკიდეს ხელი პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. გარდა ამისა ეს დოკუმენტები მოწმობენ საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების მაღალ იდეურ დონეს, პარტიული მასებისა და თითოეული კომუნისტის პოლიტიკურ სიმწიფეს. პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა გამოავლინა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული ნაკლოვანებები და მიღებულ დადგენილებებში დასახეს მათი გამოსწორების გზები. არჩევნების შემდეგ თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს ამოცანა მდგომარეობდა პრაქტიკულად განეხორციელებინა ცხოვრებაში მიღებული დადგენილება და კომუნისტთა საქმიანი წინადადებანი, მათ შესაბამისად ახლებურად გარდაიქმნა შინაპარტიული მუშაობა.

საქართველოს კპ(ბ) საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა წესად შემოიღეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტკომების მდივანთა და პარტორგთა მოხსენებების მოსმენა, რომელთა მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იყო ცნობილი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ 1937 წლის აპრილ-მაისში ჩატარდა საოლქო, საქალაქო, რაიონული პარტიული კონფერენციები და საქართველოს კპ(ბ) X ყრილობა. ისე როგორც პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, აგრეთვე, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კონფერენციები და საქართველოს კომპარტიის X ყრილობა ჩატარდა კომუნისტთა გაზრდილი პოლიტიკური აქტივობით. საოლქო, საქალაქო და რაიონულ კონფერენციებს დაესწრო 6438 დელეგატი. კამათში მონაწილეობა მიიღო 2070 დელეგატმა ანუ დამსწრე დელეგატთა ერთმა მესამედმა. კომუნისტები ყოველმხრივ იხილავდნენ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში ასარჩევ კანდიდატურებს. პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში ასარჩევად დასახელებული 4464 კანდიდატიდან ფარულ კენჭისყრამდე აცილება მიეცა 514 კაცს[25]. საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში აირჩიეს 2522 წევრი, აქედან 643 პირველად იყო არჩეული.

---

24 ჟურნ. „პარტიული მშენებლობა“, 1937, № 9—10, გვ. 61, 96.

25 იქვე, გვ. 94—95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად არჩეული რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელებთან მუშაობას, კადრების შერჩევისა და აღზრდის გაუმჯობესებას, პარტიული და უპარტიო მასების პოლიტიკური აღზრდის საკითხებს.

ამრიგად, ახალი კონსტიტუციის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებამ თითოეული პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვა შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარება, რათა კომუნისტთა აქტივობა კი არ ჩამქრალიყო, არამედ კიდევ უფრო ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში გაძლიერებულიყო და განმტკიცებულიყო. შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლა, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარება პარტიის თვითმიზანი როდი იყო, არამედ იგი წარმოების, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ის, დაწესებულების საქმიანობაზე პარტიული ორგანიზაციის გავლენის ზრდის, სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად პარტიული მასების მობილიზაციის მნიშვნელოვანი საშუალება იყო. შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნამ გააქტიურა პარტიული მასები და ხელი შეუწყო პარტიული მუშაობის გამოცოცხლებას, რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში კომუნისტები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების, სტახანოვური მოძრაობის, მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის სათავეში იდგნენ, მტკიცედ იბრძოდნენ საწარმოო-საფინანსო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ახორციელებდნენ რა საკავშირო კპ(ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა და მითითებათა საფუძველზე პარტიული ცხოვრების გარდაქმნას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების, კოლექტიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასა და პარტიულ-ორგანიზაციული დონის ამაღლებაში. მეორე ხუთწლედის წლებში შინაპარტიული დემოკრატიის განხორციელება მიმდინარეობდა მის დარღვევებთან მტკიცე ბრძოლის, კომუნისტთა აქტივობის ამაღლებისა და მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცების მიმართულებით. ამან პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა დაეძლიათ სიძნელეები და წარმატებით შეესრულებინათ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა.

ამასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს, რომ პარტიული მასების აქტივიზაცია და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება უფრო ინტენსიური, ღრმა და ყოვლისმომცველი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დაშვებული სერიოზული შეცდომები სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების განხორციელებაში. დარღვეულ იქნა პარტიასა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ლენინური პრინციპები. „ხალხის მტრებთან“ ბრძოლის საბაბით უხეშად ირღვეოდა საბჭოთა დემოკრატია და კანონიერება, ადგილი ჰქონდა დაუსაბუთებელ რეპრესიებს და მათ შორის პარტიის პატიოსან წევრთა მიმართ. მაგრამ კომუნისტური პარტია, მისი ადგილობრივი ორგანიზაციები მიუხედავად პიროვნების კულტისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებისა მოქმედებდნენ და ვითარდებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპებისა და შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებაში „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ მითითებულია, რომ პიროვნების კულტის მიუხედავად „კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის მასების მძლავრი ინიციატივა, რომელშიც ჩვენმა წყობილებამ წარმოშვა, აზორციელებდა თავის დიად ისტორიულ საქმეს, ძლევდა ყველა დაბრკოლებას სოციალიზმის მშენებლობის გზაზე“[26]. ამიტომ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მოღვაწეობას, მათ მიერ დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას ჰქონდა და აქვს უდიდესი მნიშვნელობა კომუნისტური პარტიის შემდგომი მუშაობისათვის.

სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის შეცდომების წლებში ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა ცდებს დაეკნინებინათ სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში პარტიისა და საბჭოთა ხალხის უდიდესი მუშაობა. ყურადღება იყო გამახვილებული პიროვნების კულტის გამოვლინების უარყოფით მხარეებზე, სოციალისტური კანონიერების დარღვევებზე. ამ პერიოდის ისტორიული სინამდვილისა და ობიექტური შეფასების საწინააღმდეგოდ ყველაფერს „სტალინის პიროვნების კულტის პერიოდს“ უწოდებდნენ. ვინც ასეთ შეფასებას აძლევდა იგი ივიწყებდა ყველაფერს რაც პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა. ივიწყებდნენ იმას, რომ ამ პერიოდში პარტია და საბჭოთა ხალხი ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას აფასებდნენ მისი გამოსვლებით, იმ ძირითადად სწორი ამოცანებით, რომლებსაც იგი პარტიისა და ხალხის წინაშე აყენებდა. ამასთან ერთად ეს გამოსვლები გადმოსცემდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრს, აშუქებდნენ მისი მოღვაწეობის შინაარსსა და ცენტრალური კომიტეტის მიერ დაყენებულ ამოცანებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის ისტორიულმა პლენუმმა, ხოლო შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულმა მთელმა რიგმა დადგენილებებმა, პარტიის XXIII—XXIV ყრილობების გადაწყვეტილებებმა ბოლო მოუღეს ამგვარ დამახინჯებებს, ხელსაყრელი პირობები შექმნეს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის ობიექტური გაშუქებისათვის.

---

26 სკკპ... რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. IV, თბ., 1962, გვ. 302.

წარმოადგინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან
არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ინაძე

ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი

(ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი)

დასავლეთ საქართველოს ნაქალაქარების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად წინ წასწია ხმელთაშუაზღვისპირეთის ანტიკური ცივილიზაციის ცენტრების, მათ შორის ათენისა და კოლხეთის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის შესწავლა.

კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ასევე მის შიდა რაიონებში აღმოჩენილი ატიკური კერამიკული ნაწარმის შესწავლის საფუძველზე ამ ურთიერთობაში სადღეისოდ უკვე გამოყოფილია ვაჭრობის აღმავლობისა და დაცემის ცალკეული ეტაპები.

დადგენილია, რომ ძვ. წ. VI ს-ის დასასრულსა და V ს-ის დასაწყისში სპარსელთა მიერ იონიური ცენტრების განადგურების პერიოდში და მის შემდგომ ათენი გარკვეულ უპირატესობას აღწევს კოლხეთთან (ისევე, როგორც შავიზღვისპირეთის დანარჩენ მხარეებთან) ურთიერთობაში[1], რის შედეგადაც მასში წამყვანი ხდება ატიკური ნაწარმის იმპორტი[2].

ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარში ხმელთაშუაზღვისპირეთში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო (ბერძენ-სპარსელთა ომები) სავაჭრო ურთიერთობა კოლხეთსა და ათენს შორის შესამჩნევად სუსტდება, ხოლო ძვ. წ. V ს-ის შუახანებიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. ამ დროიდან იწყება ანტიკური სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ახალი მძლავრი აღმავლობა და ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ. წ. IV საუკუნეში (ელინისტურ ხანამდე) ამ ურთიერთობაში დომინირებული მდგომარეობა ათენს უკავია[3].

ეჭვი არ არის, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და ათენის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლისას არქეოლოგიურ მონაპოვარს, რომელსაც ზემოთ მოტანილი დასკვნები ემყარება, განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ჩვენ ხელთაა მეტად საყურადღებო წერილობითი წყაროებიც (თუკიდიდეს, სტრაბონის, პლუტარქეს, იუსტინეს და სხვა ავტორთა ცნობები), რომლებშიაც მართალია პირდაპირ არ არის დასახელებული კოლხეთი, მაგრამ ლაპარაკია პონტოზე, მისი მოსახლეობისა და აქ არსებული ქალაქების ურთიერთობაზე ათენთან. აღნიშნული ცნო-

---

[1] ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 80.

[2] ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 135.

[3] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; ა. კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135, 136; მ. ინაძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან კოლხეთში, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 97—98; М. И. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968, გვ. 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების დეტალური ანალიზი, რაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ არავის უცდია[4], დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს ათენისა და კოლხეთის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები უფრო ფართო ისტორიულ ასპექტში განვიხილოთ და ამასთანავე ახსნა მოვუძებნოთ მათი სავაჭრო ურთიერთობის იმ მძლავრ აღმავლობას, რომელსაც არქეოლოგიური მონაცემების თანახმად ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში ჰქონია ადგილი. დასახელებული წყაროების განხილვა გვარწმუნებს, რომ ათენისა და კოლხეთის ურთიერთობის აღმავლობას (ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში) ღრმა პოლიტიკური და ეკონომიური მოვლენები ედო საფუძვლად, რომელთაც თავისი გამოძახილი ჰპოვეს მთელ შავიზღვისპირეთში, და შესამჩნევი კვალი დატოვეს მის ცხოვრებაში.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ზემოაღნიშნული საისტორიო წყაროების დეტალურ ანალიზსა და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების კვლევა-ძიებას ეძღვნება.

ძვ. წ. V ს-ის შუახანებში ათენი თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების მწვერვალს აღწევს. იგი გამარჯვებული გამოდის ბერძენ-სპარსელთა ომიდან, რომელშიც ელადის სახელმწიფოთა შორის წამყვან როლს თამაშობდა[5].

ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს ნათელი გახდა, რომ ათენის ძლიერება დამყარებული იყო მისი საზღვაო ძალების უპირატესობაზე[6], რომ მრავალრიცხოვანი და კარგად აღჭურვილი ფლოტის გარეშე ელადის წინამძღოლი — ათენი ამ ომში გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა.

სპარსეთთან ომის შედეგად გამოირკვა ისიც, რომ ელადასა და ეგეოსის კუნძულებზე მოპოვებული ჰეგემონობის შესანარჩუნებლად ათენისათვის აუცილებელი იყო ზღვაზე უპირატესობის განმტკიცება. ამისათვის მან მოხერხებულად გამოიყენა საზღვაო პოლისებს შორის დელოსში დადებული კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა მცირე აზიის ქალაქებიდან სპარსელთა განდევნას და ამისათვის ძლიერი ფლოტის შექმნას. დროთა განმავლობაში ათენის ფლოტი საგრძნობლად იზრდება მოკავშირეთა გადასახადების ხარჯზე[7]. სწრაფი ეკონომიური განვითარებისა და უმსხვილეს საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევასთან ერთად ათენის ხვედრითი წონა დელოსის კავშირში სულ უფროდაუფრო მატულობს. თანდათანობით ათენი ერევა მოკავშირე ქალაქების საშინაო ცხოვრებაში, ახორციელებს მათზე პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტროლს[8]. ათენი ზღუდავს არა მარტო მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალებს, არამედ საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს, საგრძნობლად ბღალავს მათ ეკონომიურ ინტერესებს.

[4] დასახელებული წყაროების ერთ ნაწილს ჩვენ შევეხეთ ათენისა და კოლხეთის ურთიერთობის დახასიათებისას ამ რამდენიმე წლის წინ გამოცემულ შრომაში (Причерноморские города древней Колхиды, გვ. 199—204), მაგრამ იმ ხანად ვერ მოხერხდა ვერც ამ ცნობების ყოველმხრივი შესწავლა და ვერც მათი, როგორც საისტორიო წყაროს მთელი სისრულით გაანალიზება-შეფასება.

[5] Her., VII, 139.

[6] Her., VII, 144; Thuc., I, 74.

[7] Thuc. I, 19; I, 99.

[8] И. Б. Брашинский, Новые материалы к изучению экономических связей Ольвии в VI—V вв. до н. э., Archeologia, XIX, 1968, Warszawa, 1969, გვ. 56—58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკიდიდეს და პლუტარქეს ცნობების თანახმად, ეკონომიური ინტერესების შეჯახება იწვევს წინააღმდეგობის გამძაფრებას ათენსა და მის მოკავშირე ქალაქებს შორის. მსხვილი სავაჭრო ცენტრების თაზოსის, სამოსის ცდა თავი დაეღწიათ ათენის ეკონომიური კონტროლისაგან მარცხით დამთავრდა[9]. მათ ჩამოერთვათ ხომალდები. ამიერიდან ათენის მოკავშირეებს შორის ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიები, ისევე როგორც საკუთარი ფლოტით სარგებლობის უფლება, რჩება მხოლოდ ქიოსსა და ლესბოსს[10].

მოკავშირეთა სახსრების გამოყენებისა და მათზე მეთვალყურეობის დაწესებასთან ერთად ათენს საშუალება ეძლევა ძვ. წ. V ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში ხელში ჩაიგდოს სააღებ-მიცემო ურთიერთობანი მთელ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და პონტოში, და იგი თავის ფართო პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს დაუქვემდებაროს.

ათენის ლტოლვას მონოპოლიისაკენ მნიშვნელოვნად აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ამ დროს ელადაში ღვივდება ახალი პოლიტიკური კონფლიქტი ორ უძლიერეს გაერთიანებას, ათენისა და პელოპონესის კავშირებს შორის, წინააღმდეგობა, რომელიც სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს და ბოლოს აშკარა საომარ მოქმედებაში გადადის.

ათენის დემოკრატიის მესვეურებს, სახელდობრ პერიკლეს, რომელიც აღებულ ხანაში წარმართავდა ათენის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, კარგად ესმოდა ომის გარდუვალობა. თუკიდიდეს ცნობით, ამას იგი არაერთხელ აღნიშნავდა კიდეც სახალხო კრებებზე გამოსვლის დროს[11]. პერიკლეს კარგად ესმოდა ისიც, რომ მომავალი ომის ბედი უმთავრესად დამოკიდებული იყო ათენის საზღვაო ძლიერებაზე[12]. კარგად აღჭურვილი ფლოტი, რომელიც რაოდენობრივად საგრძნობლად აღემატებოდა მოწინააღმდეგის საზღვაო ძალებს, მისი აზრით, წარმოადგენდა პელოპონესთან ომში გამარჯვების საიმედო საწინდარს[13].

პერიკლეს პოლიტიკას მხარს უჭერდნენ ვაჭარ-ხელოსანთა წრე და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ფენები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული საზღვაო საქმესთან.

საჭირო იყო უმოკლეს დროში, ერთგული მოკავშირეების ფულად სახსრებზე დაყრდნობით, უზარმაზარი ფლოტის შექმნა. ერთი მხრივ გემთმშენებლობისათვის საჭირო რესურსების დიდი რაოდენობით შეზიდვა ათენში, მეორე მხრივ კი ფხიზლად თვალყურის დევნება რათა ეს რესურსები ხელში არ ჩავარდნოდა მოწინააღმდეგე დაჯგუფებას. პელოპონესის ომის დასაწყისისათვის ათენში შექმნილი ეს განწყობილება კარგად აისახა ფსევდო-ქსენოფონტის სახელით ცნობილ ტრაქტატში „ათენის პოლიტია“, რომელსაც, მკვლევართა აზრით, ლიტერატურული დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს[14]. ნაშრომში ვკითხულობთ: „თუ რომელიმე ქალაქი მდიდარია გემთსაშენი ხე-

---

[9] Thuc., I, 99; I, 100; Plut., Per., 26.

[10] Thuc., I, 19.

[11] Thuc., I, 144.

[12] Thuc., II, 13.

[13] Thuc., II, 143.

[14] [Ксенофонт], Афинская Полития, перевод и примечания С. И. Радцига, წიგნში: Аристотель, Афинская Полития, М., 1937, გვ. 222, 223. მკვლევართა აზრით, ეს ნაშრომი 430—425 წლებში უნდა იყოს დაწერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყით, სად გაასაღებს იგი მას, თუ არ მიაღწევს შეთანხმებას იმასთან, ვინც ზღვაზე ბატონობს? (ე. ი. ათენთან. — **მ. ი.**)... თუ რომელიმე ქალაქი მდიდარია რკინით, სპილენძით, ან სელით, სად უნდა გაასაღოს მან იგი, თუ ამაზე არ დაითანხმა ის, ვინც ზღვაზე ბატონობს? (ე. ი. ათენი. — **მ. ი.**), ხოლო გემები (ათენისათვის) ხომ სწორედ ამისგან იქმნება. ერთისგან იღებს ხე-ტყეს, მეორისგან რკინას, მესამისგან სპილენძს, მეოთხისგან სელს, მეხუთისგან ცვილს. გარდა ამისა (ათენელები) ნებას არ დართავენ ყოველივე ეს სხვა ადგილას გაიტანონ"...[15] და ა. შ.

მოტანილი ამონაწერი მოწმობს, რომ აღებულ ხანაში ათენი უკვე ახორციელებს ხე-ტყით და გემთსაშენი სხვა მასალით ვაჭრობის მონოპოლიას და ყოველმხრივ ცდილობს ამ რესურსების თავმოყრას მხოლოდ ათენში.

ამ მიზანს ემსახურება ათენის მიერ პოზიციების განმტკიცება ხე-ტყითა და სხვა რესურსებით მდიდარ რაიონებში: მაკედონიასა, თრაკიასა და ქალკედონში, აქ ქალაქ ამფიპოლის დაარსება, რომელიც აღნიშნული მხარიდან ათენში ხე-ტყის გატანის ერთ-ერთ ძირითად ბაზად უნდა ქცეულიყო[16].

ამავე ხანებში ათენის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შავიზღვისპირეთიც, მისი სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები, საიდანაც შეიძლებოდა არა მხოლოდ საუკეთესო გამძლეობის, მაღალხარისხოვანი და ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის (მუხა, წიფელი, ბზა) ექსპორტირება, არამედ ხომალდმშენებლობისათვის საჭირო ყველა სხვა მასალის (რკინა, სპილენძი, სელი, ტილო, ფისი, ცვილი, კანაფი და სხვ.) გატანა, ან და ხომალდების ადგილზევე დამზადება, რისთვისაც აქ ყველა პირობა არსებობდა[17]. რასაკვირველია, პონტოში ათენს მხოლოდ ზემოდასახელებული რესურსები არ აინტერესებდა. სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ასევე ჩრდილოშავიზღვისპირეთის პურს, რაც არაერთხელ აღნიშნულა რუსულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში[18].

პონტოს რესურსების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ათენი მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავს თავისი პოზიციების განსამტკიცებლად შავიზღვისპირეთში[19]. უპირველეს ყოვლისა, ათენს გადამწყვეტი ზომები მიუღია შავ ზღვაში შესასვლელი სრუტეების შემოსამტკიცებლად. ეს ზომები წარმატებით დაგვირგვინდა. ბიზანტიონი საკმაოდ დიდხანს (439—411 წწ.) ათენის ერთგულ მოკავშირედ დარჩა, ხოლო სრუტეებზე ათენმა დააწესა უმკაცრესი

---

[15] [Ксенофонт], Афинская Полития, გვ. 230.

[16] Thuc., II, 29.

[17] შავი ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი სანაპიროების სიმდიდრეს გემთსაშენი ხე-ტყით არაერთხელ აღნიშნავენ ბერძენი ავტორები: თეოფრასტე (ძვ. წ. IV ს.), რომელიც აზიაში ასეთ მხარედ ასახელებს სინოპეს, ამისოს და კიტორეს (Theoph., IV, 5, 3, IV, 5, 5), ფლავიუს არიანე (Peripl., 5). ხოლო სტრაბონის გადმოცემით, კოლხეთში მოიპოვებოდა არა მხოლოდ ხე-ტყე, არამედ აქვე ამუშავებდნენ გემთსაშენ ყოველივე სხვა მასალას: სელი, კანაფი, ცვილი და ფისი (Strabo, XI, 2, 17).

[18] И. Б. Брашинский, Афины и Северное Причерноморье в VI—II вв. до н. э., М., 1963 გვ. 82, 86; A I. Zimmern, The Greek commonwealth, Politics and Economics in fifth century Athens. New-York, 1956, გვ. 368.

[19] პერიკლეს გეგმის თანახმად მომავალ ომში პონტო უნდა გადაქცეულიყო ათენისათვის საარსებოდ აუცილებელი რესურსების მიმწოდებელ საიმედო ბაზად. აქედან სრუტეებით და ზღვით ეს რესურსები პირდაპირ წარიმართებოდა ნავსადგურ პირეოსისაკენ, საიდანაც ათენს მიაღწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლი[20], რის შედეგადაც შავ ზღვაში შესვლის უფლება ენიჭებოდა მხოლოდ ათენის გემებს და მისი ერთგული მოკავშირეების (ქიოსისა და ლესბოსის) ხომალდთა განსაზღვრულ რაოდენობას[21]. ეს იმას ნიშნავდა, რომ საკაჭრო ურთიერთობა შავიზღვისპირეთთან ამიერიდან ფაქტიურად მთლიანად ათენის განკარგულებაში ექცეოდა და მას ექვემდებარებოდა. მაგრამ წყაროები მოწმობენ, რომ სრუტეებზე პოზიციების განმტკიცება არ აღმოჩნდა საკმარისი და საჭირო გამხდარა გარკვეული, საკმაოდ გადამწყვეტი ზომების მიღება თვით შავი ზღვის სანაპიროებზედაც. ასეთი ზომების მიღება მით უფრო აუცილებელი იყო ათენისათვის, რომ მანამდე, ე. ი. ძვ. წ. V ს-ის შუახანებამდე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო (ბერძენ-სპარსელთა ომები), ათენის კავშირი პონტოსთან, განსაკუთრებით მის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროსთან, მაინცადამაინც არ იყო მყარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ახ. წ. I—II სს. ბერძენი ავტორის პლუტარქეს ცნობა პერიკლეს ლაშქრობის შესახებ პონტოში. ეს ცნობა დაცულია „პარალელური ბიოგრაფიების“ იმ ნაწილში, რომელიც პერიკლეს ცხოვრების აღწერილობას შეიცავს.

პლუტარქე მოგვითხრობს: „პერიკლე შევიდა პონტოში დიდი, საუცხოოდ აღჭურვილი ესკადრით, მან გააკეთა ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ (აქ არსებულ) ელინურ ქალაქებს და გამოიჩინა მათდამი კეთილგანწყობილება, ხოლო გარშემო მცხოვრებ ბარბაროს ტომებს, მათ მეფეებსა და დინასტებს მან უჩვენა უდიდესი ძალა, უშიშროება და მამაცობა ათენელთა, რომელნიც დაცურავენ სადაც კი მოესურვებათ და მთელი ზღვა ხელთ უპყრიათ. სინოპელებს მან დაუტოვა 13 ხომალდი ლამახის მეთაურობით და მეომრები ტირან ტემესილეოსის წინააღმდეგ, ხოლო როდესაც იგი განდევნილ იქნა თავის მომხრეებთან ერთად, (პერიკლემ) მიიღო სახალხო კრებაზე დადგენილება ათენელთაგან 600 მოხალისეს სინოპეში გაგზავნისა და იქ სინოპელებთან ერთად დასახლების შესახებ. (მათ) უნდა გაენაწილებინათ ის მიწები და სახლები, რომლებიც წინათ ტირანებს ეკუთვნოდათ“[22].

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ საისტორიო წყაროს ემყარება პლუტარქე პერიკლეს ექსპედიციის აღწერისას (თავი XX) რთულია და ძნელად გადასაჭრელი.

მართალია თავის ნაშრომში (პერიკლეს ცხოვრებაში) პლუტარქე საკმაოდ ხშირად იხსენიებს მის მიერ გამოყენებულ ავტორებს, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავთ V—IV ს-ის ბერძნული ისტორიოგრაფიისა და ბიოგრაფიული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს (თუკიდიდე, ეფორე, არისტოტელე, სტესიმბროტე თაზოსელი[23]); წყაროთა შორის იგი ასევე იხსენიებს თეოფრასტეს, ჰერაკლიდე პონტოელს, იდომენესს, დურიდე სამოსელს,

[20] Б. П. Нерская, Византия в классическую и эллинистическую эпоху, М., 1953, გვ. 85—87.

[21] И. Б. Брашинский, Новые материалы..., გვ. 56.

[22] თარგმანი შესრულებულია პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ 1958 წელს გამოცემული ბერძნული ტექსტის საფუძველზე (Plutarch's Lives with an english translation by Bernadotte Perrin, III, London, 1958, გვ. 60—62).

[23] Plut., Per., IX, X, XIII, XXXVI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესქინეს, პოეტ იონს, კომიკოსებს; ამა თუ იმ ფაქტის გადმოცემისას იგი ზოგჯერ ერთდროულად მიმართავს და იმოწმებს რამდენიმე ავტორსაც[24], მაგრამ ჩვენთვის საინტერესო თავში (XX) პლუტარქე წყაროებს არ ასახელებს.

XX თავის წყაროთმცოდნეობით კვლევას მნიშვნელოვნად ართულებს ის გარემოებაც, რომ პირდაპირი მითითება პერიკლეს ექსპედიციის შესახებ შავიზღვისპირეთში მხოლოდ პლუტარქეს ნაშრომშია დაცული[25]. პლუტარქეს ნაშრომის XX თავის წყაროთმცოდნეობითმა შესწავლამ მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ავტორს ძირითადად გამოყენებული უნდა ჰქონდეს ეფორეს ცნობილი „ისტორია"[26]; ჰ. ზაუპე იმასაც ვარაუდობდა, რომ ეფორეს მეშვეობით უნდა შეეტანა პლუტარქეს თავის ნაშრომში ნაწყვეტები პერიკლეს გამოსვლებიდან[27]. ზემოთმოტანილი XX თავის შედარებამ პერიკლეს მიერ წარმოთქმული სიტყვების ჩანაწერებთან, რომლებიც თუკიდიდეს „ისტორიაშია" დაცული[28], ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ამ თავის შედგენისას ავტორს მართლაც უნდა ესარგებლა ხსენებული გამოსვლებით, მაგრამ ძნელია თქმა პერიკლეს სიტყვების ჩანაწერები მასთან მართლაც ეფორეს ნაშრომის მეშვეობით მოხვდა, თუ თუკიდიდესაგან, რომელსაც იგი არაერთხელ მიმართავს როგორც წყაროს პერიკლეს ცხოვრების სხვა თავების შედგენისას (მაგ. თავი XV, XVI და სხვ.).

ერთი სიტყვით, წყაროთმცოდნეობითი კვლევა გვარწმუნებს, რომ მართალია XX თავის წყაროების ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება, მაგრამ ეს ცნობა რომ ძველსა და სავსებით უტყუარ მონაცემებს უნდა ემყარებოდეს, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ამას მოწმობს მთელი რიგი სხვა წყაროებიც (წერილობითი, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური), რომელთა მიხედვით დასტურდება პელოპონესის ომის დასაწყისისათვის ათენის აქტიური ჩარევა შავიზღვისპირეთის ქალაქების ცხოვრებაში (ამის შესახებ ქვემოთ). პერიკლეს ექსპედიციის შესახებ ცნობის კვლევასთან დაკავშირებით დგება მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომლებიც საბოლოოდ არ არის გადაჭრილი და მკვლევართა შორის დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასეთია, საკითხი პერიკლეს ექსპედიციის დროის, მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

პლუტარქეს მონათხრობი არ შეიცავს საკმარის მონაცემებს პონტოში პერიკლეს მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროის ზუსტი განსაზღვრისათვის. ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სრულიად განსხვავებული მოსაზრებები, რომელთა მიხედვით ექსპედიციის თარიღი მერყეობს ძვ. წ. 455 წლიდან ძვ. წ. 435 წლამდე. მკვლევართა ერთი ნაწილი პერიკლეს ექსპედიციას პონტოში მიაკუთვნებს კალიუსის ზავის წინა ხანას ძვ. წ. 453—450 წწ. და მას სპარსეთზე გამარჯვების გაგრძელებად მიიჩნევს[29]. ზოგი ფიქრობს, რომ პონტოს ექსპედიცია უშუალოდ მოჰყვა ათენის მიერ აჯანყებული

[24] Plut., Per., IX, X, XIII, XV, XXIII—XXVIII, XXXV—XXXVIII.

[25] ასეთ ცნობას არ ვხვდებით პერიკლეს თანამედროვე ავტორთა ნაშრომებშიც კი (მაგალითად, თუკიდიდეს „ისტორიაში").

[26] H. Sauppe. Die Quellen Plutarchs für das Leben des Pericles, Sauppes Ausgewählte Schriften, Berlin, 1896, გვ. 503—506; K. Ziegler, Plutarchus, RE, Hbd. 41, გვ. 635—692.

[27] H. Sauppe, დასახ. ნაშრომი, გვ. 498—499, 506.

[28] Thuc., II, 62.

[29] B. D. Meritt, H. T. Wade-Gery, M. F. McGregor, The Athenian Tribute Lists, Cambridge, v. III, გვ. 114—117; H. Oliver, The Peace of Callias and The Pontic Expedition of Pericles, «Historia», VI, Hf. 2, Wiesbaden (1957), გვ. 254,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსისა[30] და ბიზანტიონის დამორჩილებას[31] (რასაც ძვ. წ. 439 წელს ჰქონდა ადგილი). ზოგიერთი მკვლევარი ამ ექსპედიციას უფრო გვიანდელ ხანაში (დაახლოებით ძვ. წ. 437 წელს) ვარაუდობს და მას უკავშირებს ათენის მიერ ქალკედონის შემომტკიცებას (ქ. ამფიპოლის დაარსებას)[32], ასევე ათენის პოზიციების განმტკიცებას შავი ზღვის სრუტეების მიდამოებში (ასტაკის დაარსება ძვ. წ. 435/4 წწ.)[33]. ეს უკანასკნელი თარიღი (ძვ. წ. 437—435 წწ.) გარკვეული მოდიფიკაციით (უმნიშვნელო დაზუსტებით) საერთოდ მიღებულია მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ[34].

გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე ჩვენც ამ ტრადიციულ თარიღს (ძვ. წ. 437 წ.) ვუჭერთ მხარს და ვფიქრობთ, რომ პონტოს ექსპედიცია განეკუთვნება ათენის აქტიური მზადების პერიოდს პელოპონესთან ომისათვის[35].

დავუბრუნდეთ ისევ პლუტარქეს ცნობაში აღწერილ ფაქტებს. ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ პერიკლეს ექსპედიციას პონტოში ათენელთათვის დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა[36].

გარდა იმისა, რომ ამ ექსპედიციით ხდებოდა შავ ზღვაზე მათი განუსაზღვრელი ბატონობის დემონსტრირება, ათენს მოუხდა პონტოსპირა ქალაქებში, კერძოდ სინოპეში, საკმაოდ გადამწყვეტი ზომების მიღება: ათენელი მოხალისეების ჩამოსახლება, დემოკრატიული გადატრიალების მოწყობა, მიწების ჩამორთმევა ტირანთათვის და სხვ. ყოველივე ეს მჭერმეტყველურად მიუთითებს იმაზე, რომ პერიკლეს მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა აქაური მოსახლეობის მხარდაჭერის და საჭიროდ თვლიდა თავის პოზიციების განმტკიცებას ამ ქალაქში ათენელთა გარკვეული ნაწილის გადმოსახლებით[37].

მაგრამ პლუტარქეს ცნობის განხილვა მთელ რიგ კითხვას სვამს, რაც მოწმობს, რომ პირველწყაროში, რომელსაც ეყრდნობოდა ავტორი ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო ნათქვამი პერიკლეს ექსპედიციის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, ვიდრე ეს პლუტარქემ შემოგვინახა (უფრო სწორედ საჭიროდ სცნო გადმოეცა). ასე მაგალითად, ცნობაში ლაპარაკია ელინურ ქალაქებზე, მაგრამ სინოპეს გარდა არცერთი ქალაქი არ არის დასახელებული. ავტორი აღნიშნავს, რომ პერიკლემ შეასრულა ყველაფერი, რაც ელინურ ქალა-

---

30 Al. Zimmern, დასახ. ნაშრომი, გვ. 362, შენ.

31 И. Б. Брашинский, Понтийская экспедиция Перикла, ВДИ, 1958, № 3, გვ. 113, 114.

32 I. Beloch, Die attische Politik seit Perikles, Lpz, 1884, გვ. 325; მისივე, Griechische Geschichte, I, Strassburg, 1898, გვ. 503.

33 П. О. Карышковский, Ольвия и Афинский Союз, Мат. по археологии Сев. Прич., вып. III, Одесса, 1960, გვ. 79—80.

34 იქვე, გვ. 80.

35 პონტოს ექსპედიცია ნაკლებად სავარაუდოა როგორც 50-იან წლებში სამხრეთ შავიზღვისპირეთში სპარსეთის ძლიერი გავლენის გამო (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), ასევე 40-იან წლებში, რამდენადაც ეს იქნებოდა სპარსეთთან ახლად დადებული საზავო პირობის დარღვევა.

36 ამას სხვათა შორის ამტკიცებს პლუტარქეს მიერ პონტოს ექსპედიციის შეტანა პერიკლეს სამი უმნიშვნელოვანესი ლაშქრობის რიცხვში (ორი დანარჩენი ლაშქრობა შეეხო ქერსონესსა და პელოპონესს) (Plut, Per., XX).

37 Т. В. Блаватская, Очерки политической истории Боспора в V—IV вв. до нашей эры, М., 1959, გვ. 66, 67.

ქებს სჭირდებოდათო, შემდეგ კი მხოლოდ სინოპეში მიღებულ ზომებზე ლაპარაკობს. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ პლუტარქეს ცნობა საკმაოდ შეკვეცილია და მასში იმ ელინურ ქალაქთაგან, რომლებშიც ათენელებმა უთუოდ რაღაც ღონისძიებანი მიიღეს კონკრეტულად მხოლოდ სინოპეზეა ლაპარაკი.

ეს რომ დანამდვილებით ასე უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს აღებულ ხანაში სამხრეთ შავიზღვისპირეთის სხვა ქალაქებში, კერძოდ, ამისოში და ჰერაკლეაში მომხდარი ამბები.

ერთ-ერთი ცნობა ამისოს შესახებ თვით პლუტარქეს აქვს დაცული ლუკულუსის ცხოვრების აღწერილობაში. პლუტარქე გადმოგვცემს: „ქალაქი ამისო ათენელთა ახალშენი იყო. იგი დაარსებულ იქნა იმ ხანებში, როდესაც ათენელთა ძლიერება მეტად ყვაოდა და როცა ისინი ზღვაზე მბრძანებლობდნენ“[38]. მართალია, პლუტარქე აქ პირდაპირ არ ასახელებს პერიკლეს, მაგრამ ცხადია, რომ ათენელთა ძლიერების აყვავება და ზღვაზე მბრძანებლობა სწორედ პერიკლეს მმართველობას გულისხმობს. ამრიგად, მოტანილი ცნობა საფუძველს გვაძლევს ათენელთა ახალშენის დაარსება ამისოში პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე პერიკლეს მივაწეროთ და მისი საქმიანობის შედეგად მივიჩნიოთ.

აღნიშნული კარგად დასტურდება ამისოს მონეტების მიხედვითაც. ამ სამონეტო სერიების მოჭრა იწყება სწორედ პერიკლეს ექსპედიციის მომდევნო ხანაში (ძვ. წ. V ს-ის ბოლო მეოთხედში) და დაახლოებით ერთი საუკუნე გრძელდება. მათზე გამოხატულია ათენური ჭოტი და წარწერა ΠΕΙΡΑ[39], რაც მოწმობს ქალაქ ამისოსთვის ათენის ნავსადგურის პირეოსის სახელწოდების მიკუთვნებას[40]. ათენელთა ახალშენის დაარსებას ამისოში ვინმე აფინოკლეს მეთაურობით და მისი სახელწოდების პირეოსად შეცვლას ადასტურებს სტრაბონის გადმოცემაც, რომელიც თეოპომპეს ემყარება[41].

როგორც ირკვევა, პერიკლეს ექსპედიცია შეეხო სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქ ჰერაკლეასაც, რაც დასტურდება მთელი რიგი წერილობითი წყაროებით (თუკიდიდე, დიოდორე სიცილიელი, იუსტინე)[42].

ამრიგად, ზემოთ განხილული ცნობები ეჭვს არ ტოვებენ, რომ პერიკლეს ექსპედიციის შედეგად ათენის გავლენას დაექვემდებარნენ სამხრეთ შავიზღვისპირეთის უმსხვილესი ცენტრები. ამასთან, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჰერაკლეა ათენის საზღვაო კავშირში იქნა შეყვანილი და დროებით (ვიდრე გადაუდგებოდა ათენს) ფოროსსაც იხდიდა.

ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ვარაუდობს, რომ აღნიშნულ ხანაში ათენის საზღვაო კავშირში უნდა მოხვედრილიყო სინოპეს აღმოსავლეთით მდე-

---

38 პ ლ უ ტ ა რ ქ ე, ლუკულუსი, 19, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, 1, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ა კ ა კ ი უ რ უ შ ა ძ ე მ, თბ., 1957, გვ. 77.

39 W. Waddington, E. Babelon, Th. Reinach, Recueil général des monnaies grecques d'Asie Mineure, t. I, fasc. 1, 2-e édit., Paris, 1925, Amisos, №№ 1—8, ტაბ. III, 1—3.

40 М. И. Максимова, Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956, გვ. 101, 102.

41 Strabo, XII, 3, 14; М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, 102.

42 Thuc., IV, 75; Diod., Bibl., XII, 72, 4; Iust, XVI, 3; Юстин, Эпитома сочинения Помпея Трога, «Historia, Philippica», кн. 16, гл. 3, ВДИ, 1954, № 3, გვ. 240; А. И. Тюменев, Херсонесские этюды, ВДИ, 1938, № 2 (3), გვ. 256.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარე მცირე ქალაქები კარუსა და კერასუნტი. ეს მოსაზრება გამოითქვა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა ათენის მოკავშირეთა და მათზე დაწესებული ფოროსის რაოდენობის ნუსხის ახალი ფრაგმენტი (წარწერა თარიღდება ძვ. წ. 425/424 წწ-ით). ფრაგმენტის გამომცემელთა აზრით, მასში დასახელებული არიან ქალაქები ევქსინის პონტოში, მათ შორის კარუსა და კერასუნტი (ამ უკანასკნელის სახელწოდებას კითხულობენ მხოლოდ ერთი, დასაწყისი ასო K-ს საფუძველზე)[43]. ცხადია, ქ. კარუსას და კერასუნტის მონაწილეობის საკითხი I საზღვაო კავშირში მეტ დასაბუთებას მოითხოვს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ძვ. წ. V ს-ის დასასრულისათვის კერასუნტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის მეტროპოლიასთან როგორც ეკონომიურად, ასევე პოლიტიკურად; ქსენოფონტის „ანაბაზისის“ მიხედვით სინოპე აქტიურად ერევა თავის ახალშენების (კერასუნტის, კოტიორას) ცხოვრებაში და წარმართავს მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას გარე სამყაროსთან[44]. აქედან გამომდინარე სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სინოპეში მომხდარი ცვლილებების შემდეგ მის ახალშენებსაც ათენის ორიენტაცია მიეღოთ და მისი გავლენის სფეროში შესულიყვნენ[45].

ანტიკურ მწერლობაში, სახელდობრ, ფლავიუს არიანეს „პერიპლუსში“ დაცულია ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ათენის გავლენა აღებულ ხანაში შეეხო არა მხოლოდ სინოპესა და მის ახალშენებს, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უფრო შორეულ მხარესაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცნობა ადგილ ათენას შესახებ (ამ ადგილს აიგივებენ თანამედროვე ფაზართან). არიანე გადმოგვცემს: „ევქსინის ზღვის ნაპირზე არის ასეთად (ე. ი. ათენად) წოდებული ადგილი და იქვეა ათენას ბერძნული ტაძარი, რომლისგანაც, როგორც ვფიქრობ, ამ ადგილმა მიიღო სახელი. არის აქ უყურადღებოდ მიტოვებული ციხესიმაგრეც. ზაფხულობით ამ ნავსაყუდელში შეუძლიათ შემოსვლა ხომალდებს მცირერიცხოვნად, იგი იფარავს მათ სამხრეთის ქარისაგან და აღმოსავლეთისაგანაც“[46]. არიანე უთუოდ სწორია იმაში, რომ სახელწოდება ათენა ამ ადგილს მიუღია მას შემდეგ რაც აქ ათენას სახელობის ბერძნული ტაძარი აუგიათ, რადგან უფრო ადრინდელ ხანაში, როგორც ეს ფსევდო-სკილაქსის ცნობებიდან შეიძლება დავასკვნათ (ეს ცნობები კი ძვ. წ. VI ს-ის წყაროდან უნდა მომდინარეობდეს[47]), ამ ადგილას (თანამედროვე ფაზარის ტერიტორიაზე) არსებობდა ლიმნედ წოდებული ქალაქი[48].

---

[42] B. D. Meritt, H. T. Wade-Gery, M. F. Mc Gregor, The Athenien Tribute Lists, I, Carnbridge, 1939, გვ. 528, ქალაქების კარუსას და კერასუნტის მონაწილეობას ათენის კავშირში საეჭვოდ მიიჩნევენ მ. მაქსიმოვა, (დასახ. ნაშრომი, გვ. 98—97) და ი. ბრაშინსკი (К вопросу о положении Нимфея во второй половине V века до н. э., ВДИ, 1955, № 2, გვ. 152).

[44] Xen., Anab., IV, 8, 22, V, 8—25; М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[45] რაც შეეხება კარუსას, რომელიც მოხსენიებულია ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ (Ps.-Scyl, Peripl., 89), იგი მდებარეობდა სინოპესა და ამისოს შორის.

[46] Arr., Peripl., 4; ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 32, 33.

[47] М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, გვ. 55.

[48] Ps-Scyl., Peripl., 85; C. Müller, GCM, vol, I. გვ. 374.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ათენის ტაძრისა და აქვე არიანეს მიერ მოხსენიებული (მისი დროისათვის უკვე მიტოვებული) ციხესიმაგრის აგება თანამედროვე ფაზარის ტერიტორიაზე ყველაზე უფრო მოსალოდნელია სწორედ ათენის პოლიტიკური და ეკონომიური გააქტიურების ხანაში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (ე. ი. პერიკლეს ექსპედიციის დროს)[49]. ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო არც ამაზე ადრე, რადგან ჯერ კიდევ ძვ. წ. V ს-ის I ნახევარში ეს მხარე აქემენიანთა სპარსეთს ემორჩილებოდა, და არც უფრო გვიან, რამდენადაც პელოპონესის ომში დამარცხების შემდეგ ამ ადგილებზე ათენს ხელი აღარ მიუწვდებოდა (ნიშანდობლივია, რომ ამ სანაპიროზე და აქ არსებულ ქალაქებზე გავლისას [401 წ.] ქსენოფონტი არსად იხსენიებს ათენს, ან მის მოახალშენეებს).

ათენის კულტის დანერგვა პონტოს ამ შორეულ მხარეში, რასაკვირველია, მხოლოდ რელიგიური მიზნებით არ იყო გამოწვეული. თუკიდიდეს ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ თავის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ხანაში ათენი ანალოგიურ აქტს მიმართავს სტრატეგიული და ეკონომიური თვალსაზრისით მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სხვა პუნქტებშიც[50], რაც ამ ადგილებში მისი გავლენის განმტკიცებას ემსახურებოდა და ამავე დროს ათენის ძალაუფლების ერთგვარ გამოხატულებასაც წარმოადგენდა.

ამრიგად, არიანეს ცნობის განხილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ათენის გაძლიერების ხანაში მის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე წარმოადგენდა ადგილი ათენი.

ბერძნულ მწერლობაში დაცული ცნობების, ასევე ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მონაცემების საფუძველზე მკვლევარნი ბ. გრაკოვი, ტ. ბლავატსკაია, პ. კარიშკოვსკი და სხვ. ვარაუდობენ, რომ პერიკლეს ექსპედიცია შეეხო დასავლეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთსაც. ამ დროს ათენის საზღვაო კავშირში შეყვანილ იქნა აპოლონია[51], ოლვია[52] და საფიქრებელია ნიმფეუმიც[53].

ზემოთ განხილული ფაქტები (სინოპესა და ამისოში ახალშენების გაყვანა, შორეულ ადგილ ათენში ფეხის მოკიდება, ჰერაკლეის და აპოლონიის, ოლვიისა და ნიმფეუმის შეყვანა საზღვაო კავშირში და სხვ.) გვარწმუნებს, რომ პერიკლეს ექსპედიციას პონტოში გაცილებით მეტი კონკრეტული შედეგი მოჰყვა, ვიდრე ამან პლუტარქეს ზემოგანხილულ ცნობაში ჰპოვა ადგილი.

---

[49] М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 55, შენ. 47.

[50] მაგალითად, ადგილ ლეკითეში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, რომელიც დასახლებული იყო ათენისადმი მტრულად განწყობილი ხალხებით (თრაკიელები, ედონები, ბისალტები) (Thuc., IV, 115, 116).

[51] Т. Б. Блаватская, Западнопонтийские города в VII—I веках до нашей эры, М., 1952, გვ. 69. ტ. ბლავატსკაიას ვარაუდით, საზღვაო კავშირში შედიოდა ქალაქი კალატიაც, ჰერაკლეას ახალშენი (იქვე).

[52] П. О. Карышковский, დასახ. ნაშრომი, გვ.75 და შემდ.

[53] იქვე. გვ. 81. ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა მკვლევართა უმრავლესობის მიერ. პირდაპირი წერილობითი ტრადიციის არსებობის მიუხედავად, ნიმფეუმის მონაწილეობას ათენის პირველ საზღვაო კავშირში საეჭვოდ მიიჩნევდა ს. ჟებელიოვი (С. А. Жебелев, Афины, Нимфей и измена Гилона, Северное Причерноморье, М. Л., 1953, გვ. 180 და შემდ.) (მისი არგუმენტაციის საფუძვლიანი კრიტიკა იხ. Т. Б. Блаватская, Очерки. . . , გვ. 69 და შემდ.). თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ს. ჟებელიოვის თვალსაზრისს იცავს და ავითარებს ი. ბრაშინსკი (იხ. И. Б. Брашинский, Понтийская экспедиция Перикла, გვ.119.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე, სადაც შეიქმნა ათენის დასაყრდენი პუნქტების მთელი ჯაჭვი (ჰერაკლეა, სინოპე მისი ახალშენებით, კარუსა, ამისო, ადგილი ათენი).

ეს უკანასკნელი გარემოება, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ უნდა იყოს და უნდა მოასწავებდეს პელოპონესის ომის წინ ათენის განსაკუთრებულ დაინტერესებას შავიზღვისპირეთის ამ მხარით.

ზემოთქმულთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: პლუტარქე, რომელიც კარგად იცნობს პერიკლეს ექსპედიციის დროს შავიზღვისპირა ქალაქებში შექმნილ ვითარებას (მაგალითად, ათენის მიერ ახალშენის დაარსებას ამისოში და სხვ.), ამ ქალაქებს შორის მხოლოდ სინოპეზე აჩერებს თავის ყურადღებას და საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს აქ მომხდარ ამბებს. ჩვენი აზრით, პლუტარქეს მიერ სინოპეს ეპიზოდის წინ წამოწევა ნიშანდობლივია და იმის მაჩვენებელიც, რომ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს, მათ შორის ს ი ნ ო პ ე ს განსაკუთრებული ადგილი დაუკავებია ათენის ამდროინდელ პოლიტიკაში შავიზღვისპირეთის მიმართ.

რით შეიძლება აიხსნას ათენის ასეთი დაინტერესება სინოპეთი?

ზემოთ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ პელოპონესის ომის წინ ათენის წინაშე მწვავედ დგება ზღვაზე უპირატესობის შენარჩუნების ამოცანა; საჭირო იყო მოკლე დროში უზარმაზარი ფლოტის შექმნა. ეს თავის მხრივ მოითხოვდა გემთსაშენი მასალის მიმწოდებელი ყველა მნიშვნელოვანი ბაზების დაქვემდებარებას და იმის უზრუნველყოფას, რომ ეს რესურსები ხელში არ ჩავარდნოდა მოწინააღმდეგე დაჯგუფებას. აღვნიშნავდით იმასაც, რომ 30-იან წლებში ათენი კონტროლს აწესებს შავი ზღვის სრუტეებზე, რის შედეგადაც პურის ექსპორტთან ერთად მისი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოქცეულიყო პონტოდან გემთსაშენი რესურსების გატანაც. მაგრამ, როგორც ჩანს, სრუტეებზე ჰეგემონობა კიდევ არ ნიშნავდა პონტოს ბაზრებზე ბატონობას. სრუტეებზე კონტროლი ყოველთვის ვერ ხორციელდებოდა, ამასთან მოკლე დროში დიდი რაოდენობით ხე-ტყისა და სხვა რესურსების ექსპორტირება ათენში მისგან საკმაოდ დაშორებული რაიონებიდან ტექნიკურად რთულ საქმეს წარმოადგენდა. ამიტომ, როგორც ჩანს, ათენმა საჭიროდ დაინახა საიმედო დასაყრდენი პუნქტების შექმნა შავი ზღვის ხე-ტყით მდიდარ რაიონებში, აქ ატიკური ახალშენებისა და სხვა დასახლებების შექმნის გზით. პლუტარქეს ცნობის განხილვა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამიერიდან, ე. ი. პერიკლეს მიერ მიღებული ზომების შემდეგ, სამხრეთი შავიზღვისპირეთის ქალაქები გადაიქცნენ ათენისათვის ამ მხარიდან გემთსაშენი მასალის გასატან უმნიშვნელოვანეს ბაზებად. ხოლო ქალაქი სინოპე მის უმთავრეს დასაყრდენად, რომლის მეშვეობითაც ათენი ახორციელებდა ამ მხარის ეკონომიურ ათვისებას, სხვა ახალშენების გაყვანას და სხვ.[54]

სინოპეს წამყვან როლს სამხრეთ შავიზღვისპირეთიდან გემთსაშენი მასალის გატანის საქმეში ადასტურებენ სხვა მონაცემებიც, რომლებიც თეოფრასტესა და სტრაბონს აქვთ დაცული. „გეოგრაფიის“ ერთ ადგილას სტრაბონი აღნიშნავს, „კიტორე ერთ დროს სინოპეს ემპორიონი იყო, კიტორესთან არის საუკეთესო ჯიშის ბზის ჭალა“[55]. ანალოგიურ ცნობას კიტორეს შესა-

[54] მანამდე სინოპეს ასეთი როლი ათენის ეკონომიურ ურთიერთობაში გამორიცხულია, რადგან იგი ათენის მიმართ მტრულადგანწყობილ ტირანთა ხელში იმყოფებოდა.

[55] S t r a b o, XII, 3, 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ ვხვდებით უფრო ადრინდელ (ძვ. წ. IV ს-ის) ავტორ თეოფრასტესთან, *რომლის თანახმად „გემთსაშენი ხე-ტყე* იზრდება კიტორეს მთაზე, სადაც სინოპელებმა დააფუძნეს თავისი ფაქტორია"[56]. მოტანილი ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ სინოპელთა მიერ ემპორიონის დაარსება კიტორეში ნაკარნახევი იყო მახლობლად ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის არსებობით, რომელსაც საექსპორტო დანიშნულება ჰქონია. ხე-ტყის გატანას კიტორეს მხარიდან, როგორც ირკვევა, სინოპელები ედგნენ სათავეში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თეოფრასტეს დროს (ძვ. წ. IV ს.) ეს ემპორიონი უკვე დაარსებულია, ხოლო ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს, სტრაბონის ცნობების თანახმად, ქ. კიტორეს მოსახლეობა უერთდება ამასტრიის მოსახლეობას, აქვე მდებარე ემპორიონი კი კარგავს თავის მნიშვნელობას[57], მაშინ უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ ემპორიონ კიტორეს ეკონომიური აღმავლობა განეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო ხანას, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც საბერძნეთის ცენტრებში განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება შავიზღვისპირეთის გემთმშენებლობისათვის საჭირო რესურსებზე და ამასთან ერთად სინოპეს როლიც მათი ექსპორტირების საქმეში.

რაკი სინოპეს ემპორიონი კიტორე შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს დასავლეთ სექტორში მდებარეობდა[58], სინოპედან საკმაოდ დაშორებით (დღ. კარამბის კონცხიდან დასავლეთით დაახლოებით 20 კმ-ის მანძილზე), ხოლო ასეთივე სავაჭრო ადგილები სინოპეს ჰქონდა ამ სანაპიროს უკიდურეს აღმოსავლეთ რაიონებში ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში დაარსებული ახალშენების (კოტიორა, კერასუნტი, ტრაპეზუნტი) სახით, გამოდის, რომ აღებულ ხანაში თითქმის მთელი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობა სინოპეს ხელში იყო თავმოყრილი. ამდენად ათენის მიერ ამ მხარიდან გემთსაშენი მასალის ექსპორტირება მხოლოდ სინოპეს მხარდაჭერით და მისი მეშვეობით თუ შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

აქედან გამომდინარე სავსებით გასაგები ხდება სინოპეს განსაკუთრებული როლი პერიკლეს პოლიტიკაში შავიზღვისპირეთის მიმართ, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი პლუტარქეს ცნობის განხილვისას.

მაგრამ ათენის განსაკუთრებული დაინტერესება სინოპესა და საერთოდ პონტოს სამხრეთი სანაპიროს ქალაქების შემომტკიცებით, როგორც ირკვევა, მხოლოდ ეკონომიური მიზეზებით არ იყო განპირობებული. რაკი ათენი მომავალი ომის წინაშე იდგა, რომლის დროსაც პონტოს ბაზრებს გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა, აღნიშნული ქალაქების ეკონომიური დაქვემდებარება, მათი საიმედო დასაყრდენ პუნქტებად გადაქცევა მოითხოვდა აქ ათენის პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებასაც, მათი პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ პონტოს სამხრეთი სანაპიროს ქალაქების მოსახლეობის დიდი ნაწილი (ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენელნი[59], ქალაქის ოლიგარქიული წრეები)[60] არ

---

[56] Theoph. , IV, 5, 3.

[57] Strabo. XII, 3, 10; М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[58] Ilias, 11, 853, Ps-Skyl, , Peripl. , 90; Arr. . Peripl. , 20 და სხვ. კიტორე უფუოდ განლაგებული იყო თანამედროვე მცირე ქალაქის კუდროსის ადგილას (იხ. М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 73).

[59] М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, 99. .

[60] А. И. Тюменев, Херсонесские этюды, გვ. 256, 257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ათენის მიმართ მეგობრულად განწყობილი. გარდა ამისა, აქ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო ათენის დაუძინებელი მტრის, აქემენიანთა სპარსეთის გავლენა. ქალაქის მმართველ წრეებში არსებობდნენ ათენის საწინააღმდეგოდ განწყობილი ძალები, რომლებიც სპარსეთის ორიენტაციისაკენ იხრებოდნენ, ზოგიერთ ქალაქში კი მაგალითად, ჰერაკლეაში აშკარად იჩენს თავს სპარსეთის დახმარებით ათენის პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევის ტენდენციაც.

პომპეუს ტროგოსის ნაშრომის ეპიტომეში, რომელიც იუსტინეს ეკუთვნის, მოთხრობილია, თუ როგორ განუდგა ათენს ძვ. წ. 424 წლის წინა ხანებში ჰერაკლეის მოსახლეობა და სპარსეთის მეფეების მიმართ მეგობრული განწყობილების გამო (ob amicitiam regum Persicorum) უარი განაცხადა დაკისრებული ფოროსის გადახდაზე. იუსტინეს გადმოცემით, ჰერაკლეოტელთათვის ათენს ეს ურჩობა არ უპატიებია, მათთან გაუგზავნია სტრატეგი ლამახი ჯარით, რათა ძალით აეღო ის, რაზედაც ისინი უარს ამბობდნენ (დამარცხების მიუხედავად ლამახმა, როგორც ფიქრობენ, ქალაქის დემოკრატიული ძალების დახმარებით მაინც შეძლო დროებით ათენის გავლენის აღდგენა ჰერაკლეაში)[61].

მ. მაქსიმოვას აზრით, აღებულ ხანაში სპარსეთის ორიენტაციისაკენ იხრებოდა და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა სინოპეს ტირანი ტიმესილეოსიც, რომელიც ადგილობრივ წარჩინებულთა ფენიდან უნდა ყოფილიყო გამოსული. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ იგი არ იყო მეგობრულად განწყობილი ათენის დემოკრატიის მიმართ[62].

ათენის დემოკრატიის მმართველი წრე კარგად ხედავდა სპარსეთისაგან მოსალოდნელ საფრთხეს და ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ათენის აქტიური ჩარევა პონტოს სამხრეთი სანაპიროს ქალაქების ცხოვრებაში სპარსეთისაგან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგაც იყო მიმართული.

აღნიშნულ ქალაქებში დასაყრდენი პუნქტების შექმნით ათენი ცდილობდა თავიდან აეცილებინა სპარსეთის მოსალოდნელი ჩარევა პონტოს საქმეებში, და ამით უფრო საიმედო და მყარი გაეხადა ამ ქალაქების ეკონომიური მხარდაჭერა მომავალ ომში. ამრიგად, პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებით ათენი უზრუნველყოფდა თავისი ეკონომიური ინტერესების დაცვას პონტოში.

---

[61] Iustin. Historiae Philippica, წ. XVI, თ. 3. ლათინური ტექსტი რუსული თარგმანით იხ. ВДИ, 1954, № 3, გვ. 240; ლამახის ექსპედიციის შესახებ ჰერაკლეაში გვამცნობენ ასევე თუკიდიდე (IV, 75, 1—2) და დიოდორე (XII, 72). თუკიდიდეს ცნობით, ლამახს ძვ. წ. 424 წელს ებარა ათენის იმ ფლოტილიის ნაწილი (10 ხომალდი), რომელიც ჰელესპონტის მიდამოებში დაცურავდა და საგანგებოდ გამოყოფილი იყო მოკავშირე ქალაქებისგან ფოროსის ასაკრებად (Thuc., IV, 50; II, 69; III 19). ეს ის ლამახია, რომელიც ჯერ კიდევ პერიკლეს ექსპედიციის დროს აქტიურ როლს თამაშობს პონტოს საქმეებში. პერიკლეს დავალებით რჩება სინოპეში ადგილობრივი ტირანის ტიმესილეოსის გასადევნად და სხვ. აქედან ჩანს, რომ ლამახს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ებარა პონტოს საქმეები, და ათენის მიერ შავიზღვისპირეთში ჩატარებული ღონისძიებანიც უშუალოდ მისი მონაწილეობით და მეთაურობით ხორციელდებოდა.

[62] М. И. Максимова, დასახ. ნაშრომი, გვ. 101, 102; ტ. ბლავატსკაიას აზრით, აღებულ ხანაში სპარსეთის დიპლომატია ცდილობს თავის ორბიტაში მოაქციოს ბოსფორის ტირანებიც (Т. В. Блаватская, Очерки.... გვ. 81).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ათენის ინტერესებს პონტოში მხოლოდ სპარსეთისაგან არ მოელოდა საფრთხე. აღებულ ხანაში (ძვ. წ. V ს-ის შუახანებში) შავიზღვისპირეთის ელინური ქალაქებისა და სავაჭრო ცენტრების მეზობლად არსებობდა სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე სახელმწიფო ერთეულები და ტომთა კავშირები, რომელთა დიდი ნაწილი არ იყო ათენის მიმართ მეგობრულად განწყობილი (მაგალითად, დასავლეთ შავიზღვისპირეთში თრაკიის ოდრისთა სამეფო; ჩრდილოეთით ბოსფორი, რომელსაც არქეანაქტიდები ედგნენ სათავეში). რაც შეეხება პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობას, კოლხებსა და მათ მეზობლად მცხოვრებ ტომებს, პერიკლეს ექსპედიციის წინა პერიოდში, კერძოდ, ძვ. წ. V ს-ის შუახანებში (როდესაც ჰეროდოტემ მოიარა და აღწერა ეს მხარე) ისინი ჯერ კიდევ სცნობდნენ აქემენიანთა ირანის ძალაუფლებას[63].

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ათენელთა მიერ უზარმაზარი, კარგად აღჭურვილი ფლოტის შეყვანა პონტოში, მისი დემონსტრირება, რაზედაც მოგვითხრობს პლუტარქე, მიმართული იყო არა მარტო სპარსეთის გავლენის წინააღმდეგ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში, არამედ ასევე ითვალისწინებდა პონტოს სანაპიროებზე არსებული პოლიტიკური ერთეულებისა და სატომო გაერთიანებების მეფე-მთავრების მიმხრობას, მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

თუკიდიდეს და პლუტარქეს ნაშრომებში დაცული მთელი რიგი მონაცემები მოწმობენ თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ათენი „ბარბაროს“ (ე. ი. არაბერძენ) მეფე-დინასტების მიმხრობას[64], „მეგობრულ დამოკიდებულებას მეფეებთან და კავშირს დინასტებთან“[65].

იმავე თუკიდიდეს ცნობით, პელოპონესის ომის დასაწყისში (ძვ. წ. 430 წ.) ათენი მშვიდობიანი გზით აღწევს შეთანხმებას თრაკიის ოდისთა მეფე სიტალკესთან და მისი დახმარებით ცდილობს თრაკიის დანარჩენი ნაწილისა და მაკედონიის მიმხრობას[66].

როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ათენის დიპლომატიის ჩარევით ხდება (სწორედ პერიკლეს ექსპედიციის დროს, ე. ი. 30-იან წლებში) პოლიტიკური გადატრიალება კიმერიულ ბოსფორშიც, არქეანაქტიდების დინასტიის შე-

---

63 ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის აღწერილობიდან, რომელიც ჰეროდოტეს აქვს დაცული. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ კოლხები და მათ მეზობლად მცხოვრები ტომები მის დრომდე იხდიდნენ აქემენიანთა მიმართ დაკისრებულ ვალდებულებას (Her., 3, 97). რაკი სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ჰეროდოტეს მოგზაურობა ამ მხარეში და მისი აღწერილობის შედგენა ძვ. წ. V ს-ის 50-იან, ან 40-იან წლებშია სავარაუდებელი (ძვ. წ. 455—445 წლებს შორის), მისი ზემოთმოტანილი ცნობაც კოლხებისა და სხვა მათ მეზობელ ტომთა სპარსეთისაგან დამოკიდებულების შესახებ ამ ხნის ვითარების ამსახველია (E. Powell, The History of Herodotos, Cambridge, 1939, გვ. 25; В. Г. Барухович, Научное и литературное значение труда Геродота, წიგნში: Геродот, История в девяти книгах, Перевод и примечания Г. А. Стратановского, Л., 1972, გვ. 466).

64 თუკიდიდე გადმოგვცემს, რომ პელოპონესის ომისათვის მზადების პერიოდში ათენელები, ისევე როგორც სპარტელები აგზავნიან ელჩებს ბარბაროსებთან, რომელთაგან მოელიან დახმარებას, ჰკრავენ კავშირს სახელმწიფოებთან, რომელნიც მათი ძალაუფლების ფარგლებს გარეთ იმყოფებოდნენ (Thuc., II. 7).

65 Plut., Per., XV.

66 Thuc., II, 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლა ათენისადმი კეთილგანწყობილი სპარტოკიდებით[67], რის შემდეგაც ბევრად უფრო მტკიცდება ათენის ეკონომიური კავშირი ბოსფორთან[68].

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ პერიკლეს მიერ ჩატარებული პოლიტიკის შედეგად ათენის გავლენა პონტოში მნიშვნელოვნად ფართოვდება. ამასთან ათენის პოლიტიკურ ორბიტაში ექცევა არა მხოლოდ პონტოში შესასვლელი სრუტეების მახლობლად მდებარე ადგილები, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებული რაიონებიც.

ამდენად პლუტარქეს ზემოთ განხილულ ცნობაში დაცული სიტყვები ათენელები „დაცურავენ სადაც მოესურვებათ და მთელი ზღვა (ე. ი. შავი ზღვა) ხელთ უპყრიათ" პროათენურად განწყობილი ავტორის ტენდენციური გამონათქვამი კი არ არის, არამედ გარკვეული რეალური ისტორიული ვითარების გამომხატველია.

როგორ წარმოგვიდგება პონტოში შექმნილი ვითარების ფონზე ათენის ურთიერთდამოკიდებულება საკუთრივ კოლხეთსა და მის ქალაქებთან?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სამწუხაროდ ჩვენ არ გაგვაჩნია პირდაპირი წერილობითი ცნობები, მაგრამ პონტოში შექმნილი რთული ვითარების შესწავლამ ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემისა და, რაც მთავარია, დასავლეთ საქართველოს ანტიკური ნაქალაქარების არქეოლოგიური მონაპოვარის გათვალისწინებით, მაინც შეიძლება გარკვეულ დასკვნამდე მიგვიყვანოს.

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ძვ. წ. V ს-ის შუახანებში (50-იან, 40-იან წლებში), იმ დროს, როდესაც ჰეროდოტემ იმოგზაურა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და აღწერა ეს მხარე, აქ მოსახლე კოლხები სხვა მეზობელ ტომებთან ერთად ჯერ კიდევ ცნობდნენ სპარსეთის ძალაუფლებას და მას ექვემდებარებოდნენ.

მეორე მხრივ, ბერძენი ავტორის ქსენოფონტის „ანაბაზისის" ცნობებზე დაყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ იმ დროს, როდესაც ქსენოფონტმა თავისი რაზმით გაიარა სამხრეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (ძვ. წ. 401 წ.), აქემენიანთა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული იყვნენ კოლხებზე ბევრად უფრო სამხრეთით მცხოვრები ტომები (მაგ. კარდუხები). აქედან მკვლევართ გამოაქვთ დასკვნა, რომ აღნიშნული ხანისათვის კოლხებსაც თავი უნდა დაეღწიათ აქემენიანთა გავლენისა და ძღვენისაგან[69].

ამრიგად, კოლხთა განთავისუფლება აქემენიანთა დამოკიდებულებისგან ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო (ამ ხნის განმავლობაშია სავარაუდებელი).

ეხლა თუ გავიხსენებთ ყოველივე ზემოთქმულს სპარსეთის მიმართ პერიკლეს მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე: ათენი ყოველმხრივ ებრძვის ამ სანაპიროზე სპარსეთის გავლენას, ქმნის აქ თავის დასაყრდენ პუნქტებს, შემოჰყავს საბრძოლოდ აღჭურვილი საზღვაო ძალები, აქტიურად ერევა აქ არსებულ ქალაქთა ცხოვრე-

---

[67] L. Homo, Périclés, P., 1954, გვ. 189; И. Б. Брашинский, Понтийская экспедиция Перикла, გვ. 115, 116, 120; შეად. Э. Берзин, Синдика. Боспор и Афины в последней четверти V в. до н. э., ВДИ, 1958, №1, გვ. 125-128.

[68] И. Б. Брашинский. დასახ. ნაშრომი. გვ. 120.

[69] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 415.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში და დევნის აქედან სპარსეთის მომხრე ძალებს, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აქემენიანთა სპარსეთის გავლენის შესუსტება სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უკვე ამ ხანიდანვე (ე. ი. 30-იანი წლებიდან) უნდა დაწყებულიყო[70].

გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ათენი ამ დროს დიდად იყო დაინტერესებული პონტოს დასავლეთ და ჩრდილო სანაპიროებზე არსებულ სამეფოებთან მშვიდობიანი შეთანხმებით და კიდეც შეძლო მათი კეთილგანწყობილების მოპოვება, არ არის გამორიცხული, რომ ათენის დიპლომატიას ასეთივე ნაბიჯები გადაედგა კოლხეთის სამეფოს მიმართაც. ამაზე არაპირდაპირ შეიძლება მიუთითებდეს ეკონომიური ურთიერთობის ის დიდი აღმავლობა, რომელიც ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრიდან შეინიშნება არა მხოლოდ ათენსა და კოლხეთის ზღვისპირა, არამედ მის შიდა რაიონებს შორისაც. სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა საფუძველს გვაძლევს უფრო მეტი ვთქვათ აღებულ ხანაში ათენის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებთან.

ამ ორმოციოდე წლის წინ ოჩამჩირის ტერიტორიაზე ჩატარებულია არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ადგილობრივ ნაწარმთან ერთად მოპოვებულმა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა იმპორტულმა კერამიკამ და მონაცემებმა (საკვებად მოლუსკების გამოყენება, თიხის ურნაში მიცვალებულის ფერფლის ჩატანება, რაც ადგილობრივ მოსახლეობის ცხოვრებისა და დამარხვის წესებისათვის არ იყო დამახასიათებელი), საფუძველი მისცა არქეოლოგებს (მ. ივაშჩენკოს, ლ. სოლოვიოვს, ბ. კუფტინს) გამოეთქვათ მოსაზრება აქ, ოჩამჩირის ტერიტორიაზე ძვ. წ. V საუკუნიდან (ადგილობრივ სამოსახლოს გვერდით) ბერძნული დასახლების, სავაჭრო ფაქტორიის არსებობის შესახებ, რომელიც ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ მოხსენიებულ ქალაქ გიენოსს შეესატყვისება[71].

უკანასკნელ ხანებში ოჩამჩირის მასალა ხელახლა იქნა საფუძვლიანად გადამუშავებული არქეოლოგების ოთ. ლორთქიფანიძის, ნ. მათიაშვილისა და დ. კაჭარავას მიერ[72]. მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 1. ბერძნული სამოსახლო ოჩამჩირის ტერიტორიაზე უნდა წარმოქმნილიყო არაუადრეს ძვ. წ. V ს-ის შუახანებისა (ე. ი. მის II ნახევარში) და 2. თავის განვითა-

---

70 აქვე ჩვენ არ გვავიწყდება სხვა ფაქტორებიც. სპარსეთის სამეფოს საერთო დასუსტება, შინაური არეულობა, ბრძოლა ტახტისათვის სამეფო სახლის წევრებს შორის (განსაკუთრებით არტაქსერქსე I გარდაცვალების შემდეგ—ძვ. წ. 424 წლიდან) (A. T. Olmstead, History of the Persian Empire, Chicado—London, 1970, გვ. 355—357). რამაც თავის მხრივ უდავოდ დიდი როლი ითამაშა სპარსეთის დამოკიდებულებისაგან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი სანაპიროს მოსახლეობის, მათ შორის კოლხების განთავისუფლებაში.

71 М. М. Иващенко, Краткий предварительный отчет об археологическом обследовании памятников древности на территории строительства Очамчирского порта, 1936 (ხელნაწერი); Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950, გვ. 265, 266.

72 ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 55—58, 81—82 და შემდ.; ნ. მათიაშვილი, ოჩამჩირეს ანტიკური ნამოსახლარის კერამიკა, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 28; Д. Качарава, Город Гиэлос в античную эпоху (К истории городов Восточного Причерноморья), Автореферат, Тб., 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების პირველ ეტაპზე (ძვ. წ. V—IV სს-ში) გიენოსის იმპორტში სჭარბობდა ატიკური ნაწარმი, ე. ი. ამ ხანაში გიენოსი ატიკის მეშვეობით უკავშირდებოდა ბერძნული სამყაროს ცენტრებს.

გიენოსის არქეოლოგიური მასალა ჯერ კიდევ გადამუშავების პროცესში იმყოფებოდა და მისი შესწავლის შედეგების მხოლოდ ნაწილი იყო გამოქვეყნებული, როდესაც ჩვენ ამ შედეგებზე დაყრდნობით პერიკლეს დროს პონტოში შექმნილი ვითარების ზოგადი სურათის გათვალისწინებით 1968 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (Причерноморские города древней Колхиды) გამოვთქვით ვარაუდი, რომლის თანახმად გიენოსის ეკონომიური აღორძინება უნდა უკავშირდებოდეს პერიკლეს აქტიურ პოლიტიკას შავიზღვისპირეთში და ბერძნული სავაჭრო დასახლება ოჩამჩირის ტერიტორიაზე ათენის მიერ უნდა ყოფილიყო დაარსებული (ძვ. წ. V საუკუნეში)[73]. იგივე მოსაზრება ჩვენ მიერ განმეორებით გამოითქვა რეცენზიაში დ. კაჭარავას საკანდიდატო დისერტაციაზე („ქალაქი გიენოსი ანტიკურ ხანაში", თბ., 1972 წ.), რომელიც გიენოსის ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას მიეძღვნა. აქვე ჩვენ აღვნიშნავდით, რომ დასავლეთ საქართველოს ანტიკური ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევის გაღრმავებასთან ერთად საჭიროა გადაიხედოს კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების ათენთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხი; კერძოდ, ათენის სავაჭრო ფაქტორიების არსებობა ამ დროს შესაძლებელია ვივარაუდოთ არა მხოლოდ გიენოსში, არამედ კოლხეთის ზღვისპირეთის სხვა ადგილებშიც[74].

ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა ფიჭვნარის ანტიკური ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ა. კახიძეც. კერძოდ, ფიჭვნარის ტერიტორიაზე ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრის ბერძნული მოსახლეობის სამაროვნის აღმოჩენამ და აქვე მოპოვებულმა მდიდრულმა კერამიკულმა მასალამ, რომელშიც ჭარბობს ატიკური ნაწარმი (მოხატული ჭურჭელი და სხვ.), მას საფუძველი მისცა ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის გვერდით ფიჭვნარის ტერიტორიაზე ატიკური დასახლების არსებობა ევარაუდა[5].

ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა უკანასკნელ ხანებში (1967—1970 წწ.) ეშერის ნაქალაქარზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალაც. კერძოდ, ატიკური კერამიკა, რომლის ფრაგმენტები ძვ. წ. V ს-ის

---

73 М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 125, 200 და შემდ.

74 აზრი გიენოსში ატიკის სამოსახლოს დაარსების შესახებ (ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში) ამავე ხანებში (1968 წ.) ჩვენგან დამოუკიდებლად გამოთქვა ნ. მათიაშვილმაც, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ოჩამჩირის კერამიკა, თუმცა ეს ნაშრომი არ გამოუქვეყნებია (იხ. ზემოთ დასახელებული თეზისები).

75 ა. კ ა ხ ი ძ ე, ფიჭვნარის წითელფიგურიანი კრატერი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 69, № 2, თბ., 1973, გვ. 507. სადღეისოდ ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე გათხრილია 28 ინჰუმაციური და 3 კრემაციული სამარხი 1963, 1967 და 1972 წლებში გამოვლენილ სამარხეულ კომპლექსებში კერამიკასთან ერთად ხშირად იჩენს თავს ვერცხლის თასები, დოქები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, უცხოური მონეტები, და ა. შ. განსხვავებული სურათია 1973 წელს გამოვლენილ სამარხებში, რომლებიც მაინცდამაინც არ გამოირჩევიან მდიდრული ინვენტარით (ა. კ ა ხ ი ძ ე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 16; ა. კ ა ხ ი ძ ე და სხვ., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის სამაროვნის ტერიტორიაზე, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს [მოკლე ანგარიშები], თბ., 1974, გვ. 92).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუახანებს არ სცილდება, ასევე ატიკური მუზარადის ფრაგმენტები (რომლებიც ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება)[76] და სხვ.

მთელი ეს ახლადგამოვლენილი არქეოლოგიური მასალა, ისევე როგორც წერილობითი წყაროების დეტალური ანალიზი, რის საფუძველზედაც ზემოთ ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში შავიზღვისპირეთში შექმნილი ვითარება, უფლებას გვაძლევს უფრო დაბეჯითებით ვამტკიცოთ ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული თვალსაზრისი აღებულ ხანაში კოლხეთის ზღვისპირეთის ზოგიერთ ადგილას ატიკური სამოსახლოების არსებობის შესახებ.

მართლაც რაკი პელოპონესის ომისათვის მზადების პერიოდში და მისი მსვლელობის დროსაც ათენის ურთიერთობა პონტოსთან არ იფარგლება უბრალო აღებ-მიცემით, არამედ გარკვეული პოლიტიკური ინტერესები უკარნახებს ათენს განამტკიცოს აქ თავის პოზიციები, შექმნას პონტოს გემთსაშენი მასალით მდიდარ რაიონებში თავის დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ამ მხარიდან დასახელებული რესურსების გატანის ორგანიზაციას, ამასთან სავაჭრო ურთიერთობა შავიზღვისპირეთთან ამ დროს ათენის ხელში ექცევა და მისი მეშვეობით ხორციელდება, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის ბერძნული დასახლებები, რომლებიც ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში ჩნდებიან კოლხეთის სანაპიროს ბუნებრივი რესურსებით (გემთსაშენი მასალით, რკინით, სპილენძით და სხვ.) მდიდარ რაიონებში (ოჩამჩირე, ფიჭვნარი, შესაძლებელია ეშერი), სწორედ ათენის დაარსებული უნდა იყოს პელოპონესის ომისათვის მზადებისა და მისი შავ ზღვაზე ეკონომიური ბატონობის ხანაში[77].

როგორც ჩანს, ეს ატიკური სამოსახლოები კოლხეთში წარმოადგენდნენ დასახლებათა იმ ჯაჭვის გაგრძელებას, რომელიც ათენმა პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე შექმნა ქ. სინოპეზე დაყრდნობით და მისი მეშვეობით. არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე დასაყრდენის როლი შეესრულებინა სინოპეს ატიკურ სამოსახლოთა დაარსების დროს კოლხეთის სანაპიროზე.

ამაზე არაპირდაპირ შეიძლება მეტყველებდეს სინოპეს კერამიკული წარმოების გავლენა ფიჭვნარის სამეთუნეო ნაწარმზე (ამფორები, კრამიტი)[78], ფიჭვნარსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებს შორის ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნეში არსებული მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა, რაც დასტურდება ფიჭვნარში ამისოსა და სინოპეს იშვიათი მონეტების აღმოჩენით (ამისოს ვერცხლის სიკლი ლეგენდით ΠΕΙΡΑ თარიღდება ძვ. წ. V ს-ის II ნახევრით და ძვ. წ. IV ს-ის I ნახევრით[79]; სინოპეს ვერცხლის დრაქ-

76 Ю. Н. Воронов, Об Эшерском городище, Советская археология, 1972, № 1, გვ. 103 და შემდ.

77 კოლხეთის ზღვისპირეთის ჩრდილოეთი ნაწილის განსაკუთრებული სიმდიდრე ძვირფასი ჯიშის ხე-ტყით დასტურდება არაერთი მონაცემით. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში ოჩამჩირიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ რუსეთსა და ევროპაში ბზა (В. П. Пачулиа, В краю золотого руна, М., 1964, გვ. 51). არის აზრი, რომ გეოგრაფიული სახელი ოჩამჩირე წარმომდგარია თურქული სიტყვიდან „შიმშირ“ (—ბზა ან ბზის ჭალა), რაც იჩამჩირის მიდამოების ბზით განსაკუთრებულ სიმდიდრეზე უნდა მიუთითებდეს (იხ. დ. კაჭარავას დასახ. ნაშრომი). ერისწყლის ველზე ბზის ტყეები დღესაც გვხვდება.

78 ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 125.

79 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ძვ. წ. V ს-ით)[80]. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ასევე ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე ძვ. წ. V ს-ის III მეოთხედის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ჰერაკლეის ამფორაც[81]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ათენის პეგემონობის მოშლის შემდეგ (ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი) წამყვანი როლი კოლხეთთან ვაჭრობაში ათენისაგან სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებზე — სინოპესა და ჰერაკლეაზე გადადის. აღნიშნული ხანიდან სინოპე მნიშვნელოვან საშუამავლო როლს თამაშობს კოლხეთის ურთიერთობაში ხმელთაშუა ზღვის აუზისა და მცირე აზიის ქალაქებთან; ამავე დროს შავი ზღვის სანაპიროებთან, განსაკუთრებით ბოსფორთან აქტიურ საშუამავლო ვაჭრობას იწყებს ჰერაკლეაც[82].

ფიჭვნარის არქეოლოგიური მონაპოვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოლხეთის ზღვისპირეთში არსებული ატიკური მოსახლეობის ერთი ნაწილი ქალაქის საკმაოდ შეძლებულ ფენას შეადგენდა. ესენი უმთავრესად უნდა ყოფილიყვნენ ათენის სავაჭრო წრის (ან და თვით ათენის სახელმწიფოს) წარმომადგენელნი, რომელთაც ევალებოდათ გემთსაშენი მასალის დროულად და ამ დროისათვის შესაფერისი მასშტაბით ექსპორტირება ათენში. აქვე ჩანს ნაკლებად შეძლებულთა ფენაც, რომელიც ჩაბმული უნდა ყოფილიყო აღნიშნული რესურსების ექსპორტირების საქმეში[83].

კოლხეთიდან ამ რესურსების დიდი რაოდენობით გატანის საჭიროება, როგორც საფიქრებელია, ბევრად უფრო გაიზარდა პელოპონესის ომის მსვლელობის დროს, დასავლეთის ბაზრებთან ურთიერთობის გართულების შედეგად (სიცილიის კატასტროფა და სხვ.). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ომის მსვლელობისას სპარტის საზღვაო ძალებთან შეჯახების დროს ათენმა სამჯერ თითქმის მთლიანად დაკარგა ფლოტი და სამჯერვე მოუხდა მისი აღდგენა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთიდან საჭირო რესურსების გატანის ფართო მასშტაბებს განაპირობებდა, როგორც პელოპონესის ომისათვის მზადება და ათენის არაჩვეულებრივი გაძლიერება ამ ხანებში, ასევე ამ ომის მსვლელობაც.

გასაგები ხდება სავაჭრო ურთიერთობის ის მძლავრი აღმავლობაც, რომელიც არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეინიშნება ათენსა და კოლხეთს შორის. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მართალია პელოპონესის ომმა დამღუპველად იმოქმედა თვით ატიკაზე, გამოიწვია მისი მეურნეობის მოშლა, მოსახლეობის გაღატაკება და სხვ. შავიზღვისპირეთისათვის, კერძოდ, კოლხეთისა და მისი ქალაქებისათვის ეს იყო ეკონომიური ცხოვრების აყვავების ხანა. ამაზე, ჩვენი აზრით, დიდი გავლენა მოახდინა კოლხეთის ასე ფართოდ ჩაბმამ იმდროინდელ საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობებში.

80 მონეტა გამოქვეყნებული არ არის.

81 ა. კახიძე და სხვ., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის სამაროვნის ტერიტორიაზე, გვ. 92.

82 მ. ინაძე, სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, გვ. 100; ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, გვ. 114, 115.

83 საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როგორც ფსევდო-ქსენოფონტის ტრაქტატიდან ირკვევა, პელოპონესთან ომის დასაწყისში პონტოდან ათენში გაჰქონდათ საკვები პროდუქტიც (ნუგბარი საჭმელი და სხვ.), მაგრამ ამ უკანასკნელის გატანას გემთსაშენ მასალასთან შედარებით, ავტორისავე შენიშვნით, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონია (Ps.-Xen., Athen. Polit., 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. კახიძის მიერ) გამოითქვა მოსაზრება, რომ ფიჭვნარის ტერიტორიაზე არსებული ატიკური სამოსახლო პოლისური ტიპისა უნდა ყოფილიყო[84].

კიდევ უფრო შორს მიდის ი. ვორონოვი, რომელიც ეშერში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ასკვნის, რომ აქ არსებული ბერძნული სამოსახლოს ემპორიონულ ხასიათს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა და მისი ეკონომიკა დამყარებული იყო არა ვაჭრობაზე, არამედ სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაზე[85].

მაგრამ არც ჩვენ ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალა, რა გინდ მდიდარი და მრავალფეროვანი არ უნდა იყოს იგი, და არც ათენის მთელი იმდროინდელი საკოლონიზაციო საქმიანობის გათვალისწინება, უფლებას არ გვაძლევს ფიჭვნარის ატიკური სამოსახლო (ისევე როგორც გიენოსის, ან ეშერის), მივაკუთვნოთ პოლისებს (ან თუნდაც პოლისური ტიპის დასახლებებს).

საქმე ის არის, რომ ძველი ბერძნული კოლონიზაციისათვის დამახასიათებელი კლასიკური ტიპის კოლონიები — აპოიკიები, რომლებიც ჩვეულებრივ პოლისის სახეს ატარებდნენ, ათენის საკოლონიზაციო საქმიანობის ხანაში (ძვ. წ. V ს.) არსებით ცვლილებას განიცდიან. ათენის მიერ დაარსებულ კოლონიათა ერთი ნაწილი კლერუქიებს წარმოადგენდა, ნაწილი ეპოიკიებს. ზოგიერთი მათგანი კი შეიძლებოდა ჩვეულებრივი სავაჭრო ფაქტორიაც ყოფილიყო[86]. აქ ჩვენ არ შეუდგებით თითოეული მათგანის ნიშნების დახასიათებას, მაგრამ აშკარაა, რომ არც ერთი მათგანი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცალკე პოლისი, ანდა პოლისური ტიპის სამოსახლო. ეს კოლონიები, რომელთა გაყვანა განპირობებული იყო უფრო პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიური მიზეზებით, ვიდრე მეტროპოლიაში შექმნილი მწვავე სოციალური კონფლიქტების გამო, ჩვეულებრივ იქმნებოდა უკვე არსებული პოლისების ტერიტორიაზე, რომლებიც ათენის მიერ იყვნენ პოლიტიკურად დამორჩილებული. მაშინაც კი, როდესაც ათენელი კოლონისტები გარკვეულ ავტონომიურ თემს წარმოადგენდნენ დამორჩილებულ პოლისში ისინი არ შეადგენდნენ ათენისაგან მოწყვეტილ ცალკე მოქალაქეთა კოლექტივს. ათენელი მოახალშენენი ხშირად ქმნიდნენ დაქვემდებარებული პოლისის გარნიზონს (კლერუქები), გამოდიოდნენ დამორჩილებული ქალაქის მიწის მფლობელებად, ხოლო ქალაქის მიწა ჩვეულებრივ ათენის საკუთრებად ითვლებოდა[87].

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება კოლხეთის სანაპიროზე დაარსებული ატიკური სამოსახლოები განხილულ იქნეს როგორც პოლისური ტიპის დასახლებები.

სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მართალია ძნელია გადაჭრით მსჯელობა ამ სამოსახლოთა რაობაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი არც კლასიკური ტიპის კლერუქიებისა და ეპოიკიების რიცხვს განე-

84 ა. კ ა ხ ი ძ ე, ფიჭვნარის წითელფიგურიანი კრატერი: გვ. 507.

85 Ю. Н. Воронов, დასახ. ნაშრომი. გვ. 118.

86 მაგალითად, მდინარე სტრიმონის შესართავთან სავაჭრო ნავსადგური ეიონი (ქ. ამფიპოლის მახლობლად) (Thuc., I, 98; IV, 102).

87 P. A. Brunt, Athenian Settlements abroad in the fifth century, «Ancien Society and Institutions, Studies presented to V. Ehrenberg», Oxford, 1966, გვ. 78 და შემდ. ; А. Е, Паршиков, О Статусе афинских колоний в V в. до н. э. , ВДИ, 1969, №2; გვ.3 და შემდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნებოდნენ. აქ არც ათენის პოლიტიკური გავლენა იყო იმდენად ძლიერი, რომ ქალაქის მიწა თავის საკუთრებად ექცია და ზედ თავის მოქალაქეები დაესახლებინა და არც იმის პირობები არსებობდა, რომ ამ სამოსახლოებში ათენს თავისი სამხედრო ძალები (გარნიზონები) მოეთავსებინა (მართალია, კოლხეთის სანაპიროს რამოდენიმე ადგილას (ეშერი, კელასური, კოხი) აღმოჩნდა ატიკური მუზარადის ფრაგმენტები, რომელთაც ათენელი ჰოპლიტები ატარებდნენ, მაგრამ ისინი, შესაძლებელია, ეკუთვნოდა მცველ რაზმებს, რომლებიც ომიანობის დროს ჩვეულებრივ თან ახლდნენ ათენის სავაჭრო გემებს).

აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ კოლხეთის სანაპიროზე არსებული ატიკური სამოსახლოები წარმოადგენდნენ მსხვილ ემპორიონებს, რომლებიც თავის აღმავლობას განიცდიან ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში, ისინი განაგრძობენ არსებობას ძვ. წ. IV საუკუნეშიც ელინისტურ ხანამდე. ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე პონტოს ბაზრებზე ჰეგემონობს ათენი, ხოლო მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ეცემა და მის ნაცვლად პონტოს ვაჭრობაში წამყვანი ხდებიან სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრები (სინოპე, ჰერაკლეა) ფიქვნარსა. გიენოსსა და ეშერში არსებული სავაჭრო ადგილებიც ძირითადად სინოპელთა ხელში უნდა გადასულიყო.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის
განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან ითონიშვილი

ამიერკავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფის საკითხები საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში

(საოჯახო თემის გადმონაშთები სომხეთსა და აზერბაიჯანში)

საბჭოთა ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემათა სერიაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს უძველესი სოციალური ინსტიტუტების (გვაროვნული თემი, საოჯახო თემი, ქორწინების არქაული ფორმები, სამხედრო დემოკრატია, სოფლის თემი...) თავდაპირველი, განვითარებადი და მომაკვდავი ფორმების კვლევას, რასაც მეთოდოლოგიური საფუძველი მოუმზადეს მარქსიზმის კლასიკოსებმა[1], ხოლო შემდეგ საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების პროგრამაში იმთავითვე დაისახა მუშაობის ამ მიმართულებით გაფართოება, ვინაიდან ზემოხსენებული სოციალური ორგანიზაციების ბუნების შეცნობაზე ბევრად იყო დამოკიდებული უძველესი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კანონზომიერების დადგენა[2] და რეაქციულ ბურჟუაზიულ შეხედულებათა უსაფუძვლობის დამტკიცება[3].

ოჯახის არქაული ფორმების კვლევის წყაროდ კავკასიის ეთნოგრაფიული მასალა ჯერ კიდევ ფ. ენგელსმა გამოიყენა იმის შემდეგ, რაც ის გაეცნო მ. კოვალევსკის შრომებს საოჯახო თემის შესახებ და ამის საფუძველზე თავისი წიგნის („ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“) მეოთხე გამოცემაში (1891 წ.) არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა[4]. ამ გამო-

---

[1] И. Крывелев, Маркс и некоторые проблемы этнографии (К 150-летию со дня рождения К. Маркса), «Советская этнография» (შემდეგში: СЭ), 1968, № 2; Ю. Бромлей Ф. Энгельс и проблемы архаической формы семейной общины, («Проблемы этнографии и антропологии в свете научного наследия Ф. Энгельса», М., 1972; Б. Андрианов, Л. Моногарова, Ленинское учение об общественно-экономических укладах и его значение для этнографии, СЭ, 1970, № 1; С. Абрамзон, Л. Потапов, Значение идейно-теоретического наследия В. И. Ленина для советской этнографии, СЭ, 1970, № 2; ვ. ითონიშვილი, ვ. ი. ლენინი ოჯახის შესახებ, „მნათობი“, 1970, № 9 და სხვა.

[2] С. Толстов, К вопросу о периодизации истории первобытного общества, СЭ, 1946, № 1; М. Косвен, Об историческом соотношении рода и племени, СЭ, 1951, № 2; მისივე, О периодизации первобытной истории, СЭ, 1952, № 3; Ю. Семенов, О периодизации первобытной истории, СЭ, 1965, № 5; А. Хазанов, Военная демократия и эпоха классообразования, «Вопросы истории», 1968, № 12; მისივე, Ф. Энгельс и некоторые проблемы классообразования, «Проблемы этнографии и антропологии в свете научного наследия Ф. Энгельса», М., 1972.

[3] С. Толстов, Советская школа в этнографии, СЭ, 1947, № 4; А. Першиц, Проблемы истории первобытного общества в советской этнографии, М., 1956; Ю. Семенов, Учение моргана, Марксизм и современная этнография, СЭ, 1964, № 4; Ю. Аверкиева, Морган и этнография США в XX в., «Вопросы истории», 1968, № 7 და სხვა.

[4] И. Винников, Четвертое издание книги Фр. Энгельса «Происхождение семьи, частной собственности и государства» (опыт текстологического анализа), «Вопросы истории доклассового общества», М.-Л., 1936.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემაში ფ. ენგელსმა განავითარა თვალსაზრისი, რომ ინდივიდუალური ოჯახის წინამორბედ ერთეულს წარმოადგენდა „პატრიარქალური სახლისეული თემი“, რომელიც თავისი ძირითადი ნიშნებით, მაგრამ „შეცვლილი ფორმით“ XIX ს-ის მეორე ნახევარში (როდესაც ენგელსი თავის ნაშრომს ქმნიდა) ჯერ კიდევ ინარჩუნებდა არსებობას[5].

ლიტერატურაში ასახული ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე ფ. ენგელსის მიერ იმის აღიარებამ, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე, „სამხრეთ-სლავური ზადრუგა“, როგორც „ოჯახური თემის საუკეთესო ნიმუში... ჯერ კიდევ არსებობს“[6], რომ „ასეთი დიდი ოჯახური თემები რუსეთშიც განაგრძობენ არსებობას“[7], რომ „საფრანგეთში ასეთმა თემებმა ნივერნეში საფრანგეთის რევოლუციამდე გაძლეს parconneries სახელწოდებით, ხოლო ფრანშ-კონტეში ისინი დღესაც ჯერ კიდევ არ გამქრალან მთლად“[8], მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ერთადერთ სწორ შეხედულებას იმის შესახებ, რომ XIX საუკუნემდე შემონახული დიდი ოჯახი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას,

საბჭოთა ეთნოგრაფია დღეს ამ მიმართულებით ავითარებს ოჯახის ისტორიის კვლევას, რომლის აქტუალობა თანდათანობით იზრდება ამ თვალსაზრისისადმი დაპირისპირებულ ბურჟუაზიულ შეხედულებებთან ბრძოლაში. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში დღითი დღე იზრდება კავკასიის ეთნოგრაფიული მასალის, როგორც პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა, რომლის გამოყენების საფუძველზე მ. კოვალევსკიდან დღემდე მრავალი საინტერესო ნაშრომით გამდიდრდა სოციალურ ურთიერთობათა კვლევა-ძიების სფერო. პირველ ყოვლისა ეს ეხება ოჯახის ისტორიის კვლევას, რასაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიეცა საბჭოთა ეთნოგრაფიაში. ამ საკითხის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანა მრავალმა ეთნოგრაფმა, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მ. კოსვენისა[9] და რ. ხარაძის[10] ღვაწლი, მაგრამ მათ შესახებ მსჯელობა ამჟამად შორს წაგვიყვანდა. მით უმეტეს, რომ უკვე გვქონდა მათი შრომების ფართოდ გამოყენებისა[11] და საგანგებოდ შეფასების[12] შესაძლებლობა. ვფიქრობთ, რომ მომავალში კიდევ დაისახება ამისი საჭიროება, როდესაც საოჯახო ყოფის შესწავლის მდგომარეობას შეეხებით კავკასიის სხვა რეგიონებშიც. ამჟამად კი ჩვენს ამოცანას შეადგენს გავეცნოთ

---

[5] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, 77—80.

[6] ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრომი, 77.

[7] იქვე, 78.

[8] იქვე, 79.

[9] М. Косвен, Этнография и история Кавказа, М., 1961; მისივე, Семейная община и патронимия, М., 1963.

[10] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ., 1939; მისივე, Грузинская семейная община, I, Тб., 1960; II, Тб., 1961.

[11] ვ. ითონიშვილი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, თბ., 1969; მისივე, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970; მისივე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974 და სხვა.

[12] ვ. ითონიშვილი, რუსუდან ხარაძის სამეცნიერო მოღვაწეობა, „მაცნე“, 1966, № 3; მისივე, რეცენზია მ. კოსვენის წიგნზე — «Семейная община и патронимия», „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, I, თბ., 1964.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთი ავტორის კვლევის შედეგებს სომხეთსა და აზერბაიჯანში საოჯახო თემის გადმონაშთების შესახებ.

* * *

კავკასიის ხალხთა საოჯახო ურთიერთობის ზოგადი და სპეციფიკური მხარეების შესწავლისა და ოჯახის ისტორიული განვითარების საფეხურების დადგენისათვის ისტორიულ წყაროებთან, სამართლის ძეგლებთან და მატერიალური კულტურის ნაშთებთან ერთად მრავლისმეტყველი გამოდგა სომხური ეთნოგრაფიული მასალა, რომლის შეგროვებას და პუბლიკაციას გასულ საუკუნეში უკვე საკმაოდ ინტენსიური ხასიათი მიეცა. საოჯახო ყოფის სფეროდან აქაც ავტორთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დიდმა ოჯახმა (გ ე რ დ ა ს ტ ა ნ), რომელიც XIX ს-ის ბოლომდე ინარჩუნებდა არსებობას, როგორც ისტორიული საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა. აღნიშნული ვითარების გამო საოჯახო ყოფის შესახებ მასალის შეგროვება ხდებოდა უშუალო დაკვირვების გზით. XIX ს-ის ყველა მოღვაწეს, ვინც კი საოჯახო ყოფის შესწავლით იყო დაინტერესებული, შესაძლებლობა ჰქონდა თავისი თვალით ენახა გერდასტანი, გასცნობოდა მის კომპონენტებს და მისივე წევრების გამოკითხვით მოეპოვებინა სათანადო ცნობები. ასე მოპოვებული მასალა აისახა რევოლუციამდელ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში[13], რომელიც

[13] А. Г а к с т г а у з е н, Закавказский край, ч. I, СПб, 1857; С. Е г и а з а р о в, Административно-экономический строй сельской общины в Эриванской губернии, «Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края» (შემდეგ: СМИЭБГКЗК), т. I, Тифлис, 1887; მ ი ს ი ვ ე, Исследования по истории учреждений в Закавказье, ч. I, Сельская община, Казань, 1889; С. З е л и н с к и й, Экономический быт государственных крестьян в Шорагяле, Александропольского уезда, Эриванской губернии, «Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края (შემდეგ: МИЭБГКЗК), т. I, Тифлис, 1885; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян в Бамбакском участке в северной части Шорагяльского участка, Александропольского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т.III, ч. I, Тифлис, 1886; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян в Зангезурском уезде, Елисаветпольской губернии, МИЭБГКЗК, т. IV, ч. I, Тифлис, 1886; А. П а р в и ц к и й, Экономический быт государственных крестян юго-занадной части Новобаязетского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян северо-западной части Шарура и восточной части Даралагеза, Шаруро-Даралагезского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. IV, ч. II, Тифлис, 1886; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян северо-восточной части Новобаязетского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. IV, ч. II, Тифлис, 1886; Н. Н и к и ф о р о в, Экономический быт государственных крестьян западной части Нахичеванского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; А. Д е к о н с к и й, Экономический быт государственных крестьян в западной части Шаруро-Даралагезского уезда, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. I, Тифлис, 1885; А. Е р и ц о в, Экономический быт государственных крестьян Казахского уезда, Елисаветпольской губернии, МИЭБГКЗК, т. II, ч. II, Тифлис, 1886; Ф. М а р к о в, Экономический быт государственных крестьян Эриванского уезда, МИЭБГКЗК, т. III, ч. I, Тифлис, 1886; А. Х а н-А г о в, Экономический быт государственных крестьян в Эчмиадзинском и Сурамалинском уездах, Эриванской губернии, МИЭБГКЗК, т. III, ч. I, Тифлис, 1886; И. Д а в и д б е к о в, Село Гадрут Елисаветпольской губернии Джебриальского уезда, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» (შემდეგ: СМОМПК), вып. V, Тифлис, 1888; Н. Г р и г о р о в, Село Татев, СМОМПК, вып. XIII, Тифлис. 1892; Е. М е л и к - Ш а х н а з а р о в, Село арцеванк Зангезурского уезда, Элисаветпольской губернии, СМОМПК, вып. XXV, Тифлис, 1898; А. Х а х а н о в, Из жизни армян Новобая-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაცნობს გერდასტანის მრავალსულიანობას, რამდენიმე თაობის გაუყოფელად ცხოვრებას, მმართველობის დესპოტურ სისტემას, ამის შესაბამის ურთიერთობას და წარმოება-მოხმარებისა და საკუთრების ხასიათს, მაგრამ XIX ს-ის ლიტერატურა ვერც ამ საკითხში გასცდა აღწერილობის დონეს. სამაგიეროდ ეს ლიტერატურა, ახალ საველე მასალასთან, წერილობით წყაროებთან და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად საფუძვლად დაედო საბჭოთა ეთნოგრაფების სპეციალურ გამოკვლევებს საოჯახო ურთიერთობის შესახებ.

ქრონოლოგიური პრინციპით საკითხის განხილვისას საბჭოთა ეპოქაში გამოქვეყნებულ ნაშრომთაგან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ გ. ჩურსინის ნარკვევი[14], რომელიც ემყარება ავტორის მიერ XX ს-ის დასაწყისში უშუალო დაკვირვების შედეგად მოპოვებულ მასალას და ზოგად ხაზებში გაკვრით გვაცნობს დიდი ოჯახის რიცხობრივ შემადგენლობას (30—35 სული), მის პატრიარქალურ ბუნებას და ერთპიროვნული დესპოტური მმართველობის ხასიათს.

სომხური საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის ძირითადი ნიშნების დახასიათებას საკმაო ადგილი დაუთმო ს. ლისიციანმა რევოლუციამდელი სომხეთის ეთნოგრაფიის ნარკვევებში[15]. XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ავტორმა გვიჩვენა, რომ დიდი საოჯახო თემები, რომელთა შემადგენლობაში ახლო ნათესავების რამდენიმე თაობა და 50-მდე სული შედიოდა, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც XIX ს-ის ბოლომდე არსებობდნენ სომხეთის მიყრუებულ კუთხეებში. ს. ლისიციანის დაკვირვებით, ასეთი ოჯახის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა უფროსი მამაკაცისა და ქალის პრიორიტეტი. ოჯახის ერთპიროვნულ მმართველად ითვლებოდა უხუცესი მამაკაცი (ტ ა ნ ტ ე რ ი), რომელსაც ყველა უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა. იგი თავს მოვალედ არ თვლიდა ვისთვისმე ანგარიში ჩაებარებინა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე ხნიერ მამაკაცებს მაინც ეთათბირებოდა. მის უახლოეს თანაშემწედ ითვლებოდა უფროსი ქალი (ტ ა ნ ტ ი კ ი ნ), რომელიც საოჯახო საქმიანობას ხელმძღვანელობდა, რძლებს შორის ფუნქციებს ანაწილებდა და ოჯახის უფროსს საშინაო საქმეებს უთანხმებდა. ასეთი რეჟიმის მქონე ოჯახის გაყრა უფროსის გარდაცვალებამდე ძველად მიუღებელი ყოფილა. მაგრამ თუ ოჯახი მამის სიცოცხლეში მაინც დანაწილდებოდა, მამა ქონების ისეთსავე წილს მიიღებდა, როგორსაც ცალკე გამოყოფის მსურველი მისი თითოეული შვილი. გარკვეული ნაწილი

зетского уезда, Эриванской губернии, «Этнографическое обозрение» (შემდეგ: ЭО), 1893, № 2; Б. Х а л а т я н ц, Поездка в Апаран (Эчмиадзгнский уезд, Эриванской губернии), ЭО, 1899, № 1—2; А. С а м у е л и, Очерки по обычному семейному праву армян, «Кавказский вестник», Тифлис, 1902, № 1.

საოჯახო ყოფის შესახებ სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები სომხურ ენაზეც, რაც სათანადოდაა შეფასებული საბჭოთა ეთნოგრაფიაში (იხ. Э. К а р а п е т я н, Армянская семейная община, Ереван, 1958, 5—24; А. Т е р - С а р к и с я н ц, Современная семья у армян, М., 1972, 5—12).

[14] Г. Ч у р с и н, Армяне Зангезура, «Научные записки Закавказского университета им. 26-ти», т. I, вып. 6, Тифлис, 1931.

[15] С. Л и с и ц и а н, Очерки этнографии дореволюционной Армении, «Кавказский этнографический сборник» (შემდეგში: КЭС), I, М., 1955.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებული იყო დედისთვისაც, თუ ოჯახი მის გარდაცვალებამდე გაიყოფოდა. ჩვეულებრივად კი ოჯახის გაყოფა უნდა მომხდარიყო უფროსების გარდაცვალების შემდეგ. ასეთ ვითარებაში ყველა სახის ქონებას ძმები თანაბრად ინაწილებდნენ, ხოლო მათ შორის უფროსს აძლევდნენ ზედმეტს საუფროსოს სახით. ოჯახის გაყრის ყველა შემთხვევაში, უფროსების გარდაცვალებამდე თუ მათი გარდაცვალების შემდეგ, ქონების გაყოფა ხდებოდა წილის ყრით, ოღონდ წილის ყრამდე პირველ რიგში ცალკე გამოყოფდნენ რძლების მზითევს, ხოლო შემდეგ გასათხოვარი ქალებისთვის განკუთვნილ სამზითვო ქონებას, რომელიც განაწილებაში არ შედიოდა და ქალებისა და რძლების პირად საკუთრებად ითვლებოდა.

ს. ლისიციანის გამოკვლევით, სომეხთა ყოფაში გვიანობამდე შეინარჩუნა არსებობა სოფლის თემმაც, რომელიც ბოლო საუკუნეებში წარმოადგენდა დიდი ოჯახების ტერიტორიულ-მეზობლურ გაერთიანებას. რუსეთის ხელისუფლებამ ასეთ თემს მოუსწრო სომხებით დასახლებულ ამიერკავკასიის იმ ოლქებში, რომლებიც სპარსეთისა და თურქეთის ხელთ იყო. ავტორის შეხედულებით, ამგვარი ტიპის თემი წარმოადგენდა თურქულ-ირანული მოძალადეობისაგან თავდაცვის საიმედო ძალას. დიდი ოჯახი მას მიაჩნდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხალხის შეკავშირებისა და ყოველგვარი ურთიერთდახმარების ერთ-ერთ საშუალებად, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა გაუყოფლად ცხოვრების წესის ხანგრძლივად არსებობას. გაუყოფლად ცხოვრებით ერთობისა და ძალის შენარჩუნების საჭიროება ერთხანს იგრძნობოდა რუსული თვითმპყრობელობისა და ცარიზმის განუკითხავი ძალაუფლების პირობებშიც, მაგრამ რუსეთის კულტურულ-ეკონომიურ სამყაროსთან დაახლოების შედეგად XIX ს-ის ბოლო პერიოდში სომეხთა ყოფამ ძირეული ცვლილებები განიცადა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა დიდი ოჯახების დაშლის პროცესის გაღრმავება-გაფართოებაშიც. პირველ რიგში ეს დამახასიათებელი ყოფილა აღმოსავლეთ სომხეთისათვის, სადაც დიდი ოჯახების დაყოფის შედეგად იქმნებოდა განაყრებით დასახლებული უბნები, რომელთაც ეკონომიური მთლიანობის საფუძველი მოშლილი ჰქონდათ, ხოლო ადრინდელი ერთობის ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობდა ნათესაური ურთიერთობის სფეროში.

როგორც წყაროების მრავალფეროვანებით, ისე მისი ანალიზით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. კარაპეტიანის გამოკვლევები სომეხთა უძველესი სოციალური ინსტიტუტების შესახებ[16]. 1958 წელს მან სპეციალური მონოგრაფია[17] მიუძღვნა სომხურ გერდასტანს და XIX ს-ის მეორე ნახევრისა და XX ს-ის დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რაც უმთავრესად ავტორის საველე მუშაობის შედეგად იქნა მოპოვებული, მოგვცა მისი გადმონაშთური სახეობის დახასიათება. ამასთან ერთად ავტორმა გამოიყენა ძველსომხური ისტორიული წყაროები, სამართლის ძეგლები, არქეოლოგიური მონაცემები, პერიოდული პრესის მასალები, სომხებისა და კავკასიის სხვა ხალხთა საოჯახო ყოფის შესახებ არსებული ნაშრომები და ზოგადი ეთნოგრაფიის მიღწევები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისტორიული განვი-

[16] ალ. რობაქიძე, ორი გამოკვლევა სომეხთა სოციალური ყოფის ისტორიიდან, „მაცნე", 1967, № 4; მისივე, Новые исследования по истории социальной организации у армян, СЭ, 1968, № 2.

[17] Э. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარების ჭრილში განიხილა გერდასტანის ძირითადი კომპონენტები: რიცხობრივ-მუხლობრივი შემადგენლობა, საოჯახო მეურნეობა, საცხოვრებელი კომპლექსი, მმართველობის სისტემა, შრომის ორგანიზაცია, უფლებრივი ურთიერთობის ნორმები, საკუთრების ხასიათი, ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი.

საოჯახო გენეალოგიების შესწავლის შედეგად ავტორმა დაადგინა, რომ სომხეთის სხვადასხვა კუთხეში არსებობდა სამი, ოთხი და შედარებით იშვიათად ხუთი თაობის მომცველი მრავალსულიანი ოჯახი. სომხეთის აღმოსავლეთ რაიონებში არსებული დიდი ოჯახების უმრავლესობა სამი თაობისაგან შედგებოდა, ხოლო ხუთი თაობის მომცველი ოჯახები შემორჩენილი ყოფილა მხოლოდ დასავლეთ სომხეთის მთიანეთში.

XIX ს-ის მეორე ნახევარში დიდი ოჯახების რიცხობრივი და მუხლობრივი შემადგენლობის ასეთი განსხვავების მიზეზად ავტორს მიაჩნია სომხეთის რაიონების სოციალ-ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონე. მისი შეხედულებით, აღმოსავლეთ სომხეთის ეკონომიურად განვითარებულ რაიონებში ნატურალური მეურნეობის რღვევა და კერძომესაკუთრული ურთიერთობის განვითარება ხელს უწყობდა ოჯახის შიგნით წინააღმდეგობის გაჩენას, მისი მთლიანობის რღვევას და ნათესაური წრის დავიწროებას მისი წევრების თანდათანობითი გამოყოფის შედეგად. რაც შეეხება ეკონომიური განვითარების დონით შედარებით ჩამორჩენილ დასავლეთ სომხეთის მთიანეთს, სადაც უპირატესად ნატურალური მეურნეობა არსებობდა და ჯერ კიდევ მტკიცედ იყო შემორჩენილი პირველყოფილ-თემური წყობის გადმონაშთები, ოჯახის რიცხობრივი და ნათესაობრივი შემადგენლობის შემცირების პროცესიც უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ავტორის დაკვირვებით, გერდასტანის ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა სომხეთის სხვადასხვა მხარეში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მისივე მტკიცებით, როგორც სამეურნეო ნაკვეთები, ისე საქონელი, სამეურნეო იარაღები, საცხოვრებელი ნაგებობანი თუ საოჯახო ინვენტარი გერდასტანის საერთო საკუთრებაში შედიოდა. საოჯახო თემის ქონება გაუსხვისებელი იყო და მხოლოდ ოჯახის წევრთა სამემკვიდრეოდ ითვლებოდა. ამიტომ ერთად მცხოვრები ძმები საოჯახო ქონების იდეალური წილის პოტენციალური მფლობელები იყვნენ. იდეალური წილის მიმართ არსებული ეს პოტენციალური უფლება ძალაში შედიოდა ძმების გაყრის შემთხვევაში, ხოლო ქონების გაყოფა ხდებოდა მუხლობრივი პრინციპის შესაბამისად, სადაც მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა განსაზღვრული თაობის წარმომადგენელი. ასეთებად გვევლინებოდნენ უმთავრესად გარდაცვლილი უფროსის შვილები, რომელთა შორის ქონების გაყოფა ხდებოდა მათი თანასწორუფლებიანობის ნიშნით. გაყოფა არ ეხებოდა მხოლოდ პირად საკუთრებაში არსებულ საგნებს (ტანსაცმელი, სამკაული, იარაღი).

როგორც ნაშრომშია დასაბუთებული, ამგვარი ქონებრივ-უფლებრივი ურთიერთობა შეესაბამებოდა საერთო-საოჯახო ქონებაზე კოლექტიური საკუთრების შენარჩუნების ინტერესებს. თავის მხრივ საერთო-საოჯახო საკუთრება წარმოადგენდა კოლექტიური წარმოების საფუძველს, ხოლო საოჯახო ურთიერთობის განვითარების გვიანდელ საფეხურზე კოლექტიური საკუთრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შენარჩუნება განპირობებული იყო კოლექტიური წარმოების აუცილებლობით. კოლექტიური წარმოება ხორციელდებოდა შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმის მეშვეობით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ოჯახის შრომისუნარიანი წევრები სქესისა და ასაკის მიხედვით საოჯახო მეურნეობაში ერთობლივად მონაწილეობდნენ.

მმართველობის სისტემისა და შინასაოჯახო ურთიერთობის ნორმების მიხედვით ნაშრომში ნაჩვენებია სამი ტიპის საოჯახო თემის არსებობა. ავტორის შეხედულებით, მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო დესპოტური ტიპის საოჯახო თემი, რომელიც ხასიათდებოდა ოჯახის უფროსის — ტ ა ნ ტ ე რ ი ს განუსაზღვრელი ძალაუფლებით და ოჯახის დანარჩენ წევრთა მისდამი მორჩილებით. დასავლეთ სომხეთის მთიანეთში იშვიათი გამონაკლისის სახით არსებული მეორე ტიპის საოჯახო თემის ძირითად ატრიბუტს წარმოადგენდა მმართველობისა და შინასაოჯახო ურთიერთობის დემოკრატიული პრინციპი. რაც შეეხება მესამე ტიპის საოჯახო თემს, რომელიც შესწავლილია კაპიტალისტურ ურთიერთობაში ჩაბმული ცალკეული რაიონების მიხედვით, მის შიგნით მიმდინარეობდა მამის (ოჯახის უფროსის) ძალაუფლების შეზღუდვა-შესუსტებისა და ოჯახის წევრთა ინდივიდუალური უფლებების ზრდის პროცესი. ოჯახის სამივე სახეობა შეესაბამებოდა კლასობრივ საზოგადოებაში ვადმონაშთური ფორმით არსებული საოჯახო თემის განვითარების სამ საფეხურს. ოჯახის ამგვარ სახეობათა შეპირისპირების შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კლასობრივი საზოგადოებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელი იყო დესპოტური ოჯახი, მეორე სახის ოჯახი წარმოადგენდა დემოკრატიულიდან დესპოტური ოჯახისაკენ გარდამავალ ფორმას, ხოლო მესამე სახის ოჯახის არსებობა შეესაბამებოდა საოჯახო თემის დაცემის სტადიას.

ასეთი თანმიმდევრობით საკითხის განხილვის საფუძველზე ავტორმა გვიჩვენა, რომ საოჯახო თემმა სომხეთში განვითარების გრძელი გზა განვლო. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, სახელდობრ საოჯახო თემისათვის დამახასიათებელი განათხარი საცხოვრებელი კომპლექსის მეშვეობით ავტორმა საოჯახო თემის ჩამოყალიბება დაუკავშირა ადრეული ბრინჯაოს ხანას, ხოლო ყველა მონაცემების ანალიზის შედეგად ნაშრომში დასაბუთებულია, რომ გერდასტანი წარმოადგენდა ისეთ სოციალ-ეკონომიურ უჯრედს, რომელიც წარმოიშვა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის დაშლის საფეხურზე, იარსება ყველა ისტორიულ ფორმაციაში, კლასობრივი საზოგადოების განვითარების შესაბამისად სათანადო ცვლილებები განიცადა და თავისი ხანგრძლივი არსებობა განვითარებული კაპიტალიზმის ხანაში დაასრულა. მისი მოსპობის უმთავრეს მიზეზებად ავტორს მიაჩნია კერძო საკუთრების ჩასახვა და მისი შემდგომი განვითარება.

ე. კარაპეტიანის ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გერდასტანის რიგ თავისებურებას შეეხო მ. კოსვენი, რომელმაც ე. კარაპეტიანის თუ მის წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით გაკეთებულ მოკლე მიმოხილვაში სომხური საოჯახო თემი დესპოტური ტიპის საოჯახო თემთა წყებას მიაკუთვნა[18].

საოჯახო თემის შესწავლა შემდგომში ე. კარაპეტიანმა კვლავ განაგრძო. მან ჯერ გამოაქვეყნა სპეციალური მონოგრაფია სომხური **ა ზ გ**-ის (პატრო-

[18] М. К о с в е н, Этнография и история Кавказа, 100—102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმიის) შესახებ[19], სადაც მდიდარი ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია პატრონიმიის ძირითადი ელემენტები (პატრონიმიის ნათესაური სტრუქტურა, ერთ უბნად ცხოვრება, მეურნეობრივი და სულიერი ერთობის ელემენტები) და მისი გენეტიკური კავშირი გერდასტანთან. შემდეგ კი ე. კარაპეტიანმა გერდასტანისა და აზგისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები სადოქტორო დისერტაციის[20] სახით გააერთიანა, რითაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ის გარემოება, რომ გერდასტანი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმას, ხოლო აზგი — გერდასტანის დაყოფა-დანაწილების შედეგად ჩამოყალიბებულ პატრონიმიულ გაერთიანებას.

ს. ლისიციანისა და ე. კარაპეტიანის მიერ ზემოხსენებულ შრომებში გამოთქმული შეხედულებები მათივე ავტორობით ზუსტადაა ანოტირებული კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ კომპედიუმში[21]. იქვე ქურთების შესახებ ა. ავდალის მიერ დაწერილ მიმოხილვაშიც აღნიშნულია, რომ სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებიც რევოლუციამდელ ეპოქაში ინარჩუნებდნენ დიდ ოჯახებად ცხოვრების წესს, რომლის ლიკვიდაცია სოციალისტურ ყოფაში მიმდინარეობდა[22].

სხვა საკითხების კვლევასთან დაკავშირებითაც გამოითქვა მოსაზრება, რომ გაუყრელად ცხოვრების ტრადიციას განსაკუთრებით დიდხანს ინარჩუნებდნენ სომხეთის მთიანეთში, რაშიაც მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია ადგილმონაცვლე მესაქონლეობის პრაქტიკას. ამ მოსაზრებას ი. მკრტუმიანი ასაბუთებს იმ გარემოებით, რომ მიწათმოქმედებასთან ერთდროულად ამ ტიპის მესაქონლეობის გაძღოლა საჭიროებდა საკმაო რაოდენობის მუშახელს, რომლის დასაქმების შესაძლებლობა ისახებოდა დიდი ოჯახის არსებობის პირობებში[23].

სომხების საოჯახო ყოფის კვლევის შემდგომი ეტაპი აღინიშნა ახალი საოჯახო ყოფის შესწავლით, რასაც სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ა. ტერ-სარქისიანცმა[24]. მას მიზნად დაუსახავს სოფლის მოსახლეობის ახალი საოჯახო ყოფის ძირითადი კომპონენტების კვლევა. სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლინებისათვის ავტორი მასალას განიხილავს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. ამასთან ერთად ცდილობს გვიჩვენოს კონტრასტები ახალსა და ძველ საოჯახო ყოფას შორის. თავის მიერ მოპოვებული მასალისა და გერდასტანის შესახებ არსებული ლიტერატურული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი გზადაგზა იძლევა ახალ ყოფაში შემონახული ძველი ტრადიციების დახასიათებას. ავტორის დაკვირვებათა შედეგად სრულიად აშკარაა, რომ ახალ საოჯახო ყოფაში შენარჩუნებული იყო რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია. იგი აღწერს არაერთ ისეთ ოჯახს, რომელიც ჯერ კიდევ აერთიანებდა სამი თაობის წარმომადგენლებს. ამასთან ერთად ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ თანამედროვე ინდივიდუალურ

---

[19] Э. Карапетян, Родственная группа «азг» у армян, Ереван, 1966.

[20] Э. Карапетян, Семейная община и патронимия у армян, Автореферат, Тб., 1967.

[21] «Народы Кавказа», II, М., 1962, 524—527.

[22] იქვე, 612.

[23] Ю. Мкртумян, Формы скотоводства и быт населения в армянской деревне второй половине XIX в., СЭ, 1968, № 4.

[24] А. Тер-Саркисянц, Современная семья у армян, М., 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში ურთიერთობისა და ჩვეულების მრავალი ისეთი ნორმა მოქმედებდა, რაც დამახასიათებელი იყო ძველი საოჯახო ყოფისათვის. ავტორის დაკვირვებით, გაუყრელად ცხოვრების წესი და მისთვის ნიშანდობლივი ტრადიციები უმთავრესად შემონახული ყოფილა სომხეთის მთიანეთში, აგრეთვე, მთისძირა ზოლის მოსახლეობაში, ხოლო ოჯახების გაყრას გაცილებით ინტენსიური ხასიათი ჰქონია ქალაქებში, სამრეწველო რაიონებში და მათთან ახლოს მდებარე სოფლებში. ავტორის ამ დაკვირვებას სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ კვლევაში, რამდენადაც სომხეთის მთიანეთშიც, ისევე როგორც კავკასიის სხვა რეგიონებში თუ სხვაგან, სოციალური განვითარების დონით მთასა და ბარს შორის მკვეთრ განსხვავებას ჰქონდა ადგილი. სამწუხაროდ, ეს უდავო ჭეშმარიტება ზოგჯერ სრულიად გაუგებარი მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

კავკასიელ ხალხთა საოჯახო თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვისას მ. კოსვენი არ შეხებია აზერბაიჯანელთა ყოფაში დიდი ოჯახის არსებობის საკითხს, რომლის მიზეზად იგი ასახელებდა სათანადო წყაროების უქონლობას. მისი მტკიცებით, რევოლუციამდელ ლიტერატურაში აზერბაიჯანული დიდი ოჯახის შესახებ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ცნობაც კი არ მოგვეპოვება[25]. მკვლევარი ასევე არასახარბიელო მდგომარეობას ხედავს ახალ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც[26], რამდენადაც ავტორები მხოლოდ იმის აღნიშვნას დასჯერდნენ, რომ XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მათ მიერ შესწავლილ რაიონებში დიდი ოჯახები არ შემონახულა[27].

მ. კოსვენმა ასე წარმოგვიდგინა საკითხის შესწავლის მდგომარეობა აზერბაიჯანის მაგალითზე ნაშრომში („Очерки по этнографии Кавказа"), რომელიც პირველად გამოაქვეყნა 1946 წელს[28], ხოლო შევსებული სახით შეიტანა 1961 წელს გამოსულ წიგნში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ.

მ. კოსვენის ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, რომელთაც მ. კოსვენი ვეღარ მოესწრო, მაგრამ ვიდრე მათ შესახებ რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ რევოლუციამდელი ლიტერატურის კოსვენისეული შეფასება მეტისმეტად მკაცრად გამოიყურება. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ა. არღუთინსკის ცნობა ბორჩალოელ თათართა გაუყრელად ცხოვრების წესად არსებობის შესახებ და მის მიერვე დიდი ოჯახის აღწერილობა, რომ ეჭვქვეშ დავაყენოთ მ. კოსვენის თვალსაზრისი რევოლუციამდელი ლიტერატურის ღირსების შესახებ. როგორც ა. არღუთინსკი წერს, ოჯახის გაყრა თათრებს შორის ძალზე იშვიათია, ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ერთად ცხოვრებას და მხოლოდ მათთან შეიძლება ვნახოთ განაყარი ოჯახების კვლავ ერთად შეყრის შემთხვევები. ამის მიზეზად ავტორს მიაჩნია მათი ცხოვრების პირობები, ხოლო გაყრის საფუძვლად თვლის მხო-

---

[25] М. Косвен, Этнография и история Кавказа, 101—102.

[26] М. Атакишиева, Семейный быт азербайджанцев в прошлом и настоящем (по материалам Халданского района), Автореферат, М., 1953; Г. Гулиев, Социалистическая культура и быт колхозного крестьянства Азербайджана (по материалам Кубинского района), Автореферат, М., 1953.

[27] М. Косвен, დასახ. ნაშრომი, 101—102.

[28] «Советская этнография», 1946, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ მამის, ე. ი. ოჯახის უფროსის თანხმობას, ურომლისოდაც ცალკეული ოჯახის ყოფის მსურველისთვის ქონების მიცემის შესაძლებლობა გამორიცხული ყოფილა[29].

ა. არღუთინსკი ეხება გაუყრელად ცხოვრების მრავალ სხვა მხარესაც, ისევე, როგორც დიდი ოჯახის შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება სხვა ავტორთა ნაწერებშიც[30], რომლის ხელაღებით უარყოფა ყოვლად გაუმართლებელია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საოჯახო ყოფის რიგი თავისებურების გასარკვევად, საოჯახო ყოფის შესწავლის მიზნით მათი გამოყენება ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე არავის უცდია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოჯახის ისტორიის ისეთმა დიდმა მკვლევარმაც კი, როგორიც მ. კოსვენი იყო, რევოლუციამდელი ლიტერატურა აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფის შესახებ განხილვის ღირსად არ სცნო. მ. კოსვენის ზემოხსენებული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგაც აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფის, კერძოდ, საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის შესწავლას კიდევ დიდხანს არ ექცეოდა ყურადღება. ამ საკითხის კვლევას ინტენსიური ხასიათი მიეცა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში, რაც აღინიშნა ერთი მხრივ საოჯახო ყოფის სპეციალური შესწავლით, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა მონათესავე საკითხების დამუშავებასთან დაკავშირებით საოჯახო ურთიერთობის რიგი მომენტის გაშუქებით.

ლიტერატურის შესწავლისა და საველე მასალის ანალიზის საფუძველზე ყველა მკვლევარი, ვინც კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა საოჯახო ყოფას შეეხო, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XIX საუკუნეში და თვით XX ს-ის დასაწყისში, როდესაც გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობდა, ოჯახის ძირითად სახეობას წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო გადმონაშთური ფორმით შემონახული საოჯახო თემი საბოლოო დაშლისა და მოსპობის სტადიაში იმყოფებოდა.

---

[29] А. Аргутинский-Долгоруков, Борчалинский уезд в экономическом и коммерческом отношениях, Тифлис, 1897, გვ. 83—84, 87—88.

[30] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. I, кн. 2, СПб, 1871, 368 და შმდ.; П. Рисс, О талышинцах, их образе жизни и языке, «Записки кавказского отдела русского географического общества", кн. 3, Тифлис, 1885; П. Ягодынский, Экономический быт государственных крестьян в Бакинском уезде, МИЭБГКЗК т. I, Тифлис, 1885; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян западной части Бакинского уезда, МИЭБГКЗК, т. II, ч. I., Тифлис, 1886; მ ი ს ი ვ ე, Экономический быт государственных крестьян в южной части Кубинского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. II, ч. I, Тифлис, 1886; П. Котляревский, Экономический быт государственных крестьян северной части Кубинского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК т. II, ч. I, Тифлис, 1886; Н. Калашев, Местечко Сальяны Джеватского уезда, Бакинской губернии, СМОМПК, вып. V, отд. I, Тифлис, 1886; Н. Абелов, Экономический быт государственных крестьян Геокчайского и Шемахинского уездов, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. VI, ч. II., Тифлис, 1887; С. Алифин, Экономический быт государственных крестьян Джеватского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. VII, Тифлис, 1887; Д. Кистенев, Экономический быт государственных крестьян Ленкоранского уезда, Бакинской губернии, МИЭБГКЗК, т. VII, Тифлис, 1887; С. Егиазаров, Сельская община в Елисаветпольской и Бакинской губерниях, СМИЭБГКЗК, т. III, ч. II., Тифлис, 1887; А. Захаров, Домашний и социальный быт женщин у закавказских татар, СМОМПК, вып. XX, отд, I, Тифлис, 1894; М. Эфендиев, Селение Лагич, Геокчайского уезда, Бакинской губернии, СМОМПК, вып. 29, отд.II, Тифлис, 1901 და სხვ.

ვ. კობიჩევის დაკვირვებით, სწორედ ამ პროცესმა განაპირობა ნაგებობათა გაბარიტების შემცირება და კონსტრუქციული ცვლილებები. როგორც მან აღნიშნა, დიდი პატრიარქალური ოჯახების თანდათანობითი დაშლის შედეგად XIX საუკუნეში მიმდინარეობდა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მოცულობის შემცირება და კარ-ფანჯრების რაოდენობის ზრდა, ე. ი. ფართის სეგმენტაცია. ვ. კობიჩევის ცნობით, უდური სახლის ინტერიერიც აზერბაიჯანულის მსგავსი იყო, რაც ასევე ახსნილი აქვს XIX ს-ის ბოლომდე დიდი პატრიარქალური ოჯახების შემონახულობის მიზეზით. ხინალუგების ნაგებობათა კონსტრუქციული ცვლილებების საფუძვლადაც ავტორს მიაჩნია დიდი ოჯახების დაშლა[31]. მაშასადამე, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ყოფაში XIX ს-ის ბოლომდე სიცოცხლეს ინარჩუნებდა გაუყოფელად ცხოვრების წესი, რომლის არსებობა თუ მოშლა ნაგებობასაც თავისებურ სახეს აძლევდა.

ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებლების (ქართული დარბაზი, სომხური გლახატუნი, აზერბაიჯანული ყარადმი) სოციალური ფუნქციების განხილვისას საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის არსებობას აღნიშნავს და ამ ტიპის ნაგებობებს გენეტიკურად დიდი ოჯახის საცხოვრებლად წარმოგვისახავს თავის მონოგრაფიაში თ. ჩიქოვანი[32], რაზედაც ვრცლად ითქვა ჩვენს რეცენზიაში[33] და ამის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

აზერბაიჯანის ერთ-ერთი რაიონის მცხოვრებთა (თათები, ლეკები, მთიელი ებრაელები, ხინალუგები, კრიზები, ბუდუგები) ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით გ. გეიბულაევი ამტკიცებს, რომ რევოლუციამდელ ყოფაში ძირითად ერთეულს წარმოადგენდა პატარა ოჯახი, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა პატრიარქალური ყოფის ელემენტები. ამგვარი ოჯახის ერთ-ერთ თავისებურებად ავტორს მიაჩნია უფროსი მამაკაცისადმი, როგორც ქონების ერთპიროვნული მეპატრონისადმი, ოჯახის დანარჩენ წევრთა უყოყმანო მორჩილება. ასეთი ოჯახისათვის დამახასიათებელი იყო დაქორწინების შემდეგ შვილების ცალკე გამოყოფა მშობლებთან უმცროსი შვილის დარჩენის პირობით. ძველი პატრიარქალური ყოფის ნიშნად მიჩნეულია ისიც, რომ ზოგჯერ გაყრილი ძმები კვლავ ინარჩუნებდნენ მეურნეობრივ ერთობას, მაგრამ პატრიარქალური საოჯახო წეს-რიგის შედარებით სრულ სურათს ავტორი ხედავს ყოფილი ყუბის მაზრის მოსახლეობაში XIX ს-ის ბოლომდე გადმონაშთის სახით შემორჩენილ დიდ პატრიარქალურ ოჯახში, რომელიც 3—4 თაობისაგან შედგებოდა და ზოგჯერ 60—65 სულს აერთიანებდა.

ამგვარი ოჯახის დახასიათების მიზნით ავტორი ეხება არა მარტო მის შემადგენლობას, არამედ ისეთ კომპონენტებსაც, როგორიცაა საცხოვრებელი ნაგებობანი; ნაგებობის სოციალური ფუნქცია და დიდი ოჯახის საცხოვრებლად განკუთვნილ სათავსთა სახელწოდებები; დიდი ოჯახის დაშლის შედეგად შექმნილი უბანი და პატრონიმიული გაერთიანება მის სათავეში ყოფილი დიდი ოჯახის უფროსის ყოფნით; წინაპრის კულტთან დაკავშირებული საერთო სა-

---

[31] В. Кобычев, Крестьянское жилище народов Азербайджана в XIX в., КЭС, III, М., 1962, 19, 57, 58, 60.

[32] თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967.

[33] ვ. ითონიშვილი, მონოგრაფია ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებლების შესახებ, „მაცნე“, 1964, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცავი, რომელიც ადრე გაუყოფელ ოჯახს ეკუთვნოდა; მმართველობის სისტემა და ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება; დიდი ოჯახის მეთაურის უფლება-მოვალეობა და ამის გამომხატველი სახელწოდებები; თვით დიდი ოჯახის აღმნიშვნელი სახელწოდებები; ოჯახის გაყრის შემთხვევაში ინვენტარისა და საქონლის განაწილება, მაგრამ საერთო ხმარებაში მიწის დატოვება; ერთი დიდი ოჯახის დაყოფა ერთ შემთხვევაში შედარებით მცირერიცხოვან დიდ პატრიარქალურ ოჯახებად, ხოლო მეორე შემთხვევაში ინდივიდუალურ ოჯახებად და სხვა.

ავტორის შეხედულებით, დიდი ოჯახის შემონახულობას საკვლევ რაიონში, ისევე როგორც მთელ აზერბაიჯანში, ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის დიდხანს არსებობა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სუსტი განვითარება. მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია, აგრეთვე, კომლობრივი საგადასახადო სისტემა, როდესაც საგადასახადო ერთეულთა ზრდის შიშით მოსახლეობა გაუყრელად ცხოვრებისადმი მიდრეკილებას იჩენდა. სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და ოჯახის შიგნით კერძო საკუთრებისადმი ლტოლვის შედეგად კი, როდესაც ოჯახის უფროსი დესპოტური ერთმმართველობისადმი კიდევ უფრო დიდი გულმოდგინებით ისწრაფვის, დიდი ოჯახის დაშლაც გარდუვალი ხდება[34].

გ. გეიბულაევის ნაშრომების მიხედვით, აზერბაიჯანული დიდი ოჯახი თავისი ბუნებით დესპოტურია, მაგრამ როდესაც იგი შეეცადა დიდი ოჯახის ტიპის განსაზღვრას, არსებული მასალების საფუძველზე ზოგიერთი ოჯახისათვის დამახასიათებელ მომენტად მიიჩნია დემოკრატიული (სოლიდარული) წეს-რიგის მოქმედება იმ არგუმენტით, რომ ოჯახის უფროსი მამის ადგილს მისი უფროსი შვილი იკავებდა, რომელსაც მეურნეობის წარმოება ეკისრებოდა[35]. მაგრამ ვინაიდან ნაშრომში ნაჩვენები არ არის მმართველობის სისტემაში მათი უფლებრივი მდგომარეობა, მარტო ზემოხსენებული ფაქტორით ოჯახის სოლიდარულ ბუნებაზე მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია. ასევე მიუღებელია იმის მტკიცება, თითქოს აზერბაიჯანული დიდი ოჯახის შიგნით არსებული კუზენური ქორწინება ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთია და რომ კუზენური ქორწინება რამდენადმე დაკავშირებულია დიდ ოჯახთან[36]. დიდი ოჯახი საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ მის შიგნით, ე. ი. ოჯახის წევრებს შორის ქორწინება წარმოუდგენელი იყო. ამიტომ აზერბაიჯანულ დიდ ოჯახში კუზენური ქორწინების არსებობა აიხსნება არა ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთების შემონახულობით და დიდ ოჯახთან მისი კავშირით, არამედ აზერბაიჯანელთა ყოფაში მაჰმადიანური რელიგიის გაბატონებით, რომელიც ახლო ნათესავთა შორის ქორწინებას არ კრძალავდა.

შირვანის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით გ. რაჯაბოვმა შეისწავლა რა სოფლის თემის სტრუქტურა გადმონაშთური ფორმით მისი არსებობის პირობებში, მის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნია პატრონიმიის არ-

---

[34] Г. Гейбулаев, Современная семья и семейный быт азербайджанцев (по этнографическим материалам Кубинского района), Автореферат, Баку, 1966; მისივე, О пережитках большой семьи в Азербайджане в XIX в. (по материалам Кубинского района), «Азербайджанский этнографический сборник» (შემდეგ: АЭС), II, Баку, 1966.

[35] Г. Гейбулаев, О пережитках большой семьи в Азербайджане в XIX в., АЭС, II, 181.

[36] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებობა. ამასთან ერთად მიუთითა, რომ სოფლის თემის ძირითად სამეურნეო და საზოგადოებრივ უჯრედს წარმოადგენდა ოჯახი, რომლის სახეობათაგან გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო XIX ს-ის მიწურულში გადმონაშთის სახით ჯერ კიდევ არსებობდა საოჯახო თემიც[37]. როგორც ავტორმა აღნიშნა XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე შირვანში შემორჩენილ საოჯახო თემს არქაული ნორმების უმრავლესობა დაკარგული ჰქონდა. მისთვის უცხო იყო მმართველობის დემოკრატიული (სოლიდარული) სისტემა, რამდენადაც ოჯახის უფროსი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. მუსლიმანური რელიგიის ბატონობის პირობებში ქალი უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მამაკაცთან შედარებით ასევე უმნიშვნელო უფლებებით სარგებლობდა უფროსი ქალი, რომელიც დიდი ოჯახის შინამეურნეობას (საქალებო საქმიანობას) ხელმძღვანელობდა. სხვა ქალებთან შედარებით მისი პრივილეგია იმაში მდგომარეობდა, რომ მამაკაცები ზოგიერთ საკითხზე მასთანაც თათბირობდნენ და მის აზრს ანგარიშს უწევდნენ[38].

გ. რაჯაბოვის დაკვირვებით, საოჯახო თემის არქაული ნორმებიდან მმართველობის სოლიდარული სისტემა შირვანელთა საოჯახო ურთიერთობაში მოშლილი იყო, მაგრამ იმავე უძველესი ნორმებიდან დესპოტური ტიპის ოჯახი გადმონაშთის სახით ინარჩუნებდა წარმოებისა და მოხმარების კოლექტიურ პრინციპს. ეს პრინციპი ისეთ ვითარებაშიც კი მოქმედებდა, როდესაც მამის გარდაცვალებამდე ძმებს შორის ქონება უკვე განაწილებული იყო, თითოეული ძმა თავისი კუთვნილი წილის მესაკუთრედ ითვლებოდა, მაგრამ მამის გარდაცვალებამდე კვლავ ერთ ჭერქვეშ განაგრძობდნენ ცხოვრებას, კოლექტიური შრომით უძღვებოდნენ საოჯახო მეურნეობას და დოვლათსაც თანაბარი უფლებებით იყენებდნენ. ავტორი ისეთ ვითარებაზედაც მიუთითებს, როდესაც მამის გარდაცვალების შემდეგ დიდი ოჯახის სეგმენტაცია ხდებოდა ძმების ერთი ნაწილის გამოყოფით ქონების გაუყოფლად. ზოგიერთი ძმის გამოყოფას, მაგრამ ქონებაზე ერთობის შენარჩუნებას ზოგჯერ ადგილი ჰქონია მამის გარდაცვალებამდეც. მაგრამ ოჯახის დაყოფა რომელი ვარიანტითაც არ უნდა მომხდარიყო, განაყრები პირველ რიგში ძველ სახლშივე რჩებოდნენ საცხოვრებლად, თუ საცხოვრებელი ადგილი მათთვის საკმარისი აღმოჩნდებოდა. ასე ეწყობოდნენ უმთავრესად შეძლებული ოჯახის განაყრები, რომელთაც დიდი სახლიც ჰქონდათ. ფართის უკმარობის შემთხვევაში კი ოჯახი გაყრამდევე აშენებდა სახლებს მომავალი ახალი ოჯახებისათვის და განაყრები ცალ-ცალკე სახლდებოდნენ. ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა ისიც, რომ ერთ უბნად დასახლებული განაყრები მორიგეობით სარგებლობის პირობით კოლექტიურ საკუთრებაში იტოვებდნენ წისქვილს, დიდ გუთანს და სხვა სახის დოვლათს, რაც პატრონიმიის ფარგლებში მეურნეობრივი ერთობის საფუძველს ჰქმნიდა[39].

---

[37] Г. Раджабов, Пережитки сельско-общинного быта в дореволюционном Азербайджане (этнографическое исследование по материалам Ширвана), Автореферат, Баку, 1966; მისივე, Некоторые этнографические данные о пережитках сельской общины в Азербайджане (по материалам Ширвана), АЭС, II, Баку, 1966.

[38] Г. Раджабов, Пережитки сельско-общинного быта в дореволюционном Азербайджане, Баку, 1966, 84, საკანდიდატო დისერტაცია ინახება აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

[39] Г. Раджабов, დასახ. დისერტაცია, 86—87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. რაჯაბოვი შეეხო საოჯახო თემის მრავალ სხვა მხარესაც, მაგრამ მისი ნაშრომებიდან დამოწმებული ადგილებიდანაც ნათლად ჩანს, რომ XIX ს-ის მიწურულში ავტორი აზერბაიჯანელთა საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობისათვის დამახასიათებელ მომენტად თვლის მის დესპოტურ ბუნებას, რაც საერთოდ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენდა მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარ ხალხთა საოჯახო ყოფისათვის.

ახალი ყოფის ტრადიციული წანამძღვრების გათვალისწინების შედეგად აზერბაიჯანულ ოჯახში მმართველობის დესპოტურ ხასიათზე მიუთითა, აგრეთვე, ა. უმუდოვმა. მისივე დაკვირვებით, თანამედროვე აზერბაიჯანული ოჯახის საშუალო რიცხობრივი შემადგენლობა 6—8 სულით განისაზღვრება, რაც ავტორს მიაჩნია ადრინდელი გაუყოფელი ცხოვრების მემკვიდრეობად. მაშასადამე. რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე მ. უმუდოვი ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ აზერბაიჯანში ოჯახის ადრინდელ ფორმას წარმოადგენდა დიდი ოჯახი, რომლის დოვლათის ერთპიროვნულ მესაკუთრედ, რძლების მზითევის გამოკლებით, ითვლებოდა ოჯახის უფროსი მამაკაცი, ხოლო ოჯახის წევრთა ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო უთანასწორობა, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა ქალთა უუფლებობაში[40].

ახალი და ძველი ყოფის ამსახველი მასალების შეპირისპირების შედეგად ტრადიციული ნორმების ხანგრძლივი არსებობა ასევე ნათლად გამოჩნდა აფშერონის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. ა. ტრაფიმოვას შეხედულებით, საკვლევ რაიონში, ისევე როგორც აზერბაიჯანის სხვა კუთხეებში, დიდხანს არსებობდა მრავალსულიანი პატრიარქალური ოჯახი. მისი ერთპიროვნული მმართველი და ქონების მესაკუთრე იყო ოჯახის უფროსი — მამა, რომლის დესპოტური ნება-სურვილის გარეშე არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლებოდა. მის გარდაცვალებამდე შვილები ვერ გაიყრებოდნენ. მათი ერთად ცხოვრება ზოგჯერ უფროსის გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა, რასაც უმთავრესად ხელს უწყობდა მათი ქვრივი დედა, რომელიც მეურნეობის ერთობლივ წარმოებას და საერთო ქონების შენარჩუნებას ცდილობდა. ავტორის დაკვირვებით, ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში აფშერონში სამ თაობამდე ერთად ცხოვრების შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენდა, ხოლო სხვა მაღალმთიან რაიონებში 1950 წლამდეც კი არსებობდა ზოგიერთი მრავალსულიანი ოჯახი[41].

ცალკე აღებული რაიონების, კოლმეურნეობებისა და სამრეწველო ცენტრების მიხედვით აზერბაიჯანელთა ახალი ყოფის შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებშიც გამახვილებულია ყურადღება საოჯახო ყოფის ცალკეული მოვლენების შესახებ და აღნიშნულია, რომ რევოლუციამდელ აზერბაიჯანში გადმონაშთური სახით არსებობდა დიდი ოჯახი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში მომხდარ ცვლილებებთან ერთად იცვლიდა სახეს, ხოლო საბოლოოდ ეს პროცესი მისი სრული მოსპობითა და ინდივიდუალური ოჯახის საყოველთაოდ გავრცელებით დამთავრდა[42].

---

[40] М. Умудов, Быт и культура рабочих нефтедобывающей промышленности Азербайджана (по материалам Апшерона), Автореферат, Баку, 1966, 16.

[41] А. Трафимова, Из истории семьи азербайджанцев Апшерона (1920—1950 гг.) КЭС, IV, М., 1969.

[42] А. Назаров, Хозяйство и быт колхозников сельхозартели «Болгаристан» Геокчайского района Азербайджанской ССР, Автореферат, Тб., 1962; А. Измайлова,

აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფიდან ბოლო დროს ეთნოგრაფებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საოჯახო თემის გადმონაშთურმა სახეობამ, რასაც 1970 წელს ზედიზედ ორი საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა. ერთი მათგანი ეხება საქართველოს სსრ დმანისის რაიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფას[43], ხოლო მეორე დაწერილია აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით[44].

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საოჯახო თემის გადმონაშთებს ა. ახმედოვმა სპეციალური წერილი[45] მიუძღვნა 1967 წელს, ხოლო შემდეგ ეს საკითხი ვრცლად განიხილა საკვალიფიკაციო მონოგრაფიაში[46]. ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ორივე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ინდივიდუალურ ოჯახთან ერთად ცოცხლობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომლის შემონახულობას ხელს უწყობდა ნატურალური მეურნეობის არსებობა. ამ ტიპის ოჯახის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარედ ავტორს მიაჩნია 20-დან 60-მდე სულის ერთად ცხოვრება სამი-ოთხი თაობის სახით. ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ყოფილა სულთა რაოდენობის თანდათანობით კლება ისე, რომ XX ს-ის დასაწყისისათვის დიდი ოჯახის შემადგენლობა 20—25 სულს აღარ აღემატებოდა, ხოლო თაობებს ერთმანეთისაგან გამოყოფდნენ მამრობითი და მდედრობითი ხაზით არსებული შესაბამისი სახელწოდებებით. დიდი ოჯახის ეკონომიურ საფუძველს შეადგენდა კოლექტიური წარმოება და მოხმარება. ოჯახს მართავდა მამაკაცებს შორის უფროსი, ხოლო მეორე ადგილი ეჭირა მის მეუღლეს ან უფროს რძალს, რომელსაც ევალებოდა ქალთა შრომა-საქმიანობის ხელმძღვანელობა. ოჯახის უფროსობა გადადიოდა მომდევნო ხნით უფროსის ხელში, ჩვეულებისამებრ მამიდან უფროსი შვილის ხელში. ოჯახის უფროსი სარგებლობდა განუსაზღვრელი უფლებებით, რომელსაც ნებისმიერი წევრის დასჯა და სახლიდან უწილოდ გაგდებაც კი შეძლებია, რაც დესპოტური მმართველობის არსებობაზე მიგვითითებს. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მის გარდაცვალებამდე ან მის დაუკითხავად ოჯახის გაყრა არ მოხდებოდა. გაყრის შემთხვევაში კი ქონებას თანაბრად იყოფდნენ შვილები და შვილებიანი ქვრივი. უშვილო ქვრივი მხოლოდ თავის მზითევს უნდა დასჯერებოდა. თუ გაყრა მამის სიცოცხლეში მოხდებოდა, ის სხვების თანაბარ წილთან ერთად ზედმეტსაც მიიღებდა საქონლის სახით. თუ მამა აღარ იყო ცოცხალი, მის ქვრივს

Социалистическое преобразование хозяйства, культуры и быта талышей, Автореферат, М., 1964; И. Гаджиев, Социалистическое переустройство хозяйства, культуры и быта азербайджанского крестьянства (по материалам Казахского района), Автореферат, Баку, 1965; В. Чирагзаде, Социалистический быт рабочих-шелководов города Нухи, Автореферат, Баку, 1966.

[43] А. Ахмедов, Семья и семейный быт азербайджанцев (историко-этнографическое исследование по материалам Дманисского района Грузинской ССР), Автореферат, Баку, 1970.

[44] А. Садыков, Пережитки семейной общины в Восточном Азербайджане в конце XIX — начале XX вв., Автореферат, Баку, 1970.

[45] А. Ахмедов, Семейная община у азербайджанцев в конце XIX и начале XX вв. (по материалам Башкечитского района Грузии), «Доклады Академии наук Азербайджанской ССР», т. 23, № 6, 1967.

[46] А. Ахмедов, Семья и семейный быт азербайджанцев..., Автореферат, Баку, 1970.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედარებით ნაკლებ ქონებას შეახვედრებდნენ. გასათხოვარ ქალს წილს არ აძლევდნენ იმ შემთხვევაში, თუ მათი მამა ცოცხალი იყო, მაგრამ თუ გაყრა მამის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა, ქალი იმდენსავე მიიღებდა, რამდენსაც თითოეული მისი ძმა, ხოლო თავისი წილი ქონებით გათხოვებამდე საცხოვრებლად რჩებოდა რომელიმე ძმასთან. უცოლო ძმას კუთვნილ წილს გარდა აძლევდნენ ზედმეტ ქონებას ყალიმის გადასახდელად და საქორწილო ხარჯებისათვის. იარაღი, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები ყველას თავისთვის რჩებოდა. წისქვილსა და ბაღს განაყრები საერთო საკუთრებაში იტოვებდნენ. ოჯახის გაყრისა და განაყრების ერთ უბნად დასახლების შედეგად იქმნებოდა პატრონიმია.

ზემოაღნიშნული მონაცემები საეჭვოს არ ხდის დიდი ოჯახის გადმონაშთების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბაიჯანელთა შორის, მაგრამ ზოგიერთი საკითხის გარკვევისას ავტორი წინააღმდეგობაში ვარდება. მაგალითად, 1967 წელს გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს, რომ დესპოტური უფლებების მქონე უფროსს სცვლიდა უფროსი შვილი მისი არჩევის გარეშე[47]. შემდეგ ამავე საკითხთან დაკავშირებით კვლავ აღიარა, რა, რომ ოჯახის უფროსის ძალაუფლება დესპოტურ ხასიათს ატარებდა, იქვე შეუდგა იმის მტკიცებას, თითქოს, ჩვეულებისამებრ, ოჯახის უფროსს ირჩევდნენ. მაგრამ ზოგჯერ მისი ძალაუფლება, ხნით უფროსობის პრინციპის შესაბამისად, მამიდან მისი უფროსი შვილის ხელში გადადიოდა[48].

თუ ერთდროულად წარმოვიდგენდით ყველა ზემოაღნიშნული მომენტის არსებობას ოჯახის მმართველობის სისტემაში, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა იმის განსაზღვრა, თუ ოჯახის რომელ ტიპს მიეკუთვნებოდა ა. ახმედოვის მიერ შესწავლილი ოჯახი, ვინაიდან არჩევა დამახასიათებელი იყო სოლიდარული მმართველობის ანუ დემოკრატიული ტიპის საოჯახო თემისათვის, ხოლო ოჯახის უფროსის განუსაზღვრელი ძალაუფლება დესპოტური დიდი ოჯახისათვის. აღნიშნული მოვლენების თანაარსებობა და მმართველობის სისტემაში დუალიზმის გაჩენა მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად დესპოტური ტიპის აზერბაიჯანულ ოჯახში შეიჭრა ქართული საოჯახო თემისათვის ნიშანდობლივი სოლიდარული მმართველობის ელემენტები, რომლის გაუთვალისწინებლობამ ავტორი წინააღმდეგობაში ჩააგდო. მასალის ცალმხრივი განხილვის შედეგად მან ასევე ერთ შემთხვევაში აღნიშნა, რომ ოჯახის უფროსის ქვრივს წილში მამულს არ აძლევდნენო, ხოლო იქვე წერს, თითქოს ქვრივი დედის წილხვედრ მამულს ის შვილი დაეპატრონებოდა, რომელთანაც დედა საცხოვრებლად ღარჩებოდა[49].

ამგვარი ხარვეზების მიუხედავად, ა. ახმედოვმა სწორად გაიგო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ აზერბაიჯანელთა საოჯახო ყოფის შესახებ შემორჩენილი მასალის რაობა და მასზე დაყრდნობით გვიჩვენა, რომ ინდივიდუალურ ოჯახთან ერთად XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ჯერ კიდევ დიდი ოჯახიც არსებობდა.

---

[47] А. Ахмедов, Семейная община у азербайджанцев..., „Доклады", т. 23, № 6, 1967, 86.

[48] А. Ахмедов, Семья и семейный быт азербайджанцев.., Автореферат. 1970, 7.

[49] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობის ძირითადი ელემენტების გასაცნობად არანაკლებად საინტერესოა ა. სადიკოვის ზემოხსენებული ნაშრომი, რომელიც ემყარება, ერთი მხრივ, XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისის ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამის ლიტერატურულ მონაცემებს.

ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი გვაცნობს მრავალ ისეთ ოჯახს, რომელიც სამ, ოთხ ან ხუთ თაობას მოიცავდა და ის სისხლით ნათესავებს გარდა ზოგჯერ გარედან შესულ პირებსაც (შვილობილებს ან ძესიძეებს) აერთიანებდა. ასეთ ოჯახს ხელმძღვანელობდა გამოცდილი მეურნე, რომელიც ითვლებოდა ქონების სრულუფლებიან მესაკუთრედ. მას ევალებოდა ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება, ხოლო ოჯახის წევრების მოვალეობას შეადგენდა მისდამი უყოყმანო მორჩილება. ოჯახის უფროსს შეეძლო შვილის უწილოდ გაგდებაც კი. იგი იყო ოჯახის წარმომადგენელი სოფლის თემის საბჭოში, სადაც სამეურნეო და საზოგადოებრივი საკითხები განიხილებოდა. ყოველივე ამასთან ერთად ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელის ძალაუფლება მაინც განსაზღვრული იყო საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის ნორმებით, შინასაოჯახო ეტიკეტით. მისი ავტორიტეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თვით მის პირად ურთიერთობას ოჯახის წევრებთან, სამართლიანობას და ოჯახში სიმშვიდისა და თანხმობის დაცვას. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად ის ვალდებული იყო მოეწვია საოჯახო თათბირი სრულწლოვანი მამაკაცებისა და არაიშვიათად ხნიერი დედაკაცების მონაწილეობით. ქალთა შინასაოჯახო საქმიანობას ხელმძღვანელობდა უფროსი ქალი, რომელსაც პროდუქტების სათავსიც ჰქონდა ჩაბარებული. შრომის განაწილებას საფუძვლად ედო სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპი, რაც განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნეოდა საოჯახო თემის არსებობის ადრეულ სტადიაზე. ოჯახის ეკონომიურ საფუძველს განსაზღვრავდა თვით საკვლევი რაიონის მეურნეობის ხასიათი. ქონების ძირითადი ნაწილი ოჯახის წევრთა საზოგადო საკუთრებას შეადგენდა, ხოლო პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონოდათ ტანსაცმელი, იარაღი, სამკაული და მზითევი. როდესაც ოჯახის გაყრის საკითხი დადგებოდა, პირველ რიგში გამოყოფდნენ ვალისა და საერთო ხარჯის დასაფარავად საჭირო ქონებას. შემდეგ უცოლო ძმას საქორწილო ხარჯებისათვის წინასწარ მისცემდნენ მიწის ნაკვეთს ან საქონელს. ასევე გათვალისწინებული ყოფილა გასათხოვარი დებისა და ქვრივი დედის შესანახად მოძრავი ქონების გამოყოფა — დისთვის ძმის წილის ნახევარი, ხოლო დედისთვის წილის 1/4. ამ ქონებას აძლევდნენ უფროს ძმას, რომელთანაც დედა და დები საცხოვრებლად რჩებოდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში მათ უძრავი ქონების ნაწილსაც აძლევდნენ, რასაც დედის გარდაცვალებისა და დების გათხოვების შემდეგ ძმები ინაწილებდნენ. ზემოაღნიშნული მომენტების გათვალისწინების შემდეგ საოჯახო ქონებას ძმები წილის ყრით ინაწილებდნენ, ოღონდ უფროს ძმას საუფროსოში აძლევდნენ ან მიწის ნაკვეთს, ან ცხენს, ანდა რამდენიმე ცხვარს. მას გადასცემდნენ, აგრეთვე, გარდაცვლილი უფროსის პირად იარაღს, ცხენს, ყურანს და სხვ. დიდი ოჯახის განაყრები ერთმანეთის მეზობლად დასახლებით ჰქმნიდნენ პატრონიმიას.

ძირითადად ასე ახასიათებს ა. სადიკოვი აღმოსავლეთ აზერბაიჯანში არსებულ დიდ ოჯახს, რომლის შემორჩენილობის მიზეზებად თვლის ნატურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ მეურნეობას, კომლობრივ საგადასახადო სისტემას და მაღალმთიანი რაიონების კულტურულ-ეკონომიურ იზოლაციას. დიდი ოჯახების დაშლის მიზეზად კი ავტორს მიაჩნია მის შიგნით კერძო საკუთრების განვითარება, რაც განსაკუთრებით გაღრმავდა კაპიტალისტური ურთიერთობის აღმავლობის პირობებში.

აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ეთნოგრაფიული მასალის გამომზეურებით ა. სადიკოვმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საოჯახო თემის ლოკალურ თავისებურებათა კვლევის სფეროში, მაგრამ ამ მიმართულებით ნაშრომში ბევრი საკითხი შემდგომ გაღრმავებას მოითხოვს. ეს პირველ რიგში ეხება მმართველობის სისტემას, რამდენადაც ავტორი მმართველობის დესპოტური სისტემის პარალელურად გვაცნობს სოლიდარული მმართველობის ელემენტებსაც, მაგრამ არ ასახელებს ასეთი მოვლენების თანაარსებობის მიზეზს. როგორც ჩანს ეს იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ავტორმა დიფერენცირებულად არ შეისწავლა საოჯახო თემის ძველი, ტრადიციული მოვლენები, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სოლიდარული მმართველობა, და შარიათის არსებობა, რამაც ხელი შეუწყო დესპოტური მმართველობის დანერგვა-განმტკიცებას.

როგორც დავინახეთ, ოჯახის არქაული ფორმების გადმონაშთების კვლევა სომხეთთან შედარებით აზერბაიჯანში გვიან დაიწყო და შედარებით შეზღუდული მასშტაბით მიმდინარეობს. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა მ. კოსვენის გულგრილი დამოკიდებულება აზერბაიჯანული საოჯახო თემის საკითხისადმი. ამავე ვითარების ანარეკლს ვხედავთ კავკასიის ეთნოგრაფიის ნარკვევებში[50], სადაც აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანში XX საუკუნემდე იყო შემორჩენილი დიდი პატრიარქალური ოჯახის გადმონაშთები, იქვეა ნაჩვენები პატრიარქალური ყოფის ელემენტები (ოჯახის უფროსის განუსაზღვრელი უფლებები, ქალის მძიმე პირობები, შარიათის ნორმები...), მაგრამ ეს მიმოხილვა რამდენადმე სრულფასოვან წარმოდგენას არ გვაძლევს დიდი ოჯახის სტრუქტურაზე. ამდენად, საოჯახო ყოფის კვლევა აზერბაიჯანში, რაც უმთავრესად გაიშალა ზემოხსენებული ნარკვევების გამოქვეყნების (1962 წ.) შემდეგ, მნიშვნელოვნად ავსებს მანამდე არსებულ ხარვეზს.

ძირითადად ასე წარმოგვიდგება საოჯახო თემის კვლევის შედეგები სომხეთსა და აზერბაიჯანში. განხილული ლიტერატურა საფუძველია დასკვნისა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა წარსულისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენას წარმოადგენდა საოჯახო თემის არსებობა მისი მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტებით. სრულიად აშკარად გამოჩნდა ისიც, რომ კლასობრივ საზოგადოებაში გაბატონებულ ერთეულს წარმოადგენდა ინდივიდუალური ოჯახი, ხოლო ოჯახის არქაულ ფორმათა გადმონაშთების არსებობა გაცილებით ხანგრძლივად აღინიშნებოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის მთიან რაიონებში, ისევე როგორც ეს ვითარება დასტურდება სხვაგან, რაც საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო კანონზომიერების კონკრეტული გამოსახულების კიდევ ერთი მაჩვენებელთაგანია.

---

[50] «Народы Кавказа», II, 131—133, 185, 202.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიის მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები და შენიშვნები

ოთარ ჩიქოვანი

მიწის პრობლემა საქართველოში და კოლხეთის მელიორაციის მნიშვნელობა

მიწის სივიწროვის გამო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი გლეხობა ჯერ კიდევ მეფის მთავრობის დროს ეძებდა თავისუფალ მიწას დასასახლებლად. განსაკუთრებით დიდი იყო დასავლეთ საქართველოს უმიწაწყლო გლეხობის ლტოლვა აღმოსავლეთ საქართველოს მიწის თავისუფალი ნაკვეთებისაკენ. მაგრამ მეფის მთავრობა წინააღმდეგი იყო ასეთი გადასახლების, რადგან მას ერჩია საქართველოს მცირეოდენი თავისუფალი მიწის ნაკვეთები გამოეყენებინა თავისი ზრახვების განსახორციელებლად.

მეფის მთავრობამ XIX ს-ის ოციანი წლებიდან დაიწყო გადმოსახლება ჩვენში. ამის მიზანი ძირითადად საქართველოს, როგორც განაპირა კუთხის, რუსიფიკაცია იყო. ასახლებდნენ უმთავრესად რუსობას და იშვიათ შემთხვევაში, სხვა ეროვნების ხალხებს. XIX ს-ის 70-იან წლებამდე დაასახლეს: გერმანელები — ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში (კოლონიები: თბილისის — ახლანდელი პლეხანოვის პროსპექტი, ალექსანდერდორფი, მარიენფელდი — სართიჭალაში, პეტერსდორფი, ელისავეტალი (იგივე ასურეთი) და ეკატერინენფელდი — ბოლნისში); ბერძნები — წალკასა და ტფილისის მაზრაში; სომხები — ჯავახეთში; რუსები — (უმთავრესად ყოფილი ჯარისკაცები) სიღნაღის მაზრის სოფლებში: ლაგოდეხს, მიხაილოვკას, დედოფლისწყაროსა და საცხენისში; თელავის მაზრაში: მანგლისს, პრიუტსა და ოლგინსკოეში: დუხობორები — ბორჩალოს მაზრის სოფელ ბაშკიჩეთში და ახალქალაქის მაზრაში: გორელოეს, სპასკოესა და როდიონოვკაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გადმოსახლება ატარებდა მხოლოდ და მხოლოდ რუსიფიკატორულ ხასიათს. ამ დროის განმავლობაში რუსებით დასახლებულ იქნა სოფლები: ელისავეტოვკა, რომანოვის ხუტორები, ალექსეევკა, გრაფოვკა, ილარიონოვკა, ვორონცოვკა, დაშკოვკა, ივანოვკა, ნიკოლოვკა, სვეჩინო, ტროიცკოე, მწვანე მინდორი და ნოვოდიმიტროვკა — სიღნაღის მაზრაში; ნოვომიხაილოვკა, ტატიანოვკა, ვოევიკო, ნოვოალექსეევკა, ნოვოპავლოვკა — ტფილისის მაზრაში; ერმოლოვკა და ტამბოვკა — ახალქალაქის მაზრაში და ვოსკრესენოვკა და უსპენსკოე — ოზურგეთის მაზრაში. ჩამოსახლებულთ ეძლეოდათ მიწის დიდი ნორმები — სულზე 5—15 დესეტინამდე. გერმანელ კოლონისტებსა და რუს ახალმოშენეთ მთავრობა აძლევდა, აგრეთვე, დიდ მატერიალურ დახმარებას შენობების ასაგებად, ინვენტარის შესაძენად, ეკლესიებისა და სკოლების ასაშენებლად[1].

ქართველი გლეხობა, ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა მიწის სიმცირეს და თვით ეძებდა ამ მდგომარეობიდან გამოსავალს. როგორც აღვნიშნეთ, უმი-

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში: სსცია), ფ. 288, ანაწ. 1, საქ. 1729, ფურც. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაწყლო მოსახლეობის ნაწილი სამუშაოდ მიეშურებოდა შორეულ მხარეებში; მეორე ნაწილი კი თვითნებურად, ცულით ხელში ეფინებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტყიან ადგილებს, აახოვებდა მას, თესავდა სიმინდსა და პურს, აშენებდა სახლებს, ვენახებს, ბაღებს. ქართველი გლეხობის მოძრაობაში აღინიშნება ორი პერიოდი. პირველი პერიოდი განისაზღვრება იმერლების მიერ ლიხის მთის გადმოლახვით და ამ მთის კალთებზე მდებარე სურამის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში დასახლებით; აგრეთვე, ტფილისის მახლობლად სოფ. ქვემო ლისში მეგრელების ჩასახლებით; სოფლების: ახალსოფლის, ჭიკაანის, კუჭატანის, შრომის და კავშირის დასახლებით კახეთში. თვითნებურად გადმოსახლების მეორე პერიოდს ეკუთვნის რიგი იმერული და ოსური სოფლების დასახლება კახეთში ალაზნის გაღმა (სოფლები: აფენი, ლელიანი, ბებურიანი, ხეჩილი, ფონა, ეშმაკის ყურე — და ა. შ. 40-მდე სოფელი) და ზემო და ქვემო ქედების დასახლება შირაქში. ცხადია, არავითარ მატერიალურ დახმარებას არც მთავრობისა და არც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ აქ ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე გაბედული პირის მიერ ამ საქმისათვის ხელშეწყობას.

უმიწაწყლო ხალხის დენამ თავისუფალი ადგილებისაკენ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო 1917 წელს მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ, როდესაც ხალხმა იგრძნო მათი ლტოლვის მოწინააღმდეგე ძალის განადგურება და ასობით და ათასობით მიაშურა დაუსახლებელ ადგილებს, უმთავრესად ალაზნის ტყიან ველებს. შექმნილ გარემოებას ანგარიში გაუწია მენშევიკურმა მთავრობამ და იძულებული იყო დაეწყო ამ საქმის მოწესრიგება. ვინაიდან კახეთს მოაწყდა უმიწაწყლო გლეხობა იმერეთიდან, ქიზიყიდან და ოსეთიდან, 1919 წელს დაწყებულ იქნა მუშაობა თავისუფალი ფონდის გამოსაძებნად და დასასახლებლად ტფილისის, ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში. 3 წლის განმავლობაში (1918—1920 წწ.) საქართველოში დასახლდა 30 სოფელი 2629 კომლით[2]. გადმოსახლებულთა შემადგენლობა ასეთი იყო: კახეთში (თელავისა და სიღნაღის მაზრებში) გადმოსახლდნენ უმთავრესად დასავლეთ საქართველოდან და ქიზიყიდან; თბილისის მაზრის სოფლებში დასახლებული იყვნენ უმთავრესად იმერლები, დანარჩენ სოფლებში კი გერმანელები და იმერლები. იმერლები იყვნენ, აგრეთვე, ყარაიის სამ სოფელში და აღბულაღის რაიონის სოფ. მაწევანაში. გორის მაზრის სოფ. მირიანეულში დასახლდნენ ისევ გორის მაზრელები, ხოლო ახალქალაქის მაზრაში — მოხევეები და ოსები[3].

დასასახლებლად ვარგისი ფონდი ამით თითქმის ამოიწურა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კიდევ შეიმჩნეოდა გადასახლებულთა მოძრაობა. 1921 წელს კახეთში (ალაზანგაღმა) დაარსდა ორი ახალი სოფელი — ნაენდრიალი და ბეშკენი 95 კომლით[4]. 1923 და 1924 წლებში ხდებოდა მხოლოდ თითო-ოროლა კომლის გადასახლება წინათ დაარსებულ ახალშენებში. 1925—1926 წლებში საახალშენო ფონდის ამოწურვის გამო გადასახლების საქმე საქართველოში თითქმის სავსებით შეჩერდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ სოფლებში ჩასახლების თითო-ოროლა შემთხვევას.

---

[2] სსცია, ფ. 288, ანაწ. 1, საქ. 1729, ფურც. 45.

[3] იქვე.

[4] იქვე, ფურც. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილ სიტუაციაში, მიწის უმნიშვნელო ნაკვეთიც კი, რომლის გამოგლეჯაც შეიძლებოდა ბუნებისაგან (მელიორაციით), წარმოადგენდა საგრძნობ ღირებულებას გლეხობის უზრუნველსაყოფად. ასეთ ვითარებაში კოლხეთის ჭაობებიდან 220000 ჰა მიწის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოსათვის. მას შეეძლო თითქმის სრულიად დაეკმაყოფილებინა მიწით იქაური გლეხობის დიდი ნაწილი.

კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა პარალელურად მიმდინარეობდა უკვე ამოშრობილი ადგილების ათვისება. ნაჭაობარ მიწებზე ჩნდებოდნენ ახალი კოლმეურნეობები, ახალი სოფლები. წლითიწლობით იზრდებოდა კოლხეთის მცხოვრებთა რიცხვი.

ახალი დასახლებებისა და კოლმეურნეობების შექმნამდე კოლხეთის ამოშრობილი მიწების ათვისება ხდებოდა დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონების მოსახლეობის მიერ არა გადასახლებით, არამედ მიწების დასამუშავებლად და მოსავლის ასაღებად სამუშაოზე გასვლის წესით; ამასთან ერთად ისინი ინარჩუნებდნენ ძველ ნაკვეთებზე მიწათსარგებლობის უფლებას.

კოლხეთის ამომშრალი მიწებიდან 1934 წ. დასამუშავებლად გადაეცათ: ხარაგაულის რაიონს — 500 ჰა, ხონის რაიონს — 600 ჰა, ამბროლაურის რაიონს — 400 ჰა[5]. ამ რაიონების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ კოლხეთში, დაათვალიერეს ამოშრობილი ადგილები და მოისურვეს ფართობების გამოყოფა. აღნიშნულ ნაკვეთებზე კოლმეურნეები შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვას, ხოლო ხონის რაიონმა გადაიყვანა სოფ. კინჩხის მესაქონლეობის ფერმაც. პარტია და მთავრობა ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივას ახალი მიწების ასათვისებლად კოლხეთში. სრულიად საქართველოს საბჭოების VII ყრილობის დადგენილებაში „კოლხიდმშენის“ შესახებ ნათქვამია: „ყოველნაირად შეეწყოს ხელი კოლმეურნეობათა ინიციატივას ახალი მიწების ასათვისებლად კოლხიდაში და, ხონისა და ხარაგაულის რაიონების მაგალითის მიხედვით, მიემაგროს კოლმეურნეობებსა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეობებს ამოშრობილი მიწები სამეურნეო ათვისებისათვის; ამასთან დატოვებულ იქნას მათზე ფაქტიური მიწათსარგებლობა ძველ უბნებზე“[6]. კოლხეთის ამომშრალი მიწების დამუშავების სურვილს გამოთქვამდნენ სხვა რაიონებიც. 1935 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე ზესტაფონის რაიკომის ბიურომ დაადგინა: „იმის გამო, რომ ბოსლევის, დილიკაურის, შროშის და წევის სასოფლო საბჭოების ტერიტორია თავისი კლიმატური პირობების და ნიადაგის მიხედვით ძალზე მცირემოსავლიანია მარცვლეული კულტურებისათვის და ამ მხრივ განიცდის სასოფლო-სამეურნეო არტელები სურსათის მიღების საქმეში ძალზე სივიწროვეს — ეთხოვოს საქართველოს კპ(ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს ზესტაფონის რაიონს გამოუყონ კოლხიდაში 1936 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ასათვისებლად ფართობი 200 ჰექტარის რაოდენობით“[7]. 1935 წელს ქვალონსა და ჭალადიდში დასასახლებლად მიწები შეარჩიეს ტყიბულის რაიონის ჩაშლეთის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა[8]. 600—800 ჰექტარი მიწა ეთმობოდა ასპინძის რაიონიდან გადმოსახლებულ 150—200 ოჯახს. ზოგი რაიონი კი (ცაგერის, ონი-

[5] სსცია, ფ. 284, ანაწ. 2, საქ. 47, ფურც. 160, 161.

[6] გაზ. „კომუნისტი“, 1935 წლის 17 იანვარი.

[7] ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქ. 1026, ფურც. 53.

[8] იქვე, საქ. 809, ფურც. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და სხვ.) კლიმატური პირობების გამო, უარს აცხადებდა კოლხეთის ამომშრალი ნაკვეთების ათვისებაზე. „ზემო რაჭის მოსახლეობა ვერ აიტანს კოლხიდის დაბლობის ჰავასო“, აღნიშნულია ონის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ცნობაში.

ამოშრობილ მიწებს კოლხეთში იყენებდნენ ადგილობრივი კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა ორგანიზაციებიც. ლანჩხუთის რაიონმა 1936 წელს აითვისა 553 ჰა, მახარაძის რაიონმა — 250 ჰა, ფოთის რაიონმა — 178 ჰა[10]. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ძალზე ცოტა იყო. დიდი რაოდენობა ამომშრალი მიწებისა რჩებოდა აუთვისებელი და გამოიყენებოდა მხოლოდ საძოვრებად. 16352 ჰექტარიდან, რომელიც ამოშრობილი იყო 1935 წლისათვის, დასამუშავებლად მომზადდა 7000 ჰექტარი[11]. კოლხეთის ამოშრობილი მიწების სამეურნეო ათვისების საქმეში დიდი როლი შეასრულა გლეხების გადასახლებამ დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან, აგრეთვე, ახალი დასახლებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნამ.

ერთ-ერთი პირველი ახალი სოფელი, რომელიც შეიქმნა კოლხეთის ამომშრალ მიწებზე იყო მშრომელ ებრაელთა სოფელი ხობთან (1937 წ.). ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართველ ებრაელებში არავითარი კულტურული მუშაობა არ ჩატარებულა. სიღატაკე და უმეცრება ბატონობდა ებრაელების დიდ უმრავლესობაში. საბჭოთა მთავრობამ გზა გაუხსნა ებრაელებს შრომისა და ნათელი ცხოვრებისაკენ. ჩამოყალიბდა ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც დიდი მუშაობა გააჩაღა ღარიბი მოსახლეობის შესაკავშირებლად და საწარმოო ცხოვრებაში ჩასაბმელად. საქართველოს ღარიბ ებრაელთა სასოფლო-სამეურნეო შრომაში მიზიდვისა და ებრაელი მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის საერთო გაჯანსაღების მიზნით, ებრაელებით დასახლებულ რაიონებში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობანი. ასეთი კოლმეურნეობა საქართველოში 1936 წელს იყო 14 (6 კოლმეურნეობა აღმ. საქართველოში და 8 — დასავლეთ საქართველოში), სადაც 1935 წელს გაერთიანებული იყო 616 კომლი 2645 სულით, 1936 წელს კი 792 კომლი 3431 სულით[12].

1936 წელს საქართველოს „მემსს“ (მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება) გადაეცა 700 ჰექტარი ამომშრალი მიწა მშრომელ ებრაელთა 185 ოჯახის დასასახლებლად[13]. ეს მიწები მდებარეობდა ხობსა და ქვემო ქვალონს შორის ცხაკაია-ზუგდიდის გზატკეცილის გასწვრივ. აქ უნდა გადმოსულიყვნენ იმ ებრაელთა ოჯახები, რომლებიც სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდნენ სამეგრელოსა და ქვემო იმერეთის რიგ რაიონებში. 1936 წელს ამ სოფლის მშენებლობისათვის მთავრობას გამოყოფილი ჰქონდა 1800000 მან.[14].

1937 წელს აიგო 115 ოდა სახლი 230 ოთახით (სათავსებით). მშენებლობის პროცესში იმყოფებოდა კიდევ 70 სახლი. ყველა ჩამოსახლებულ ოჯახს

---

[10] ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქ. 1026, ფურც. 142.
[11] გაზ. „კომუნისტი“, 1935 წლის 17 იანვარი.
[12] სსცია, ფ. 525, ანაწ. 1, საქ. 470, ფურც. 21.
[13] იქვე, ფურც. 27.
[14] გაზ. „კომუნისტი“, 1936 წლის 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლთან ერთად ეძლეოდა 0,5 ჰექტარი საკარმიდამო ფართობი, რომელიც 3—4 წლის განმავლობაში უნდა გადაექციათ ციტრუსოვანთა ბაღნარად[15].

მთავრობა დიდ შეღავათებს აძლევდა და დახმარებას უწევდა კოლხეთის დამშრალ ტერიტორიებზე დასახლებულთ. სახლების ღირებულება მათ 10 წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ. მათვე ეძლეოდათ კრედიტის წესით (4 წელიწადში გადახდის ვადით) — თითო მეწველი ძროხა. გარდა ამისა, მთავრობის დადგენილებით ახალჩამოსახლებულები ღებულობდნენ ერთდროულ ფულად დახმარებას და 3 წლის განმავლობაში განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან.

„საქმემსს“ მრავალი განცხადება მოსდიოდა ცხაკაიას, ბანძის, კულაშის, ვანის, სუჯუნის, ქუთაისისა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ მშრომელ ებრაელთაგან, რომლებიც თხოულობდნენ კოლხეთში დასახლებას[16]. ამ მიზნით 1937 წლის 11 მარტს ონის რაიონიდან მშრომელ ებრაელთა სპეციალური დელეგაცია ეწვია „საქმემსის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარეს რ. ელიგულაშვილს. საუბარში დელეგაციის წევრმა იაკობ ხახიაშვილმა განაცხადა: „ონში ებრაელთა 350 ოჯახი სახლობს, აქ სახნავ-სათესი მიწის დიდი სიმცირეა, ამიტომ ბევრი მათგანი დღიური შრომით ირჩენს თავს. კოლხიდაში გადასახლებისა და დასახლების ამბავმა ჩვენში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. 80-მა კომლმა გადასახლების სურვილი გამოთქვა. მთავრობის დიდი დახმარება და შეღავათები, კოლხიდის ნოყიერი მიწა და საკოლმეურნეო შრომა — ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას უკეთესად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება“[17]. სოფ. ბანძაში მცხოვრები აარონ იაკობის ძე აჯიაშვილის განცხადებაში (1937 წ. 7.III) ნათქვამია: „ჩვენ გვსურს გადავიდეთ სოფ. ბანძიდან ახალ სოფელ კოლხიდაში მთელი ოჯახის შემადგენლობით. ჩემი ოჯახი შედგება 7 სულისაგან, რომელნიც მუშა ხელით ვითვლებით 4 სულისაგან. 1. თვით მე, 2. ჩვენი ოჯახობა რუთი, 3. ქალიშვილი მირიამი 16 წლის, 4. ვაჟი იაკოფი 14 წლის, დანარჩენი 3 კი მცირეწლოვანებია. ამისათვის გთხოვთ, რომ ეს ჩვენი თხოვნა გაარჩიოთ და მიგვიღოთ, რადგანაც გვინდა და გვწადია, რომ მოვკიდოთ პატიოსან მუშაობას ხელი და ვიცხოვროთ ჩვენი შრომით... განვიცდით აუტანელ მდგომარეობას, რადგან არა გვაქვს არავითარი წყარო და თანაც მომავალი გვიქადის უარეს მავალითებს. აღმოგვიჩინეთ დახმარება და ნუ დაგვარჩენთ ამ უმწეო მდგომარეობაში“[18].

პირველად კოლხეთის ახალდასახლებულთა სოფელში გადავიდნენ ბანძელი ებრაელები (150 სული). მათ გადასაყვანად მობილიზებული იყო 38 ავტომანქანა. ახალდასახლებულთა სოფელში გაიმართა საზეიმო მიტინგი; მოწვეული იყვნენ წარმომადგენლები საქართველოს ებრაელთა კოლმეურნეობებიდან; თბილისიდან გაიგზავნა კინოქრონიკისა და გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები. კოლმეურნეებს ჩააბარეს ბინის გასაღებები (თითოეული ბინა იყო ოროთახიანი, სამზარეულოთი და აივნით). საზეიმო მიტინგის მონაწილეთა მისალმებაში, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისადმი, ნათქვამია: „დღეს თქვენი ინიციატივით ამოშრობილ კოლხიდის დაბლობზე დასახლდა ქართველ ებრაელთა პირველი სოციალისტური სოფელი. ჩვენთვის კოლ-

15 სსცია, ფ. 525, ანაწ. 1, საქ. 470, ფურც. 28.
16 გაზ. «Правда», 1937 წლის 27 მარტი.
17 გაზ. „კომუნისტი“, 1937 წლის 16 მარტი.
18 სსცია, ფ. 525, ანაწ. 1, საქ. 670, ფურც. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდის ველზე შექმნილია შეძლებული და ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრების ყოველგვარი პირობები... სიტყვას ვიძლევით, რომ მთელს ჩვენს ძალას და ენერგიას მოვახმართ საკოლმეურნეო სოფლის აყვავების საქმეს. ხოლო საჭიროების შემთხვევაში მთელს ჩვენს სიცოცხლეს შევწირავთ ჩვენს დიად და უძლეველ სამშობლოს დაცვას"[19].

1937 წლის ზაფხულში მშრომელ ებრაელთა ამ ახალ სოფელში უკვე 503 ებრაელი ცხოვრობდა — ონიდან, ბანძიდან, ვანიდან, კულაშიდან და სხვა რაიონებიდან[20]. სოფელში გაიყვანეს წყალსადენი, ააშენეს 4-წლიანი სკოლა, საბავშვო ბაგა და საექიმო ამბულატორია[21]. ახალდასახლებულებმა ჩამოაყალიბეს კოლმეურნეობა. კოლხეთის მიწაზე კარგად გაიხარა მათ მიერ დარგულმა მანდარინმა და გრეიპფრუტმა, ნაძვებისა და კიპარისის ხეებმა.

მოკლე დროში გაშენდა პატარა ფოთის ახალდასახლებულთა სოფელი. პატარა ფოთი დაამშვენა სწორმა მოკირწყლულმა გზატკეცილმა, კოხტად ნაგებმა ოდებმა, ორსართულიანმა კაპიტალურმა სასკოლო შენობამ, სამედიცინო პუნქტმა, სამშობიარო სახლმა, სახერხმა ქარხანამ, საბავშვო ბაგა-ბაღმა; სოფელში აიგო კლუბი და სამკითხველო. 1939 წლის ბოლოსათვის დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან (გეგეჭკორი, ჭიათურა) პატარა ფოთში ჩამოსახლდა 162 ოჯახი. მათ წილად ხვდათ ბედნიერება განახლებული კუთხის ნოყიერი ნიადაგიდან მიეღოთ პირველი უხვი მოსავალი[22]. საინტერესო სანახავი იყო ახლად დასახლებული პატარა ფოთი, სადაც სტანდარტული სახლები გეგმის მიხედვით იყო განლაგებული. თითოეულ ოჯახს მიზომილი ჰქონდა საკარმიდამო ნაკვეთი 0,25 ჰექტარის რაოდენობით. შუა ეზოში იდგა კრამიტით გადახურული ორთვლიანი ხის ოდა-სახლი ფართო აივნითა და ბუხრიანი ოთახებით. სახლის უკან განლაგებული იყო დამხმარე ნაგებობანი; ეზოში დარგული ჰქონდათ ნარინჯები. დასახლებისას მთავრობამ კოლმეურნეებს დახმარების სახით მისცა 700 მან. ძროხის შესაძენად, 18 ფუთი სიმინდი და სხვ.[23]

პატარა ფოთში გაიყვანეს ელექტროგანათება, წყაროს წყალი. წარსულს ჩაბარდა უგზოობაც. სოფელი ქ. ფოთს დაუკავშირდა რკინიგზითა და გზატკეცილით. სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს თხოვნა და პატარა ფოთის რკინიგზის სადგურს უწოდა „კოლხიდა". განახლებული კოლხეთის სადგურებს შორის ჩადგა ახალი კოლხეთის პირმშო — რკინიგზის სადგური კოლხიდა[24]. ახალი სოფელი ყოველწლიურად იზრდებოდა რიცხობრივად და ტერიტორიულად. საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან სისტემატურად ჩამოდიოდნენ აქ საცხოვრებლად. 1941 წლისათვის პატარა ფოთში დასახლებული იყო 187 კომლი, რომელთაგან მხოლოდ 15 იყო მკვიდრი[25]. ახლად დასახლებული ა. თოდუა წერდა: „მე ჩემს სალხინოელ მეზობლებთან ერთად უდიდესი სიხარულით ვიწყებ ცხოვრებას ამ ახალ სოფელში, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაყოფიერი მიწა და ყოველდღიური დახმარება, რო-

[19] სსცია, ფ. 525, ანაწ. 1, საქ. 670, ფურც. 127.
[20] გაზ. „კომუნისტი", 1937 წლის 27 ივლისი.
[21] სსცია, ფ. 525, ანაწ. 1, საქ. 589, ფურც. 164.
[22] გაზ. „კომუნისტი", 1939 წლის 26 ოქტომბერი.
[23] გაზ. „კომუნისტი", 1940 წლის 25 თებერვალი.
[24] გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი", 1941 წლის 6 მაისი.
[25] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 13 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ჩვენ გვიწევს პარტია და მთავრობა, შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო შეძლებულად და კულტურულად ვიცხოვროთ"[26].

საცხოვრებელი სახლები შენდებოდა, აგრეთვე, სოფ. ნაბადაში — 50 სახლი, საჯოჯუოში — 70 სახლი, საბაჟოში — 200 სახლი. ხობის რაიონში ხორგის ასახვევთან 1941 წელს გათვალისწინებული იყო ახალშენის მოწყობა 430 სახლით[27].

ორგანიზებულ დასახლებასთან ერთად, ხშირად ცალკეული გლეხი და მუშაც ჩამოდიოდა დასასახლებლად, რომლებიც თხოვნით მიმართავდნენ „კოლხიდმშენის" დირექციას, მათთვის ინდივიდუალური ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე. 1937 წლის 4 აპრილს მოქ. მ. ა. კრატი გაზ. „პრავდის" რედაქციაში გაგზავნილ განცხადებაში, სურვილს გამოთქვამდა თავისი ოჯახით მუდმივ საცხოვრებლად გადასულიყო გელენჯიკის რაიონიდან კოლხეთში[28]. 1940 წელს კოლხეთის ამომშრალ მიწებზე დასახლდნენ კოლმეურნეები ლაგოდეხის რაიონიდან და სხვ.[29]

ყველა ახალდასახლებულთა ოჯახები კოლხეთში სარგებლობდნენ მთავრობას მიერ დაწესებული შეღავათებით. კოლხეთის ამომშრალ მიწებზე დასახლებულთათვის დაწესებული იყო მნიშვნელოვანი შეღავათები. ამ დადგენილებით კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი განთავისუფლდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 3 წლით (ერთპიროვნული მეურნენი — 2 წლით); ასევე მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კარაქის, მატყლის ჩაბარებისაგან, ბოსტნეულის კონტრაქტაციისაგან 2 წლით (ერთპიროვნული მეურნენი — 1 წლით)[30].

გარდა ჩვენ მიერ აღნიშნული სოფლებისა კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოთა ტერიტორიაზე არსებულ მცირემოსახლეობიან სოფლებში შესახლებით და ახალ საკოლმეურნეო სოფლებად დასახლებით შეიქმნა ახალი კეთილმოწყობილი სოფლები — ხობის წყლის ნაპირებზე, რკინიგზის გასწვრივ: ყორათი, ნოჯიხევი, ახალი ხორგა, ჭალადიდი, ნაბადა და სხვ. გარდა ამისა, პირველი რიგის სამუშაოთა ტერიტორიაზე ჩატარდა ათიათასამდე საკოლმეურნეო კომლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია და ხუთი ათასი ახალი კომლის დასახლება[31].

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს ის სიკეთე, რაც მოუტანა ჩვენს ხალხს კოლხეთის ჭაობების ამოშრობამ. კოლხეთის მელიორაციამ ჩვენს რესპუბლიკას შემატა ახალი უხვმოსავლიანი მიწები. მან ხელი შეუწყო მიწის ნაკლებობის შემცირებას, რასაც მწვავედ განიცდიდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა; საგრძნობლად გაიზარდა სასარგებლო მიწის ფართი, რომელზედაც შეიქმნა მეურნეობის განვითარების ნორმალური პირობები.

---

[26] გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი", 1938 წლის 21 აპრილი.

[27] სსცია (ქუთაისი), ფ. 333, ანაწ. 1, საქ. 18, ფურც. 17, 18.

[28] იქვე.

[29] იქვე, საქ. 15, ფურც. 27.

[30] იქვე, ფ. 600, ანაწ. 1, საქ. 3903, ფურც. 6.

[31] ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, კოლხეთის დაბლობის მელიორაციის და სამეურნეო ათვისების შედეგები, ჟურნ. „მნათობი", № 4, 1951, გვ. 115.

წარმოადგინა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიული ალასანია

ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის

ქართული საისტორიო წყაროები ღარიბია თარიღებით, ხოლო მკვლევრის განკარგულებაში მყოფი მცირე ქრონოლოგიური მასალაც ყოველთვის სანდოდ არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამის გამო საქართველოს ისტორიის ბევრი საყურადღებო ფაქტის დათარიღება შემდგომ კვლევას საჭიროებს.

საინტერესოა ამ მხრივ ბასიანის ბრძოლის თარიღი — საკითხი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში რამდენიმე ავტორი შეეხო საგანგებოდ[1]. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ დამატებით მონაცემს ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, აგრეთვე, თარიღის ირგვლივ გამოთქმული ვარაუდებისა და მათი საფუძვლიანობის კიდევ ერთხელ გადასინჯვა.

აზრი იმის შესახებ, რომ ბასიანის ბრძოლა წინ უსწრებდა ტრაპიზონის საკეისროს შექმნასა და ყარსის აღებას, ამჟამად უარყოფილია. ამოდიან რა რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღისა[2] და მისი წინა მოვლენებიდან, მკვლევარნი ბასიანის ბრძოლას ძირითადად 1202 და 1203 წლებით ათარიღებენ. ამდენად, დაპირისპირება ამ ორ თარიღს შორის უნდა მოხდეს. შევეცდებით წარმოვადგინოთ საფუძვლები, რომლებსაც ემყარება თითოეული მათგანი.

მ. ბროსესათვის მთავარი არგუმენტი რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღი იყო: „რადგან სულთანი 600 (1203/4) წელს გარდაიცვალა, ქართველების გამარჯვებაც დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო“, — წერდა იგი. შემდეგ მკვლევარი თითქოს ეწინააღმდეგება თავისავე მოსაზრებას და აღნიშნავს: იმ მოვლენათა მიხედვით, რომლებიც წინ უსწრებდა ამ ბრძოლას, 1202 წლამდე მივედიო. ამგვარ მსჯელობას მ. ბროსე ისევ პირველი ვარაუდით ამთავრებს: „მაინც არა მგონია, რომ რუქნ ად-დინის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრად უფრო ადრე იყო, ვიდრე ვთქვი“, ე. ი. ვიდრე 1203/4 წელს[3]. მ. ბროსეს აზრს არ დაეთანხმა თ. ჟორდანია. ისევე როგორც მ, ბროსეს, უშუალო საბუთი არც თ. ჟორდანიას გააჩნდა და იგი მსჯელობით მივიდა 1202 წლამდე. რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღს მან შემდეგი არგუმენტი დაუმატა: „1203 წელს იკონიის სახელმწიფო მისუსტებულა და ფრანგთა გავლენის ქვეშ ჩავარდნილა. ძნელი დასაჯერებელია, რომ 1203 წელს და

---

[1] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული მეხოტბენი, II, თბ., 1964, გვ. 112; ა. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კრებული „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 119; ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, № 1, გვ. 134—139.

[2] თანამედროვე ისტორიოგრაფიაში რუქნ ად-დინის ზეობა 1196—1204 წწ. ისაზღვრება. (T. Yılmaz Öztuna, Türkiye Tarihi, Ankara, 1964, გვ. 101, 102; მ ი ს ი ვ ე, Resimlerle Türkiye Tarihi, Yst., 1970, გვ. 35; Osman Turan, Selcuklar Tarihi ve Türk Islam Medenyeti, Ankara, 1965, გვ. 206; Islam Ansiklopedisi, 11, Ist., 1970, გვ. 229; К. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, გვ. 178).

[3] M. Brosset, Histoire de la Géorgie, S-Pb., 1849, ტ. I, გვ. 463; მ. ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1895, გვ. 368.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შემდეგ როკნ-ედ-დინს თამარ მეფეზე გალაშქრება გაებედოს"[4] ... დათარიღებას (1202 წელს) იზიარებს დ. კარიჭაშვილიც[5], თუმცა წყარო, რომელსაც იგი ეყრდნობოდა, ჩვენთვის უცნობია. ი. ლოლაშვილი არჩევანს 1205—6 წლებსა და 1203 წელს შორის აკეთებს. დასაბუთებაც სავსებით საკმარისია, როდესაც იგი უპირატესობას 1203 წელს ანიჭებს: რუქნ ად-დინი „ისტორიკოსთა ცნობებით... გარდაცვლილა 1204 წელს... მაშასადამე, ქართველ-სელჩუკთა ბრძოლა ბასიანთან უნდა მომხდარიყო რუქნ ად-დინის გარდაცვალებიდან ერთი წლით ადრე მაინც"[6]. დაახლოებით იმავე წანამძღვრებიდან ამოდის ა. გამყრელიძეც, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს როგორც 1202, ასევე 1203 წელს[7]. ბ. სილაგაძის მიზანს, როგორც ჩანს, არ წარმოადგენდა ამ ფაქტის ზუსტი თარიღის დადგენა. მისთვის მთავარი იყო გაერკვია, რომ ბასიანის ბრძოლა წინ უსწრებდა ტრაპიზონის იმპერიის შექმნას და ამდენად შეიძლებოდა მომხდარიყო 1203 ან 1204 წელს[8].

როგორც ვხედავთ, განხილულ მოსაზრებათაგან სავსებით ნათელი მხოლოდ ერთი რამ ხდება: ბასიანის ბრძოლა ტრაპიზონის საკეისროს შექმნისა და ყარსის აღებამდე მოხდა. უფრო ზუსტი დათარიღება კი მკვლევართა მიზანს ან არ შეადგენდა, ან მასალის სიმცირის გამო შეუძლებელი იყო.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით ბასიანის ბრძოლას სხვადასხვაგვარად ათარიღებენ ა. აბრამიანი, ა. მათევოსიანი[9] (1202 წ.) და ა. აბდალაძე (1203 წ.)[10].

მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერში ბასიანის ბრძოლის ზუსტი თარიღი არ არის ნაჩვენები. მიუხედავად ამისა, მისი შინაარსი ა. აბრამიანს ბრძოლის თარიღად 1202 წლის გაზაფხულს ავარაუდებინებს. ამავე ანდერძ-მინაწერის შედგენის დროის დასაზუსტებლად, გარდა დასაბუთებისა, ა. მათევოსიანი სტეფანოს ეპისკოპოსის ჟამთააღმწერლობის ცნობას იშველიებს: „იმავე წელს (1202) სულთანი რუქნ ად-დინი, (რომელმაც) კარნუ ქალაქი აიღო, ზაქარიამ დაამარცხა"[11].

ა. აბდალაძის აზრით, უფრო ანგარიშგასაწევია ხარბერდის სახარების ანდერძ-მინაწერი, რომლის მიხედვითაც ბასიანის ბრძოლა 1203 წლით თარიღდება. ანდერძ-მინაწერის შემდგენელი გვაუწყებს, რომ მან ამ „წმიდა სახარების" გადაწერა დაიწყო და დაასრულა 1203 წელს, და შემდეგ განაგრძობს: „ამავე წელს დასავლეთიდან მოვიდა სულთანი, დაიმორჩილა თეოდოსიოპოლი და ბრძოლა გაუმართა ქართველებს"[12]. ე. ი. ამ ცნობის მიხედვით, სულთანს თეოდოსიოპოლი, ანუ არზრუმი დაუპყრია 1203 წელს და ამავე წელს უბრძოლია ქართველებთან.

---

[4] თ. ჟორდანია, ქრონიკები, ნაწ. I, ტფ., 1892, გვ. 290—291.

[5] დ. კარიჭაშვილი, საქართველო მეთორმეტე საუკუნეში, ტფ., 1902, გვ. 135.

[6] ი. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[7] ა. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 257.

[8] ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[9] ა. აბრამიანი, რუქნ ად-დინის განადგურება, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1945, № 5—6 (10—11) (სომხურ ენაზე). ა. მათევოსიანი, სად და როდის დაიწერა მუშის მრავალთავი, „მატენადარანის მაცნე", № 9, ერევანი, 1969, (სომხურ ენაზე). ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტები გვითარგმნა ლ. დავლიანიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[10] ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[11] ა. მათევოსიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

[12] ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134, 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებთან ბრძოლის წინ რომ რუქნ ად-დინს არზრუმი დაუმოუმტკიცებულებია, ამას ყველა მემატიანე აღნიშნავს. აყსარაი გადმოგვცემს, რომ რუქნ ად-დინმა ლაშქარი შეჰყარა და საქართველოზე გალაშქრება გადაწყვიტა — ჯერ არზრუმი აიღო და თავის ძმას მოღის ად-დინ თოღრულს ჩააბარა, მერე ოცი ათასი კაცით საქართველოსაკენ გაემართა[13]. ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობითაც, „მან დაიპყრო არზრუმი და თავის ძმისწულს მისცა. იქიდან მან აფხაზეთსა და საქართველოზე გაილაშქრა“[14]. იგივეს იმეორებს იბნ ბიბიც[15] და ბოლოს, სტამბოლის დაპყრობამდე შედგენილი ერთ-ერთი თურქული ქრონიკა[16] და XVII ს-ის თურქი ავტორები ქათიბ ჩელები[17] და აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკიც[18] ამ ორ მოვლენას ერთად მოიხსენიებენ.

ამგვარად, არზრუმის დაპყრობა უშუალოდ უსწრებდა წინ ბასიანის ბრძოლას. იბნ ბიბი იმასაც კი ამბობს, თითქოს რუქნ ად-დინმა სწორედ იმიტომ გადააყენა არზრუმის მბრძანებელი ალა ად-დინ სალიკი, რომ მან ქართველებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არ ისურვაო[19].

რუქნ ად-დინის მიერ არზრუმის აღების თარიღები არ გადმოსცილდება 598 (1201/2 წ.). შერეფ-ხან ბითლისის (XVI ს.) მიხედვით, რუქნ ად-დინმა არზრუმი 596 (1199—1200) წელს დაიპყრო[20]. 597 (1200/01) წელს ვხვდებით იბნ ალ-ასირთან, აბულ-ფიდასა და რაშიდ ად-დინთან[21]. თურქული წყაროების თარიღი 598 წელია[22] (I/X, 1201—20/IX, 1202), რასაც მხარს უჭერს იბნ ბიბის თხზულების თურქული თარგმანიც[23]. თურქული წყაროების მონაცემები მცირედით სცილდება იბნ ალ-ასირის, აბულ ფიდასა და რაშიდ ად-დინის ჩვენებებს, ვინაიდან ამ ავტორთა მიხედვით, 597 წლის რამაზანში, ე. ი. 1201 წლის ივნის-ივლისში რუქნ ად-დინმა მალათია დაიპყრო, შემდეგ კი (თვე მითითებული არ არის) არზრუმი. ხოლო ჰიჯრის 598 წელი 1201 წლის 1 ოქტომბერს იწყება.

---

[13] Müsâmeret ül-ahbar, Mogollar Zamanında Türkiye Selçukluları Tarihi, Aksarayli Mehmed oğlu Kerimüddin Mahmud, Ankara, 1944, გვ. 31.

[14] Târîkhê Gozîdè par Hamd Ollâh Mostooufi Gazuînî par Juls Gantin, Tome premier, Paris, 1903. გვ. 344—345; ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ისთახრი, ჰოდუდ ად-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი, თბ., 1937, გვ. 33.

[15] H. D u d a, Die seltchukengeschichte des Ibn Bibi, Munksgaard/Kopenhagen, 1959, გვ. 35.

[16] O. T u r a n, Istanbul'un Fethinden Önce Yazılmış Tarihî Takvimleî, Türk Tarih kurumu yayınlarındans XI seri-not, Ankara, 1954, გვ. 77.

[17] გვ. 76. كاتب چلبى ، تقويم التواريخ ، قسطنطينيه ١١٤٦

[18] „ჯიჰან-ნუმას“ ერთ-ერთი გამგრძელებელი, XVII ს-ის ავტორი (გარდ. 1691 წ.).

[19] იბნ ბ ი ბ ი, გვ. 35; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 278.

[20] Ш а р а ф - х а н Б и д л и с и, Шараф-наме, пер. Р. И. В а с и л ь е в о й, М., 1967, გვ. 220. ვ. ლ უ დ შ უ ვ ე ი ტ ი ს აზრით, სელჩუკებმა არზრუმი დაახლოებით 1200 წელს აიღეს (იხ. Г о р д л е в с к и й, Избранные соч., т. I, М., 1968, вступительная статья გვ. 11).

[21] ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, ალ-ქამილ ფ̄ თ-თარიხ, კაირო, 1938, ტ. IX, (ნაჯჯარის გამოცემა), გვ. 255; A b u-l F i d a, Muhtasar fi Akhbar al-Bashar, Cairo, t. III, გვ. 100 (ცნობები მოგვაწოდა გ. ჯაფარიძემ); Р а ш и д а д - Д и н, Сборник летописей, I, 2, М.-Л., 1951, Перевод О. И. Смирновой, გვ. 14).

[22] O. T u r a n, Istanbul'un Fethinden Önce Yazilmiş Tarîhî Takvimler, გვ. 77; ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ე ბ ი, თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 76.

[23] Anadolu Selçukî Devleti Tarihi, I b n i B i b i n i n Farsça Muhtasar Selçuknâmesinden Türkçeye çeviren M. N u r i G e n c o s m a n, Notlar Ilâve Eden F. N. U z l u k, Ankara, 1941, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილული წყაროების მონაცემები ეჭვსქვეშ აყენებს „ხარბერდის ხარების“ ცნობის სარწმუნოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გადასინჯვას მოითხოვს რუქნ ად-დინის მიერ არზრუმის დაპყრობის თარიღი[24].

თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში არაბული, სპარსული, თურქული და ქართული წყაროების გათვალისწინებით ბასიანის ბრძოლა 1202 წლით არის დათარიღებული. თურქ მეცნიერებს ამ ფაქტის დამათარიღებელი რამდენიმე პირდაპირი მონაცემი აქვთ:

1. „წელი 598(1201/2) — სალიკიეს დინასტიის მოსპობა არზრუმში, დიდი მიწისძვრა ისლამის ქვეყნებში, დამარცხება სულეიმან სელჩუკისა ქართველებთან ბრძოლაში“, — ცნობას გვაწვდის XVII საუკუნის თურქი ავტორი ქათიბ ჩელები[25].

2. რუქნ ად-დინ სულეიმან სელჩუკიანმა არზრუმის ვილაიეთი დაიპყრო. როდესაც 598 (1201/2) წელს ხსენებულმა მალიქშაჰ სულეიმანმა იბრძოლა, ქართველებმა დაამარცხეს. ინფორმაცია მომდინარეობს ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმადან“, მაგრამ მისი ავტორია თხზულების გამგრძელებელი აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკი[26].

3. სელჩუკთა ისტორიის ქრონიკა ქართველებთან ბრძოლაში რუქნ ად-დინის დამარცხებას, აგრეთვე 598 წლით ათარიღებს[27].

4. XVII საუკუნის თურქ ავტორს მუნჯიბ-ბაშის, როგორც ჩანს, ხელთ რაღაც სხვა წყაროც ჰქონია. მან ამ ბრძოლის უფრო ზუსტი თარიღი იცის 598 წლის ზილკადეს თვის პირველი რიცხვები, ანუ 1202 წლის ივლისი (23-დან)[28], რაც გაზიარებულია თურქულ ისტორიოგრაფიაში. თუ მივიღებთ ამ დათარიღებას და გავიხსენებთ იოანე ბაგრატიონის, შესაძლოა, სარწმუნო მითითებას იმის შესახებ, რომ „დღე ესე იყო შაბათი, ოდეს შეიბნენ მხედრობანი თამარისა და სულთანისანი“[29], მივალთ 1202 წლის 27 ივლისამდე.

ამგვარად, ბასიანის ბრძოლის 1203 წლის დათარიღების ცდები საკმარისად არ არის დასაბუთებული. ამავე დროს თურქულ წყაროებში ნაჩვენებ თარიღს 598 (1201—2) წ. მხარს უჭერს რიგი მკვლევრებისა (მ. ბროსე, შენიშვნით, რომ მსჯელობით იგი 1202 წლამდე მივიდა, თ. ჟორდანია, დ. კარიჭაშვილი, ნაწილობრივ ა. გამყრელიძე, ა. აბრამიანი, ა. მათევოსიანი, ო. თურანი) და ზოგიერთი სომხური წყაროს ჩვენება (სტეფანოს ეპისკოპოსის ჟამთააღმწერლობა, მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერი).

---

[24] 1201 წელია მიღებული სომხურ ისტორიოგრაფიაში (История армянского народа, Ереван, 1951, ч. I, გვ. 162). თურქი მეცნიერები ჰ. ინალჯიკი და ო. თურანი არზრუმის აღების თარიღად, აგრეთვე, 1201 წელს სდებენ (Halil Inalcık, Erzurum, IE, v. II, London—Leyden, 1962, გვ. 712; O. Turan, Selcuklar Tarihi ve Türk Islam, Medeniyeti, გვ. 269; მისივე, Selcuklular ve Islamiyet, Ist., 1971, გვ. 51).

[25] ქათიბ ჩელები, თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 76.

[26] ჯიჰან-ნუმა, გვ. 427.

[27] O. Turan, Istanbul'un Fethinden Önce Yazılmış Tarihî Takvimler, გვ. 77; O. Turan, Selçuklular Zamanında Türkiye, Istanbul, 1971, გვ. 254—259.

[28] Islam Ansiklopedisi, c. 11, გვ. 228, 229.

[29] იოანე ბაგრატიონი, ისტორია ქართლისა, საქართველოს მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი. H 2134, ფ. 640.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ შენგელია

იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ

საქართველოსა და მცირე აზიის სელჩუკების ურთიერთობის ისტორიის საკითხები თითქმის შეუსწავლელია საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. საკითხის ისტორიისათვის არაერთი პირველხარისხოვანი ცნობა მოიპოვება აღმოსავლურ, დასავლურ და ქართულ (დოკუმენტურ, ნარატიულ) ძეგლებში. ქართული წყაროები საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან საკუთრივ სელჩუკთა სახელმწიფოების სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესასწავლადაც.

საქართველოსა და სელჩუკების ისტორიული ურთიერთობის გასაშუქებლად აღმოსავლურ წყაროებში მრავალი ორიგინალური ცნობაა დაცული. ზოგიერთ შემთხვევაში აღმოსავლელი ავტორები სრულიად ახალ ფაქტებსაც გვაწვდიან. ერთ-ერთი ასეთი ავტორია XIII ს-ის II ნახევრის სპარსულენოვანი ისტორიკოსი იბნ ბიბი, რომელსაც საინტერესო ცნობები აქვს შემონახული XIII ს-ის 30-იან წლებში სულთან ალა ად-დინ ქეიყობადსა (1219—1237) და საქართველოს დედოფალ რუსუდანს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. წინამდებარე წერილში სწორედ იბნ ბიბის მონაცემებზეა გამახვილებული ყურადღება. იბნ ბიბის თხზულება ძვირფასი წყაროა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის საკითხების შესასწავლად. მასში წარმოდგენილია მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები XII ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან XIII ს-ის 80-იან წლებამდე. მას, როგორც წყაროს, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მოსაზღვრე ქვეყნების, კერძოდ, ამიერკავკასიის, ბიზანტიისა და სხვათა ისტორიისათვის.

იბნ ბიბის თხზულების ღირებულებას ზრდის ისიც, რომ მასში დაცული ცნობების მნიშვნელოვანი ნაწილი იმდროინდელ სხვა ავტორთა თხზულებებში არ გვხვდება. მასში მოიპოვება მრავალი ცნობა, რომლებიც დღემდე სრულიად უცნობი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში.

იბნ ბიბის თხზულება მეცნიერებაში პირველად ცნობილი გახდა მაშინ, როდესაც ფრანგმა ორიენტალისტმა კ. შეფერმა გამოაქვეყნა სპარსული ტექსტის ნაწყვეტი ფრანგული თარგმანით ამ თხზულების შემოკლებული და გადაკეთებული ვარიანტიდან[1]. შემდეგ ჰოლანდიელმა მეცნიერმა თ. ჰაუცმამ თურქულ და სპარსულ ენებზე გამოსცა მისი შემოკლებული ვარიანტები[2].

---

[1] Quelques chapitres de l'abrègè du Seldjouqnaméh, composè par l'Emir Nassir Eddin Yahia; M. Charles Schefer, Publications de l'Ecole des Langues Orientales Vivantes, 1889, III serie, vol. V, გვ. 3—102.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსული დედნის ერთადერთი სრული ნუსხა ინახება სტამბოლში, ტოპ-ყაპის ფიის მუზეუმში, სათაურით: „Kitab al-Avamır al-Alá'ıya fi'l-Umur al-Alá'ıya" („უმაღლესი ბრძანებულებანი უდიდებულესი საქმეების შესახებ", № 2985, გვ. 744). იგი ორჯერ (1945, 1956) გამოიცა სტამბოლში. ამ თხზულების სრული ტექსტის გერმანულ თარგმანზე 1932 წლიდან მუშაობდა ავსტრიელი მეცნიერი ჰერბერტ დუდა, რომელმაც 1959 წ. გამოსცა კიდეც[3].

იბნ ბიბის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. მისი დაბადების თარიღი უცნობია. იგი სულთან ალა ად-დინ ქეიყობადის სულთნობის წლებში უნდა იყოს დაბადებული[4]. ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ფრაგმენტულ ცნობებს ისევ მის თხზულებაში ვპოულობთ. მისი სრული სახელია: ჰუსეინ იბნ მუჰამედ იბნ ალი ალ-ჯაფარი არრუღადი[5]. მეჰმედ ფუად ქოფრულუსა[6] და მუკრიმინ ჰალილ ინანჩის[7] მიხედ-

---

[2] M. Th. Houtsma, Recueil de textes relatifs à l'histoire des Seldjoucides, vol. III, Partie I; Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure d'après abrégé du Seldjouknameh d'Ibn Bibi, Leide, 1891, texte turc, premiere partie, vol. IV; Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure d'après abrègè du Seldjouknameh d'Ibn-Bibi, Leide, 1902, texte persan.

ამ ნუსხის ტექსტი, რომელიც თ. ჰაუცმამ გამოსცა 1891 წ., 1423 წ. თურქულად თარგმნა, გადააკეთა და შეამოკლა XV ს-ის პანეგირისტმა იაზიჯი ოღლუ ალიმ და უწოდა „სელჩუკ-ნამე" ანუ „ოღუზ-ნამე". მან ეს გადაკეთებული ვარიანტი მიართვა ოსმალეთის სულთანს—მურად II (1421—1451). იაზიჯი ოღლუ ალის მიერ დედნიდან თურქულად ნათარგმნი, შემოკლებული და შევსებული ვარიანტის ხელნაწერები ინახება: ანკარის, სტამბოლის, ბერლინის, ლეიდენის, პარიზის, მოსკოვის, ლენინგრადის სიძველეთსაცავებში.

ამ მოკლე, თურქული ვარიანტიდან კ. შეფერის მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტის ზოგიერთი ადგილის რუსული თარგმანი დაბეჭდა პ. მელიორანსკიმ (П. М. Мелиоранский, Сельджук-намэ, как источник для истории Византии в XII и XIII веках, «Византийский Временник», т. I, вып. 3—4, 1894, СПб, გვ. 613—640.

იაზიჯი ოღლუს თხზულების გამოქვეყნება ცადა თურქმა მეცნიერმა იაზიქსიზმა (+1935), მაგრამ ვერ განახორციელა. 1941 წ. იგი თარგმნა ნური გენჯოსმანმა თურქულად და ლათინიზებული შრიფტით გამოაქვეყნა (იხ. Anadolu Selcuki Devleti Tarihi, Ibn Bibi 'nin Farsça Muhtasar Selçuknamesinden Türkçeye Çeviren M. Nuri Gencosman, Notlar Ilave Eden F. N. Uzluk, Ankara, 1941, შემდეგში: Ibn Bibi).

თ. ჰუთსმას მიერ გამოცემული სპარსული ტექსტიდან პროფ. ა. იაკუბოვსკიმ გამოაქვეყნა წყაროს იმ ადგილების შინაარსი, სადაც საუბარია სელჩუკთა ლაშქრობებზე სუდაკზე, ყივჩაღებსა და რუსებზე (იხ. А. Якубовский, Рассказ Ибн ал-Биби о походе малоазиатских турок, на Судак, Половцев и Русских в начале XIII в., Черты из торговой жизни половецких степей, «Византийский Временник», XXV, 1928).

თ. ჰუთსმას სპარსული, შემოკლებული დედანი ინახება პარიზში (№ 1536). თ. ჰუთსმას მიერ გამოქვეყნებული თურქული და სპარსული ტექსტების გაანალიზების საფუძველზე საინტერესო შენიშვნები აქვს გაკეთებული აკად. ვ. გორდლევსკის, იხ. В. А. Гордлевский, Из комментариев к староосманскому переводу хроники Малоазиатских Сельджукидов, так называемой хроники Ибн-Биби, Избранные сочинения, II, М., 1961, გვ. 160—173.

[3] H. W. Duda, Die Seltschukengeschichte des Ibn Bibi, Kitāb al-Avamir al-Alaı'ya fi'l-Umur al-Ala'ıya, Munksgaard/Kopenhagen, 1959.

[4] Х. М. Мусаев, Сочинение Ибн Биби «Аль-авамир аль-алаийя фил-умур аль-алаийя», как источник по истории Анатолийских Сельджуков, Автореферат, Баку, 1972, გვ. 5; А. Якубовский, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[5] Х. М. Мусаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[6] M. F. Köprülü, Anadolu Selçuklularí Tarihinin Yerli Kaynakları, Belleten, c. VII, S. 27, Ankara, გვ. 388.

[7] M. H. Yinanç, Türkiyenin Tarihi Selçuklular Devri, I, Anadolunun Fethi, Istanbul, 1944, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით, იბნ-ბიბის სრული სახელია: ჰუსეინ ბ. მუჰამედ ალ-მუნში ალ-ჯაფარი (حسين بن محمد المنشى الجعفرى).

იბნ ბიბის მშობლები სასახლესთან დაახლოებული პირები ჩანან. დედა — ბიბი შუნეჯიმე, ასტროლოგი იყო[8], მამა კი — თარჯიმანი და დიპლომატი. ჯელალ ად-დინ ხორეზმშაჰის გარდაცვალების შემდეგ, ალა ად-დინ ქეიყობადის მიწვევით, იბნ ბიბის მშობლები კონიაში დამკვიდრებულან. სელჩუკი სულთნის კარზე ისინი ჩქარა დაწინაურებულან და მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთი გარემო იბნ ბიბის საუკეთესო პირობებს უქმნიდა, როგორც ისტორიკოსს. იგი თავის თხზულებას მონღოლთა ბატონობის შემდგომ პერიოდში, კერძოდ, XIII ს-ის 80-იან წლებში წერდა. იბნ ბიბი მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში მონღოლთა წარმომადგენლის — ალა ად-დინ ათა მალიქ ჯუვეინის დავალებას ასრულებდა და კარგად იცნობდა ქვეყნის პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ვითარებას.

იბნ ბიბი ყოველთვის ობიექტური არ არის მოვლენების გადმოცემისას. იგი თავისი თვალსაზრისით უდგება რომელიმე სელჩუკი სულთნის მოღვაწეობის საკითხს[9]. ფაქტების აღწერისას იგი არასოდეს არ უთითებს წყაროს. იბნ ბიბის თხზულება ძირითადად მაინც ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობა, რამდენადაც იგი იყენებს ცალკეულ ადგილებს ზაჰირ ფარაიბის, ნიზამის, შეჰაბ ად-დინ სუჰრავერდის ნაშრომებიდან[10]. ალბათ ამის გამოცაა, რომ მისი თხზულება საკმაოდ მაღალფარდოვანია და ინტერესით იკითხება.

უეჭველია, იბნ ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის პერიოდის ამბების აღწერისას უფროსი თანამედროვეების ცნობებსაც ემყარება. იბნ ბიბი საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს ალა ად-დინ ქეიყობადის ხანის მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას. ეს ბუნებრივიცაა. ალა ად-დინ ქეიყობადის სულთნობის ხანა ყველაზე ბრწყინვალე პერიოდია მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიაში. მის დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქვეყნის საზღვრები და გაიშალა ფართო აღმშენებლობითი და კულტურული საქმიანობა. სწორედ ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს მახლობელ აღმოსავლეთში. ამ პერიოდში იწყება მონღოლთა შემოსევები; ამ ხანებში მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში დათარეშობდა მონღოლთაგან ლტოლვილი ჯელალ ად-დინ ხორეზმშაჰი. იბნ-ბიბი, სავსებით კანონზომიერად, ალა ად-დინ ქეიყობადის ხანის მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის გადმოცემისას დიდ ადგილს უთმობს მონღოლებთან ურთიერთობის საკითხებს. თავისი მოღვაწეობის პერიოდში ალა ად-დინ ქეიყობადმა არაერთგზის ილაშქრა ხმელთაშუა ზღვის აუზში და დაეპატრონა იმ სტრატეგიულ პუნქტებს, რომლებსაც სელჩუკებისათვის სამხედრო და სავაჭრო-ეკონომიური თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ.

იბნ ბიბი თავის თხზულებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ალა ად-დინ ქეიყობადის საქმიანობას. მისი ცნობები სანდოა და საუკეთესო წყაროდ ითვლება მცირე აზიისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის.

---

[8] სახელი „იბნ ბიბი" („ქალბატონის ვაჟი") მას დედისაგან აუღია.

[9] В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, Избранные сочинения, т. I, М., 1960, გვ. 34.

[10] Х. Мусаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობელ აღმოსავლეთში ხვარაზმელთაგან მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების შემდეგ ალა ად-დინ ქეიყობადი სისტემატურ თავდასხმებს აწარმოებდა ამიერკავკასიის მიმართულებით. იბნ ბიბი სხვა ამბების გადმოცემისას შენიშნავს: როდესაც სულთანმა ხვარაზმელები დაამარცხა, მისი მოკავშირე არზრუმის გამგებელიც დასაჯა და არზრუმი ხელთ იგდო; ერთი თვის შემდეგ მელიქ აშრაფი სომხეთის წინააღმდეგ სალაშქროდ მოამზადა და ოლთისი და საქართველოს რამდენიმე ციხესიმაგრე მას სამფლობელოდ დაუტოვა. მელიქ აშრაფმა სომხეთის ვილაიეთისკენ გამგზავრების ბრძანება ითხოვა. სულთანმაც მისცა ნებართვა და მელიქ აშრაფი სომხეთში — ხლათისკენ, გაემართა სალაშქროდ[11].

მაშასადამე, როდესაც ალა ად-დინ ქეიყობადი მელიქ აშრაფს სომხეთში სალაშქროდ აგზავნიდა ხვარაზმელების წინააღმდეგ, საქართველოს სამხრეთი პროვინციები — ოლთისი და რამდენიმე ციხესიმაგრე, სელჩუკებს ჰქონიათ მიტაცებული. საქართველოს ციხესიმაგრეებს სელჩუკი სულთანი თავის ერთერთ მხედართმთავარს — მელიქ აშრაფს, უბოძებდა სამფლობელოდ, ალბათ, იკტას წესით. ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ცნობილი რიდის მიიტაცა სელჩუკმა სულთანმა ოლთისი და სხვა ქართული ციხეები, რომელსაც იგი აბოძებდა. საამისო ცნობები ჩვენ ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება. მხოლოდ ირანელი ანონიმი ავტორი სულ ერთი წინადადებით გადმოგვცემს სელჩუკთა ჯარის საქართველოში გალაშქრებისა და ოთხი ციხის აღების ამბავს. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ციხეები იყო სწორედ ის ადგილები, რომელსაც სელჩუკი სულთანი მელიქ აშრაფს უბოძებდა ოლთისთან ერთად. მაგრამ ანონიმი ავტორი არ უთითებს, როდის მიიტაცეს სელჩუკებმა ეს ციხეები.

ანონიმი ავტორის ცნობით, როდესაც სულთანმა ანატოლიის ტერიტორიის ნაწილი დაიპყრო, აიღო კაჰთასა და ჩემიშქეზექის მხარეები, დიარბექირი, და სხვა ციხეები, „იქიდან ჯარი საქართველოს მხარისკენ დაძრა. ქართველი მბრძანებელი ერგუ(?) დაამარცხა, ოთხი ქალაქი წაართვა“[12]. საფიქრებელია, რომ საქართველოს წინააღმდეგ სელჩუკთა თავდასხმებს ადგილი უნდა ჰქონოდა ხვარაზმელთა დამარცხებამდე (1231 წლამდე) და ალა ად-დინ ქეიყობადის მიერ ანატოლიაში მთელი რიგი მხარეების — კაჰთას, ჩემიშქეზექის, დიარბექირის, ჰაჰუსა და სხვა ციხეების დაპყრობის შემდეგ. ეს ტერიტორიები კი სელჩუკმა სულთანმა დაიპყრო 1226 წლისათვის[13]. მაშასადამე, სელჩუკებს ოლთისი და სხვა ქართული ციხესიმაგრეები 1226 წლიდან 1231 წლამდე უნდა დაეპყროთ.

ამიერკავკასიიდან ხვარაზმელთა განდევნის შემდეგ იწყება მონღოლთა შემოსევები მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში, რომელმაც სულ ერთიანად შეცვალა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა მდგომარეობა. მონღოლთა მოსალოდნელი თავდასხმებით შეშინებული ხვარაზმელთა სულთანი წინადადებით მიმართავდა ალა ად-დინ ქეიყობადს, მელიქ აშრაფსა და ხალიფას, შეკავშირებულიყვნენ და მომზადებულიყვნენ თავდასხმების მოსაგერიებლად. ხვარაზმელთა სულთანი მათგან დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ბოლოს მონღოლთაგან დევნილი ხვარაზმშაჰის ძალები განადგურებულ იქნა.

[11] Ibn Bibi, გვ. 161—162.

[12] Anadolu Selçukluları Devleti Tarihi, III, Ankara, 1952, გვ. 30.

[13] O. Turan, Keykubad I, Islâm Ansiklopedisi, cüz 62, 1954, გვ. 650; მისივე, Selçuklular Zamanında Türkiye, Istanbul, 1971, გვ. 347—351.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯელალ ად-დინის დაღუპვის შემდეგ თათართა მთავარ მოწინააღმდეგენ საქართველო და რუმი რჩებოდნენ. ამ უკანასკნელს თათრები ჯერ კიდევ ხვარაზმელთა დევნის ჟამს მიუახლოვდნენ, მაგრამ რუმზე ლაშქრობამდე ბრძოლის დიდი გზა უნდა გაევლო მტერს“[14]. მონღოლები მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს თანდათანობით უახლოვდებოდნენ. თუ ხვარაზმელთა განადგურებამდე ალა ად-დინ ქეიყობადი წარმატებით ამყარებდა კონტაქტს მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან და მათ შორის ერთ-ერთ უძლიერეს განმგებლად ითვლებოდა, ამიერიდან მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მეზობლები მონღოლებს დაეპყრო, მათ დაეკავებინათ ხლათი, დიარბექირი, მალათია, ჰარფუთი და მაიაფარიკინამდე თავიანთი ძალაუფლება გაევრცელებინათ. მონღოლები დიდი წარმატებით იპყრობდნენ მთელ რიგ ტერიტორიებს მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში.

მონღოლთა შემოსევები მცირე აზიაში გარდუვალი ჩანდა. ისინი უკვე სელჩუკებს უშუალოდ გამეზობლებოდნენ. ყოველდღიურად მოსალოდნელი იყო მონღოლთა თავდასხმები. იბნ ბიბის ცნობით, 629 წელს (1231 წ.) მონღოლთა ლაშქრის ერთი ნაწილი ნოინ ჩორმაღანის მეთაურობით სივასის სანახებში ფუსერის მშვიდობიან მოსახლეობას თავს დაესხა. ეს როგორც კი გაიგო ალა ად-დინ ქეიყობადმა, მაშინვე ბრძანა ქემალ ად-დინ ქამიარის მეთაურობით სელჩუკთა ლაშქარი სასწრაფოდ გამგზავრებულიყო მონღოლთა წინააღმდეგ[15].

ამირ ქემალ ად-დინ ქამიარი მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით სივასისაკენ გაემართა. როგორც კი მივიდნენ სივასთან, გაირკვა, რომ მონღოლებს დაეტოვებინათ აქაურობა და უკან გაბრუნებულიყვნენ. იბნ ბიბის ცნობით, ქემალ ად-დინ ქამიარი მონღოლებს დაედევნა და არზრუმამდე სდია. აქ კი ჩაშნიგირ მუბარიზ ად-დინის ძალებს შეუერთდა. ქემალ ად-დინ ქამიარის ძალებმა ვერაფერი დააკლეს მონღოლებს. მან აქ ცნობა მიიღო, რომ მონღოლები უკუქცეულიყვნენ[16]. სელჩუკი სულთნის ასეთი სწრაფი რეაგირება მონღოლთა თავდასხმებზე და ლაშქრის გაგზავნა მათ წინააღმდეგ, აშკარად მეტყველებს, რა ცუდი წარმოდგენა ჰქონიათ სელჩუკებს მონღოლთა სამხედრო ძლიერებაზე. სელჩუკები ძალიან მალე, 1243 წელს, ქოსე დაღთან გამართულ ბრძოლაში დარწმუნდნენ, რა ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ მონღოლები.

არზრუმში მოსულმა ქემალ ად-დინ ქამიარმა კიდევ უფრო გააძლიერა თავისი სამხედრო ძალები, ჩაშნიგირ მუბარიზ ად-დინის ძალებიც შეიერთა, საფუძვლიანად მოემზადა და გადაწყვიტა საქართველოს წინააღმდეგ გაელაშქრა. ამასთან დაკავშირებით იბნ ბიბი გვაწვდის მეტად საყურადღებო ცნობას. მისი ცნობით, როდესაც ქემალ ად-დინ ქამიარი არზრუმში მივიდა, იქ დიდხანს დარჩა, ჩაშნიგირ მუბარიზ ად-დინ ჩავლისთან ერთად ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და გადაწყვიტა მონღოლების სელჩუკთა ტერიტორიაზე

---

[14] ვ. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV საუკუნეებში, თბ., 1967, გვ. 72.

[15] Ibn Bibi, გვ. 165—166. Ibn Bibi (El-Hüseyn b. Muhammed b. Alî le-Caferi-Rugedi), El-Evamirü'l-Alâ'iyye fi'l-Umuri'L-Ala 'iyye, Önsöz ve Fihristi Hazırlayan Adnan Sadık Erzi, I. Ankara, 1956, გვ. 420.

[16] Ibn Bibi, გვ. 166. Ibn-i Bibi (El-Hüseyn...), გვ. 420; O. Turan, Selçuklular Zamanında Türkiye, გვ. 375; Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikalar, Metin, Tercume ve Araştırmalar O. Turan, Ankara, 1958, გვ. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდასხმების წამქეზებლის — ქართველთა დედოფლის ქვეყანაში გაელაშ-ქრათ[17].

აქამდე ჩვენთვის გაურკვეველი იყო XIII ს-ის 30-იან წლებში ქართველების მონღოლებთან დამოკიდებულების საკითხი. ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში არ მოგვეპოვება ცნობები, რომ რუსუდან დედოფალმა წააქეზა მონღოლთა ლაშქრის მეთაურები, გაელაშქრათ მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასევე არავითარი ცნობა არა გვაქვს მონღოლთა ლაშქრის სივასში შეჭრაზე. მაგრამ ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი კონტაქტები მონღოლთა ლაშქრის მეთაურებთან, რომ ისინი წაექეზებინა მეზობელ ქვეყნებზე სალაშქროდ.

ჟამთააღმწერელი მეტად საინტერესო ცნობას იძლევა XIII ს-ის 30-იან წლებში ამიერკავკასიაში მონღოლთა მოძალებისა და მათ მიერ შექმნილი ვითარების შესახებ: „ხოლო მო-რა-იქცეს თათარნი ხუარაზმელთა დევნისაგან, (ე. ი. 1231 წ. — ნ. შ.) მიერ წარვიდეს და მოაოხრეს ქუეყანა ხლათისა და ვალაშკერტისა. და ვერ წინააღუდგა სულტანი ხლათისა, არამედ გამაგრდა ქალაქსა შინა. ხოლო თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს, და ზავნი იქმნეს თავრეჟელთა შორის და თათართა, და აღიღეს თავრეჟი და მიმდგომი მისი ქუეყანა“[18].

ხვარაზმელთა დევნისაგან უკუქცეულმა მონღოლებმა დაარბიეს და გაანადგურეს აღნიშნული ადგილები, ხოლო მომდევნო 1232 წელს, როგორც ამას იქვე აღნიშნავს ჟამთააღმწერელი, მონღოლები მოადგნენ საქართველოს და იწყეს მისი რბევა. მონღოლები „მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მუღანს, და მიერ იწყეს რბევად და ოხრებად საქართველოსა. იწყეს დარუბანდით აღმომართ, ქუეყანასა შარვაშისასა, და კაბალას, ჰერეთს, კახეთს, სომხითს, და ქუეყანასა არშაკუნიანთასა დვინს და ანისს“[19].

მეტად საინტერესო ცნობაა. რადგანაც 1232 წლისათვის მონღოლები „მეზობლობით მოეახლებოდეს ქუეყანასა საქართველოსასა“ და საშინელი „განსაცდელი აღიძვროდეს საქართველოსა საზღვართა, უკეთურებისათვის მკჳდრთა ქართლისათა“[20], ბუნებრივია, საქართველოს სამეფო ხელისუფლება, ყოველნაირად შეეცდებოდა მონღოლთა თავდასხმების თავიდან აცდენას და მეზობელ ქვეყნებისაკენ მათ განთესვას.

ქართველთა ხელისუფლებას მონღოლებთან ასეთი პოლიტიკით დროებით მაინც შეეძლო, მათი ყურადღება მცირე აზიისაკენ გადაეტანა. საქართველოს ხელისუფლებისათვის სავსებით ნათელი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მოვლენები და მონღოლთა მოსალოდნელი ფართო მასშტაბის თავდასხმებიც საქართველოში. ი. ცინცაძის თქმით: „რას აკეთებდა საქართველოს სა-

---

[17] Ibn Bibi, გვ. 166. ო. თურანი შენიშნავს, რომ არზრუმში შეკრებილმა სელჩუკთა ძალების მესვეურებმა, ერთი მხრივ ქვეყნის მშვიდობიანი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით და მეორე მხრივ ქართველთა დედოფლის წამქეზებლური საქციელის გამო, გადაწყვიტეს საქართველოს წინააღმდეგ გაელაშქრათ (O. Turan, Selçuklular Zamanında Türkiye, გვ. 375).

[18] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 186.

[19] იქვე.

[20] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო 1230 წლიდან 1235 წლამდე მონღოლთა მოსალოდნელი შემოტევის საწინააღმდეგოდ, ჩვენ არაფერი ვიცით. არ შეიძლება ადამიანმა დაიჯეროს, რომ ხუთი წლის განმავლობაში (1230—1235) საქართველოს მეზობელთა ტერიტორიებზე მოთარეშე მონღოლების საწინააღმდეგოდ საქართველო არ ემზადებოდა"[21].

უფრო მოგვიანებით, როდესაც მონღოლებმა საქართველო დალაშქრეს, რუსუდან დედოფალი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქიდან გამართა მოლაპარაკება მონღოლებთან, საქართველოში მონღოლთა შემოსევებამდე მათთან ასეთი ურთიერთობა რუსუდან დედოფლისათვის სავსებით კანონზომიერი უნდა ყოფილიყო. რუსუდანს მონღოლებთან ახლო ურთიერთობის საშუალება როგორც კი მიეცემოდა, იგი უკან არ დაიხევდა და მონღოლებს სწორედ სელჩუკების წინააღმდეგ წააქეზებდა. ამით ერთგვარად დროებით მაინც აიცდენდა მონღოლთაგან მოსალოდნელ უბედურებას. რუსუდანის ურთიერთობა მონღოლებთან აშკარას ხდის, რომ საქართველოს დედოფალი გონიერი და გამჭრიახი დიპლომატია, რომელმაც მოახერხა საქართველოს ორი მოსისხარი მტრის დაპირისპირება და ერთმანეთზე წასისიანება. იბნ ბიბის ზემომოტანილი ცნობაც რუსუდანის უტყუარ დიპლომატიურ ალღოსა და ნიჭზე მეტყველებს.

1232 წ. ამბების გადმოცემისას იბნ ბიბი დაწვრილებით აღწერს სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქრის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ გამგზავრებას, მათ მიერ ჩატარებულ სამხედრო ღონისძიებებს, ურთიერთობას რუსუდან დედოფალთან და სხვა მეტად საყურადღებო საკითხებს, რომლებიც სხვა წყაროებში არ არის აღწერილი.

1232 წლისათვის ქემალ ად-დინ ქამიარის მეთაურობით სელჩუკთა მრავალრიცხოვანი არმიის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ ლაშქრობა უცნობია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მხოლოდ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხებს ოსმან თურანმა მიაქცია ყურადღება[22]. მან იბნ-ბიბის ცნობათა და სხვა აღმოსავლური წყაროებისა და ლიტერატურის საფუძველზე შეისწავლა XIII ს-ის 30-იანი წლების მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მდგომარეობა, მისი საგარეო ომები, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. ამ პერიოდის საერთო საგარეო ვითარების ფონზე სავსებით ბუნებრივად გამოიყურება იბნ-ბიბის მონაცემებიც ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოსთან ურთიერთობის თაობაზე. ოსმან თურანი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ[23]. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სრულიად უცნობი იყო საქართველოში 1232 წ. ალა ად-დინ ქეიყობადის ლაშქრობა, ასევე არაფერი ვიცოდით სელჩუკთა ლაშქრის მეთაურის ქემალ ად-დინ ქამიარის თაობაზე. ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ქემალ ად-დინ ქამიარის საქმიანობას სელჩუკთა სახელმწიფოში და მის

---

[21] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები (XII—XIII სს.), თბ., 1960, გვ. 150.

[22] Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikalar, გვ. 74—82. გვ. 12—27; O. T u r a n, Keykubad I, გვ. 655; მ ი ს ი ვ ე, Selçuklular tarihi ve Türk-Islâm Medeniyeti, Ankara, 1965, გვ. 211; მ ი ს ი ვ ე, Selçuklular Zamanında Türkiye, გვ. 374—379.

[23] Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikalar, გვ. 78—79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში მონღოლთა შემოსევების დასაწყისში.

ალა ად-დინ ქეიყობადის სულთნობის პერიოდში თავისი ნიჭითა და სამხედრო და სახელმწიფოებრივი საქმიანობით სახელი გაითქვა ქემალ ად-დინ ქამიარმა. იგი განათლებული, სპარსული და არაბული ენების მცოდნე და სულთნის კარზე დიდი ავტორიტეტის მქონე პირი იყო. სამხედრო საქმიანობაში წარმატების გამო რუმისა და სომხეთის ქვეყნების დამპყრობელი გმირის წოდება ებოძა. ყველგან, სადაც კი მისი მეთაურობით ილაშქრა სელჩუკთა ლაშქარმა, გამარჯვებას მიაღწია. ამიტომაც მას „ფეჰლევანის" ტიტული უბოძეს[24]. იგი ყველაზე დაახლოებული და გავლენიანი პირი ყოფილა სულთნის კარზე. ქემალ ად-დინ ქამიარს იმდენად დიდი დამსახურება და გავლენა ჰქონდა, რომ სულთანმა სიცოცხლის ბოლო წლებში იგი კაისერის სუბაშად დანიშნა. ქემალ ად-დინ ქამიარის კაისერის სუბაშად დანიშვნისა და კაისერის იკტად ბოძების შესახებ არსებობს სულთნის სპეციალური ბრძანება, რომელიც 1234—35 წ. გამოიცა[25]. ამ თანამდებობაზე დანიშვნა უდიდესი პატივი იყო მისთვის. აი ასეთი აღზევებული პიროვნებისა და სულთნის კარზე დიდად დამსახურებული სახელმწიფო მოღვაწის მეთაურობით ილაშქრა ალა ად-დინ ქეიყობადმა საქართველოში.

იბნ ბიბის მიხედვით, ქემალ ად-დინ ქამიარმა არზრუმში ჩაშნიგირ მუბარიზ ად-დინ ჩავლისთან ერთად გააძლიერა თავისი სამხედრო ძალები. იქვე შეუერთდა მას 5000-მდე ქვეითი ლაშქარი. ციხის კედლების დასანგრევი სპეციალური მოწყობილობებით, ლოდსატყორცნებითა და სხვა საომარი საშუალებებით აღჭურვილებმა, ცხენოსანი და ქვეითი ლაშქრით საქართველოსაკენ გამოილაშქრეს. ერთ კვირაში საქართველოს 30-მდე ცნობილი ციხესიმაგრე აიღეს, ქართველები მძიმე დღეში ჩააყენეს. იმავე წელს[26] სელჩუკები ხახის (خاخ) ციხისაკენ გაემართნენ. ქვის სატყორცნი იარაღებითა და ხმლით აქაურობაც ხელთ იგდეს. შემდეგ ნიხახის (نخاخ) მოსახლეობაც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდეს. დაპყრობილი ადგილები ერთიანად გაანადგურეს[27].

ჩანს, სელჩუკებს იმ დროის კვალობაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი შეუკრებიათ საქართველოს სამხრეთი პროვინციების ასაოხრებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, წყაროს ცნობით, ეს ლაშქარი თავიდანვე სჭირდებოდათ სივასში შემოჭრილი მონღოლთა ძალების განსადევნად. ბუნებრივია, საგანგებოდ მომზადებულ სელჩუკთა მრავალრიცხოვან არმიას, რომელსაც არზრუმში კიდევ 5000-იანი ლაშქარი შეუერთდა, არ გაუჭირდებოდა ასე მოულოდნელი თავდასხმის დროს საქართველოს სამხრეთით განაპირა ციხესიმაგრეების ხელში ჩაგდება. აშკარაა, რომ სელჩუკთა მრავალრიცხოვან არმიას მოკლე დროში ერთიანად დაულაშქრავს საქართველოს სამხრეთი ნაწილი. სამწუხაროდ, ავტორი არ ასახელებს იმ ციხესიმაგრეებს,

[24] O. Turan, Selçuk Vakfiyeleri, III, Belleten, XLV, გვ. 240; Ibn Bibi, გვ. 187. O. Turan, Keykubad I, გვ. 657.

[25] Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikalar, გვ. 74—76.

[26] ე. ი. 1232 წ., რადგან წყაროში ზემოთ საუბარი იყო 1232 წ. ამბებზე.

[27] Ibn Bibi, გვ. 166—167, İbn-i Bibi (El-Hüseyn b. Muhammed b. Ali le-Caferi Rugedi), El-Evamirü'l-Alaıyye..., გვ. 420—421. Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure d'apres abregé du Seldjouknameh d'Ibn-Bibi, texte persan publié ...par M. Th. Houtsma, გვ. 183—184; W. Duda, Die Seltschukengechichte des İbn Bibi, გვ. 176—177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც სელჩუკებმა ხელთ იგდეს. იგი მხოლოდ ხახისა და ნიხახის ციხეებს ასახელებს. ჩანს, რომ ნიხახის ციხე ბოლო პუნქტია იმ ციხეებს შორის, რომლებიც სელჩუკებმა დაიპყრეს. ცხადია, ქართველები სრულიად მოუმზადებელი იყვნენ ასეთი მოულოდნელი თავდასხმისათვის.

უკანასკნელ ხანებში ალა ად-დინ ქეიყობადის სულთნობის პერიოდში ქემალ ად-დინ ქამიარის მეთაურობით სელჩუკთა საქართველოში ლაშქრობის საკითხს ყურადღება მიაქცია ჰ. მუსაევმა. იბნ ბიბის ცნობაზე დაყრდნობით მან აღნიშნა, რომ ალა ად-დინ ქეიყობადმა ქემალ ად-დინ ქამიარისა და მუბარიზ ად-დინ ჩაშნიგირის მეთაურობით 2000-იანი ლაშქარი გაგზავნა საქართველოში და ქართველთა 30-მდე გამაგრებული ციხე ჩაიგდო ხელთ[28]. აქ ავტორი აშკარა შეცდომას უშვებს. წყაროს ყველა გამოცემაში გარკვევით წერია, რომ ქემალ ად-დინ ქამიარმა და მუბარიზ ად-დინ ჩაშნიგირმა სხვადასხვა ქვეყნის ქვეითი ლაშქრისაგან შემდგარ ძალებს კიდევ შეუერთეს 5000-იანი ლაშქარი, მოამარაგეს საალყო იარაღებით, ციხის ასაღები და ქვის სატყორცნი საშუალებებით და ისე გაემართნენ საქართველოს ასაოხრებლად. ასე რომ, გაცილებით მრავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული იყო სელჩუკთა ლაშქარი საქართველოში გამომგზავრების წინ, ვიდრე ეს ჰ. მუსაევს წარმოუდგენია.

ჰ. მუსაევი იქვე მეორე უზუსტობასაც იჩენს, როდესაც იბნ-ბიბის თხზულებაზე დაყრდნობით აღნიშნავს ქართველებისა და მონღოლების მოკავშირეობის შესახებ[29]. იბნ-ბიბის თხზულებაში არაფერია ნათქვამი რუსუდანის მონღოლებთან მოკავშირეობაზე. საამისო ცნობები არსად არ გვხვდება. იბნ ბიბის თხზულებაში საუბარია მხოლოდ რუსუდანის მიერ მონღოლთა ძალების სელჩუკების წინააღმდეგ წაქეზების შესახებ.

რუსუდან დედოფალმა როგორც კი გაიგო სელჩუკთა ძალების საქართველოს სასაზღვრო რაიონებში შემოჭრისა და მათი საქმიანობის შესახებ, გარკვეული ღონისძიებები დასახა. ქვეყნის წარჩინებულებს მოეთათბირა და უფრო გონივრულად მიიჩნია სელჩუკთა სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის ზავი შეეთავაზებინა და მშვიდობიანობის გზას დასდგომოდა[30]. ამ მიზნით მან უპირველეს ყოვლისა ამირ ქემალ ად-დინ ქამიართან მოლაპარაკება გამართა. საგანგებო წერილითა და საჩუქრებით მას ქართველი წარჩინებულები გაუგზავნა და აუწყა, რომ მორჩილებას უცხადებდა სულთანს და დანაშაულის პატიებას ითხოვდა. რუსუდანი სელჩუკ მხედართმთავარს აუწყებდა ნუ გააგრძელებდა ქვეყნის აოხრებას და სასჯელს ნუ დაამძიმებდა. მას იმედი რჩება, რომ სელჩუკი წარჩინებულები თავისი ქვეყნის დაპყრობილ ნაწილს ისევ უკან დაუბრუნებენ და მის თხოვნას სამშვიდობო ზავის შესახებ სულთნის უზენაეს კარს მოახსენებენ. თუ კი სულთანი ჩვენს თხოვნას კარგად შეხედავს და გამოიჩენს მოწყალებას, მაშინ უფრო გონივრული იქნება, ჩვენი ურთიერთობა განმტკიცდეს კეთილი სურვილებითა და ნათესაური კავშირით. ჩვენი სურვილია, წერდა დედოფალი სელჩუკ მხედართმთავარს, ჩემი ასული, სელჩუკიან-

[28] Х. Мусаев, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[29] იქვე.

[30] Ibn Bibi, გვ. 167. El-Evamirü'l-Alâ'iyye fi'l-Umuri'l..., გვ. 422; H. W. Duda, დასახ. ნაშრომი, გვ. 177; Histoire des Seldjucides de l'Asie Mineure... texte persan..., გვ. 184, O. Turan, Selçuklular Zamanında Türkiye..., გვ. 376.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და დავითის დინასტიის შთამომავალი, ჩვენი მეზობელი ქვეყნის გამგებლის მემკვიდრეზე — მელიქ ყიას ად-დინ ქეიხუსრევზე, დაქორწინდეს[31].

იბნ ბიბი სხვაგან მოკლედ შენიშნავს, „ქემალ ად-დინმა ლაშქარი ქართველთა მხარეს შეუსია, ქართველთა დედოფალმა რუსუდანმა მასთან მოციქულები გაგზავნა და მოლაპარაკება გაუმართა დანათესავებისა და ქორწინების თაობაზე, მალიქ ყიას ად-დინის სიძეობა მოისურვა“[32]. სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის მიერ სამხრეთ საქართველოს მოოხრებისა და ციხესიმაგრეების განადგურების შემდეგ, ჩანს, რუსუდან დედოფალს გონივრული დიპლომატიური ნაბიჯი გადაუდგამს. რუსუდანის მიერ საპასუხო ლაშქრობაზე უარის თქმა და საქმის მშვიდობიანად მოგვარების გზის არჩევა გვაფიქრებინებს, რომ რუსუდანმა გაითვალისწინა ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში შექმნილი საერთაშორისო ვითარება, უპირველეს ყოვლისა სელჩუკი სულთნის ალა ად-დინ ქეიყობადის დაპყრობითი ომების წარმატებანი და მისი სიძლიერე, ამასთანავე გაითვალისწინა ისიც, რომ ამიერკავკასიაში ხვარაზმელთა ძალების არც თუ ისე დიდი ხნის წინ განადგურებისა და დაფანტვის შემდეგ მონღოლები ამიერკავკასიაში უკვე საშიში ძალა იყო და ელოდნენ მათ შემოსევებსაც. სელჩუკებთან ქართველთა ძალების დაპირისპირების შემთხვევაში შეიძლებოდა მონღოლებიც გამოჩენილიყვნენ და მათ წინააღმდეგაც დასჭირვებოდა გამოსვლა.

საქართველოს სამხედრო ძალებს XIII ს-ის 30-იან წლებში არ შეეძლო დაპირისპირებოდა ამ ორ ძლიერ მოწინააღმდეგეს. მით უმეტეს, ხვარაზმელებთან ბრძოლაში არაერთგზის განადგურებული ქართველთა ლაშქარი რეალურად ვეღარ დაუპირისპირდებოდა სელჩუკთა ძალებს. რუსუდან დედოფალმა, ჩანს, ყველაფერი კარგად გაითვალისწინა, მოითათბირა თავის წარჩინებულებთან და მაშინვე მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართა სელჩუკ მხედართმთავართან — ქემალ ად-დინ ქამიართან.

ქემალ ად-დინ ქამიარმა ყურად იღო რუსუდანის თხოვნა, შეაჩერა ქვეყნის რბევა და საქართველოში სელჩუკთა ლაშქრის წარმატებისა და რუსუდან დედოფლის წინადადების შესახებ სულთან ალა ად-დინ ქეიყობადს აუწყა. იბნ ბიბი შენიშნავს, რომ ქემალ ად-დინ ქამიარმა კავკასიის განთქმული მტკიცე ციხეებიდან 30—40 ციხის დაპყრობის ამბავი აცნობა სასულთნოს და თან დედაქალაქში გაგზავნა მდიდარი ნადავლი[33].

მონღოლებთან ბრძოლის შედეგების მომლოდინე სულთანი საქართველოში სელჩუკთა ლაშქრის წარმატების ამბავს აღფრთოვანებით შეხვდა. სელჩუკი სულთნის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში სრულებით არ შედიოდა საქართველოში საგანგებო ლაშქრობის მოწყობა. საქართველოში ლაშქრობის ინიციატორები ამ შემთხვევაში იყვნენ ქემალ ად-დინ ქამიარი და ჩაშნიგირი მუბარიზ ად-დინ ჩავლი.

---

[31] I b n B i b i, გვ. 167; El-Evamirü'l-Alâ'iyye fil-Umuri' ... გვ. 422—423; H. W. D u d a, დასახ. ნაშრომი, გვ. 177; Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure..., texte persan..., გვ. 184.

[32] Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure..., texte persan..., გვ. 220; H. W. D u d a, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

[33] I b n B i b i, გვ. 167; El-Evamirü'l-Alâ'iyye fi'l-Umuri'l... გვ. 423; Histoire des Seldjoucildes d'Asie Mineure..., texte persan..., გვ. 185; H. W. D u d a, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ საქართველოში ქემალ ად-დინ ქამიარის სამხედრო წარმატებანი სასულთნო კარზე დიდი ზეიმით აღინიშნა.

ქემალ ად-დინ ქამიარისადმი მიწერილ წერილში ალა ად-დინ ქეიყობადი მას მადლობას უთვლიდა საქართველოში მიღწეული წარმატებისათვის და ამავე დროს ფირმანს უგზავნიდა ლაშქრის უკან დაბრუნების თაობაზე. სულთანი ქემალ ად-დინს წერდა, რომ იგი თანახმაა რუსუდან დედოფლის მიერ შემოთავაზებული წინადადებისა — მშვიდობიანი ურთიერთობისა და დანათესავების შესახებ და აუწყებდა, რომ აღარ გაეგრძელებინა თავდასხმები საქართველოს ტერიტორიაზე[34].

ქემალ ად-დინ ქამიარმა სამხედრო მეთაურები დაიბარა, გააცნო მათ სულთნის ფირმანი და უბრძანა სამხრეთ საქართველოდან ლაშქრის გაყვანა. სელჩუკთა ლაშქარი აიყარა საქართველოს სამხრეთი პროვინციებიდან. ქემალ ად-დინი სასულთნოს დედაქალაქისაკენ გაემართა, სადაც მას საქართველოში მიღწეული წარმატებისათვის დიდი პატივითა და ზეიმით შეეგებნენ[35].

ალა ად-დინ ქეიყობადი, რომელიც განუწყვეტელი დაპყრობითი ომების შედეგად სისტემატურად აფართოებდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრებს და ხშირად ილაშქრებდა ამიერკავკასიის, კერძოდ, სომხეთის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ყოველნაირად შეეცდებოდა საქართველოში შემოჭრასა და გაბატონებას. თავისთავად, ქემალ ად-დინის ურიცხვი ლაშქრით სამხრეთ საქართველოზე მოულოდნელი თავდასხმისა და წარმატების შედეგად სულთნის კარზე მოწყობილი საზეიმო ცერემონიალი, ქემალ ად-დინისად-

---

[34] Ibn Bibi, გვ. 163; El-Evamirü'l-Alâ'iyye fil-Umuri... გვ. 432—424; Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure..., texte persan..., გვ. 185; H. W. Duda, დასახ. ნაშრომი, გვ. 177. Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikaları..., გვ. 79. სელჩუკ სულთანთან სამშვიდობო მოლაპარაკებიდან რამდენიმე წლის შემდეგ (ე. ი. ალა ად-დინ ქეიყობადის გარდაცვალების შემდეგ) უნდა მომხდარიყო სელჩუკთა დინასტიასთან რუსუდან დედოფლის დამოყვრება. ე. ი. დაახლოებით 1237 წლისათვის. დამოყვრებასა და სხვა საკითხებზე შეთანხმება კი, ჩანს, 1232 წ. მომხდარა. იბნ ბიბი სხვაგან ვრცლად მოგვითხრობს რუსუდანის ქალიშვილის—თამარის ქორწინებაზე ალა ად-დინ ქეიყობადის შვილზე — ყიას ად-დინ ქეიხუსრევზე. აღწერს საქორწინო ცერემონიალს, დიდ ზეიმს, რომელიც გაიმართა კაისერიეში (Ibn Bibi, გვ. 199—200; Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure..., texte persan... გვ. 220; H. W. Duda, დასახ. ნაშრომი, გვ. 210); ბარ ჰებრაი რუსუდანის ქალიშვილის—თამარის გათხოვების თარიღად ასახელებს 1237 წელს, რაც სწორად უნდა მივიჩნიოთ. Abu'l-Farac Tarihi, cilt II, Ankara, 1950, გვ. 537). ივ. ჯავახიშვილი აბულ-ფარაჯის ცნობას თამარ რუსუდანის ასულის გათხოვების თარიღს შესახებ სწორად მიიჩნევდა (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1966, გვ. 106.). ო. თურანიც პირდაპირ მიუთითებდა, რომ ყიას ად-დინ ქეიხუსრევმა როკორც კი დაიკავა ტახტი, ქეიყობადთან რუსუდანის შეთანხმების საფუძველზე იქორწინა რუსუდანის ქალიშვილზე (O. Turan, Keyhusrev II, Islâm Ansiklopedisi, cüz 62, 1954. გვ. 628; Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikaları... გვ. 79). რუსუდანის ქალიშვილი თამარი, რომელიც მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში გურჯი ხათუნის სახელით გახდა ცნობილი, მთელს მახლობელ აღმოსავლეთში აღიარებულ იქნა წმიდანად. მან უდიდესი როლი ითამაშა მევლევიელთა ორდენის საქმიანობაში. გურჯი ხათუნისა და მევლევიელთა ორდენის ფუძემდებლის ჯელალ ად-დინ რუმის ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, დედოფალი თამარი („გურჯი ხათუნი“) და პოეტი ჯელალ ად-დინ რუმი, ლიტერატურული გაზეთი, 1960, № 41—42; ე. ჯ ა ვ ე ლ ი ძ ე, გურჯი ხათუნის (დედოფალი თამარის) და ჯელალ ად-დინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან, „ცისკარი“, № 1, 1970, გვ. 107—117.

[35] Ibn Bibi, გვ. 168; El-Evâ'mir'ül-Alâiyye fi'l-Umuri... გვ. 424; Histoire des Seldjoucides d'Asie Mineure..., texte persan..., გვ. 185; H. W. Duda, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი სულთნის უხვი მოწყალება აშკარად მოწმობს სულთნის კარის დაუოკებელ სწრაფვას როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების, ისე ახალ-ახალი ტერიტორიების დასამორჩილებლად.

სასულთნო კარის ცდას, დაემორჩილებინა საქართველო, წინ აღუდგა რუსუდან დედოფლისდროინდელი საქართველოს სამეფო ხელისუფლება. სავსებით სამართლიანად შენიშნავდა ვ. გორდლევსკი, რომ ალა ად-დინ ქეიყობადის ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, გაბატონების ცდა მარცხით დამთავრდა[36]. რუსუდან დედოფალმა მცირე აზიის სელჩუკთა დინასტიასთან დამოყვრებით შეძლო ქვეყნად მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება. მცირე აზიის სელჩუკებისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მონღოლთა შემოსევებმა საქართველოსა და მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში ერთიანად დასცა პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება.

ო. თურანი მიუთითებს, სელჩუკების მიერ საქართველოში მოწყობილი ლაშქრობის დროს ქართველთა დედოფლის დამორჩილებით ალა ად-დინ ქეიყობადმა თავისი ბიძის — სულეიმანშაჰის მაგივრად ქართველებზე შური იძიაო[37].

ჯერ ერთი, ქართველთა დედოფალი არ დაუმორჩილებია ალა ად-დინ ქეიყობადს. მიუხედავად სელჩუკთა მიერ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი ციხესიმაგრის დაკავებისა, ქართველთა დედოფალი თანასწორუფლებიანობის საფუძველზე სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებდა სელჩუკ სულთანთან. ეს მოლაპარაკება მათი დამოყვრებით დამთავრდა. აქ რაიმე დამორჩილებასა და უთანასწორო დამოკიდებულებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამასთანავე, ამ შემთხვევაში ო. თურანს მხედველობაში აქვს თამარ მეფის მიერ ბასიანის ველზე რუქნ ად-დინ სულეიმანშაჰის დამარცხება. აშკარაა, რომ ო. თურანს ძალიან აწუხებს ბასიანის ველზე სელჩუკი სულთნის სამარცხვინო განადგურება. არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ — 1232 წლისათვის, სელჩუკთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოულოდნელი თავდასხმა სამხრეთ საქართველოს განაპირა ტერიტორიებზე და იქ ციხეების დაპყრობა ქართველებისადმი სამაგიეროს გადახდად მიაჩნია.

საქართველოს სამხრეთი ნაწილის დალაშქვრისა და რუსუდანთან შეთანხმების შემდეგ სელჩუკთა ლაშქარი კვლავ დაიძრა ამიერკავკასიისაკენ, ამჯერად სომხეთისაკენ — ხლათისაკენ. ჯელალ ად-დინ ხორეზმშაჰის განადგურების შემდეგ მისი ძალების გარკვეული ნაწილი აღმოსავლეთ ანატოლიის რაიონებში დათარეშობდნენ და ხელს უშლიდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას. ირანელი ანონიმი ავტორი შენიშნავს, რომ ჯელალ ად-დინ ხორეზმშაჰის შვილებმა კვლავ დიდი ჯარი შეკრიბეს, სომეხთა მხარე, ხლათი და არზრუმი აიღეს, მოსახლეობა დახოცეს და მათი ქონება ხელთ იგდეს[38].

ამ პერიოდში ხლათის გამგებელი დამასკოში იმყოფებოდა, ხოლო სომხეთის ტერიტორიაზე მონღოლები იყვნენ გაბატონებული. ამიტომ სულთანმა გადაწყვიტა ხლათის ხელთ ჩაგდება, ხვარაზმელთა ძალების ალაგმვა და მონღოლების შეკავება. ამ მიზნით სელჩუკმა სულთანმა იმავე 1232 წელს კვლავ

---

[36] В. А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, გვ. 58.

[37] O. Turan, Selçuklular Tarihi ve Türk-Islâm Medeniyeti, გვ. 211.

[38] Anadolu Selçukluları Devleti Tarihi, III, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაიარაღა ქემალ ად-დინ ქამიარი და უბრძანა, „ხლათსა და ბიოლოსიდან თბილისამდე სომხეთის მთელი ვილაიეთები კვლავ სელჩუკთა ოლქისათვის შემოეერთებინა“[39].

ქემალ ად-დინ ქამიარმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი ძალები და ხლათისკენ გაემართა. სელჩუკებმა ქალაქი ადვილად დაიკავეს, სულთნის დროშა ქალაქში შეიტანეს და მის სახელზე ხუტბა წაიკითხეს. ანონიმი ავტორის ცნობით, სელჩუკებმა ამ ლაშქრობაში „ჰარფუთი, ფალუ და სხვა 16 ციხე აიღეს. მათი საზღვრების დაცვა სეიფ ად-დინ სუნყურ ლალას დაევალა“[40].

ხლათის აღების შემდეგ სელჩუკთა ლაშქარი ვანის ტბის სანაპიროებისაკენ დაეშვა. იბნ-ბიბის განცხადებით, სელჩუკთა ლაშქარმა ყველგან მოახერხა გაბატონება და თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია სომხეთის მხარე[41]. დაპყრობილი ტერიტორიების ასათვისებლად სულთანმა თავისი დიდმოხელეები გაგზავნა, რომლებმაც აღწერეს ქვეყანა, დაადგინეს შემოსავლის ოდენობა, ციხეები შეაკეთეს და ქვეყნის მართვა-გამგეობას შეუდგნენ[42].

სელჩუკმა სულთანმა დაპყრობილი ტერიტორიების „ასათვისებლად“ სერიოზული ღონისძიებები გაატარა, დაიწყო მის მიერ განადგურებული მხარის კვლავ მოშენება და რეგულარული შემოსავლის წყაროდ გადაქცევა. სულთნის ასეთი ღონისძიებების შედეგად ამიერკავკასიასა და ირანის ცალკეულ ტერიტორიებზე დარჩენილი მოხეტიალე თურქთა ერთი ნაწილი თავიანთი ბეგებით ამ ადგილებში დასახლდა.

ალა ად-დინ ქეიყობადის მიერ ამიერკავკასიასა და ანატოლიაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგები, განსაკუთრებით მის მიერ ხლათის აღება, სელჩუკების წინააღმდეგ აიუბელთა გაერთიანებული ლაშქრობის მიზეზი გახდა. ხლათი იმთავითვე იზიდავდა აიუბელთა ეგვიპტის მესვეურებს. ხლათის ხელში ჩაგდებით არანაკლებად იყვნენ დაინტერესებული აზერბაიჯანის ათაბეგები, მცირე აზიის სულთნები და საქართველოს სამეფო ხელისუფლებაც. ხლათისადმი ასეთი გაზრდილი ინტერესი გამოწვეული იყო მისი მდებარეობით სავაჭრო გზაჯვარედინზე. ხლათზე გადიოდა მთავარი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალი. ხლათის დაუფლებით ფაქტიურად წყდებოდა სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე გაბატონების საკითხიც. ამიტომაც იყო, რომ ხლათში სელჩუკთა გაბატონება ვერ აიტანეს აიუბელთა დინასტიის წარმომადგენლებმა და გაერთიანებული ლაშქრით ხლათის უკან დასაბრუნებლად გამოემართნენ.

იბნ-ბიბის ცნობით, 1233 წლისათვის ეგვიპტის გამგებელმა ალ-მალიქ ალ-ქამილმა აიუბელთა მთელ ძალებს მოუწოდა სელჩუკების წინააღმდეგ[43]. სელჩუკმა სულთანმა კი მათ ქემალ ად-დინ ქამიარის სამხედრო ძალები დაუპირისპირა. სელჩუკთა ლაშქარი აიუბელებს აქჩა-დერბენდთან შეხვდა და სასტიკად დაამარცხა. აიუბელებმა ხლათი ვერ დაიბრუნეს. ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ეს მნიშვნელოვანი ქალაქი სელჩუკებს დარ-

---

[39] Ibn Bibi, გვ. 168; Le Sultan Seldjoukide Keykobad I et l'Armenie, Documents Persans, Traduits par H. Masse, Revue des Etudes Armeniennes, t. IX, Fas. 1, Paris, 1929, გვ. 126.

[40] Anadolu Selçukluları Devleti Tarihi, III, გვ. 30.

[41] Ibn Bibi, გვ. 169; O. Turan, Selçuklular Zamaninda Türkiye, გვ. 377.

[42] Ibn Bibi, გვ. 169—170.

[43] იქვე, გვ. 173—174; Anadolu Selçukluları Devleti Tarihi, III, გვ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩათ და ისინი უკვე ვანის ტბის სანაპიროებზედაც ავრცელებდნენ თავიანთ ხელისუფლებას.

აიუბელთა დამარცხების შემდეგ სელჩუკთა სულთანი ისევ განაგრძობდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას. იბნ-ბიბი დაწვრილებით აღწერს სელჩუკი სულთნისა და ეგვიპტის გამგებლის ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს[44].

1235 წლისათვის ალა ად-დინ ქეიყობადმა ზამთარი ანტალიასა და ალაიეში გაატარა და აიუბელების აღმოსავლეთ ანატოლიიდან მთლიანად განსადევნად ლაშქარი კაისერიეში შეკრიბა. იბნ ბიბის ცნობით, სულთან ქეიყობადმა ამირ ქემალ ად-დინ ქამიარსა და სახელმწიფოს სხვა წარჩინებულებს უბრძანა ჰარანის, რუჰას (ურფას), რაქასა და მისი სანახების დაპყრობა, საამისოდ 50000 ჯარისკაცი შეკრიბა[45]. ბარ ჰებრაის ცნობით კი, 1234 წელს სულთანმა ფრანკთა, ბერძენთა, სომეხთა, იბერიელთა და ხვარაზმელთაგან შემდგარი 100000-იანი ლაშქარი შეკრიბა და პალესტინაში გააგზავნა, ეგვიპტელთა წინააღმდეგ სურდა გაელაშქრა[46].

როგორც ამ უკანასკნელი ცნობიდან ჩანს, სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქარი ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელი ყოფილა. საინტერესოა ცნობა ამ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ. ჩანს, ალა ად-დინ ქეიყობადის ლაშქრობებში როგორც ქართველები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები სისტემატურად იღებდნენ მონაწილეობას. ქართველები მომდევნო წლებშიაც სელჩუკთა ლაშქრობებში მონღოლების წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ.

ამ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობა შეიძლება განპირობებული ყოფილიყო რუსუდან დედოფლის მიერ სელჩუკი სულთნის წინაშე გარკვეული ვალდებულებებით. შესაძლებელია ომის შემთხვევაში ქართველებს სელჩუკთა მხარეზე ჯარის გამოყვანა ევალებოდათ. ალბათ, რუსუდან დედოფლის მიერ შეთავაზებული ზავის პირობების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა სელჩუკთა მხარეზე ლაშქრის გამოყვანას. ადვილი შესაძლებელია, სწორედ ასე დავალდებულებული ქართველთა მხედრობა იღებდა მონაწილეობას სელჩუკთა სისტემატურ ლაშქრობებში. ზემოთ აღნიშნულ ლაშქრობაში ქართველებს აქტიური მონაწილეობა მიუღიათ. ამაზე პირდაპირ მიუთითებს იბნ-ბიბი. მისი გადმოცემით, როდესაც სელჩუკთა ლაშქარმა ჰარანი აიღო, ქართველთა და ფრანკთა ლაშქარმა ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობა დახოცა, ურიცხვი სიმდიდრე იგდო ხელთ[47].

სულთან ალა ად-დინ ქეიყობადი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დიარბექირში მოემზადა სალაშქროდ, შეკრიბა უზარმაზარი ლაშქარი და გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო აღმოსავლეთ ანატოლიაში აიუბელთა ბატონობისათვის. ამასთან დაკავშირებით ბარ ჰებრაი შენიშნავს, რომ 1237 წ. სულთან ალა ად-დინმა სხვადასხვა ხალხთაგან: მაადიელების, ხვარაზმელების, ჰუნების, რუსების, ფრანკების, სომხებისა და იბერიელებისა-

---

[44] Ibn Bibi, გვ. 175—180; O. Turan, Keykubad I, გვ. 656—657; მისივე, Selçuklular Zamanında Türkiye, გვ. 379—383.

[45] Ibn, Bibi, გვ. 180.

[46] Abu'l-Farac Tarihi, II, გვ. 533.

[47] Ibn Bibi, გვ. 180—181; O. Turan, Selçuklular Zamanında Türkiye..., გვ. 380.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ჯარი შეკრიბა და დიარბექირის წინააღმდეგ სალაშქროდ მოემზადა...[48], მაგრამ სიკვდილმა მოუსწრო და ვერ მოახერხა ჩანაფიქრის განხორციელება.

მაშასადამე, აშკარაა, რომ სელჩუკთა მრავალრიცხოვან და ეთნიკურად საკმაოდ ჭრელ ლაშქარში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. სავსებით ბუნებრივი მოჩანს ბარ ჰებრაის ზემომოყვანილი ცნობა. მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოში ქართველები უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდისათვის ნათესაური კავშირი და მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის აშკარა იყო.

მცირე აზიაში მონღოლთა შემოსევების წინ ალა ად-დინ ქეიყობადის გარდაცვალება მძიმე დანაკლისი იყო მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოსათვის.

ამრიგად, იბნ-ბიბის თხზულებაში დაცული ცნობები 1232 წლისათვის ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ სრულიად ახალია და ყურადღებას იმსახურებს. აღმოსავლურ და სხვა ენებზე არსებულ წყაროებში მსგავსი ცნობები არ მოგვეპოვება. არც ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებშია რაიმე მასალა აღნიშნული საკითხის გარშემო. იბნ-ბიბის ცნობები სრულიად ახალ შუქს ჰფენს ამ ხანის მცირე აზიის სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ცალკეულ საკითხებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად უცნობია ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობისა და ქართველთა დედოფალ რუსუდანთან ურთიერთობის საკითხები. მხოლოდ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში ოსმან თურანმა მიაქცია ყურადღება ურთიერთობის ისტორიის საკითხებს იბნ-ბიბის ცნობების საფუძველზე და სავსებით მართებულად აღნიშნა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის რეალურობა. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ XIII ს-ის 30-იანი წლების როგორც საქართველოს საგარეო პირობებსა და საერთოდ ამიერკავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ისე მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მდგომარეობას, ცხადი გახდება იბნ ბიბის ცნობების სისწორე. იბნ ბიბის მონაცემები ავსებენ და აკონკრეტებენ ქართული წყაროების ცნობებს სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე აღნიშნულ პერიოდში.

---

[48] Abu'l-Farac Tarihi, II, გვ. 536.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ აბაშიძე

ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების სასოიურღალო სიგელები

ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების[1] სპარსულ ნაწილებში ქართული „მამულის“ ცნების გადმოსაცემად, როგორც წესი, „თიული“ (تیول) იხმარება, მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში, მიწისმფლობელობის ფორმის აღსანიშნავად გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი „სოიურღალი“ (سیورغال) ან გამოიყენება სასოიურღალო სიგელებისათვის დამახასიათებელი დიპლომატიკური ფორმულები. ამ ფაქტის ასახსნელად უნდა გავითვალისწინოთ სოიურღალის ფეოდალური ინსტიტუტის[2] ბუნება მისი ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე, განსაკუთრებით კი სეფიანთა ირანში.

XV ს-ში სოიურღალი ფართოდ იყო გავრცელებული წინა და შუა აზიის ქვეყნებში. ამ დროს სოიურღალი წარმოადგენდა სამხედრო ლენს, რომელიც საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით იყო აღჭურვილი. საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტის აღსანიშნავად სასოიურღალო სიგელებში გამოიყენებოდა საგანგებო ფორმულები, რომელთა მიხედვით სახელმწიფო საფინანსო თუ სხვა უწყებათა მოხელეებს ეკრძალებოდათ ამა თუ იმ მიზეზით სასოიურღალო ტერიტორიაზე გამოჩენა. ძირითადი „სასოიურღალო“ ფორმულები იყო: „[მოხელეები] გარს ნუ უტრიალებენ [სასოიურღალო ტერიტორიას]“ (پیرامون نگردند), „ნუ შევლენ [ამ ტერიტორიაზე]“ (مدخل ننمودند), „კალამი და ნაბიჯი დაიმოკლონ და ამოიკვეთონ“ (قلم و قدم کوتاه و کشیده دارند).

სოიურღალის მფლობელი ვალდებული იყო შეიარაღებულ მებრძოლთა გარკვეული რაოდენობა გამოეყვანა ფეოდალურ ლაშქარში და პირადად მიეღო ლაშქრობაში მონაწილეობა. სოიურღალი, ხშირად, მეტად ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და ფეოდალური საგვარეულოს მემკვიდრეობით კუთვნილებას წარმოადგენდა.

სოიურღალის ამგვარი ბუნება ნიადაგს უქმნიდა მათი მფლობელების — ძირითადად, თურქმანული მომთაბარე ტომების ამირების — სეპარატისტული მისწრაფებების გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ფეოდალური დაშ-

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბილისი, 1955 (ქვემოთ ვუთითებთ — ქ. — სპ.).

[2] სოიურღალის შესახებ ლიტერატურა მითითებულია ი. პეტრუშევსკის სტატიაში — К истории института сойургала, Советское востоковедение, VI. გვ. 227; მ ი ს ი ვ ე, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, გვ. 145—183.; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბილისი, 1958, გვ. 174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის პროცესს აჩქარებდა. ამ პროცესის შეჩერების ცდასთან იყო დაკავშირებული ერთგვარი ცვლილება სოიურღალის ბუნებაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ თუ ადრე სოიურღალი მხოლოდ სამხედრო პირებს ეძლეოდათ, უზუნ-ჰასან აყ-ყოინლუდან (1453—1478) მოყოლებული სოიურღალი სასულიერო პირებსაც ეძლევათ[3].

სასულიერო დაწესებულებებისათვის ნაწყალობევი სოიურღალი ი. პეტ-რუშევსკის სავაკუფო მფლობელობასთან აქვს გაიგივებული. მაგრამ, „ნამ-დვილად მახლობელ და შუა აღმოსავლეთში არსებობდა სოიურღალის მეორე ფორმა (=საეკლესიო სოიურღალი. — **თ. ა.**), რომელიც, ცენტრალური ხელი-სუფლების თაოსნობით, XV ს-ში წარმოიქმნა და განვითარდა სამხედრო სო-იურღალებისადმი დაპირისპირების ნიადაგზე... ამას გარდა, ახალი ტიპის სო-იურღალი დაკავშირებულია არა მარტო სასულიერო პირების მფლობელობას-თან, რამაც მკვლევარს შეიძლება მყისვე ვაკუფი გაახსენოს, არამედ სამოქალა-ქო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მფლობელობასთანაც“[4].

საეკლესიო სოიურღალების შემოღება, ისევე, როგორც აჰმედ აყ-ყოინ-ლუს (1497) წარუმატებელი ცდა — გაეუქმებინა თურქმანი ამირების სოიურ-ღალები[5], სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პოლიტიკას უკავშირდებოდა.

ამ პოლიტიკის შესაბამისად სეფიანებმა, ძირითადად, თავისი უშუალო მეტოქეების — შავ- და თეთრბატკნიან თურქმანთა ამირებისა და სუნიტური სამღვდელოების სოიურღალების ექსპროპრიაცია მოახდინეს. სოიურღალების გაცემა სეფიანთა ბატონობაშიც მიმდინარეობდა, თუმცა, როგორც ი. პეტრუ-შევსკის აქვს შენიშნული, ეს იყო შიიტური სამღვდელოებისათვის ან სამო-ქალაქო ბიუროკრატიის წარმომადგენელთათვის ნაწყალობევი სოიურღალი, ან მფლობელობის უფლებათა განახლება ძველად გაცემული სოიურღალის მფლობელის მემკვიდრეებისათვის[6].

სოიურღალისადმი თავისებური დამოკიდებულება ამ დროს უშუალოდ გამომდინარეობდა სეფიანთა ცენტრალისტური პოლიტიკიდან. საქმე ისაა, რომ „სამღვდელოება, სამოქალაქო ბიუროკრატიასთან ერთად, წინა აზიის მუსლიმანურ სახელმწიფოებში ყოველთვის დაინტერესებული იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობით და მხარს უჭერდა სულთნებისა და შაჰინშაჰების ცენტრალისტურ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლება XVII ს-სა და XVIII ს-ის დასაწყისში გადაექცია სოიურღალი სამხედრო ლენიდან სასულიერო და სამოქალაქო ღიდებულების მფლობელობად“[7].

სოიურღალების შეკვეცა-შემცირების პროცესთან უშუალოდ იყო დაკავ-შირებული მის პარალელურად მიმდინარე პირობითი მიწისმფლობელობის

---

[3] И. П. Петрушевский, К истории института сойургала.., გვ. 230; მისივე, Очерки по истории феодальных отношений.., გვ. 150; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეო-დალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან (XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), ივ. ჯავახიშ-ვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 212.

[4] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 177—178.

[5] აჰმედ აყ-ყოინლუს რეფორმების შესახებ იხ. მაგ., ვ. გაბაშვილი, ქართული ფეო-დალური წყობილება..., გვ. 179—183.

[6] И. П. Петрушевский, Очерки.., გვ. 158—161.

[7] იქვე, გვ. 161.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ფორმის — თიულის დამკვიდრების პროცესი[8]. სეფიანთა ხელისუფლების ვარაუდით, სოიურღალისაგან განსხვავებით, თიული არ იძლეოდა მსხვილი კერძო მიწისმფლობელობის განვითარების შესაძლებლობას და, ამდენად, თითქოს დაბრკოლებაც არ უნდა შეექმნა სეფიანთა ცენტრალისტური პოლიტიკის განხორციელებისათვის. სოიურღალისადმი თიულის დაპირისპირებას ასახავს იმდროინდელი ნარატიული და დოკუმენტური წყაროები, რომლებშიც წყალობის ფორმის აღსანიშნავად „თიული“ უფრო ხშირად მოიხსენიება, ვიდრე „სოიურღალი“[9].

სოიურღალისადმი სეფიანთა დამოკიდებულების თავისებურ ასახვას წარმოადგენს ქართულ-სპარსული საბუთების სპარსულ ნაწილებში „მამულის“ აღსანიშნავად, ძირითადად, „თიულის“ გამოყენება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღმ. საქართველოს სეფიანები ირანის ჩვეულებრივ პროვინციად თვლიდნენ, ქართული „მამულის“ აღსანიშნავად „თიულის“ ხმარება სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ასეთი რამ უშუალოდ უკავშირდება მიწათმფლობელობის სფეროში სეფიანების მიერ გატარებულ ღონისძიებებს. ამისაგან განსხვავებით, მოულოდნელად შეიძლება გვეჩვენოს ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილებში „სოიურღალის“ ან ფეოდალური იმუნიტეტების აღმნიშვნელი სასოიურღალო ფორმულების გამოყენება. ამისათვის თითქოს, დაბრკოლება უნდა შეექმნა სეფიანების უარყოფით დამოკიდებულებას სოიურღალისადმი. თუმცა, სეფიანთა დროინდელი სოიურღალის ბუნებისა და საკუთრივ ირანის აგრარული ურთიერთობების შემდგომი ევოლუციის გათვალისწინებით რამდენადმე გასაგები ხდება ორენოვანი „სასოიურღალო“ საბუთების გაჩენის მიზეზები.

ორენოვანი საბუთები, რომელთა სპარსული ტექსტები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ სასოიურღალო სიგელებთან, ორ ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფს საეკლესიო საბუთები განეკუთვნება; მეორე ჯგუფში საერო პირთა სახელზე გაცემული საბუთები შედის. აქედან, XVII ს-ის მეორე ნახევრამდე მხოლოდ პირველი ჯგუფის საბუთები გვხვდება, ხოლო მეორე ჯგუფის საბუთები XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დამდეგს არის გამოცემული.

ეკლესიის სახელზე გაცემულ საბუთებში ტერმინი „სოიურღალი“ მხოლოდ ერთხელ გამოიყენება. სიმონ I მიერ 1581 წ. სვეტიცხოვლისადმი ბოძებული შეწირულობის წიგნის სპარსულ ნაწილში ნათქვამია, რომ ქართლის კათალიკოსს სოფ. მოხისი სოიურღალად ეწყალობა[10]. სხვა შემთხვევებში, ეკლესიისათვის ბოძებულ საბუთებში გვხვდება მხოლოდ სასოიურღალო სიგელებისათვის დამახასიათებელი საიმუნიტეტო ფორმულები. აღსანიშნავია, რომ ამ საბუთების განხილვის მთავარ საგანს წარმოადგენს ადრესატის საგადასახადო შეუვალობა, რაც გარკვეულად ხელს უწყობს საბუთის სპარსულ ნაწილში სასოიურღალო ფორმულის გაჩენას, რამდენადაც საგადასახა-

---

[8] თიულის ინსტიტუტის შესახებ იხ. მაგ., И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 184—221; აგრეთვე, ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან..., გვ. 188—209.

[9] И. П. Петрушевский, Очерки.., გვ. 158, 161.

[10] قریه مخیث ...به سیورغال او مفوض و شفقت نمودیم — ქ.—სპ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო იმუნიტეტი ანუ „მუაფი“[11] სოიურღალის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო. ამასთან, ტერმინი „მუაფი“, ხშირად, სოიურღალის ტექნიკური მნიშვნელობით, მის სინონიმად იხმარებოდა[12].

როგორც ვ. გაბაშვილი შენიშნავს, სოიურღალის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი „მუაფი“ სიმონ I 1582 წ. ორენოვანი საბუთის (ქ.-სპ. № 7) სპარსულ ნაწილში, სადაც ნათქვამია: „წმიდა გიორგის ეკლესიის დეკანოზს დიღმელ ნათანელსა და მის ვაჟს ჟეშთელს სითარხნე ვუწყალობეთ; იმგვარად, როგორც წინათ იყვნენ თარხანი, ჩვენც მუაფი და ხელშეუვალი გავხადეთ. ამის საფუძველზე ტარუღამ, ქედხუდამ და სხვებმა, მალისა და ბაჰრეჩეს აკრეფის მიზეზით დეკანოზისა და მისი სახლის გარშემო არ იტრიალონ, რათა მათ მშვიდად ილოცონ ჩვენი ბედნიერებისათვის და ამათზე დავალებულ სამსახურში ბეჯითობა და მეცადინეობა გამოიჩინონ“[13].

გამოთქმა „გარშემო არ უტრიალონ“[14], როგორც აღვნიშნეთ, სასოიურღალო სიგელებისათვის დამახასიათებელ საიმუნიტეტო ფორმულას წარმოადგენს. ვ. გაბაშვილი დასძენს, რომ ეს საბუთი „სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. სპარსული ტექსტის მიხედვით დიღმის წმიდა გიორგის დეკანოზს იგივე ევალება, რაც ინდური საბუთების მიხედვით შეიხს თუ სეიდს — ლოცვა იმისათვის, ვინც საეკლესიო პირს ათარხნებს და სოიურღალს უწყალობებს“[15].

სასოიურღალო ფორმულა გამოიყენება, აგრეთვე, 1586 წ. დმანისის ეკლესიისადმი ბოძებული შეწირულობის[16] სიგელის (ქ.-სპ. № 11) სპარსულ ნაწილში. მასში ნათქვამია: „ტარუღებმა, მელიქებმა, ომალებმა, გადასახადის ამკრეფებმა, ქოდავის ამკრეფებმა და მობაშირებმა კალამი და ნაბიჯი დაიმოკლონ და ამოიკვეთონ [შეწირული მამულებიდან]“[17].

სიმონ I 1594 წ. სითარხნის წიგნის (ქ.-სპ. № 190) სპარსული ნაწილი კრძალავს გათარხნებული გორელი ტერტერების შეწუხებას მათგან გადასახადის აკრეფის მიზნით და მიუთითებს, რომ „გარდა სასახლის საურისა და

---

[11] არაბ. معاف—„თავისუფალი, გათავისუფლებული, თარხანი“.

[12] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 178—180; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 290—291.

[13] ناطانیل دغامی دکانوز کلیسیای ژمیدا کرکی و زشتل ولد او ترخان شفقت فرموده بطریقی که سابقا ترخان بوده ما نیز اورا معاف و مسلم داشتیم بنا علیه داروغه وکدخدا وغیره بعلت مال و بهرچه پیرامون دکانوز و خانه او نگشته گذارند که بفراغت خاطر بدعاگویی دولت عالی ما مشغول بوده در خدمت مرجوعهٔ خود قیام و اقدام نمایند

[14] ამ შემთხვევაში: پیرامون... نگشته گذارند

[15] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 290—291.

შდრ. К. А. Антонова, Суюргал в Акбаровской Индии, ученые записки Тихоокеанского института, II.

[16] „შეწირვის“, „შეწირულის“ ცნება ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილებში გადმოიცემოდა ტერმინით „ვაკუფ“ (არაბ. وقف — შეწირვა, სასულიერო დაწესებულების მფლობელობაში რაიმეს გადაცემა).

[17] داروغه و ملکان و عمال و متصدیان و کدوجیان و مباشران قلم و قدم کوتاه وکشیده داشته

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზირანესი არავინ არაფერი მოსთხოვოს მათ და მათი სახლისა გარშემო არ იტრიალოს«[18].

საგადასახადო და ადმინისტრაციული შეუვალობის აღსანიშნავად, სხვა საშუალებებთან ერთად სასოიურღალო ფორმულა გამოიყენება სვეტიცხოვლის 1670 წლის შეწირულობის სიგელის სპარსულ ნაწილში (ქ.-სპ. № 133). საბუთში აღნიშნულია: „საჭიროა, რომ მაღალი კარის დივანის საქმეთა ომალებმა და მობაშირებმა ხსენებული ადგილების ჰავალეს, ეთლაყის, სათხოვარისა და გამოსაღებისაგან სავსებით დაიმოკლონ და ამოიკვეთონ კალამი და ნაბიჯი«[19].

დასახელებული საბუთების როგორც ქართული, ისე სპარსული ნაწილების განხილვის ერთ-ერთ მთავარ საგანს ადრესატის საგადასახადო და ადმინისტრაციული შეუვალობა წარმოადგენს. ნაწილობრივ, ცხადია, ამით იყო გამოწვეული სპარსულ ტექსტში სასოიურღალო ფორმულების გაჩენა, რამდენადაც, როგორც ვ. გაბაშვილი შენიშნავს, გათარხნების აქტს ირანელი მოხელისათვის სოიურღალზე უნდა ენიშნებინა, რადგან საგადასახადო იმუნიტეტი სოიურღალის ძირითადი ნიშანი იყო[20], ამასთან, თუ გავიხსენებთ, რომ სეფიანთა ხელისუფლება აღმ. საქართველოს ირანის ჩვეულებრივ პროვინციად განიხილავდა, ეკლესიის სახელზე გაცემული ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილებში სასოიურღალო ფორმულების გამოყენება სავსებით ბუნებრივ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა, საეკლესიო სოიურღალების გაცემა სეფიანთა დროს გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამღვდელოების სახელზე გაცემული ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების სასოიურღალო სიგელის ყაიდაზე შედგენა სეფიანთა ცენტრალისტური და აგრარული პოლიტიკის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს.

XVII ს-ის მეორე ნახევრიდან სასოიურღალო ფორმულები საერო ფეოდალთა სახელზე გაცემულ ორენოვან საბუთებშიც ჩნდება.

1659 და 1661 წლების საბუთების (ქ.-სპ. №№ 122 და 124) მიხედვით მოხელეებს მითითება ეძლევათ, რათა გორელი ვაჭრის მირიანა ქამალაშვილის მამულის გარშემო არ იტრიალონ[21] და მიწის გარკვეული ნაკვეთი მის კუთვნილებად სცნონ და არავინ მასში არ შევიდეს[22].

სასოიურღალო ფორმულები ნასყიდ მამულებთან დაკავშირებული საბუთის (ქ.-სპ. № 140—1681 წ.) სპარსულ ნაწილშიც გვხვდება, სადაც ნათქვამია: „დივანის ომალებმა და მობაშირებმა არავითარ შემთხვევაში არ შეაწუ-

---

[18] سوی ساوری درگاه و وزیرانه کسی طلب و توقعی ننموده پیرامون خانه مومی الیهما نگردند

[19] می‌باید که عمال و مباشران امور دیوانی سرکار عالی از حواله و اطلاق و طلب و توقع محال مذکور مطلقا قلم و قدم کوتاه و کشیده دارند

[20] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 291.

[21] پیرامون ایشان نگردند — ქ. — სპ. № 122

[22] اراضی مزبوررا مخصوص مشارالیهم شناسند و احدی مدخل ننمایند — ქ. - სპ. № 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხონ ისინი (ადრესატები. — თ. ა.), ხსენებული მიწების გარშემო არ იტრიალონ, კალამი და ნაბიჯი დაიმოკლონ და ამოიკვეთონ"[23].

ზოგან გვხვდება მითითება, რომ საფინანსო უწყების მოხელეებმა ნაწყალობევი თუ გათარხნებული გლეხების „გარშემო არ უნდა იტრიალონ" (پیرامون نگردند)[24].

ციციშვილებისათვის სამკვიდრო მამულის წყალობის წიგნის (ქ.-სპ. № 178—1717 წ.) სპარსულ ნაწილში „სოიურღალი" უკვე პირდაპირ არის დასახელებული და ნათქვამია, რომ ადრესატის წინაპრებისათვის სოიურღალად (بسیورغال) ნაწყალობევი სამკვიდრო მამული (ملك موروثی) მისთვისაც იმგვარადვე სოიურღალადაა დამტკიცებული.

საერო ფეოდალთა სახელზე გაცემულ ორენოვან საბუთებში სასოიურღალო ფორმულების გაჩენის ფაქტის ასახსნელად უნდა გავითვალისწინოთ XVII—XVIII სს-ის ირანის მიწათმფლობელობასა და, ამის შესაბამისად, სეფიანთა აგრარულ პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები.

სეფიანთა ირანში მიწისმფლობელობის მთავარი და გაბატონებული ფორმა თიული იყო[25]. სწორედ თიულის გაბატონებული მდგომარეობით აიხსნება ამ ხანებში სოიურღალის არსებობა, რომელიც უკვე აღარ უქმნიდა საფრთხეს სეფიანთა ცენტრალისტურ პოლიტიკას, რამდენადაც, ძირითადად, ამ პოლიტიკის მომხრე შიიტური სამღვდელოებისა და სამოქალაქო ბიუროკრატიის მფლობელობის სახით განაგრძობდა არსებობას. რაც შეეხება თიულს, მისი გასაკუთრების პროცესი XVI საუკუნიდანვე დაიწყო და, საბოლოოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში დასრულდა, როდესაც თიული შინაარსობრივად დაემთხვა სოიურღალს და მათ შორის არსებული განსხვავება წაიშალა[26].

ყოველივე ამას უნდა გამოეწვია სოიურღალისადმი სეფიანთა დამოკიდებულების შეცვლა, რასაც, თავის მხრივ, უნდა გაეადვილებინა ქართული „მამულის" „სოიურღალად" გადმოცემა ან მამულისათვის დამახასიათებელი ფეოდალური იმუნიტეტების ადეკვატურად ასასახავად სასოიურღალო (resp. საიმუნიტეტო) ფორმულების გამოყენება. საინტერესოა, რომ სოიურღალად ქართული მამული არა მარტო ორენოვან, არამედ ერთენოვან — სპარსულ საბუთებშიც აღინიშნება. მაგ., შაჰ აბას II 1660 წ. ფირმანით[27] ელიზბარბეგს მისი „სამკვიდრო და არასამკვიდრო" (موروثی وغیره موروثی) სოფლები უმტკიცდება „სამუდამო სოიურღალად და უსასრულო წყალობად" (سیورغال ابدی و احسان سرمدی)[28] ყურადღებას იქცევს, რომ იმავე პერიოდის

[23] عمال و مباشران دیوانی بهیچ وجه من الوجوه مزاحم حال ایشان و پیرامون املاک مذکور نگشته قلم و قدم کوتاه و کشیده دارند

[24] იხ. ქ.-სპ. № 164 (1699 წ.) და № 174 (1704 წ.).

[25] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 188.

[26] იქვე, გვ. 193; აგრეთვე, И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 221.

[27] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 1, გამოსცა ვ ლ. ფუთურიძემ, თბილისი, 1961, საბ. № 32.

[28] 1660 წლის ფირმანით მინიჭებული უფლების განახლებას ეხება შაჰ-სულეიმანის 1685 წლის სიგელი, რომელშიც ელიზბარის მემკვიდრეთათვის ნაწყალობევი მამულები, აგრეთვე სოიურღალად არის მოხსენიებული. იხ. „სპარსული ისტორიული საბუთები...", ნაკვ. 2, თბ., 1962, საბ. № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების მიხედვით, იგივე სოფლები ელიზბარ და სხვა სოლაღაშვილებს „თიულად“ აქვთ ნაწყალობევი[29]. ასეთი რამ, უთუოდ, თიულისა და სოიურღალის ინსტიტუტებს შორის განსხვავების წაშლის შედეგი უნდა იყოს.

ირანის აგრარულ ურთიერთობებში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება, აგრეთვე, სასოიურღალო ფორმულების გამოყენება ორენოვანი საბუთების ისეთ სპარსულ ნაწილებში, რომლებშიც ქართული მამულის აღსანიშნავად „თიული“ გვხვდება[30]. ასეთი რამ მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, რაც, ერთი მხრივ, თიული საკმაოდ ხშირ შემთხვევაში შეიძენდა სოიურღალის ნიშნებს, რათა ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას დოკუმენტურად გაფორმების საფუძველი ჰქონდა და, მეორე მხრივ, მოიხსნებოდა თიულისა და სოიურღალის ურთიერთდაპირისპირების პოლიტიკური საჭიროება.

მართალია, ქართული მამულისათვის დამახასიათებელი ფეოდალური იმუნიტეტები ნაწილობრივ ხელს უწყობდა ორენოვან „სათიულო“ საბუთებში სასოიურღალო ფორმულების გაჩენას, მაგრამ, არსებითად, ეს მოვლენა ქართულ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, რამდენადაც ასეთივე რამ საკუთრივ სპარსულ (ერთენოვან) საბუთებში უკვე XVII ს-ის შუა წლებიდან კვხვდება[31].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საერო ფეოდალთა სახელზე გაცემულ ორენოვან საბუთებში სასოიურღალო ფორმულების გაჩენა XVII ს-ის მეორე ნახევარში, უთუოდ, ირანულ საფუძველზეა აღმოცენებული და უშუალოდ უკავშირდება XVII ს-ის ირანის მიწისმფლობელობაში მიმდინარე პროცესებს და ამ პროცესებისადმი სეფიანთა ხელისუფლების დამოკიდებულებას.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ წყალობის საბუთებში სასოიურღალო ფორმულების გამოყენება საკანცელარიო ნორმად არ ქცეულა და „სოიურღალი“ ან სასოიურღალო ფორმულები ორენოვან საბუთებში იშვიათად იხმარებოდა, რაც, როგორც ჩანს, ირანული სამდივანმწიგნობრო სტილისა და ფეოდალური ტერმინოლოგიის კონსერვატული ბუნებითა და მოუქნელობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ორენოვანი საბუთის სპარსული ნაწილის ირანულ-ყიზილბაშურ ყაიდაზე შედგენა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ამის გამო „თიულიცა“ და „სოიურღალიც“ მხოლოდ ტექნიკურ ტერმინებად რჩებოდა და მიახლოვებითაც ვერ გამოხატავდა ქართული საადგილმამულო ურთიერთობის თავისებურებებს[32].

ამდენადვე, ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების დიპლომატიკურ ფორმულებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართული საბუთების ფორმაზე, არ შეუცვლია და არც შეიძლებოდა შეეცვალა ქართული საბუთის დიპლომატიკური სტრუქტურა და ტერმინოლოგია.

---

29 იხ. ქ.-სპ. №№ 60, 92, 96, 108, 117, 118, 130 და სხვ.

30 იხ. ქ.-სპ. №№ 151 (1693 წ.), 168 (1701 წ.).

31 იხ. „სპარსული ისტორიული საბუთები...“, ნაკვ. 1, № 24 (1648); იქვე, ნაკვ. 2, საბ. №№ 1, 2, 3, 8 (1662—1671 წწ.).

32 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება..., გვ. 292.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაქარ გიგინეიშვილი

ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიულად დადასტურებულ სატომო სახელთაგან სრულიად გარკვეულია ოთხის წარმომავლობა: **სვანი, ჭანი, ქართველი** და **მეგრელი** აშკარად ქართველური ტერმინებია. ამათგან პირველი ორი, როგორც დამაჯერებლად აჩვენა ს. ჯანაშიამ, წმინდა სატომო სახელებია, მაშინ როცა **ქართველი** და **მეგრელი** ტერიტორიულ-პოლიტიკური წარმომავლობის ტერმინებს წარმოადგენენ[1]. სწორედ ამ ფაქტორით ჩანს განსაზღვრული მათი ქრონოლოგიური განსხვავებულობაც: **სვანი** და **ჭანი** საერთოქართველური ერთიანობის დროინდელი სახელებია, **ქართველი** და **მეგრელი** კი მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქამდე აიყვანება (რადგან კანონზომიერი სვანური ფორმები ამ სახელებისათვის არ მოგვეპოვება). **ქართ-** და **ეგრ-** ძირეული მასალის სახით შემონახულა სატომო სახელები, მაგრამ სვანური კორელატები არ ჩანს[2].

როგორც ცნობილია, უცხოურ თუ ადგილობრივ ისტორიულ წყაროებში მრავალი სხვა ეთნონიმია ფიქსირებული, რომელთა წარმომავლობა ან სრულიად არაა გარკვეული, ან კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. თვით ასეთი სიმრავლე სატომო სახელებისა შედარებით მცირე ტერიტორიაზე სვამს საკითხს ამ სახელების წარმოშობის მიზეზების შესახებ. ან უნდა დავუშვათ, რომ ტომთა რაოდენობა შეეფერებოდა მათი სახელების სიმრავლეს, ან უნდა ვიფიქროთ, რომ ერთსა და იმავე ტომს ჰქონდა რამდენიმე სახელი. ერთი ტომისათვის რამდენიმე სახელის არსებობა შეიძლება სხვადასხვაგვარად აიხსნას: 1. **ეთნონიმთა განაწილებით სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთებში** (ე. ი. დაშვებით, რომ სხვადასხვა ეპოქაში ერთი და იგივე ტომი სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი), 2. **ეთნონიმთა განაწილებით გარემომცველ ტომთა და ხალხთა მიხედვით,** რაც გულისხმობს ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ ფაქტს, როცა ერთსა და იმავე ხალხს სხვადასხვა მეზობელი სხვადასხვა სახელს უწოდებს. ამის კარგი ნიმუშია ტერმინი **სომეხი,** რომელიც დღეს გამოიყენება იმ ხალხის სახელად, რომელიც თავის თავს **ჰაი**-ს უწოდებს, ხოლო ევროპელი ხალხები **არმენ**-ად იცნობენ.

ეთნონიმთა სიმრავლეს ბევრი სხვა ახსნაც შეიძლება მოეძებნოს, მაგრამ ამჯერად ამის კვლევა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. შემოვიფარგლებით უფრო კერძო საკითხით, როგორიცაა ტერმინების **ჭანი, სანი, ლაზი,** და **ჰენიოხი** ურთიერთმიმართების გარკვევა.

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 5).

[2] შდრ. ამ მხრივ **სვანი**, რომელსაც კანონზომიერი ფონემური შესატყვისები აქვს მეგრული **შო-ნი**-სა და სვანური **მუ-შუ̈ან**-ის სახით. თავკიდური **მუ-** საკუთრივ სვანურ ნიადაგზე ჩანს მოგვიანებით გაჩენილი (შდრ. **შუ̈ან-ᲑᲐᲠ** „სვანები“, **ლა-შუ̈ᲐᲜ** „სასვანო“ და სხვ.). **ჭანის** საერთოქართველურ წარმომავლობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთნონიმი **ჭანი** დღევანდელ ქართულში იხმარება ძველი საქართველოს იმ კუთხის წარმომადგენელთა აღსანიშნავად, რომელიც თითქმის მთლიანად დღეს თურქეთს უჭირავს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში კი დარჩენილა ერთადერთი სოფელი სარფი. ჭანები ძირეული ქართველური ტომია და მეტყველებენ ერთ-ერთ ქართველურ დიალექტზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი **ჭანი** არსებითად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მხოლოდ, სხვაგან მისი ადგილი კარგა ხანია დაიკავა ტერმინმა **ლაზი.** ეგევე **ლაზი** წარმოადგენს დღეს ამ ტომის თვითსახელწოდებას. მაგრამ ჩვენს დროშიც (ყოველ შემთხვევაში ჩვენი საუკუნის პირველ მესამედში) ჭანი, როგორც თვითსახელწოდება ხსენებული ეთნიკური ჯგუფისა, მთლად არ გამქრალა. ს. ჯანაშიას ცნობით ასე უწოდებდნენ თავს ვონას რაიონში მცხოვრები ჭანები[3]. ისტორიულად კი, როგორც ჩანს, განსხვავებული ვითარება იყო. ადრეულ ხანაში **ჭანი** არ უდრის **ლაზს.** ისტორიულ წყაროებში ისინი დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი. ამის ერთ-ერთ ნიმუშად გამოდგება VII საუკუნის ანონიმი სომეხი გეოგრაფი, რომელიც ლაზეთსა და ჭანეთს ერთმანეთისაგან ჰყოფს: *Եւ ունի եգեր փոքր աշխարհս Հորս՝ զՄանռիղի, զԵգռեւիկա, զ Ղ ա զ ի ւ, զ Ճ ա ն ե թ,..* „და აქვს ეგერს ოთხი მცირე ქვეყანა (პროვინცია): მანრილი, ეგრევიკა, **ლაზი, ჭანეთი**"[4]. საყურადღებოა, რომ ჭანების მხარე აქ ქართული ფორმითაა მოტანილი (-ეთ სუფიქსით).

პროკოპი კესარიელი კატეგორიული წინააღმდეგია ჭანებისა და ლაზების გაიგივებისა, რომლის ცდა მას შეუმჩნევია ზოგიერთ ძველ მწერალთან. ჭანები მოსახლეობენ არმენიელთა მეზობლად შუახმელეთზე და შუაში აღმართულია ტყიანი მწვერვალები, მიუვალი და ციცაბო ადგილები, უგზო-უკვლო ნაპრალები, რითაც ისინი გამოირჩევიან, როგორც არაზღვისპირა მცხოვრებნი, ლაზებისა და კოლხებისაგან[5]. მეორე მხრივ, მისი აზრით, კოლხები შეუძლებელია არ იყვნენ ივივე ლაზები... რომელთა სახელი შემდგომ „ლაზთა" სახელით შეიცვალა[6].

საგულისხმოა, რომ როგორც ძველ, ისე თანამედროვე ისტორიკოსებს არსებითად ერთი პოზიცია უჭირავთ **ჭან**-ისა და **სან**-ის ინტერპრეტაციის საკითხში. მიჩნეულია, რომ **ჭანი** და **სანი** ერთი და იმავე ტომის სახელწოდებაა. ს. ჯანაშიას აზრით, თეოდორიტე კვირელი სანებში გულისხმობს[7] მის დროს უკვე ლაზების სახელით ცნობილ ჭანებს[8]. ამასვე ადასტურებს ევსტათისეული კომენტარი დიონისიოს პერიეგეტის თხზულების ერთი ადგილისა, სადაც ნათქვამია, მაკრონები ბექირებზე სამხრეთით მცხოვრები პონტოელი ხალხია, რომელთაც ჩვენ ახლა **სანებს** (Σάννους) ვუწოდებთ, ხოლო უმეცართა ენაზე მათ **ჭანები** (Τζάνους) ჰქვიათო, ხოლო შესაბამისად **სანების** ქვეყანას **ჭანიკეს** (Τζανικήν) უწოდებენ მდაბიურად მეტყველნიო[9].

---

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[4] Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод издал К. П. П а т к а н о в, С.-Петербург. 1877, გვ. 16.

[5] გეორგიკა, ტ. II, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1965, გვ. 120.

[6] გეორგიკა, ტ. II, გვ. 120.

[7] გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 226—227.

[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

[9] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1957, გვ. 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ განაპირობა საჭიროება **ჭანისა** და **სანის** იდენტობის მტკიცებისა, როცა **ჭანი** დღევანდელ ქართულშია ცოცხალი, **სანი** კი მხოლოდ ბერძენ მწერლებთან (ზოგჯერ რომაელებთანაც) გვხვდება? ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბერძნულ წყაროებში **ჭანი**-სთვის ორგვარი დაწერილობა არსებობს: ერთია Σαν- (Σαννοι), მეორე — Τζαν- (Τζάνοι), ამან გავლენა იქონია, როგორც ჩანს, წარმოთქმაზეც და გაჩნდა საკითხი: ხომ არ შეიძლება ორი სხვადასხვა დაწერილობა განსხვავებულ ტომებს გულისხმობდეს? ამის საპასუხო რეაქციას წარმოადგენს ევსტათისეული კომენტარის ზემოთმოტანილი ადგილი. რომ აქ ორი სხვადასხვა ტომი არ უნდა იგულისხმებოდეს, ამის კიდევ ერთ საბუთს იძლევა პროკოპი კესარიელის ცნობა, რომელიც აგვიწერს ჭანების საცხოვრისს. პროკოპის გადმოცემით, ჭანები მოსახლეობენ ნისლიან და თოვლიან მთებში, სადაც სათავეს იღებს მდინარე ფაზისი და მიემართება კოლხეთისაკენ. **ჭანების ტომი** (Τζανικὸν ἔθνος) არავის ქვეშევრდომი არაა და მისი წარმომადგენლები უფრო ადრეულ ხანაში **სანებად** (Σάνοι) იწოდებოდნენ[10]. პროკოპი კესარიელი აქ სრულად არაორაზროვნად მიუთითებს ტერმინების **ჭანი** და **სანი** ივივეობაზე, ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ ამ ორ სახელწოდებას იგი გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს. რას უნდა გამოეწვია Σαν-ის შეცვლა Τζαν-ით? ეს ცვლილება, რა თქმა უნდა, ფონეტიკური არაა: ბერძნულისთვის უცხოა σ-ს გადასვლა Τζ კომპლექსში, რომელიც (Τζ) საკუთრივ ბერძნულ სიტყვებში საერთოდ არ დასტურდება. Τζ გრაფიკული გადმოცემაა ისეთი ბგერებისა, რომლებიც ზოგ სხვა ენაში დასტურდება, ბერძნულს კი არ მოეპოვება. ამ გრაფიკული ჯგუფით ბერძნულ ხელნაწერებში გადმოცემულია სხვა ენების აფრიკატი ფონემები: **ц, ч, ղ, ջ**[11]. ამავე აფრიკატებს უფრო ადრინდელ ხანაში ბერძნები, როგორც ჩანს, ერთი გრაფემით — „სიგმათი" — ცვლიდნენ (ამის ასახვა ჩანს ქართული ჭან- → ბერძნ. Σαν-). რადგან σ ერთადერთი ყრუ სიბილანტია ბერძნულ ფონემურ სისტემაში, მას ეკისრებოდა ყოველგვარი უცხოენოვანი სისინა და შიშინა ყრუ თანხმოვნის გადმოცემა. მოგვიანებით, პროკოპი კესარიელის დროს, უკვე აშკარად ჩანს ტენდენცია აფრიკატების ადგილობრივ წარმოთქმასთან უფრო მიახლოებული, უფრო ზუსტი გადმოცემისა. ეს ტენდენცია ასახვას პოულობს ორთოგრაფიაშიც: ორი კომპონენტისაგან შემდგარი თანხმოვნები, აფრიკატები დაწერილობაში წარმოდგენილია ორგრაფემიანი ჯგუფით (τζ).

სომხური წყაროები არ საჭიროებენ ჭ ფონემის გადმოცემას გრაფემების ჯგუფით, რადგან სომხურ ენას ჭ-ს მსგავსი ფონემაც მოეპოვება და შესაბამისი გრაფიკული სიმბოლოც *(ճ)*. სომხურ წყაროებში გვაქვს, ჩვეულებრივ, **ճանիւ** (ჭანივ) და **ճանեթ** (ჭანეთ) ფორმები **ჭანების** ან **ჭანეთის** მნიშვნელობით. მოსე ხორენელი, როცა მოგვითხრობს არტაშირის მიერ ტაციტის დევნას, ამ უკანასკნელის შესახებ ამბობს: ***որ եւ սպանաւ ի ճանիւս պոնտացւոց, որ են խաղտիք*** „რომელიც მოიკლა... **ჭანეთს** პონტოისასა, რომელ

[10] გეორგიკა, II, გვ. 53.

[11] სისინათა და შიშინათა τζ-თი გადმოცემის შანსები ბერძნულში თანაბარია (შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ხალტები"[12] (ანუ ქალდები). **ჭანთა** მხარე ამ ფორმით სხვა სომეხ მწერლებთანაც გვხვდება.

ცნობილი და მრავალგზის კომენტირებულია **ճին** ფორმა სომხური წყაროებისა. იმავე მოსე ხორენელთან მოხსენიებულია სხვა ადგილას **ჭენ**-თა ტომის წარმომადგენელი მამგუნი[13]. ფავსტოს ბუზანდთან რამდენსამე ადგილას ნახსენებია **ჭენთა** ქვეყანა, თუმცა მისი მდებარეობა მითითებული არაა. ს. ჯანაშიას, ისევე როგორც ნ. ადონცს[14], მიაჩნია, რომ მამიკონიანების ჭანური წარმომავლობა სავსებით სარწმუნოა, მაგრამ ამასთანავე მისთვის უეჭველია, რომ მოსე ხორენელთან ზემოხსენებულ ადგილას **ჭენი** ნახმარია **ჩინ**-ის, **ჩინელის** გაგებით კონკრეტულ მწიგნობრულ კონსტრუქციაში[15]. ე. ი. შესაძლოა **ჭენ**-ის თავდაპირველი მნიშვნელობის ცვლას მართლაც ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ **ჩინელის** აღსანიშნად განკუთვნილი ფორმით შეცვლილია მსგავსი ყღერადობის **ჭანი**, თავისთავად კი ამ კონკრეტული კონტექსტის გარეშე **ճին** ჩინელს ნიშნავს, ხოლო **ճան** — ჭანს.

ამრიგად: 1. ქართული ეთნონიმი **ჭანი** არაა **ლაზი**-ს იდენტური; 2. ბერძნულ წყაროებში **ჭანს** შეესატყვისება ორი ტერმინი: უფრო ძველი Σαν-ი და შედარებით გვიანდელი Τζαν-ი, რომლებიც ერთი და იმავე სახელის ქრონოლოგიურად განსხვავებულ გრაფიკულ ვარიანტებს წარმოადგენენ; 3. სომხურ წყაროებში **ჭანი** გადმოცემულია **քան** დაწერილობით.

სანების (ჭანების), მაკრონების და სხვა ქართველური ტომების გვერდით ბერძნულ წყაროებში ხშირად იხსენიებიან **ჰენიოხები.** სტრაბონის ცნობით, სინდიკესა და გორგიპიას შემდეგ, ზღვასთან არის აქეელთა, ზიგთა და **ჰენიოხთა** სანაპირო. ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ უნავსადგურო და მთიან ადგილებში, მეკობრეობენ ზღვაზე. ელინები მათ **კამარებს** უწოდებენ. გადმოცემის მიხედვით იაზონის ლაშქრიდან ფთიელმა აქაველებმა დაასახლეს აქაია, ხოლო ლაკონელებმა — **ჰენიოხია,** რომლებსაც მართავდნენ დიოსკურების მეეტლეები — რეკასი და ამფისტრატე, რომელთაგანაც მიიღეს სახელი ჰენიოხებმა[16] (ἡνίοχος ბერძნულად „სადავეების მჭერს", „მეეტლეს" ნიშნავს). ეს გადმოცემა, რომელსაც სტრაბონთან ვხვდებით, ფართოდ გავრცელდა **ჰენიოხ** სიტყვის ბერძნულ ნიადაგზე ეტიმოლოგიზაციის შედეგად. მას ვადასტურებთ თითქმის ყველა შემდეგდროინდელ ისტორიკოსთან, რომელთანაც ნახსენებია ჰენიოხები. ამიანე მარცელინესთან ნათქვამია, რომ მდინარე ფაზისი ჩამოუვლის კოლხებს და რომ იქ სხვა ქალაქებს შორის არის მდინარის მიხედვით სახელშერქმეული ფაზისი და კარგად ცნობილი დიოსკურია, რომელიც, როგორც გადმოცემიდან ჩანს, დაფუძნებულია კასტორისა და პოლუქსის მეეტლეების, სპარტელი ამფიტოსისა და კერკიოსის მიერ, რომელთაგან წარმოიშვა ჰენიოხთა ერი[17]. აქეელთა მეზობლობა ჰენიოხებთან აღნიშნულია ამიანეს მიერაც[18].

მეხუთე საუკუნის ბერძენი ანონიმი გეოგრაფის „პერიპლუსის" მიხედვით მდინარე არქაბიდან მოკიდებული ვიდრე ოფიუნტის წყლამდე წინათ ცხოვ-

[12] Մովսես Խորենացի, Պատմագիրք հայոց. Տփղիս, 1913, გვ. 215.
[13] История Армении Мойсея Хоренского. Пер. Н. О. Эмина, М., 1893, გვ. 129—130.
[14] З. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, С.-Петербург, 1908, გვ. 403—404.
[15] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
[16] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 118—119.
[17] გეორგიკა, I, გვ. 111—112.
[18] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდნენ ეკხირიელები, ამჟამად კი — მაქელონები და **ჰენიოხები,** აფსარის წყლიდან მდინარე არქაბემდე წინათ ცხოვრობდნენ ბიძერები, ამჟამად კი — ზიდრიტები[20]. როგორც ვხედავთ, სტრაბონისა და ამიანეს თხზულებებში ჰენიოხების განსახლების ადგილი სხვაა ანონიმი გეოგრაფის მიერ მოწოდებულ ცნობასთან შედარებით. ამასთანავე, პერიპლუსის ანონიმი ავტორი თითონვე მიუთითებს, რომ ჰენიოხებს ადრე არ ეჭირათ ის ტერიტორია რომელზედაც სახლობენ მის დროს. გადმოცემა ჰენიოხების წარმომავლობისა დიოსკურების მეეტლეთაგან შემონახულია ანონიმ ავტორთანაც, ოღონდ იგი თვლის, რომ ჰენიოხები ნარევი ხალხია[21]. ამავე ავტორის მიხედვით, კოლხები დიოსკურიიდან აფსარის წყლამდე ცხოვრობდნენ. მათ მისდევენ მაქელონები და ჰენიოხები, რომელთა მეფეა ანქიალე[22].

პტოლემაიოსის მიხედვით, მთიანი ქედების ძირში, კიმერიის ბოსფორის ორსავე მხარეს ბინადრობენ ბოსფორელები, ხოლო პონტოს გასწვრივ — აქეები, კერკეტები, **ჰენიოხები** და სვანო-კოლხები[23]. საინტერესოა ტერმინი Σουαννο-Κολχοι, რაც შესაძლოა გულისხმობდეს სვანი და კოლხი ტომების პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც მოიცავდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გარკვეულ ნაწილს[24]. ეგევე ცნობა მიუთითებს სვანების გავრცელებულობაზე შავიზღვისპირა ზოლში ადრეულ ხანაში[25].

რომელი ეთნიკური ერთეული იგულისხმება ტერმინში **ჰენიოხი** და როგორი ეტიმოლოგია ამ ტერმინისა უფრო დამაჯერებელი იქნება ისტორიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით? ჰენიოხთა ტომის სიძველე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში საეჭვო არაა. ამიტომ დასმულ საკითხს არ დაუკარგავს აქტუალობა იმისდა მიუხედავად, რომ ისტორიულ მეცნიერებაში საკმაოდ არგუმენტირებული ვარაუდებია გამოთქმული მასთან დაკავშირებით. ივანე ჯავახიშვილს **ჰენიოხებისა** და **ტუსკების (თუშების)** ეთნარქებად შესაბამისად მიაჩნია დაბადების წიგნში მოხსენიებული **ჰენოხ** და მისი შვილი **მათუსალა**[26] (თუმც უნდა ითქვას, რომ **ჰენიოხებსა** და **თუშებს** შორის იმგვარი მემკვიდრეობითი კავშირი არაა, როგორც **ენუქსა** და **მათუსალას** შორის). ტერმინ **ჰენიოხის** გამოყვანა **ენოხ** // **ენუქ**-იდან გარკვეულ დაბრკოლებებს აწყდება: ერთგან სიტყვის თავში **ჰ** გვაქვს (ჰენიოხი), მეორეგან — არა (**ჰენოხ** ფორმა არსად დასტურდება), ერთგან **ნ**-ს შემდეგ **ი** გვაქვს, მეორეგან — არა. ამას გარდა, ბერძნული დაბადების ტექსტში წარმოდგენილ Ηνωχ-სა და ბერძნულ ისტორიულ წყაროებში ფიქსირებულ Ἡνιοχ ფუძეს შორის სხვაობა თავს იჩენს გახმოვანებაშიც. საკითხს ჰენიოხების მიკუთვნებისას ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფისადმი ივ. ჯავახიშვილთან შევეხებით ქვემოთ.

მ. ინაძე იზიარებს პ. უშაკოვის ვარაუდს, რომლის მიხედვით ურარტუს წარწერებში მოხსენიებული **იგანი**-ს ქვეყანა იმ ტომთა პოლიტიკური გაერ-

---

[20] გეორგიკა, II, გვ. 3.

[21] იქვე, გვ. 7.

[22] იქვე, გვ. 6—7.

[23] В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, С.-Петербург, 1893, გვ. 239.

[24] კოლხეთის ორგვარი გაგებისათვის იხ. ნ. ლომოური, „კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის, თსუ შრომები, В1 (138), 1971, გვ. 29.

[25] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 92.

[26] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, თბ., 1950, გვ. 136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანება უნდა იყოს, რომლებსაც ბერძენი მწერლები **ჰენიოხებს** უწოდებდნენ[27]. ამ თვალსაზრისის მიხედვით **ჰენიოხი** იდენტურია **იგანიეხი**-სა[28]. ამ ვარაუდის გაზიარება ძნელია, რადგან არავითარი ენობრივი კავშირი ამ ორ ფორმას შორის არ ჩანს.

ჰენიოხის იმ ბერძნული გააზრების თაობაზე, რომელიც წყაროებში დასტურდება (ἡνίοχος „მეეტლე") სავსებით სამართლიანია გ. მელიქიშვილის შენიშვნა, რომ შესაძლოა ბერძნებმა აქციეს „ჰენიოხებად" („მეეტლეებად" — **ბ. გ.**) მისი მსგავსი ჟღერადობის რომელიმე ადგილობრივი სატომო სახელი[29].

არიანესა და ანონიმი გეოგრაფის ცნობათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი საბოლოოდ იმ აზრისაკენ იხრება, რომ **მაკრონები** და **ჰენიოხები** ჭანური ტომის ცალკეულ თემებად შეიძლება ჩაითვალონ[30].

განსხვავებული თვალსაზრისი აქვს წარმოდგენილი გ. მელიქიშვილს, რომელიც დამატებითი არგუმენტების მოხმობით ავითარებს ი. ორბელის ვარაუდს, რომ შესაძლოა ჰენიოხები და სანიგები (ეს ეთნონიმები გაიგივებულია) წარმოადგენდნენ სვანურ ტომებს[31]. ამ დებულებას მოსდევს ფრიად საყურადღებო ვარაუდი, რომლის მიხედვით ჰენიოხ-სანიგების (ავტორის აზრით, სვანების — **ბ. გ.**) ადრინდელ საცხოვრისად მიჩნეულია შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, კერძოდ კი ფაზისის რაიონი ბერძენ კოლონისტთა იქ მისვლამდე. ამ თვალსაზრისით, გ. მელიქიშვილს საყურადღებოდ მიაჩნია აგრეთვე პომპონიუს მელას ცნობა იმის შესახებ, რომ დიოსკურია (სოხუმი) აგრეთვე ჰენიოხთა მიწა-წყალზე მდებარეობდა. ჰენიოხების (იმავე სვანების) ზღვისპირა ზოლში განსახლების სასარგებლოდ გ. მელიქიშვილი იშველიებს ცალკეულ ტოპონიმთა ეტიმოლოგიებს (როგორიცაა, მაგალითად, მ. ქალდანისეული გააზრება **ცხუმ**-ისა **რცხილის** სვანურ სახელწოდებად)[32]. სვანური მოსახლეობა რომ ადრეულ ხანაში შავი ზღვის აღმოსავლეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ვიგულვოთ, ამას არსებითად თითქოს არაფერი შეუშლიდა ხელს, მაგრამ როგორ დგას ჰენიოხების სანიგებთან გაიგივებისა და მათი სვანურ ტომებად მიჩნევის საკითხი? **ჰენიოხი** და **სანიგი (სანიხი)** ერთმანეთის ვარიანტებადაა კვალიფიცირებული. **ჰ**-სა და **ს**-ს მონაცვლეობა, ავტორის აზრით, ისევე დასაშვებია, როგორც **სპერ ~ ჰიბერ**-ში[33]. ჩვენთვის ნათელი არაა **ს ~ ჰ** მონაცვლეობის ფონეტიკური საფუძველი. ასევე არაა ნათელი განსხვავება ვოკალიზმში: **ე-ა** (ჰენიოხ — სანიგ).

ყველაზე უფრო დამაჯერებელი ჩანს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება ჰენიოხთა ჭანური ტომისათვის მიკუთვნების შესახებ. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „... ჰენიოხები... შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც მაკრონების გვერდით იყვნენ (არიანე, § 15) და ჩრდილოეთ სანაპიროზეც, იმიერ-კავკასიაში ჯიქების მეზობლად (სტრაბონის G., lib. XI, c.

---

[27] П. Ушаков, К походам урартийцев в Закавказье, ВДИ, 1946, № 2, გვ. 38.

[28] მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის (ჰენიოხები), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 13—21.

[29] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 91.

[30] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

[31] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 91.

[32] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 63—67.

[33] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2, § 12)[34]. მართლაც, ჰენიოხებს წყაროები ასახელებენ როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე შავი ზღვისა, ისე მის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც (ანონიმი პერიპლუსი, არიანე). არიანე ფლავიუსის მიხედვით მაკრონ-ჰენიოხების საერთო მეფე იყო ანქიალი. ამ ანქიალის სასახლე მდებარეობდა, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ახლანდელი ვიწეს მახლობლად. ჭანების მიწა-წყალი ყოფილა მდინარე ოფიდან მოყოლებული აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ვიწეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბინადრობდა მაკრონებისა და ჰენიოხების თემი[35]. ამრიგად, არსებობს გარკვეული საფუძველი **ჭანებისა** და **ჰენიოხების** იდენტიფიკაციისათვის. ერთი მხრივ, გაიგივებულია **მაკრონები** და **ჰენიოხები**, მეორე მხრივ კი — **სანები (ჭანები)** და **მაკრონები.** ამასთანავე მათ საცხოვრისად მიჩნეულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, რასაც ადასტურებს სტრაბონის ცნობა, ტრაპეზუნდისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ქალდები და **სანები**, რომელთაც უწინ **მაკრონებს** უწოდებდნენო[36]. თუ **მაკრონი** = **სანს** და **მაკრონი** = **ჰენიოხს**, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სანი** = **ჰენიოხს**, ხოლო რადგან **სანი** იგივე **ჭანია** (მისი ბერძნული დაწერილობა), **ჭანი** = **ჰენიოხს. სანებისა** და **ჰენიოხების** თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პლინიუს სეკუნდის ისტორიის ერთ ადგილს, სადაც სანები და ჰენიოხები სხვა ტომთა შუალობის გარეშეც გაიგივებულია: In ora ante Trapezunta flumen est Pyxitis, ultra vero gens **Sannorum ᶜHeniochorum**[37] „ნაპირის გაყოლებით ტრაპეზუნდამდე არის მდინარე პიქსიტი, მის იქით კი ტომი **სანების ჰენიოხებისა**". მეორე მხრივ, მაკრონებისა და სანების გაიგივება არა მარტო სტრაბონთან გვხვდება, არამედ სტეფანე ბიზანტიელთანაც, რომლის მიხედვით მაკრონები ახლანდელი სანებია[38]. აქ უნდა გავარჩიოთ **სანისა** და **ჰენიოხის** დამოკიდებულება **სანისა** და **მაკრონის** დამოკიდებულებისაგან. თუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ **სანები** და **მაკრონები** ერთი ტომის სხვადასხვა თემებია, **სანები** და **ჰენიოხები** აბსოლუტურად ერთსა და იმავე ეთნიკურ და სოციალურ ერთეულზე უნდა მიგვანიშნებდეს. ეს ტერმინები ლინგვისტური თვალსაზრისითაც ფარავს ერთმანეთს. რამდენადაც **სანი** მხოლოდ ბერძნული წერილობითი გადმოცემაა **ჭანისა**, ამდენად ეტიმოლოგიური დაკავშირებისას უნდა განვიხილოთ სწორედ **ჭანისა** და **ჰენიოხის** ურთიერთმიმართება. ამ ტერმინების შედარებისას თვალში საცემია მათი განსხვავება როგორც ჟღერადობაში, ასე სიგრძის მხრივ. **ჰენიოხი** ბოლოვდება — **ოხი** ელემენტზე, რომელიც ტერმინში **ჭანი** წარმოდგენილი არაა. შეიძლება დავუშვათ, რომ **-(ო)ხი** იმ ტიპის დაბოლოებათაგანია, რომლებიც გვხვდება ეთნონიმებში **კოლხი** (შდრ. კოლა), **ტაოხი** (შდრ. ტაო), **კარდუხი, იგანიეხი** და სხვა. **-ხი-ს** გამოყოფა ამ ტიპის სახელებში კარგად ხერხდება იმის გამო, რომ ძირეული და აფიქსალური მასალა მხოლოდ და მხოლოდ მოცემულ კომბინაციაში (მაგ., **კოლხი**) არ გვხვდება. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს **კოლა**-ს თემზე **კოლხი**-ს ანალიზისას და ძველ ქართულ ძეგლში ფიქსირებულ **კოლაელთა** ფორმაზე, რომელიც წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელია, ნაწარმოები ფუძიდან **კოლა.** გარდა ამისა, ბერძნულად **კოლას მთებს**

[34] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 50—51.
[35] იქვე, გვ. 264.
[36] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 203.
[37] В. В. Л а т ы ш е в, Известия древних писателей..., т. II, вып. I, გვ. 178.
[38] იქვე, т. I, вып. I, გვ. 262.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Κολικά ὀρη ეწოდება. მეორე მხრივ, გვაქვს სუფიქსი **-ხი**, რომელიც **-კოლა/-კოლა-** ძირის გარეშეც გვხვდება (**კარდუხი, ტაოხი...**) და რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიერ მიჩნეულია ეროვნების აღმნიშვნელის საკვეცად[39]. ეს სუფიქსი, როგორც ვარაუდობენ, ურარტულია ქართულ სატომო სახელებში. ურარტული **ḫ-i-ს** ფუნქციის შესახებ გ. მელიქიშვილი წერს: „სუფიქსი **ḫi/e(ni)** კუთვნილებითი სუფიქსია... ამას გარდა, ის ხშირად გვხვდება სატომო სახელთა დაბოლოების როლში, რომლებიც ალბათ გაიაზრებოდნენ, როგორც „შვილი ამისი (ეპონიმისა, ღმერთისა)". ამაზე მიუთითებს ამგვარი სახელწოდებების წინ დასმული მამაკაცთა საკუთარი სახელების დეტერმინატივიც, რომელიც გვევლინება სატომო სახელთა დეტერმინატივად"[40]. იქვე გ. მელიქიშვილი მიუთითებს, რომ-**ḫi/e**სუფიქსის ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს სუფიქსი -uḫi, რომელიც დადასტურებულია ქვეყნის სახელში **KUR urmeuḫi. ტაოხი** ურარტული ფორმით არის **diauḫi (დიაუხი)**[11], რაც შესაძლებლობას იძლევა ვიფიქროთ, რომ ქართულ-ქართველური **ო** ურარტულში **u**-ს სახით იყო წარმოდგენილი. მეორე მხრივ, საფიქრებელია, **-uḫi** ვარიანტი კუთვნილებითი სუფიქსისა ქართულში **-ოხი**-ს სახით გადმოდიოდა. თუ ასეა, მაშინ **ჰენიოხი**-ს ბოლოკიდური **-ოხი** მიმდევრობა შეიძლება ურარტული **-uḫi**-ს ქართულ გადმოცემად ჩავთვალოთ და მივიჩნიოთ იგი სატომო სახელთა სუფიქსად. დაგვრჩება **ჰენი**, რომელიც უნდა დავუყენოთ გვერდით **ჭანი** ფორმას. ერთი შეხედვით, თითქმის არავითარი მსგავსება ამ ორ ფორმას შორის არა გვაქვს. მაგრამ თუ **ჭანი** ფორმას ამ ტომის თვითსახელწოდებად მივიჩნევთ, ხოლო **ჰენი**-ს — ამავე ტომის სვანურ სახელწოდებად, მათ შორის დამყარდება კანონზომიერი კავშირი, რომელიც გამოვლენილი იქნება ამ სახელებში შემავალ ფონემებს შორის რეგულარული შესატყვისობის სახით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინი **ჭანი**, როგორც თვითსახელწოდება ამ ტომისა, თითქმის გამქრალია (ს. ჯანაშიას აზრით, იგი შემოგვრჩა, როგორც ასეთი, ვონას მოსახლეობაში). სხვა ქართველურ ენებში გადმონაშთის სახით ვადასტურებთ **ჭანი** ფორმას ან ტოპონიმებში (მაგ., სოფელი **ჭანი-ეთ-ი** მახარაძის რაიონში), ან ნივთიერი კულტურის ნიმუშთა სახელებში (მაგ., სპილენძის ქვაბის ერთი სახეობის მეგრული სახელწოდება — **ჭანური**[42]).

მეგრულ-ჭანური ფორმის, **ჭანი**-ს კანონზომიერ შესატყვისად ქართულში ერთადერთი შესაძლო ფორმა უნდა ყოფილიყო ***წენი** (შესატყვისობა — ზან. **ჭ** : ქართ. **წ**, ზან. **ა** : ქართ. **ე**, ზან. **ნ** : ქართ. **ნ**, ზან. **ი** : ქართ **ი**). ასეთი სატომო სახელი ქართულში არ დასტურდება. შესაძლოა ქართულში სავარაუდებელი ***წენი** ფორმა იყოს გარჩენილი **წალენჯიხის** პარალელურად ხმარებულ **წენ-დიხა**-ში, რომელიც კომპოზიტს წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილია **წენ**, მეორე კი — **-დიხა**/←***ჯიხა** „ციხე" (მეგრ.) **წენ-დიხა** მიღებულია **წენჯიხასაგან** და მას შეიძლება „ჭანთა ციხის" მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორც ვარაუდობს ი. ყიფშიძე[43]. თუ ამ სიტყვაში გამოვლენილ **წენ**-ს ზანური **ჭანის** ქარ-

---

[39] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, დამატება I, თბ., 1951, გვ. 403.

[40] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., 1960, გვ. 51—52.

[41] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи..., გვ. 52.

[42] ამ ტიპის ქვაბების წარმოება ჭანებს მიეწერება — იხ. И. Кипшидзе, Грамматика Мингрельскаго (иверскаго) языка, С.-Петербург, 1914, გვ. 386.

[43] И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 377.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულ შესატყვისად მივიჩნევთ, კომპოზიტი **წენდიხა** რამდენადმე უცნაურად შედგენილი გამოდის: მისი პირველი კომპონენტი ქართულია, მეორე კი — ზანური. მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ***წენი** სამეგრელოში **ჭანი**-ს პარალელურად იხმარებოდა, რადგან მეგრულში დიდი რაოდენობით გვაქვს ქართულიდან შეთვისებული სიტყვები. მით უფრო ადვილია ამის თქმა, როცა საუბარია ეთნონიმებზე.

ამრიგად გვაქვს 3 ფორმა: ***წენი** (რეკონსტრუირებული **ჭანის**, აგრეთვე ტოპონიმების **წენდიხა** და **წენიწყარი**-ს საფუძველზე), **ჭანი** და **ჰენი-** (ამოღებული ტერმინიდან **ჰენიოხი**). თუ ამ ფორმებს გავანაწილებთ სამ ქართველურ ენას (შესაბამისად, ქართულსა, ზანურსა და სვანურს) შორის, ბგერათშესატყვისობის მხრივ ყველაფერი რიგზე იქნება. ხმოვანთა შესატყვისობა — ქართ. **ე : ზან. ა : სვან. ე** კანონზომიერია. ბოლოკიდური **-ნი** სეგმენტი მეორდება სამსავე ენაში, რაც აგრეთვე გამართულია ბგერათფარდობის წესების მიხედვით. რჩება თავკიდურ თანხმოვანთა შეფარდება — **ქართ. წ : ზან. ჭ : სვან. ჰ**. ასეთი შესატყვისობა ქართველურ ენებში არსებობს და ამოსავლად საერთო-ქართველურ ***წ₁**-ს ვარაუდობს. აფრიკატთა სპირანტიზაციის ეს სახე სვანურში პირველად შემჩნეული იყო ვ. თოფურიას მიერ, ოღონდ მას ეს გაეზრებული ჰქონდა შემდეგი თანმიმდევრობით: **წ → ს → ჰ →** ∅[44]. როგორც შემდგომ დაზუსტდა, სვანური **ჰ** და ∅ მომდინარეობენ არა **ს**-სა ან **წ**-საგან, არამედ ადრეული სვანური **ჭ**-საგან, რომელიც ქართული **წ**-ს კანონზომიერი შესატყვისი იყო. გ. მაჭავარიანის ფორმულირებით „შეფარდება — **ქართ. წ : მეგრ.-ჭან. ჭ : სვან. ჰ** გვხვდება მხოლოდ ანლაუტში ხმოვნის (მაგრამ არა უ-ს) წინ“[45]. დეზაფრიკატიზაციის საკითხს სვანურში სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა თ. გამყრელიძემ, სადაც განსაზღვრულია ქართული **წ**-ს შესატყვისი ადრინდელი სვანური ***ჭ**-ს შემდგომი ცვლილებანი[46]: ***ჭ → ჰ** (**ა, ე, ო** ხმოვანთა წინ ანლაუტში; მაგ. ქართ. **ე-წ-ევ-ა** : მეგრ. **ჭ-აფ-ა** „წევა“ : სვან. **ხ-ე-ჰ-ა** „ეწევა“; ქართ. **წად-ილ-ი** : სვან. **ჰადუ̄** (ნატვრა“), ***ჭ → შ** (ჰარმონიულ **ჭყ** კომპლექსში; მაგ. ქართ. **წყუედ-ა** : სვან. **ლი-შყედ** „ვარდნა“; ქართ. **ნერწყვი** : მეგრ. **ლერჭყვა** : ჭან. **ლემჭკვა** : სვან. **ნაშყუ̄ ← ნეშყუ̄**)[47], ***ჭ → ჲ** (სონორი **რ**-ს წინ : ქართ. **წერ**-ს : სვან. **ალრი**), ***ჭ →** ∅ (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის. მაგ., ქართ. **მწერი** : მეგრ. **ჭანჯი** : ჭან. **მჭაჯი** : სვან **მ̄ერ ← *მჭერ**).

ამ კანონზომიერების მიხედვით სიტყვის თავში **ე** ხმოვნის წინ მყოფ სვანურ ***ჭ**-ს (იქნებოდა ის საერთო-ქართველური **წ₁**-ის რეფლექსი, თუ ნასესხებ სიტყვაში წარმოდგენილი) გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში უნდა მოეცა **ჰ**. ასეც მოხდა, ჩვენი აზრით, სვანურისათვის ამოსავალი ***ჭენი** ფორმაში და მივიღეთ ***ჰენი**, რომელიც შემდეგ გართულებული იქნა სატომო სახელთა — **(ო)ხი** სუფიქსით.

სავალდებულო არაა სვანური **ჰენი**-ს აუცილებლად საერთო-ქართველური ***წ₁ენი**-ს შესატყვისი ადრეული სვანური ***ჭენი** ფორმიდან გამოყვანა. სავსე-

---

[44] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, ტ. XII, თბ., 1960, გვ. 155.

[45] გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 37.

[46] თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968, გვ. 13—14.

[47] მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969, გვ. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მოსალოდნელია ჭანების თვითსახელწოდება სვანურში შეთვისებული იყოს იმ პერიოდში, როცა დეზაფრიკატიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მოქმედებდა. მაშინ მივიღებდით ***ჭანი** ფორმას ნასესხები **ჭანი**-საგან, ხოლო ***ჭანი**, თავის მხრივ, პირველი უმლაუტის გზით (ა⟶ე) მოგვცემდა **ჭენი**-ს (შდრ. ქართ. **სამი** : სვან. **სემი**). მიუხედავად ორივე ახსნის თანაბარუფლებიანობისა, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პირველს. **ჭენი-(ო)ხი** სვანური სახელწოდებაა **ჭა-ნ**ებისა და იგი საერთოქართველური ***წ₁ენი**-საგან უნდა მომდინარეობდეს. მისი კანონზომიერი შესატყვისი ზანურ დიალექტებში **ჭანი** უნდა ყოფილიყო, ქართულში კი — ***წენი.**

ჰენიოხის ბერძნული გააზრება „მეეტლედ", ისევე როგორც მისი დაკავშირება **იგანიეხ**-თან, დამაჯერებლობას მოკლებულია. ტერმინი **ჰენიოხი** ქართველური ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა, ამ სახელის მატარებელი ტომი კი — ერთ-ერთი უძველესი ქართველ ტომთა შორის.

აქ წარმოდგენილი ვარაუდის მიხედვით, ტერმინს **ჰენიოხი** უნდა გაევლო გზა სვანური ენობრივი სამყაროდან ურარტულის შუალობით ბერძნულამდე. რა კონტაქტები უნდა არსებულიყო სვანურ მოსახლეობას (რომელმაც ეს სახელი შემოიტანა უცხოურ წყაროებში) და ურარტულსა და ბერძნულ მოსახლეობას შორის? რადგან ჰენიოხები მოხსენიებულნი არიან შავი ზღვის როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (და თან, უფრო ადრე — ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ იმ პერიოდშია შექმნილი ეს სახელი, როცა ჭანების ტომი სვანებს ემეზობლებოდა. შემდგომ, საფიქრებელია, **ჰენიოხებმა (იმავე ჭანებმა)** სამხრეთისაკენ გადმოინაცვლეს და, თვით სახელწოდების გარდა, თან წამოჰყვათ (გარკვეულ ნაწილს, ყოველ შემთხვევაში) მეორე სახელიც — ***ჭენი** (სვანური წარმომავლობისა). თვით ჭანების შეტანილი ჩანს ეს ტერმინი სამხრეთის მეზობელ ხალხებში. აქ ის გაფორმდა ურარტული **-(ო)ხი** სუფიქსით და ამ სახით შეითვისეს ბერძნებმა, რომლებმაც, როგორც ცნობილია, იგი თავის ნიადაგზე „მეეტლედ" გაიაზრეს.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ია ჩლაიძე

ქართულ-ალმოსავლური დემონოლოგიური ურთიერთობიდან

ქართულ დემონოლოგიაში ა ლ ი საკმაოდ პოპულარული პერსონაჟია. იგი საერთო ქართულ მოვლენად არის მიჩნეული, რამეთუ, „საქართველოში საყოველთაოდ არის ცნობილი“[1].

ქართული მასალები ა ლ ი ს სახესა და ფუნქციებს შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

1. ალი ლამაზი ქალია, გრძელი, ოქროსფერი თმები აქვს და თეთრი კაბა აცვია[2].

2. ალი სიმახინჯის განსახიერებაა: აქვს „თმანი საზარელი, სისხლითა ღასვრილი, კბილი რვალისა, ჭლიკი რკინისა“. ჭუჭყიან ტანზე ეკლები ასხია, ახმახია და ფეხმოქცეული[3].

3. ალი ორია — ქალი და კაცი. კაცი ალი ქალ ალზე ძლიერია[4].

4. ალი ემტერება მელოგინე ქალს, ახალშობილ ბავშვს, ღამის მგზავრს, მთვრალ ადამიანს, საცოლე ვაჟებსა და გასათხოვარ ქალებს — მათთან ინტიმურ ურთიერთობასაც არ ერიდება[5].

5. ალს ცხენების წვალება უყვარს — შევა ბოსელში და დააჭენებს. დილით დატოვებს გაოფლიანებულ ცხენს. თან ფაფარსა და ძუას დაუწნავს[6].

6. ალი ტყეში, კლდეში, უკაცრიელ ადგილებსა და ნანგრევებში ცხოვრობს, მაგრამ, როგორც ჩანს, წყალთანაც უნდა იყოს დაკავშირებული — ზის მდინარის პირას, ოქროს სავარცხლით ივარცხნის ლამაზ თმებს და წყალში იტყუებს მისი მშვენებით მოხიბლულ მამაკაცებს[7].

7. ალს მაქციობის უნარიც შესწევს: მსხვერპლს ახლობლის სახით გამოეცხადება ხოლმე[8].

8. თუ ადამიანი ალს დაიჭერს, თმასა და ფრჩხილებს დააჭრის (ან სავარცხელს მოპარავს)[9] და დაუმალავს, ალი მის ოჯახში დარჩება და ერთგულად ემ-

---

[1] ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, მითოლოგიური ლექსები, თბ., 1972, გვ. 246; ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 111—120.

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 97. ჩვენ მიერ 1972 წელს კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში ჩაწერილი მასალების მიხედვით ალი თეთრი ქალია, ლამაზი. ქერა თმები აქვს (მთქმელი მარიამ სამნიაშვილი).

[3] ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—117. СМОМПК, 1893, 17, II, გვ. 164.

[4] ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114. СМОМПК, 1893, 17, II, გვ. 164.

[5] ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115. მ. სამნიაშვილის თქმით, მის ნათესავ საცოლე კაცს ეშინოდა ალისა: ღამე მოდიოდა და ლოგინში უწვებოდა. მისივე თქმით, ოჯახში, სადაც პატარა ბავშვი ჰყავთ, ღამე არ შეისვლება — ალი ფეხს შეჰყვება და ბავშვს ავნებს.

[6] მთქმელი ანა დავითის ას. ლორთქიფანიძე, სოფ. გლდანი (გარდაბნის რ-ნი).

[7] СМОМПК, 1894, 18, III, გვ. 364, СМОМПК, 1893, 17, II, გვ. 168.

[8] „ჩვენ ალექსას ასდევნებიყო ალი. ბიძაშენი ვარო, ეთქვა. წაეყვანა და ევნატაანთ ძეძეებში გაეჩხირა“ (მთქმელი ანა ლორთქიფანიძე).

[9] ჩვენ მიერ 1972 წ. თრიალეთის რეხაში ჩაწერილი მასალებით „ეოქოშკილებს ალისთვის ოქროს სავარცხელი მოეპარათ და ამის გამო ალი შინ ჰყავდათ პურის მცხობლად“ (მთქმელი ნიკოლა ხუციშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახურება, ვიდრე თავის ნივთებს არ იპოვის. თუ იპოვა, სახლ-კარს დაუნგრევს და წავა[10].

9. ალის მავნე გავლენისაგან თავის დასაღწევად ქართველი კაცი „ალის შელოცვას“ მიმართავდა, ან წმინდა გიორგის სახელს ახსენებდა, ანდა ალს ცეცხლსა თუ ნემსს დაანახვებდა[11].

10. ქართველ მეცნიერთა მიერ გარკვეულია ალის ერთი ფუნქციაც — ნადირთპატრონის ფუნქცია, რითაც იგი ღვთაება დალს უკავშირდება. ამან აფიქრებინა მკვლევართ, რომ ალის თავდაპირველი, ოდინდელი ფუნქცია ნადირთპატრონობა იყო, ხოლო მოგვიანებით, დაკარგა რა ღვთაების სახე, ნადირობის კეთილი ქალღმერთი ტყის მავნე სულად იქცა და შეიძინა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისება[12]. თვით სახელწოდება „ალი“ მიჩნეულია ზოგადქართულ სახელად იმ ღვთაებისა, რომელსაც სვანები „დალს“ უწოდებენ, ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში „ტყის ანგელოზს“, „ნადირთ მწყემსს“, „ტყაში მაფას“ და სხვა[13].

რამეთუ „ალ“ სახელი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით გვხვდება არჭულ და უდურ ენებშიც, პროფ. ელ. ვირსალაძე მას მიიჩნევს ქალი ღვთაების უძველეს, მატრიარქატის დროიდან მომდინარე აღნიშვნად იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ადგილობრივ პანთეონში[14].

მაგრამ თუ გადავხედავთ არა მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ პანთეონს, არამედ ყველა თურქულენოვანი ხალხების და, აგრეთვე, სპარსულ, ტაჯიკურ, ქურთულ, სომხურ დემონოლოგიას, ვნახავთ, რომ მათში „ალ“ სიტყვით ან „ალ“ ელემენტის შემცველი სიტყვით აღნიშნული დემონი ძალიან ჰგავს ქართულ ალს. ეს გარემოება ჩვენ განსხვავებულად წარმოგვიდგენს ალის სახელწოდებისა და მისი სახის გენეზისის საკითხს.

თურქული დემონოლოგიის Al „ალ“, Al karısı „ალ ქარისი“ (ალის ქალი) მდედრობითი სქესის მახინჯი არსებაა. ჭუჭყიანი და გაწეწილი შავი თმები კოჭებამდე სწვდება. მოკლე კიდურები და გრძელი ფრჩხილები აქვს. „ალ“ უკაცრიელ ადგილებსა და ნანგრევებს ეტანება, მაგრამ მისი ძირითადი საცხოვრისი, როგორც ჩანს, წყალია — წყალში ცხოვრობს მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი[15].

ალი განსაკუთრებით ემტერება მელოგინეს — მოევლინება მას ბებია ქალის სახით, თავთან დაუჯდება და, როგორც კი დროს იხელთებს, ამოგლეჯს ღვიძლს // ფილტვს, წაიღებს და წყალში უგდებს თავის შვილებს. შეუძლია, ბეწვად იქცეს, დაეცეს მელოგინის პირველ ლუკმას, მოხვდეს ღვიძლში, მოგლიჯოს იგი და წაიღოს. მელოგინე მოკვდება[16].

---

[10] ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, გვ. 246; СМОМПК, 1894, 19, 11, გვ. 168.

[11] ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115. СМОМПК, 1894, 18, III, გვ. 368.

[12] მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, ტ. I, თბ., 1959, გვ. 242; ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[13] ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[14] იქვე, გვ. 112.

[15] Türkiyede Halk Ağzından Söz Derleme Dergisi, C. 6. «Folklor Sözleri», Ankara, 1952, გვ. 11.

[16] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლადშობილ ბავშვს თურქები მარტო არ დატოვებენ — ალი ერჩინა[17] ალი რომელიმე ნათესავის სახით ხშირად გამოეცხდება ხოლმე საცოლე ვაჟებსაც[18].

ალი ღამღამობით საჯინიბოს ესტუმრება ხოლმე. ამოარჩევს კარგ არაბულ ცხენს და დილამდე აჭენებს. დილით ფაფარსა და ძუას დაუწნავს და დატოვებს[19].

თუ კაცი მოახერხებს და ალს კაბის კალთაში ნემსს გაუყრის, შეუძლია ერთგულად იმსახუროს იგი მანამ, სანამ ვინმე არ გამოაცლის ნემსს[20].

ალის გავლენისაგან თავის დასაღწევად ანატოლიის თურქები მრავალნაირ შელოცვასა და თილისმას მიმართავენ[21].

ალის მსხვერპლს სპეციალური შემლოცველი ჰყავს, მას Alcı „ალჯი“ (მეალე) ჰქვია[22].

აზერბაიჯანული ал/hал „ალ“, „ჰალ“, „ალ ანასი“ // „ჰალ ანასი“ (ალის დედა, ჰალის დედა) უზარმაზარი ტანის მახინჯი ქალია, ღვიძლს აცლის მელოგინეს, ზედა დააწვება და ახრჩობს ღამით გარეთ გარჩენილ მგზავრს[23].

„ალ“ ჰქვია მელოგინისადმი და, საერთოდ კაცთა მოდგმისადმი, მტრულად განწყობილ დემონს თურქმენულსა[24] და უიღურულში[25].

თურქულში ალის მიერ გამოწვეულ ავადმყოფობას Albastı-ს ეტყვიან[26]. „ალ ბასთი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ალი დაეცა“. ეს შესიტყვება ზოგიერთ თურქულ ენაში თვით დემონის სახელად ქცეულა.

ყაზახების წარმოდგენით „ალბასთი“ ავი სულია, ღვიძლს აცლის მელოგინეს და წყალში უგდებს თავის შვილებს[27].

უზბეკური „ალბასთი“ — ავი სული, ბოროტი დემონი[28], თმაგაწეწილი ჭუჭყიანი დედაბერია, მისი შიშით მელოგინე მარტო არ დაიტოვება[29].

ჩვენთვის საინტერესო დემონს ყირგიზულში албарсты „ალბარსთი“ ჰქვია. იგი ღვიძლს აცლის მელოგინეს[30].

ყირგიზები და ყაზახები არჩევენ შავ და ყვითელ ალბასთებს. შავი ალბასთები უფრო ძლიერები არიან[31].

---

[17] Türkiyede Halk Ağzından Söz Derleme Dergisi, გვ. 11.

[18] В. А. Гордлевский, Ал-карысы: Избранные сочинения, т. III, М., 1962, გვ. 312.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] Türkiyede Halk Ağzından..., გვ. 12.

[22] იქვე.

[23] Азербайджанско-русский словарь. 1965. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ უდურ ენაში, რომელიც აზერბაიჯანულის გარემოცვაშია, ალ/ჰალ აზერბაიჯანულიდან შესულიყო.

[24] Туркменско-русский словарь, М., 1968, გვ. 84.

[25] Уйгурско-русский словарь. Сост, Э. Н. Наджип, М., 1968.

[26] Türkiyde Halk Ağzından..., გვ. 13.

[27] A. Inan, Tarihte ve Bugün Şamanızm, Ankara, 1954, გვ. 170.

[28] Узбекско-русский словарь, М., 1959.

[29] Г. П. Снесарев, Реликты домусульманских верований и обрядов у узбеков Хорезма, М., 1969, გვ. 62—63.

[30] С. М. Абрамзон, Киргизы и их этнографические и ист. культ. связи, М., 1971, გვ. 278.

[31] A. Inan, Tarihte ve Bugün Şamanízm, გვ. 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაშკირებისათვის „ალბასთი“ ბოროტი დემონია. ემტერება ბელოგვნე ქალებს, უხვდება ღამის მგზავრებს და გზა-კვალს უბნევს მათ. ცხოვრობს უკაცრიელ შენობებსა და ველებში[32].

ვ. რადლოვის სერიის IX ტომის მასალები იცნობს მდედრობითი სქესის დემონს, რომელსაც „ალბის“ (албыс) ჰქვია. იმავე მასალებში ვხვდებით მეორე დემონს „ჩულბუს“ (чулбус)[33]. თუ ამ სახელებს ერთმანეთს შევადარებთ, ადვილი მისახვედრია, რომ быс და бус ერთი და იგივე ენობრივი ერთეულია (განსხვავებული ხმოვნების ы-სა და у-ს არსებობა ხმოვანთა ჰარმონიის პრინციპით აიხსნება). თუ დასახელებულ ერთეულებს ჩამოვაშორებთ, დაგვრჩება ал და чул როგორც ძირითადი ელემენტი დემონის სახელწოდებაში.

ალბის (ალმის) მდედრობითი სქესის ბოროტი დემონია, ცხოვრობს ქვიშიან და კლდოვან ადგილებში, სტეპებში. ერთნაირად ემტერება ქალსა და კაცს. გასათხოვარ ქალს შეჰყრის ხოლმე მძიმე სენს, რომელსაც კარგი შამანის შელოცვა თუ უშველის[34].

შამანი ავადმყოფის მკურნალობას იწყებს სულების მოწოდებით — იგი გონებაში ჩამოთვლის იმ სულებს, რომელთაც შეეძლოთ ავადმყოფობის გამოწვევა. როდესაც ასეთ სულს მიაგნებს, იწყება რიტუალი: შამანი დალოცავს ცეცხლს, შემდეგ მიმართავს ავადმყოფობის გამომწვევ სულს, ცდილობს მოინადიროს მისი გული და გამოიტყუოს ავადმყოფის სხეულიდან. თან შემწედ მოუხმობს ქვესკნელისა და ზესკნელის ღმერთებსა და სულებს, აგრეთვე თავის წინაპართ. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ მოვიტანთ ალბისისაგან ვნებულის სარეცელთან შამანის მიერ წარმოთქმულ შელოცვას: „ჰოი, რომელთაც გაქვთ თითები არა უმსხოსი ნეკისა, ჰოი, რომელთაც გაქვთ ღაწვები შეფაკლული, თმები დაწნული, თვალები ლოკოკინის ნიჟარის მსგავსი; ტყეების ბინადარნო, მდინარეთა ნაპირებზე შემოჯარული კლდეების ბინადარნო! ჰოი, ალბისებო ჩემო! ჰოი, მეუფენო!“[35].

ლ. პ. პოტაპოვმა ყარა ჰოლის თუვებში ალბასთის ერთი ფუნქციაც შენიშნა — ის ნადირთპატრონი ქალია, ინტიმურ კავშირს აბამს მონადირესთან. ალბასთის რჩეული მონადირე მთელი სეზონის განმავლობაში უზრუნველყოფილია უხვი ნანადირევით. ეს ალბასთი არ განსხვავდება ჩრდილო ალთაის ტომებში შემორჩენილი „მთის პატრონისაგან“ (თეგინ ესზი)[36].

როგორც ჩანს, ალბასთის ყარა ჰოლის თუვებში ადგილობრივი სამონადირო მეურნეობის ნიადაგზე გასჩენია ნადირთპატრონის ფუნქცია, უფრო სწორად, ჩასზიარებია ამ ფუნქციის მატარებელ ღვთაებას, თორემ ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალები არ იცნობს ალ/ალბასთის კავშირს ნადირობასთან[37], ხოლო ჩრდილო ალთაის ტომებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო „მთის

---

[32] А. Іпап, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[33] В. Радлов, Образцы народной литературы тюркских племен, С.-Петербург, 1907, გვ. 16, 31, 67, 165.

[34] იქვე, გვ. 31.

[35] იქვე.

[36] Л. П. Потапов, Материалы по этнографии тувинцев районов Монгул-тайги и Кара Холя, Труды тувинской комплексной археолого-этнографической экспедиции, I, М., 1960, გვ. 235.

[37] ალის ეს ფუნქცია იმ თურქულ მასალებში, რომელზედაც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდებოდა, ჩვენი თხოვნით შეამოწმა თურქმა ლიტერატურათმცოდნემ პროფ. ორჰან შაიქ გოქაიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბრძანებლის“ კულტი, ალბასთი დარჩა მელოგინის მტრად[38]. ამ ფუნქციით ალბასთი ალთაის ტომებში შუა აზიის სხვა ხალხებიდან უნდა იყოს შესული და ადვილად მოსალოდნელია, რომ შესულია ვ. ვ. რადლოვის სერიის IX ტომის მასალების ფიქსირებიდან დღემდე განვლილ პერიოდში, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ეს მასალები იცნობს ალბისს, რომელსაც უფრო მეტი ფუნქცია გააჩნია, ვიდრე მელოგინის მტრობაა. ჩვენ არ ვიცით, მთლად გამოდევნა ალბასთიმ ალბისი, თუ მის პარალელურად არსებობდა.

იაკუტური ეპოსის დემონური არსება ა ბ ა ს იგივე ალბის//ალბასთია[39], ოღონდ იაკუტური აბასი ბევრად უფრო ძლიერია და ხორცსავსე, ვიდრე მისი ანატოლიური თუ შუაზიური ორეულები. აბას მახინჯი და ჭუჭყიანი დედაბერია, შთანთქავს ადამიანთა სულებს და დედამიწაზე აგზავნის ავადმყოფობასა და უამინდობას. აბასის ფუნქციები და მისი ადგილი იაკუტურ ეპოსში გარკვეული აქვს ე. მ. მელეტინსკის თავის მონოგრაფიაში[40].

სპარსული დემონოლოგიისათვის ال „ال“ მდედრობითი სქესის ბოროტი სულია, ემტერება მელოგინე ქალს, კოშმარს მოჰგვრის ღამით მარტო დარჩენილ კაცს[41].

„ال“ ჰქვია ტაჯიკური ენის ზოგიერთ დიალექტზე ქალ დემონს, რომელიც მელოგინეს ენას აცლის და კლავს. ემტერება ახლადშობილ ბავშვსაც — ხელს დაარტყამს და კლავს. ბავშვს ალის ნათითურები შავად დააჩნდება[42].

ტაჯიკური არჩევს კაცსა და ქალ ალებს. განსაკუთრებით ძლიერია ქალი „ال“[43]. შუაზიის თურქულენოვანი ხალხებიდან ტაჯიკებში შესულა დემონის მეორე სახელწოდება „ალბასთი“. ამ სახელით უფრო ფართოდ არის იგი ცნობილი[44].

აღსანიშნავია, რომ ტაჯიკურსა და სპარსულ ენებში „ال“ სიტყვის მნიშვნელობა კიდეც გაფართოებულა და აღნიშნავს მუცლის რაღაც სატკივარსაც, რომელიც მელოგინეს ემართება მშობიარობიდან მეშვიდე დღეს[45].

ამ შემთხვევაში სახელის გაზრებაში იგივე მოვლენა გვაქვს, რაც თურქულ ენებშია: იქაც „ალბასთი“ ავადმყოფობაცაა და დემონიც.

„ال“ სიტყვას ტაჯიკურში, სპარსულში და ყველა თურქულ ენაში აბსტრაქტული მნიშვნელობაც აქვს. ნიშნავს სიცრუეს, ცბიერებას, გაიძვერობას[46].

---

[38] Л. П. П о т а п о в, Материалы по этнографии тувинцев..., გვ. 235.

[39] A. I n a n, Tarihte ve Bugün Şamanızm. გვ. 170.

[40] Е. М. М е л е т и н с к и й, Происхождение героического эпоса, М., 1963, გვ. 247—375.

[41] ცნობა მოგვაწოდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მორთაზა ფათემიმ. იხ. აგრეთვე: Б. В. М и л л е р, Персидско-русский словарь, М., 1953, გვ. 36.

[42] И. С. Б р а г и н с к и й, Из истории таджикской народной поэзии, М., 1956, 118; М. С. А н д р е е в, Краткие сведения о верованиях в божества-демона Ал-Албасты в Средней Азии: «Таджики долины Хуф. вып. I, გვ. 82; მ ი ს ი ვ ე, Материалы по этнографии Ягноба, Душанбе, 1970, გვ. 167.

[43] И. С. Б р а г и н с к и й, Из истории таджикской народной поэзии, М., 1956, გვ. 118.

[44] М. С. А н д р е е в, Таджики долины Хуф. გვ. 82.

[45] لغت نامه دهخدا‘ თეირანი, 1960; Borhan-e Qate, I. გვ. 55. Фарҳанги забони тоҷик, I. М., 1969, გვ. 910.

[46] იხ. დასახ. ლექსიკონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ მდედრობითი სქესის დემონი, — რომელიც ღვიძლს აცლის და კლავს მელოგინეს, — ცნობილია ქურთული დემონოლოგიისთვისაც[47].

სომხური დემონოლოგიის „ალ“ ბოროტი სულია, რომელიც ვნებს მელოგინეებსა და ახალშობილ ბავშვებს[48].

ამრიგად, მთელი თურქულენოვანი სამყარო, აგრეთვე სპარსული, ტაჯიკური, სომხური, ქურთული დემონოლოგია იცნობს დემონს ალ, ᾱლ, ალბასთი, ალბის, რომლის სახე და ფუნქციები ძირითად ხაზებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. იგი მახინჯი გარეგნობის ჭუჭყიანი ქალია.

2. ვნებს მელოგინეს, ახალშობილ ბავშვს, საცოლე ვაჟებსა და გასათხოვარ ქალებს. საერთოდ, ემტერება კაცთა მოდგმას.

3. უყვარს საჯინიბოში ცხენის ჭენება, შემდეგ მისი ძუისა და ფაფარის დაწვნა.

4. ცხოვრობს წყალში, კლდეში, ქვიშიან და ქვიან ადგილებში, ნანგრევებში.

5. მაქციობის უნარიც შესწევს.

6. ადამიანს შეუძლია ა ლ დაატყვევოს და იმსახუროს, სანამ ვინმე არ გამოაცლის კალთიდან ნემსს.

აღნიშნული დემონის შესახებ ბევრი თქმულა[49]. დაწვრილებით არის შესწავლილი თურქული თუ ტაჯიკური ალები, მაგრამ დემონის წარმომავლობაზე ორი ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული.

თურქი მეცნიერი აბდულკადირ ინანი თავის მონოგრაფიაში Tarihte ve Bugün Şamanızm, რომელშიც წარმოადგინა ალ/ალბასთის გავრცელების არეალი „ჩინეთის კედლებიდან ხმელთაშუა ზღვამდე“, წერს, რომ ალ/ალბასთი/ალბის დემონის შესახებ ყველა თურქულენოვან ხალხში ერთი და იგივე შეხედულება არსებობს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს შეხედულებები იმ-ღროინდელია, როცა თურქები ერთად ცხოვრობდნენ შუა აზიაში[50].

აბდულკადირ ინანი დემონს ცეცხლის კულტს უკავშირებს იქიდან გამომდინარე, რომ alod „ალ-ოდ“ კერას ნიშნავს იაკუტურში. მონღოლური „გალ“ — ცეცხლი და სპარსული الو „ალევ“ — ცეცხლი ამ სიტყვიდან მომდინარედ მიიჩნია.

ა. ინანი მეზობელ ხალხებში თურქულიდან შესულად თვლის ალ დემონს[51].

ამ მოსაზრებაში ერთი ეჭვს არ იწვევს — ალ დემონი თურქულენოვან ხალხებში, მართლაც მათი ერთად ცხოვრების დროს უნდა გაჩენილიყო და შემდეგ, როცა მოხდა ამ ხალხების დაცილება, თითოეულმა მათგანმა თან წაიღო მისთვის უკვე ცნობილი დემონის სახე, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამო-

---

[47] A Kurdish-English Dictionary, by T a u f i q W a h b y and C. J. E d m o n d s, Oxford, 1966, გვ. 2.

[48] М. А б е г я н, История древнеармянской литературы, I, Ереван, 1948, გვ. 16.

[49] საკითხის ბიბლიოგრაფია იხ.: U l l a J o h a n s e n Die Alpfrau, Eine Demonengestalt der Türkischen Völker. Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, Bd. 109, H. 2, Wiesbaden, 1959, გვ. 303—316.

[50] A. I n a n, Tarihte ve Bugün Şamanızm, გვ. 170.

[51] იქვე, 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხავს, რომ ალ დემონი თურქულენოვან ხალხებში ირანული სამყაროდან შესულიყო სწორედ მათი ერთად ცხოვრების პერიოდში.

რაც შეეხება დემონის დაკავშირებას ცეცხლის კულტთან, არცთუ ისე ნათლად გვესახება. მით უმეტეს, რომ ალ სიტყვას იაკუტურში სხვა კომპოზიტებშიც ვხვდებით, სადაც იგი „წმინდას“ აღნიშნავს[52].

მ. ს. ანდრეევის აზრით, „ᾱლ“ დემონი ნაყოფიერების ღვთაებას — „აზიურ ვენერას“ — ანაჰიტას უკავშირდება, ხოლო მისი სახელი, ირანული წარმოშობის სიტყვაა. ალბასთი კი ირანული სიტყვის თურქიზებული ფორმაა[53].

ანდრეევის მოსაზრება „ალ“ — ანაჰიტას შესახებ ნაკლებდასაბუთებულია და ამ საკითხის მკვლევართაგან გაუზიარებელი[54].

რაც შეეხება „ᾱლ“ სიტყვას, მის შესახებაც არ არის აზრთა ერთიანობა. „ᾱლ“ თურქულ და სპარსულ ენებში წითელს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით ქოფრულუს იგი სპარსულში თურქულიდან შესულად მიაჩნია. დოერფერის აზრით კი სიტყვას რთული გზა აქვს გავლილი ძვ. ირანულიდან ძვ. თურქულში, აქედან ისევ ახალ სპარსულში[55].

მაგრამ თუ რა კავშირია „ალ“ „წითელსა“ და „ალ“ დემონს შორის, ეს საკითხი საგანგებო კვლევას საჭიროებს.

ჩვენთვის ერთია საინტერესო — ალ/ალბასთი/ალბის საერთო ახლოაღმოსავლური დემონია ძველი და რთული ფუნქციებით[56]. თუ ახლოაღმოსავლურ ალს შევადარებთ ქართულ ალს, ვნახავთ, რომ მათ გარდა სახელებისა, საერთო აქვთ შემდეგი ნიშნები:

1. ორივე ემტერება მელოგინე ქალსა და ახალშობილ ბავშვს, ღამის მგზავრს, საცოლე ვაჟებსა და გასათხოვარ ქალებს;

2. ალი საჯინიბოს ხშირი სტუმარია.

3. ორივე წყალთან არის დაკავშირებული;

4. ორივეს შესწევს მაქციობის უნარი;

5. შინ მოყვანილი ალი ორივე შემთხვევაში ადამიანის ერთგული მსახურია.

რაც შეეხება აღმოსავლური ალის გარეგნობას, ის პარალელს პოულობს საქართველოს ზოგიერთ რაიონებში გავრცელებულ შეხედულებასთან, რომლის თანახმად ალი მახინჯი ქალია.

ჩამოთვლილ ნიშან-თვისებათა ერთობა გვაფიქრებინებს, რომ ალი ქართულ დემონოლოგიაში აღმოსავლური სამყაროდან არის მოსული, ისევე, როგორც სხვადასხვა დროს მოვიდნენ ამ სამყაროდან სხვა დემონური პერსონაჟები.

ქართულ წერილობით ძეგლებში ა ლ ი პირველად XVI საუკუნეში გვხვდება. „იადიგარ დაუდში“ ვკითხულობთ: „თუ კაცსა ხშირად ალი დააწვებოდეს ხოლმე, იცოდეთ, უსათუოდ უჩუხის სენისა პირველი თავის აღება არის“. იქვე: „ალისა დაწოლასა ქაბუსი ჰქუიან[57].

---

[52] Якутско-Русский словарь.

[53] М. С. А н д р е е в, Таджики долины Хуф. გვ. 82.

[54] Г. П. С н е с а р е в, Реликты..., გვ. 63.

[55] G. D o e r f e r. Türkischen und Mongolischen elemente im Neupersischen, II, Wiesbaden, 1965, გვ. 94.

[56] М. С. А н д р е е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

[57] ი ა დ ი გ ა რ დ ა უ დ ი, 424. 17. იქვე, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა გვგონია, „იადიგარ დაუდი“ უთარგმნელად დატოვებული აღმოსავლური ტერმინებით[58] ქართული დემონის მიერ გამოწვეულ ავადმყოფობას აღნიშნავდეს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „ალ“ სიტყვაც ისევეა დატოვებული, როგორც „ქაბუს“ თუ „უჩუხ“, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ სიტყვით ახსნილია სხვა სიტყვა (ქაბუს) და თვითონ კი ყოველგვარი კომენტარის გარეშეა ნახმარი, გვაფიქრებინებს, რომ ქართველი მკითხველისათვის „ალი“ და „ალის დაწოლა“ საკმაოდ ნაცნობი იყო.

XVII საუკუნის ძეგლებში ალი ქალია. ვნებს მშობიარეს. ცნობილია „ლოცვაი ალისაი, ეშმაკისაი მშობიარესა ზედა“: „მის დიაცისგან დაგვიხსენ, ქაჯი იყო თუ ალია“[59].

„კალმასობაში“ ალი საჯინიბოში დამკვიდრებული დემონია. — „ოდესაც საჯინიბოსა შინა დაიმკვიდრებს მაჯლაჯუნა, ანუ ალი, იგი შეიყვარებს ხოლმე ცხენსა“[60].

„ალი მშობიერის მაცთურია“ სულხან-საბა ორბელიანისთვის[61].

როგორც ვხედავთ, ქართულ წერილობით ძეგლებს შემოუნახავთ ალის ის თვისებები, რომელიც ძირითადია მისი თურქულ-აზერბაიჯანული თუ ტაჯიკურ-სპარსული ორეულებისათვის.

საფიქრებელია, რომ ამ დროისათვის ალს ჩვენში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეძენილი ის ნიშნები, რომელიც განასხვავებს მას თავისი ახლოაღმოსავლური „წინაპრისაგან“. ქართველი ალი ლამაზია, აქვს გრძელი ქერა თმები და ნადირთპატრონია[62].

ამ ნიშნებით არის იგი დავალებული ქართული დალისაგან: აღმოსავლური სამყაროს ბოროტ დემონს საქართველოში განვითარებული სამონადირო მეურნეობა და მასთან დაკავშირებული ნადირთპატრონის ინსტიტუტი დახვდა. ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ალზე და ტყისა და კლდის მახინჯმა ბინადარმა ქალმა ტყისა და კლდის მბრძანებლის, მშვენიერი ქალის ზოგი ნიშანი შეიძინა[63].

ალის მიერ დალის ნიშან-თვისებათა გაზიარებას გარკვეულად შეუწყობდა ხელს ალ/დალ სახელების აკუსტიკური მსგავსებაც.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ გაზიარებას არცთუ ფართო ხასიათი ჰქონია. ალის სახელთან დაკავშირებულ ბევრ მასალაში მისი კავშირი ნადირთპატრონობასთან საერთოდ არ ჩანს. ჩვენი აზრით, აქ ალის ფუნქცია დავიწყებული და გამქრალი კი არ არის, არამედ საერთოდ არ გაჩენილა.

---

[58] უჩუხი თურქ. uçuк — გულყრის დროს ბაგეზე მომდგარი ქაფი, ქაბუსი<არაბ. كابوس — კოშმარი. ეს მნიშვნელობა აქვს თურქულსა და სპარსულშიც.

[59] თ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ამირან დარეჯანიანი, 2043, 4.

[60] კალმასობა I, გვ. 253, 32. ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემები აღებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებიდან).

[61] სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 13.

[62] დაწვრილებით იხ. ე ლ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—120.

[63] ქართული ალის შესახებ თურქი მეცნიერის აბდულკადირ ინანისათვის ცნობა მიუწოდებია ჟორჟ დუმეზილს, მაგრამ ეს ცნობა ძირითადად ნ. ლომოურის მოთხრობა „ალს“ ეყრდნობა. ამის გამო ინანი მას დასკვნის გასაკეთებლად არ იყენებს და მხოლოდ სქოლიოში მიუთითებს. იხ.: «Al» Ruhu Hakkında: «Türk Tarih, Arkeologiya ve Etnografya Dergisi, Istanbul, 1933, გვ. 160—167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ელ. ვირსალაძეს თავის მონოგრაფიაში მოაქვს სვანეთში ჩაწერილი „ალის შელოცვის“ ერთი ვარიანტი, რომელიც „დალის შესახებ ადგილობრივ არსებული შეხედულებების ტრანსფორმაციის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ ბარის რაიონებიდან მეორადი გზით არის შესული“[64].

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ შელოცვის ალი „ეძებს დაღლილ კაცს, ეძებს დაჭრილ კაცს, ეძებს მელოგინე ქალს“, რითაც აღმოსავლური ალ დემონის ორეულად ჩანს.

ალი ქართულ სინამდვილეში მხოლოდ დალს როდი დაჰკავშირებია. თუ XVIII საუკუნეში ალი იგივე მაჯლაჯუნაა, XIX საუკუნეში ფიქსირებულ მასალებში ალი იგივე ქაჯია, იგივე ჭინკაა, რომელიც დედამიწას ჭინკობის თვეში ესტუმრება და აწვალებს ამ თვეში დაბადებულთ[65].

ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ ამ მასალების ფიქსირების დროს უკვე იშლებოდა ზღვარი დემონოლოგიის ცალკეულ პერსონაჟთა შორის და ავი სულის ერთ, აბსტრაქტულ წარმოდგენაში ყველა დემონს თავისი წვლილი შეაქვს, მათ შორის „მშობიარის მაცთურ“ ალსაც.

---

[64] ელ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.
[65] СМОМПК, 1903, III, გვ. 85. იქვე, XVII, II, გვ. 164., იქვე, 1894, 18, III, გვ. 364.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა ალადაშვილი

ადრეფეოდალური ხანის ქართული რელიეფების ერთი ჯგუფი

ადრეფეოდალური ხანის ქართულ ქანდაკებაში განსაზღვრულ, ერთიან ჯგუფს ქმნის რელიეფები, რომლებიც დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ როგორც სტილის, ისე იკონოგრაფიის თვალსაზრისით. ესენია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მდებარე VI ს-ის ნაგებობათა — ქვემო ბოლნისის, ეძანისა და თეთრი წყაროს ეკლესიების კედლებზე მოთავსებული რელიეფები. ქვემო ბოლნისის ანუ ბოლნის-ქაფანაქჩის ეკლესია ჯერ კიდევ 1917 წელს შეისწავლა გ. ჩუბინაშვილმა და განსაზღვრა როგორც საკულტო ნაგებობის თავისებური, ქართულ არქიტექტურაში შემუშავებული ე. წ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპი[1]. მანვე დაათარიღა იგი VI ს-ის შუა ხანით. თეთრი წყაროს დარბაზული ეკლესიის გამოკვლევა ეკუთვნის ნ. ჩუბინაშვილსა და რ. შმერლინგს, რომელნიც მის აგებას ამავე ეპოქას — VI ს-ის შუა წლებს მიაკუთვნებენ[2]. ეძანის სამეკლესიანი ბაზილიკა არ არის სპეციალურად გამოცემული, მაგრამ ლიტერატურაში წამოყენებულია მისი დათარიღება VI ს-ის შუა ხანით[3]. დასახელებულ ავტორთა შრომებში ამ ეკლესიების შემამკობელი რელიეფების დახასიათებაცაა მოცემული. სამივე ძეგლის რელიეფები, როგორც ადრინდელი ხანის ქართული სკულპტურის დამახასიათებელი ნიმუშები, შეტანილია ნ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში V—VII სს. სტელების შესახებ, სადაც ყოველ მათგანს სპეციალური ანოტაცია მიეძღვნა[4].

ქვემო ბოლნისის სამეკლესიან ბაზილიკაში რელიეფური კომპოზიციებით აქცენტირებული იყო სამხრეთის ეკლესიიდან მთავარ ეკლესიაში შესასვლელი ორივე კარი და, ამრიგად, რელიეფები შენობის შიგნით იყო მოთავსებული. არქიტრავის დიდი ზომის ქვებზე ზედაპირის ოდნავი ჩაღრმავების საშუალებით გამოყოფილია სწორკუთხოვანი არე კომპოზიციებისათვის.

მთავარი შესასვლელის არქიტრავზე გამოსახული იყო „ქრისტეს ამაღლების“ სცენა (ეს რელიეფი (სურ. 1) ამჟამად აღარ არსებობს). საყდარზე მჯდომი ქრისტეს ფიგურა ჩაწერილია წრიულ შარავანდედში (დიდება), რომელსაც ორი სიმეტრიულად მოთავსებული ანგელოზი მიაფრენს. მაცხოვარი ცალი ხელით აკურთხებს, ხოლო მეორე ხელით მუხლზე დაყრდნობილი წიგნი უჭირავს. მისი თავის ორივე მხარეს მოცემულია თითო დისკო; ერთ-ერთი, რომ-

---

[1] Г. Н. Чубинашвили, Церковь близ селения Болнис-Капанакчи. Христианский Восток, V, вып. III, Петроград, 1917, стр. 217—220, таб. XVIII; გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, თბ., 1936, გვ. 66—67; Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970, გვ. 104—107.

[2] Н. Чубинашвили и Р. Шмерлинг, Храмы в древних селениях Триалети—Олтиси и Тетри Цкаро. ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 54—64.

[3] Н. Чубинашвили, Хандиси (Проблема рельефа на примере одной группы грузинских стел последней четверти V века, VI и первой половины VII века), Тб., 1972, გვ. 78.

[4] Н. Чубинашвили, Хандиси, გვ. 77, 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ზედაპირზეც გაირჩევა რადიალურად განლაგებული ხაზების ნახატი, ისევ უნდა აღნიშნავდეს, ხოლო მეორე, ძლიერ დაზიანებული — ალბათ, მთვარეს. ქვემო ბოლნისის რელიეფზე ქრისტეს ქვემოთ მოცემულია ზოლი, რომელიც სცენის ძირითად, ზედა ნაწილს გამოჰყოფდა, მაგრამ თუ რა იყო ქვედა ნაწილში გამოსახული, მაშინაც კი არ გაირჩეოდა, როცა არქიტრავი ჯერ კიდევ ადგილზე იყო.

ქვემო ბოლნისის კომპოზიცია გადმოსცემს „ქრისტეს ამაღლების" სცენის ძველქრისტიანულ ხელოვნებაში გავრცელებულ ერთ-ერთ რედაქციას, რომელიც ანგელოზთა მხოლოდ ორი ფიგურით შემოიზღვრება და ქრისტეს გამოხატავს ტახტზე მჯდომარედ, გარემოცულს მანდორლით ე. ი. დიდებით.

ქვემო ბოლნისში მეორე შესასვლელის არქიტრავზე გამოსახული სცენა საერთო ხაზებში იმეორებს „ამაღლების" კომპოზიციურ სქემას. აქაც ცენტრში ტახტზე მჯდომი ფიგურაა მოცემული, აქეთ-იქიდან კი თითო ჰორიზონტალურად განლაგებული მფრინავი ანგელოზი. ამ შემთხვევაშიაც, ისევე როგორც „ქრისტეს ამაღლების" რელიეფზე, კომპოზიცია წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობასთანაა შეფარდებული. რელიეფი ძლიერაა დაზიანებული, მაგრამ ფიგურის საერთო მოხაზულობისა და სამოსის ნახატის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ ღვთისმშობლის გამოსახულება; იგი შარავანდიანაა გამოსახული, მაგრამ ფიგურის გარშემო არ არის მანდორლა, ხოლო ანგელოზები, როგორც ეს ჩვეულებრივია ამაღლების სცენისათვის, ფრენის პოზაში არიან წარმოდგენილი. ღვთისმშობლის თავს ზემოთ მოცემულია მტრედი, რომელსაც ნისკარტით გვირგვინი მოაქვს. ამრიგად, ქვემო ბოლნისში „ქრისტეს ამაღლების" გვერდით მოთავსებულია „ღვთისმშობლის განდიდების" კომპოზიცია, რომელიც გადაწყვეტილია „ამაღლების" ანალოგიურად.

იმ მოსაზრებას, რომ ქვემო ბოლნისში სწორედ „ღვთისმშობლის განდიდებაა" მოცემული, ადასტურებს ამ სცენის მსგავსი გამოსახულება ეძანის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანზე (სურ 2)[5]. ამ შემთხვევაში რელიეფი ფასადზეა მოთავსებული. აქ კარგად გაირჩევა ცენტრალური გამოსახულება — საყდარზე მჯდომი ღვთისმშობელი, რომლის მკერდზე, სამოსის ოვალურად განლაგებულ ნაოჭებს შორის ყრმის მხოლოდ თავი და მარჯვენაა გამოსახული. ისევე როგორც ქვემო ბოლნისის რელიეფზე, აქაც ფიგურის გარშემო არ არის მოცემული მანდორლა. ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებულ მფრინავ ანგელოზებს ეძანში ცალ ხელში გვირგვინი, ხოლო მეორეში საცეცხლური უჭირავთ და, ამრიგად, ხოტბას ასხამენ ღვთისმშობელს. ნ. ჩუბინაშვილმა ქვემო ბოლნისის რელიეფზეც გაარჩია გვირგვინის გამოსახულების ნაშთი და ფიქრობს, რომ ეძანის კომპოზიციის ანალოგიურად უნდა ვივარაუდოთ საცეცხლურის არსებობაც ანგელოზთა ხელში[6].

ეძანის კომპოზიცია, რომელიც ტიმპანზეა გამოკვეთილი, არ არის ჩარჩოთი შემოფარგლული, მაგრამ მისი საერთო მოხაზულობა, ისევე როგორც ქვემო ბოლნისის რელიეფებისა, წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმას შეესაბამება, ხოლო ფიგურათა მდებარეობაში ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მიმართულებათა დაპირისპირებაა მოცემული: შუაში მოთავსებული ფრონ-

---

[5] ნ. ალადაშვილი, ეძანის ეკლესიის რელიეფი. „ძეგლის მეგობარი", 29, თბ., 1972, გვ. 17—24.

[6] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალური გამოსახულებით ცენტრალური ვერტიკალია ხაზგასმული, რაც
საც პასუხობს ანგელოზთა თავებისა და მკერდის ვერტიკალური მიმართუ-
ლება, მაშინ როდესაც მათი სხეულის ქვედა ნაწილი ჰორიზონტალურადაა გა-
ჭიმული.

ამრიგად, ქვემო ბოლნისში და ეძანში წარმოდგენილია „ღვთისმშობლის
განდიდების" სცენა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ
ხელოვნებაში, ადრინდელი ხანიდან მოყოლებული — მოზაიკებში, კედლის
მხატვრობაში, ხატებზე, მცირე ხელოვნებაში. მაგრამ ჩვეულებრივ ღვთის-
მშობელს ფეხზე მდგომი ანგელოზები ახლავს თან, ხოლო ქართულ რელი-
ეფებზე მოცემული იკონოგრაფიული ვარიანტი, როდესაც ანგელოზები ფრე-
ნის პოზაში არიან გამოსახული, რაც დამახასიათებელია „ამაღლების" კომ-
პოზიციებისათვის, ძლიერ იშვიათად გვხვდება.

ღვთისმშობლის განდიდების სცენის გამოსახვაზე ამაღლების კომპოზი-
ციური რედაქციით შეიძლება მივუთითოთ ადრინდელი პერიოდის აღმოსავ-
ლეთქრისტიანულ ხელოვნებაში, სახელდობრ სირიაში: ბრტყელი რელიეფით
შესრულებული კომპოზიციები კანაშირისა და ზებედის ეკლესიების არქი-
ტრავებზე (VI ს.)[7]. შედარებით ახლოს დგას ქვემო ბოლნისის და ეძანის გამო-
სახულებასთან ზებედის კომპოზიციის ტიპი: საყდარზე მჯდომი ღვთისმშობე-
ლი გამოსახულია წრიული დიდების შიგნით, ხოლო აქეთ-იქიდან თითო მფრი-
ნავი ანგელოზია, რომელთა სხეულის ქვედა ნაწილი ჰორიზონტალურადაა მი-
მართული. მაგრამ ეს კომპოზიციაც არ წარმოადგენს ქართული რელიეფების
პირდაპირ ანალოგიას.

საქართველოში ბურდაძორის სტელის (VI ს.) ზედა ნაწილში, „ქრისტეს
ამაღლების" სცენის გვერდით მოცემულია თავისებური კომპოზიცია, სადაც
გამოსახულია ქალის ფიგურა, გარშემორტყმული ოვალური მანდორლით, რო-
მელიც ორ ფეხზე მდგომ ანგელოზს უჭირავს[8]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ
აქ „ღვთისმშობლის განდიდების" იშვიათ რედაქციასთან გვაქვს საქმე.

გვირგვინი და საცეცხლური, როგორც ანგელოზთა ატრიბუტები, ადრე-
ქრისტიანული პერიოდის ნაწარმოებებში ჩვეულებრივ მოცემულია ღვთის-
მშობელთან და ქრისტესთან დაკავშირებით: სახელდობრ, 586 წლის რაბულას
სირიულ ხელნაწერში „ქრისტეს ამაღლების" მინიატურაზე ორი ანგელოზი
გვირგვინებით ხელში ქრისტესაკენ მიისწრაფის, მაშინ როდესაც მეორე წყვი-
ლი მანდორლას მიაფრენს. ამრიგად, დაგვირგვინება აქ ამაღლების სცენასთა-
ნაა დაკავშირებული. სხვა შემთხვევაში გვირგვინი და საცეცხლური ღვთის-
მშობლის განდიდების ატრიბუტებს წარმოადგენს. რომის წმ. მარია ანტიკვას
VI ს-ის ფრესკაზე ანგელოზები ტახტზე მჯდომ ღვთისმშობელს ყრმითურთ
გვირგვინებს მიართმევენ, ხოლო ეგვიპტეში ბაიუტის XXVI კაპელის მხატვ-
რობაში (VI—VII სს.) მარიამის გვერდით მდგომ ანგელოზებს დიაკვნის ტან-
საცმელი აცვიათ და მათ მსგავსად საცეცხლური და სანაწილე უჭირავთ[9]. ამ-
რიგად, ისინი ხოტბას ასხამენ ღვთისმშობელს.

---

[7] H. Butler, Early Churches in Syria (Fourth to Seventh Centuries), Princeton University, 1929, გვ. 245, ილ. 283—284.

[8] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—74.

[9] Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, т. I, СПб, 1914, გვ. 187—189, ილ. 105, გვ. 270, ილ. 180—181, გვ. 304—305, ილ. 206—207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძანის ანგელოზთა გამოსახულებებისათვის უახლოეს პარალელს VI ს. ქართული სკულპტურის ნაწარმოებში ვპოულობთ. ეს ხანდისის სტელის გვერდით წახნაგზე გამოხატული ანგელოზია (სურ. 3) საცეცხლურით ხელში. ანგელოზი სტელის წინა მხარისაკენაა მიმართული, სადაც საყდარზე მჯდომარე ქრისტე და ღვთისმშობელია გამოქანდაკებული[10].

ხანდისის სტელის ღვთისმშობლის გამოსახულებაში მეორდება ეძანის კომპოზიციის იშვიათი იკონოგრაფიული დეტალი; აქაც ღვთისმშობლის ხელები დაფარულია სამოსის დრაპირებით, რომლის ნაკეცებს შორის ჩაღრმავებაში ქრისტეს მხოლოდ თავი და კისერია აღნიშნული. მსგავსი მოტივი გვხვდება VI ს-ის პალესტინის ამპულაზე ანგელოზთა მიერ ღვთისმშობლის განდიდების სცენაში და უძველესი ხანის საბეჭდავზე. ნ. კონდაკოვის მიხედვით, ამპულის ოსტატის მიერ გაუაზრებლად და ამის შედეგად შეცდომითაა გადმოცემული იმგვარი გამოსახულების სქემა, სადაც ღვთისმშობელს ყრმა ქრისტე კი არ უჭირავს, არამედ მედალიონი ქრისტე-ემანუილის თავის გამოსახულებით[11]. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული რელიეფების პროტოტიპსაც აღნიშნული იკონოგრაფიული რედაქცია წარმოადგენდა.

ქვემო ბოლნისისა და ეძანის რელიეფებთან ახლოს დგას თეთრი წყაროს „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია, რომელიც მოთავსებულია ჩრდილოეთის პორტიკიდან ეკლესიაში შესასვლელის ზემოთ, არქიტრავზე. სცენის საერთო



სურ. 5. თეთრი წყარო. ჯვრის ამაღლება. VI ს.

სახე ადრექრისტიანულ ხელოვნებაში ჩამოყალიბებულ და ფართოდ გავრცელებულ იკონოგრაფიულ რედაქციას მიყვება: მედალიონი მასში ჩაწერილი თანასწორმკლავებიანი ჯვრით ორ, სიმეტრიულად განლაგებულ მფრინავ ანგელოზს უჭირავს და კომპოზიციაც სწორკუთხოვანი არისათვისაა განკუთვნილი. ამგვარი კომპოზიციური ტიპის მრავალი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ ძველქრისტიანულ ხანაში (IV—VII სს.) ხელოვნების სხვადასხვა დარგის

[10] Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი.

[11] Н. П. Кондаков, Иконография Богоматери, т. I, გვ. 205—206, ილ. 125—126; т. II, Л., 1915, გვ. 325, ილ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოებთა შორის: სარკოფაგების რელიეფები, ფასადების სკულპტურა, ხის კარები, მოზაიკა და სხვა. სპილოს ძვლის ხუთნაწილიან ე. წ. საიმპერატორო დიპტიქონებზე ეს სცენა მოთავსებულია ზემოთა, წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ჰორიზონტალურ ფირფიტაზე[12]. საქართველოში ადრეფეოდალურ ხანაში „ჯვრის ამაღლება“ გამოქანდაკებული იყო ანჩისხატის ბაზილიკაზე, მცხეთის ჯვრის ტაძარზე, საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიის რელიეფზე.

თეთრი წყაროს რელიეფს საფუძვლად უდევს გავრცელებული იკონოგრაფიული ტიპი, მაგრამ კომპოზიციას თავისებურ სახეს ანიჭებს ის, რომ ჯვრის გამოსახულება განსაკუთრებით აქცენტირებულია თავისი ზომით ანგელოზთა პატარა ფიგურებთან შედარებით. ამით ხაზგასმულია, რომ ძირითადია ჯვრის გამოსახულება.

ქვემო ბოლნისის, ეძანის და თეთრი წყაროს (სურ. 1, 2) რელიეფების სიახლოვე მხოლოდ კომპოზიციათა იკონოგრაფიული რედაქციის მსგავსებით არ იფარგლება, არამედ მკაფიოდ ჩანს მათ სტილსა და შესრულების ხასიათში; უფრო მეტიც, სავსებით იდენტურია ქვის ჭრის მანერა.

ოთხივე რელიეფში გამოსახულება სულ მცირედაა ფონის მიმართ ამაღლებული, ზოგიერთ ადგილებში მეტად, ზოგან ნაკლებად, მაგრამ განსხვავება რელიეფის სიმაღლეში იმდენად მცირეა, რომ არც კი შეიმჩნევა და განმსაზღვრელი მნიშვნელობა არა აქვს. ყველაზე უფრო მაღალ ადგილას იგი ნახევარ სანტიმეტრს თუ აღწევს. დაბალი რელიეფის მიუხედავად გამოსახულება მკაფიოდ გამოიყოფა ფონისაგან, რადგანაც მისი კონტურები მკვეთრადაა გამოკვეთილი. აღნიშნულია მხოლოდ ფიგურის ზოგადი, გეომეტრიზირებული მოხაზულობა და ძირითადი ნაწილები, რომელთა ერთ სიბრტყეში განლაგების შედეგს წარმოადგენს ფიგურის პოზისა და მდებარეობის პირობითი გადმოცემა. რელიეფში არ არის მოცულობისა და სიღრმის შეგრძნება. რელიეფის ბრტყელი ზედაპირი მთლიანადაა დაფარული პირობითი, დეკორატიული ნახატით, რომელიც ერთნაირად აღნიშნავს როგორც სამოსის ნაკეცებს, ისე ფრთებს. ოსტატები ქვის ჭრის სხვადასხვა ტექნიკურ ხერხს იყენებენ. ძირითადად ზედაპირის სამკუთხედად ორმხრივ ცერად ჩაკვეთაა მოცემული; ამასთანავე, დამახასიათებელია, რომ ხაზების ნაპირი მკვეთრადაა ხაზგასმული და წიბოს სახით გამოიყოფა. ასეა გამოყვანილი ფრთები, სამოსის ძირითადი ნაწილები. ამის გვერდით გამოყენებულია ზედაპირში მარტივად ჩაჭრილი ხაჭები (მაგ. ანგელოზთა სამოსის ქვედა ნაწილი) და ზედაპირის სამკუთხედად ამოღების ხერხი (ზოლები სამოსის ქობაზე — ეძანი; ფრთები — ქვემო ბოლნისი). კოსტიუმის სხვადასხვა ნაწილები გამოიყოფა არა რელიეფის სიმაღლის მონაცვლეობით, არამედ მხოლოდ ნახატის ხაზების განსხვავებული მიმართულებით და ჭრის სხვადასხვა ხერხის შეთავსებით. მჭიდროდ განლაგებული სწორი ან მომრგვალებული ხაზების ერთგვაროვანი რიგების რიტმული მონაცვლეობა ზედაპირის დეკორატიული, გრაფიკული სახეებით დანაწევრების შთაბეჭდილებას ქმნის. ამრიგად, რელიეფი ხაზოვან-სიბრტყობრივი ხასიათისაა, რაც განსაკუთრებით ხვდება თვალს ანგელოზთა ფიგურებში, რომელთა სხეულიც ნახატით გაცოცხლებულ ბრტყელ ზედაპირს წარმოადგენს.

---

12 ჯვრის ამაღლების სცენის შესახებ იხ.: Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, გვ. 149—153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ ახლოს დგას ერთმანეთთან ფიგურათა საერთო გეომეტრიზირებული მოხაზულობა, ტანისამოსის ნაოჭებისა და ფრთების ზედაპირის ნახატი; თუმცა იგი ზუსტად არ მეორდება და ვარიაციებს გვიჩვენებს. ანგელოზთა ფიგურებში ყველგან მეორდება თავისებური დეტალი — მკერდზე ხელის გარშემო მომრგვალებულად განლაგებული ნაოჭები. სახეები ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს სახის ტიპის მსგავსება: გრძელი სახე, ფართო ნიკაპით, დიდი ოვალური მოყვანილობის თვალები; დამახასიათებელია ანგელოზთა თმის მოკლე ვარცხნილობა, რომელიც მუზარადის მსგავსად გამოიყოფა თავზე.

რელიეფების მსგავსება იმდენად დიდია, რომ საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება მათი შესრულების შესახებ ერთი სახელოსნოს ოსტატთა მიერ. წმინდა, დელიკატური, რამდენადმე დანაწევრებული ნახატის ხასიათი, წვრილი, მჭიდროდ განლაგებული ნაოჭები ქმნის ასოციაციას მცირე ფორმების სკულპტურასთან და ამიტომ სავარაუდებელია, რომ ნიმუშებს მცირე პლასტიკის ნაწარმოებები წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს ამ პერიოდში ქვაზე ჭრის ეს დარგები — მონუმენტური და მცირე სკულპტურა — არ იყო დიფერენცირებული.

ამ ასპექტში განსაკუთრებით საგულისხმოა ზემოგანხილული რელიეფები *სიახლოვე მცირე პლასტიკის ნაწარმოებთან* — ხანდისის სტელის რელიეფებთან (სურ. 3), რასაც აღნიშნავს ნ. ჩუბინაშვილი, რომელიც ხანდისის სტელას VI ს-ის II ნახევრით ათარიღებს[13]. იდენტურია შესრულების მანერა, მჭიდროდ გავლებული, რიტმული ნახატის ხასიათი. ხანდისის სტელის რელიეფებშიც ჭრის იგივე ხერხებია გამოყენებული. ცალკეულ გამოსახულებათა მსგავსება მკაფიოდ ჩანს, მაგალითად, ანგელოზთა ფიგურების შედარებისას. მეორდება ფიგურის საერთო მოხაზულობა, სამოსის ნაოჭების ნახატი. მსგავსია სახის ტიპი, თმის ვარცხნილობა. იგივე ითქმის ღვთისმშობლის, ქრისტეს გამოსახულებებზეც, რომელთა სიახლოვე ჩანს როგორც ფიგურის საერთო მოხაზულობაში (იხ. მუხლების მომრგვალებული ნახატი), ისე დეტალების ვადმოცემაშიაც; იდენტურია საყდრის ზურგის მოღუნული ე. წ. „ლირისებური“ ფორმა, წრეებით კუთხეებში, მუთაქის ბოლოების კონცენტრიული ნახატი, სწორკუთხოვანი ფეხსადგამი.

არქიტექტურულ ნაგებობათა შემამკობელ ზემოთ მოყვანილ რელიეფებში არ გამოიყოფა მონუმენტური სკულპტურის სპეციფიკური ნიშნები, რაც მათი შესრულების ხასიათის მიმართ უკვე აღვნიშნეთ. მონუმენტურობის შთაბეჭდილებას არც კომპოზიციათა საერთო ზომები და მასშტაბი უწყობს ხელს. ეძანისა და ქვემო ბოლნისის ეკლესიების კედლები ამოყვანილია კარგად გამოთლილი ქვის დიდი კვადრებით და მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენენ, რაც განსაზღვრულია შენობის საერთო პროპორციებით და კედლის მასივების სიმკაცრით.

რაც შეეხება რელიეფებს, მათი მასშტაბი არაა შეფარდებული შენობის მონუმენტურობასთან. ეძანში რელიეფური კომპოზიცია უზარმაზარ ტიმპანზეა ამოჭრილი, მაგრამ მცირე ადგილი უჭირავს ტიმპანის არის ქვედა ნაწილზე და მის გარშემო ქვის დიდი, შეუვსებელი ზედაპირია დარჩენილი. რათა წარმოვიდგინოთ მასშტაბური შეფარდება მოვიყვანოთ ზომები: ტიმპანის სა-

[13] Н. Чубинашвили, Хандиси.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძვლის სიგრძე დაახლოებით 1 მ 88 სმ, სიმაღლე — 1 მ 8 სმ; კომპოზიციის სიგრძე — 86 სმ, მაქსიმალური სიმაღლე — 30 სმ. ე. ი. რელიეფის ზომა არაა შეფარდებული არც ტიმპანის და არც მთლიანად შენობის ფასადის მასშტაბთან. კომპოზიცია იკარგება დიდ, გლუვ სიბრტყეებზე. სცენის კონფიგურაციაც, რომელიც სწორკუთხოვანი არისათვისაა განკუთვნილი, რაც ტიპიურია „ამაღლების“ სცენისათვის ადრექრისტიანულ ხელოვნებაში, არ არის დაქვემდებარებული ტიმპანის ფორმასთან.

ქვემო ბოლნისის ორივე რელიეფი არქიტრავებზეა ამოჭრილი, მაგრამ კომპოზიცია ამ შემთხვევაშიაც მასივური, მონოლითური ქვის ბლოკის ზედაპირს მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს მის ცენტრალურ ნაწილში. ამრიგად, გამოსახულების მასშტაბი არ ქმნის მონუმენტურობის შთაბეჭდილებას. ასევე თეთრი წყაროს რელიეფსაც არქიტრავის ზედაპირის მხოლოდ ნაწილი უჭირავს.

აღნიშნული მომენტები გვაფიქრებინებს, რომ პროტოტიპს წარმოადგენდა მცირე ქანდაკების ნაწარმოებები, რომელნიც მოქანდაკეებს გადაჰქონდათ ნაგებობის კედლებზე მონუმენტურ ფორმებში გადამუშავების გარეშე. ამგვარი მოვლენა ადრეფეოდალური ხანის სხვა ძეგლებზეც აღინიშნება. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ატენის სიონის დასავლეთ ფასადზე მოთავსებული სენმურვის რელიეფი (VII ს.), სადაც სასანური ქსოვილის მოტივია ქვაში გამეორებული. მარტვილის ტაძრის რელიეფებიც წარმოშობს ასოციაციას მცირე პლასტიკის ნიმუშებთან.

წინაქრისტიანულ საქართველოში, დღეისათვის ცნობილი მასალის მიხედვით, არ შეიძლება გავადევნოთ თვალი ადგილობრივი მონუმენტური რელიეფური სიუჟეტური სკულპტურის თანმიმდევრულ ტრადიციას, მაშინ როდესაც მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი მცირე პლასტიკის ფართო განვითარებას მოწმობს. მეორე მხრივ, ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, ბუნებრივია, თან ახლდა ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოებთა, უპირველეს ყოვლისა ღვთისმსახურებისათვის საჭირო საგნების, ხატების, ევლოგიების და ა. შ. შემოტანა. ცხადია, რომ ეს ძირითადად მცირე ზომის პორტატული ნაწარმოებები იქნებოდა, ე. ი. მცირე ხელოვნების ნაწარმოებები. ამ ფაქტორებით შეიძლება აიხსნას, რომ ადრინდელ ხანაში, ქრისტიანული ტაძრების ფიგურული რელიეფებით შემკობისას, მოქანდაკეები ხშირად მიმართავდნენ მცირე პლასტიკის ნიმუშებს. როგორც ამას ზემოდასახელებული ტაძრების დეკორი მოწმობს, მცირე ხელოვნების ფორმები არ იყო მათ მიერ გადამუშავებული რელიეფების განსხვავებული დანიშნულების შესაბამისად.

მაგრამ უკვე ადრეფეოდალურ ხანაში, VI ს-ის ბოლოს მცხეთის ჯვრის ტაძრის გენიალური ხუროთმოძღვრის შემოქმედებაში გადაწყვეტას პოულობს ფასადების მონუმენტური სკულპტურის ამოცანა[14]. ამ შენობაზე მოთავსებულ მონუმენტური ხასიათის რელიეფებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთანავე სკულპტურა ფასადის ორგანულ ნაწილს შეადგენს და მისი მასშტაბიც შეფარდებულია არქიტექტურის საერთო პროპორციებთან.

---

[14] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, გვ. 135—156.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეს ადრეფეოდალური ხანის ე. ი. V—VII სს. ძეგლების განხილვიდან ჩანს, ამ პერიოდის ქართულ სკულპტურაში განსხვავებულ მხატვრულ მიდგომათა თანაარსებობა აღინიშნება, ერთიანი მიმართულება ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული.

მრავალრიცხოვანია რელიეფები მკაფიოდ გამოხატული სიბრტყობრივ-ხაზობრივი გადაწყვეტით, სადაც გამოსახვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ნახატი. ამგვარი მიდგომა გამომჟღავნებულია ზემოგანხილულ რელიეფურ კომპოზიციებში, სტელების რელიეფების მრავალ მაგალითში.

მაგრამ ამავე პერიოდში შესრულებულ ისეთ რელიეფებში, როგორიცაა მცხეთის ჯვრის და მარტვილის რელიეფები, ატენის სიონის ზოგიერთი რელიეფი, აღინიშნება ფიგურის რეალურ ფორმებთან მიახლოებული გადმოცემა, ფორმათა მოცულობითი გამოყოფა, მათი პლასტიკური მოდელირება, რაც, როგორც აღნიშნავდა გ. ჩუბინაშვილი, ელინისტურ-გვიანანტიკური ხელოვნების სკულპტურული ტრადიციების გაგრძელებისა და გადამუშავების შედეგს წარმოადგენდა[15]. განსაკუთრებით ძლიერად ეს მომენტი მცხეთის ჯვრის ტაძრის რელიეფებში (სურ. 4) აისახა, ხოლო ქრონოლოგიურად მომდევნო ნაწარმოებებში, VII ს-ის მანძილზე (ატენის სიონის, მარტვილის, საფარის მიძინების ეკლესიის რელიეფები, ქაჩაგანის ჯვრის, ზედაზნის ფილისა და ჟალეთის სანათლავის რელიეფები) ჩანს სკულპტურული გამოსახვის ტრადიციებიდან ჩამოშორების პროცესი. ამრიგად, წინ წამოიწევა გამოსახულების სიბრტყობრივ-ხაზობრივი გადაწყვეტა, რომელიც შემდგომ პერიოდში მთლიანად განსაზღვრავს რელიეფების ხასიათს.

ქრისტიანული მსოფლმხედველობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ანტიკური მემკვიდრეობის გადააზრების პროცესი ადრინდელი ხანის ქრისტიანული ხელოვნების განვითარების დამახასიათებელი მოვლენაა. მაგრამ ელინისტური ტრადიცია დიდ როლს ასრულებს ამავე პერიოდის აღმოსავლეთის არაქრისტიანული ქვეყნების, კერძოდ, სასანური სპარსეთის ხელოვნებაშიაც. სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნის ხელოვნებაში, კულტურის სხვადასხვა ცენტრებში ეს პროცესი განსხვავებული ხარისხითა და ფორმებით გამოვლინდა, რასაც ადგილობრივი ტრადიციები და თავისებურებანი განაპირობებდა. სწორედ ამან განსაზღვრა მცხეთის ჯვრის რელიეფების ხასიათი, სადაც გამოსახულების სკულპტურულობა შეხამებულია ადგილობრივ ნიადაგზე გამომუშავებულ და მხატვრულად სრულიად ჩამოყალიბებულ დეკორატიულ მიდგომასთან, რომელიც მჟღავნდება, როგორც კომპოზიციური ამოცანის გადაწყვეტაში, ისე ფიგურის ნახატის დეკორატიულ-ხაზობრივ გააზრებაში.

ეს მომენტი რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს შევადაროთ მცხეთის ჯვრის „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიციის ანგელოზთა გამოსახულებანი მფრინავ ანგელოზთა ანალოგიურ ფიგურებს ამავე ეპოქის სხვადასხვა წარმოშობის რელიეფებში.

იმ ნამუშევრებში, რომელთა შესრულებას მკვლევარნი კონსტანტინოპოლის სახელოსნოებს მიაწერენ, როგორიცაა მაგალითად სახელგანთქმული ბარბერინის დიპტიქონი (VI ს.)[16], ძლიერად იგრძნობა ცოცხალი კავშირი ან-

---

15 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII საუკუნეებისა, ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები. თბ., 1957, გვ. 5, 13.

16 ანგელოზთა ფიგურები დიპტიქონის ზედა, ჰორიზონტალურ ფირფიტაზე. W. V o l-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკურ ტრადიციასთან, როგორც ფიგურის საერთო კონცეფციასა, ისე რელიეფის დამუშავებაში. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს ფიგურათა ანტიკური პროპორციები, მათი რთულ პოზაში წარმოდგენა, სხეულის ნაწილების სიღრმეში განლაგება და რაკურსში გამოსახვა, ფორმათა ძლიერი მოდელირება. ტანისამოსის დამუშავებისას შენარჩუნებულია რეალური ქსოვილის შთაბეჭდილება, ფრთების შესრულებაშიაც ჩანს ბუმბულის ფაქტურის გადმოცემა.

უშუალო მემკვიდრეობითი კავშირი ანტიკურ ტრადიციასთან შენარჩუნებულია სპილოს ძვლის იმ ნამუშევრებშიაც, რომლებიც დედაქალაქის სახელოსნოს არ ეკუთვნის, ამასთანავე, რელიეფებში გარკვეულად გამოიყოფა სიღრმის შეგრძნებისა და მოცულობითობის შესუსტება; მაგალითად, მურანოს დიპტიქონი (VI ს.; შესრულების ადგილად ზოგი მეცნიერი მცირე აზიას მიიჩნევს, ზოგი კი — ბიზანტიის იმპერიის რომელიმე აღმოსავლურ ცენტრს)[17], ეჩმიაძინის სახარების ყდად გამოყენებული დიპტიქონის ფირფიტა (VI—VII სს.)[18]. ამ უკანასკნელში ანგელოზთა სამოსის გრაფიკული დანაწევრება ზედაპირში ჩაჭრილი, თავისუფლად გავლებული ხაზების ნახატით ხელს უწყობს პლასტიკური ფორმის ნიველირებას; ნახატის მნიშვნელობა წამოიწევა წინ.

შესადარებლად მოვიყვანოთ სასანური სკულპტურის მაგალითიც, სახელდობრ ფრთოსანი ქალღმერთის ორი ფიგურა, გამოქანდაკებული ტაკ — ი — ბოსტანის დიდი გროტის თაღოვანი შესასვლელის ორივე მხარეს. სამეცნიერო ლიტერატურაში, სწორედ ეს ფიგურებია მოხსენიებული მცხეთის ჯვრის ტიმპანის ანგელოზთა უახლოეს ანალოგიად[19] და იმავე ხანას (VI—VII სს.) განეკუთვნება[20]. გარკვეულ ასოციაციას ქმნის დიაგონალურად განლაგებული ფიგურების კომპოზიციური გადაწყვეტა, მათი მდებარეობა და საერთო აბრისი, რომლის მოხაზულობას ფრთების მიმართულებაც უსვამს ხაზს, მსუბუქი თავისუფალი ფრენის პოზა, ხოლო რელიეფის ხასიათი და ფორმათა დამუშავება განსხვავებულია. სასანურ რელიეფში გაცილებით უფრო მეტად ვლინდება დამოკიდებულება ანტიკურ-ელინისტურ ხელოვნებასთან. ეს პირველ ყოვლისა ფორმათა მოდელირებას და ქსოვილის დრაპირების ბუნებრივ ხასიათს შეეხება.

ანტიკური ნიმუშის თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა VI ს-ის კოპტური რელიეფის ოსტატი „ქრისტეს ამაღლების" სცენაში ქვის არქიტრავზე ბაუიტის მონასტრიდან[21]. ამ რელიეფში ფიგურის მოცულობითობა მხოლოდ საერთო, ზოგად ფორმებშია მოცემული, ხოლო ტანისამოსის გადმოცემაში ზედაპირის ხაზობრივ-დეკორატიული დამუშავება გამოიყოფა, თუმცა ნახატი ძირითადად მომრგვალებულ, ე. ი. გარკვეულ ფარგლებში პლასტიკურად გა-

---

bach, Frühchristliche Kunst, München, 1958, ტაბ. 219, გვ. 87; A. Grabar, L'âge d'or de Justinien, Paris, 1966, ილ. 319, გვ. 404.

17 W. Volbach, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 223, გვ. 88.

18 Декоративное искусство средневековой Армении. Составители альбома Н. Степанян, А. Чакмакчян, Л., 1971, გვ. 17, таб. 20.

19 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, გვ. 152—153. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 145.

20 E. Herzfeld, Am Tor von Asien, Berlin, 1920, გვ. 72—74, ტაბ. XXIII, XXXVI, XXXVII.

21 J. Beckwith, Coptic Sculpture, London, 1963, გვ. 53, ილ. 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყოფილ მასას მიყვება. პირობით — დეკორატიულადაა დამუშავებული ფრთებიც.

კოპტური რელიეფის ოსტატის მხატვრული პრინციპი ერთგვარად ეხმაურება მცხეთის ჯვრის ქართველი მოქანდაკის მხატვრულ მიდგომას რელიეფის გადაწყვეტაში. ორივე შემთხვევაში ფიგურათა პლასტიკურ-მოცულობითი გადმოცემის ტრადიცია აისახა ზოგადი რელიეფური ფორმების გადმოცემაში, ხოლო სამოსის დამუშავება დეკორატიულ-ხაზობრივი ხასიათისაა. რაც შეეხება კომპოზიციის აგებას, ფიგურათა მოხაზულობასა და ფორმებს და ნახატის ხასიათს — ეს მომენტები კოპტური და ქართული სკულპტურის ნაწარმოებში განსხვავებულია. ქართულ რელიეფში ხაზგასმულია გრძელი, პარალელურად მიმდინარე ნაოჭების დენადი ხაზების რიტმული თანხმოვნება, რაც კომპოზიციის საერთო რიტმს ერთვის და განსაზღვრავს დეკორატიულობის ხასიათს.

ძველქრისტიანული ხელოვნების ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ იქ, სადაც, ანტიკური ხელოვნების გავლენა ადგილობრივ ხელოვნებაზე ძლიერი იყო წინაქრისტიანულ პერიოდში, ქრისტიანულ ხელოვნებაშიაც ანტიკური ფორმების რემინისცენციები განმსაზღვრელ როლს ასრულებდნენ. საქართველოში იმ პერიოდის ადგილობრივი ხელოვნება, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ქრისტიანობის გავრცელებას, ე. ი. ჩ. წ. აღრიცხვის პირველი საუკუნეების ხელოვნება ჯერ კიდევ მცირედაა შესწავლილი. რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ ადრინდელი ქრისტიანული ხანის რელიეფური სკულპტურის ჩვენამდე მოღწეული ძეგლების მიხედვით, საქართველოში ანტიკური ხელოვნების მხატვრული ტრადიციები არ უნდა ყოფილიყო მყარად ფესვგადგმული; ქართველ ხალხს დიდი ხანია მჭიდრო პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ანტიკურ-რომაულ სამყაროსთან[22], აქ ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ-რომაული ხელოვნების პროდუქცია. ამ ტიპის ნაწარმის გარკვეული ნაწილი მკვლევართა აზრით შესაძლებელია ადგილზე მზადდებოდა, მაგრამ ამისდამიუხედავად ქართველი ხალხის ადგილობრივი, ავტოქტონური ხელოვნება თავისი, საკუთარი გზით ვიემართებოდა. ამან განსაზღვრა, როგორც ჩანს, ის გარემოება, რომ ქრისტიანობის ადრინდელი ხანის სკულპტურის ნაწარმოებთა უმრავლესობაში გამოხატულია ანტიკურის საპირისპირო ტენდენცია — სიბრტყობრივ-ხაზობრივ-დეკორატიული ტენდენცია, მაშინ როდესაც ანტიკური სკულპტურული ტრადიცია მხოლოდ ერთეულ მაგალითებში აისახა. პირველ რიგში ეს მცხეთის ჯვრის რელიეფებია, სადაც სკულპტურულ ფორმათა თავისებური გადამუშავებაა მოცემული, ხოლო ქრონოლოგიურად მათგან არც თუ ისე დაშორებულ მარტვილის რელიეფებში ძლიერად იგრძნობა მოცულობითობის შესუსტება. ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის ქართულ რელიეფურ სკულპტურაში გარკვეულად ჭარბობს აღმოსავლური ტენდენცია გამოსახულების სიბრტყობრივ-დეკორატიული გამოსახვისა. როგორც ჩანს იგი ამასთანავე ადგილობრივი ტენდენცია იყო.

---

22 მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, თბ., 1958. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; К. Г. Мачабели, Серебряные фиалы из Армазисхеви, Тб., 1970; ვანი 1, არქეოლოგიური გათხრები, 1947—1969, თბ., 1972.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ მცხეთის ჯვრის სკულპტურულ რელიეფებში და ამავე პერიოდის სიბრტყობრივ რელიეფებში ზედაპირის დეკორატიული ნახატის და ნაოჭების ჭრის ხერხების მსგავსება აღინიშნება (სურ. 1—4). შევადაროთ მცხეთის ჯვრის ანგელოზებს ეძანისა და ხანდისის სტელის ფიგურები: ყველგან რელიეფის ზედაპირის დამუშავების დეკორატიულ ხასიათს განსაზღვრავს ერთმანეთის პარალელურად მიმართული გრძელი ხაზების თანაბარზომიერი რიგების რიტმული მონაცვლეობა, იმისდამიუხედავად, რომ ეძანისა და ხანდისის რელიეფებში ხაზები ბრტყელ ზედაპირზეა გავლებული, ხოლო მცხეთის ჯვრის გამოსახულებაში ნახატი რელიეფურ, ამობურცულ ფორმებს მიყვება. იდენტურია ნაოჭების ჭრის ხერხი — ორმხრივ სამკუთხედად თანაბრად ცერად ჩაკვეთით, როდესაც ნაპირი წიბოს სახით გამოიყოფა. მცხეთის ჯვრის რელიეფში წიბო ხაზგასმულია დამატებითი ღარის საშუალებით. ეს თავისებური დეტალი მეორდება VI—VII საუკუნეების სხვა ქართულ რელიეფებშიც — ხოჟორნიას ეკლესიის კაპიტელები, ქაჩაგანის ჯვარი[23], ზეღაზნის ფილა[24], ჟალეთის სანათლავი[25] და სხვ.

სკულპტურის ზემოდასახელებულ ნაწარმოებებშიაც ხაზობრივ-დეკორატიული გადაწყვეტის იმავე მიდგომის გაგრძელება აღინიშნება, მაგრამ მცხეთის ჯვრის რელიეფებთან შედარებით VII ს-ის რელიეფებში მჭიდროდ განლაგებული ხაზების ნახატმა უფრო გეომეტრიზებული და სქემატური ხასიათი მიიღო (ქაჩაგანის ჯვარი, ჟალეთის სანათლავი).

უნდა აღინიშნოს, რომ რელიეფების მხოლოდ ამ ჯგუფით არ შემოიფარგლება VI—VII ს-ის ქართული სკულპტურა. ეს ერთ-ერთი მიმართულება უნდა ყოფილიყო, რადგანაც დასახელებული ნაწარმოებების გვერდით გვხვდება განსხვავებული ხასიათის რელიეფებიც, როგორც, მაგალითად, მარტვილის ტაძრის რელიეფები.

რელიეფის ჭრის აღნიშნული ტრადიცია, როგორც ჩანს, წინაქრისტიანული ხანის აღმოსავლურ ხელოვნებას უკავშირდება. სახელდობრ, იგი გამოხატულია სირიისა და პალმირის წარმართულ რელიეფებში, როგორიცაა, მაგალითად, ჩ. წ. აღრიცხვის I საუკუნის რელიეფი პალმირიდან ქალების პროცესიის გამოხატულებით[26], სადაც ფიგურის მომრგვალებული, ზოგადი მასა დანაწევრებულია პარალელური ნაოჭების თანაბარზომიერი, რიტმული რიგებით.

რელიეფის დამუშავების მსგავსი ხაზობრივ-დეკორატიული მიდგომა გაგრძელებას პოულობს ბიზანტიურ ხელოვნებაში, კერძოდ, ბიზანტიური ხელოვნების იმ ნაკადში, რომელიც ძლიერად გამოხატავდა აღმოსავლურ ტენდენციებს. ანალოგიად ქართული რელიეფებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ VI—VII სს. სარკოფაგის ფრაგმენტი სტამბულის მუზეუმიდან (ქრისტე ტახტზე, წმ. პეტრესთან ერთად)[27]; რელიეფის ზედაპირი მჭიდროდაა დაფარული პარალელურად მიმართული გრძელი ხაზების გეომეტრიზებული ნახატით და, ამრიგად, ხაზი ესმება სიბრტყის დეკორატიულ დამუშავებას.

---

[2] Н. Чубинашвили, Рельеф „Вознесения креста" на каменном кресте из селения Качагани. ქართული ხელოვნება, 6, სერია A, თბ., 1963, გვ. 19, 23.

[24] ა. ვოლსკაია, ზედაზნის რელიეფი. ძეგლის მეგობარი, 26, თბ., 1971, გვ. 11—16.

[25] Н. Чубинашвили, Хандиси, გვ. 86, таб. 60.

[26] A. Grabar, Le premier art chrétien, Paris, 1966, ილ. 46, გვ. 318

[27] A. Grabar, L'âge d'or de Justinien, ილ. 261, გვ. 402.



სურ. 1. ქვემო ბოლნისი. ქრისტეს ამაღლება. VI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 2. ეძანი. ღვთისმშობლის განდიდება. VI ს.
ფოტო ნ. ჩუბინაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 3. ხანდისის სტელა. დეტალი. VI ს.
ფოტო ნ. ჩუბინაშვილის

სურ. 4. მცხეთის ჯვარი. ჯვრის ამაღლება. VI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეფეოდალური პერიოდის ქართული სკულპტურის თემატიკური წრე საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოში ადრინდელი ხანის ეკლესიების დეკორში გამოყენებულია ძველ ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაოდ გავრცელებული მოტივები: სიმბოლური შინაარსის კომპოზიციები, როგორც მაგალითად ფარშევანგები ჯვრის ორივე მხარეს — ბოლნისში, ირმები წყაროსთან — ატენის სიონში, ცხოველთა გამოსახულებანი, საღვთო წერილის სცენები, ისტორიულ პირთა გამოსახულებანი, მაგრამ, როგორც ჩანს, განსაკუთრებით პოპულარული იყო ამაღლების თემა: „ქრისტეს ამაღლება“ და როგორც მისი სიმბოლური ვარიანტი „ჯვრის ამაღლება“, აგრეთვე, „ღვთისმშობლის განდიდება“, გადაწყვეტილი „ამაღლების“ ანალოგიურად და შინაარსის მხრივაც ამ სცენასთან დაკავშირებული.

აღნიშნულ სიუჟეტებს ჩვეულებრივ გამოხატავდნენ ეკლესიის შესასვლელის თავზე, ე. ი. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილზე. სწორედ ამ კომპოზიციების გამოყენება ეკლესიაში შესასვლელის გასაფორმებლად წარმოადგენდა აღმოსავლეთქრისტიანული ხელოვნებისათვის საერთო ტრადიციას, რასაც მოწმობს ამ პერიოდის ძეგლები სხვადასხვა ქვეყნებიდან — სირია, მცირე აზია, ეგვიპტე.

ქვის არქიტრავზე ბაუიტის მონასტრიდან (VI ს-ის II ნახევარი; კოპტების მუზეუმი)[28] სცენის მოკლე რედაქციაა მოცემული: გამოსახულება შემოისაზღვრა სცენის ზედა, ციური ზონის გადმოცემით. ქვემო ბოლნისის რელიეფის მსგავსად, მანდორლით გარშემორტყმულ ტახტზე მჯდომ ქრისტეს ორი ანგელოზი აღამაღლებს.

„ქრისტეს ამაღლების“ მეორე ვერსია, როდესაც ანგელოზებს მიაქვთ მედალიონი ქრისტეს ბიუსტის გამოსახულებით, ასევე გადმოსცემს „ქრისტეს ამაღლების“ შინაარსს, მაგრამ მისი წარმოშობა დაკავშირებულია იმპერატორის ტრიუმფის თემასთან. პროტოტიპს წარმოადგენს ანტიკური ვიქტორიების გამოსახულებანი, რომელთაც უჭირავთ მედალიონი ტრიუმფატორის ბიუსტით ე. წ. imago clipeata[29]. მონუმენტურ სკულპტურაში აღნიშნული იკონოგრაფიული ვერსია მოცემულია მცირე აზიაში ხოჯა-კალესის ანუ ალაჰან მონასტრის ეკლესიის პორტალზე (V ს.)[30], სომხეთში პტგნის ეკლესიის სარკმლის სათაურზე (VI ს-ის დასას. VII ს-ის დასაწ.)[31], ხოლო საქართველოში — მცხეთის ჯვრის ეკლესიის მცირე შესასვლელის არქიტრავზე.

ამრიგად, საქართველოში ვხვდებით ქრისტეს ამაღლების ორივე იკონოგრაფიულ რედაქციას. მაგრამ ხშირად ქრისტეს გამოსახულებას მედალიონში ენაცვლება ჯვარი ე. ი. ქრისტეს სიმბოლური ნიშანი. სახელდობრ, მცხეთის ჯვრის, ანჩისხატის, თეთრი წყაროს რელიეფებში.

მარტვილის ტაძრის VII ს-ის რელიეფში, სადაც მანდორლას ქრისტეს გამოსახულებით ოთხი ანგელოზი აღამაღლებს, ქრისტეს ამაღლების კიდევ ერთი ვარიანტია მოცემული, ცნობილი პალესტინის ამპულების მიხედვით. თა-

---

[28] J. Beckwith, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—53, ილ. 96.

[29] A. Grabar, Cahiers archéologiques, XX, გვ. 24; მისივე, L'empereur dans l'art byzantin, Paris, 1946.

[30] O. Wulff, Altchristliche und byzantinische Kunst, I, Berlin, 1914, გვ. 136, ილ. 126; A. Grabar, Cahiers archéologiques, XX, გვ. 23—27.

[31] Декоративное искусство средневековой Армении, таб. 19, გვ. 16—17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისებური სახე მიიღო ამ სცენამ ხოჟორნიას ეკლესიის რელიეფებზე. ხოჟორნიაში ორ კაპიტელზე ერთი და იგივე გამოსახულებანი მეორდება. ანგელოზები (მათი რიცხვი აქ ორია) ამ შემთხვევაში ვერტიკალურად არიან მოთავსებულნი ისე, რომ მათი სხეულის განლაგება მიყვება ქრისტეს ოვალური მანდორლის მოხაზულობას და უფრო ფეხზე დგომის შთაბეჭდილებას ქმნის. მათი ამგვარი განლაგება, როგორც ჩანს, კომპოზიციისათვის განკუთვნილი არის მოხაზულობით იყო განპირობებული, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვარიანტის ანალოგიები სხვაგან არსად არ ჩანს.

როგორც მოყვანილი მაგალითები მოწმობს, ადრეფეოდალური ხანის ქართულ ქანდაკებაში გარკვეულად აღინიშნება მრავალფეროვნება ერთი და იმავე თემის, სახელდობრ, ამაღლება-განდიდების თემის ინტერპრეტაციაში. ამასთანავე, ზუსტ ანალოგიებს ქართული რელიეფებისათვის უმრავლეს შემთხვევაში ვერ ვპოულობთ. ქართველი ოსტატები გამომდინარეობდნენ ძველქრისტიანულ ხელოვნებაში ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული ნიმუშებიდან, მაგრამ ვარიაციები შეჰქონდათ როგორც კომპოზიციის აგებაში, ისე დეტალებში. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა მცხეთის ჯვრის ტაძრის ჯვრის ამაღლების რელიეფი, სადაც სწორკუთხა არესათვის განკუთვნილი ტრადიციული კომპოზიცია შემოქმედებითადაა გადამუშავებული ტიმპანის მოხაზულობის შესატყვისად. საგულისხმოა, რომ მცხეთის ჯვრის მოქანდაკის მიერ შექმნილი მაღალმხატვრული კომპოზიცია თვითონვე ხდება ნიმუშად მომდევნო ხანის ოსტატისათვის, იგი გამეორებულია საფარის მონასტრის მიძინების ეკლესიის დასავლეთის მინაშენის „ჯვრის ამაღლების“ რელიეფში (VII ს.), მაგრამ ამ შემთხვევაში სარკმლის სათაურის სწორკუთხოვან ქვეხე[32].

ზემოთქმული მარტო ისეთ მოწინავე და დახელოვნებულ შემოქმედს არ ეხება, როგორიც მცხეთის ჯვრის ოსტატია, სხვა შემთხვევაშიაც, კერძოდ ხოჟორნიას ეკლესიის და ბურდაძორის სტელის რელიეფებზეც სცენების თავისებური გადაწყვეტაა მოცემული. ზოგიერთი დეტალი, სახელდობრ, გვირგვინი და საცეცხლური ეძანის კომპოზიციის მფრინავი ანგელოზების ხელებში ერთად აღებული არ გვხვდება ანალოგიურ სცენებში.

ამრიგად, როგორც ჩანს, ადგილობრივ იქმნებოდა იკონოგრაფიულ და კომპოზიციურ სქემათა ვარიანტები, რაც საფუძველს იძლევა გამოვთქვათ მოსაზრება, რომ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, როგორიც იყო სირია, პალესტინა და ა. შ., საქართველოსაც შეჰქონდა გარკვეული წვლილი ძველქრისტიანული ხელოვნების იკონოგრაფიის ფორმირებაში.

---

[32] ამ რელიეფის შესახებ იხ: Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, გვ. 153; Н. Чубинашвили, Хандиси, გვ. 17—20, 77, таб. 48.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარმენ ზაქარაია

ციხედიდის ნასახლარი

გვიანფეოდალური ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მრავალი ნაქალაქარ-ნასახლარია. საუკუნეების განმავლობაში მტრების განუწყვეტელმა თარეშმა ქვეყანა გააპარტახა, სანახევროდ უკაცრიელი გახადა. არსებობა შეწყვიტეს ისეთმა დიდმა და პატარა ქალაქებმა, როგორიც იყო გრემი, ბაზარი, სამშვილდე, რუსთავი, ალი, მზოვრეთი და მრავალი სხვა. ამ ქალაქების არსებობაზე ცოტა რამ თუ ვიცით, რამდენი სოფელია განადგურებული ისე, რომ ისინი მატიანეთა ფურცლებზე არ მოხვედრილან. დადიხართ ქვემო თუ ზემო ქართლის ტერიტორიაზე და გაოცებთ ნასახლართა სიმრავლე, მათი მრავალფეროვნება. ციხედიდის ნასახლარი ერთი ამათგანია, მხოლოდ იგი სხვებისგან იმით გამოირჩევა, რომ მის კედლებს ერთი წარწერა მაინც შემოუნახავს, საიდანაც დასახლების მეპატრონის ვინაობას ვიგებთ.

მტკვრის მარჯვენა მხარეს, არმაზის შემდეგ, სოფ. ძეგვის მისადგომთან მარცხნივ იწყება ვიწრო ხეობა, რომელსაც ციხედიდის ხეობას ეძახიან. მას ჩამოუდის იმავე სახელის მატარებელი წყალი. ამ ვიწრო ხეობაში საურმე გზა ძლივს მიიკლაკნება. მოსახლეობა ამჟამად ხეობაში არსადაა. ჩანს, რომ აქ ცხოვრება ათასი წლები გრძელდებოდა.

მტკვრიდან 1—1,5 კილომეტრზე ხეობა ცოტათი იშლება და მისი მარცხენა ნაპირი დასახლებისათვის შედარებით ხელსაყრელია. სწორედ ეს ადგილი შეურჩევიათ საცხოვრებლად დეკანოზიძეებს. ფერდობის საკმაოდ რთული რელიეფი მოხერხებულადაა გამოყენებული და ზედ განლაგებულია საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობები. ისინი ერთმანეთისაგან დაახლოებით ასიოდე მეტრითაა დაცილებული. ზედა ტერასაზე განლაგებული ყოფილა საცხოვრებელი კომპლექსი კოშკით, ქვედა ტერასაზე კი — საკულტო ნაგებობები (სურ. 1). სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს არ მოუღწევია თავდაპირველი სახით. მაგრამ რაც დარჩა, ისიც მეტად საინტერესოა გვიანფეოდალური ერთიანი დასახლების წარმოსადგენად. ანსამბლისადმი ინტერესს აძლიერებს ერთ-ერთ ობიექტზე სამშენებლო წარწერის არსებობა.

ფერდობის ზედა ტერასაზე ამ პატარა ფეოდალს თავისთვის აუგია კოშკი და მის ირგვლივ საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის ნაგებობები. კოშკის გარდა ყველა ნაგებობა დანგრეულია და მათი თავდაპირველი სახის წარმოდგენა შეუძლებელია. კოშკი კი დაზიანებულია.

კოშკი კარგი პროპორციების მქონე პირამიდული ნაგებობაა და მშვენივრად ზის ლანდშაფტში (სურ. 2). ცხადია, თავდაპირველად, როდესაც იგი სხვა ნაგებობებთან ერთად იყო, გაცილებით უკეთესი სანახავი იქნებოდა.

კოშკი ამჟამად ოთხსართულიანია, მაგრამ ზედა ნაწილი აკლია და უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი სართული, ან საბრძოლო ბანი მაინც. ხის სართულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა გადახურვა მთლიანად ჩანგრეულია, სხვა მხრივ კედლებს თითქმის არაფერი აკლია (სურ. 3).

კოშკის პირველი სართული იწყება მიწის დონიდან. მისი ერთადერთი კარიც აქვეა აღმოსავლეთის მხარეს (კოშკის ეს მხარე ხევს დაჰყურებს). ეს სართული დამხმარე უნდა ყოფილიყო, დანარჩენი კი საცხოვრებელი და საბრძოლოა. კარიდანვე იწყება კიბე, რომლის სამი საფეხურით ჩავდივართ იატაკამდე. აქ გამართული ყოფილა მარანი საწნახლით. მის იატაკში ახლაცაა დარჩენილი ორი ქვევრი, ხოლო ორმოების მიხედვით თუ ვიანგარიშებთ ათამდე იქნებოდა. კოშკის დასავლეთის მონაკვეთი საწნახლისათვის დაბალი კედლითაა გამოყოფილი. საწნახლის იატაკის დონეზე ერთგან კერამიკული მილია ჩაყოლებული. დაწურვის შემდეგ ღვინო ამ მილით გამოდიოდა და შემდეგ ხის ღარით ჩაუშვებდნენ ქვევრებში. გვიანფეოდალური ხანის ქართლ-კახეთში ასეთი საწნახელი მრავლადაა, მაგრამ უშუალოდ საცხოვრებელ-თავდაცვით კოშკთან დაკავშირებით შერჩენილია ზემო ხოდაშენსა, ახმეტასა[1] და რუისპირში[2].

მარნის კედლებში მოთავსებულია ერთი სწორკუთხა ნიში და სამი სათოფე. ამათგან თითო სათოფე გვერდით კედლებშია და ორმაგი კი შემოსასვლელს იცავდა. სართულის მეოთხე კედელი, დასავლეთის მონაკვეთი, ფერდობშია შეჭრილი და სათოფე ვერც გაკეთდებოდა.

კოშკის მეორე სართულის კედლებშიც ცოტაა სათოფეები. ორ-ორი ცალმაგი სათოფეა სამ კედელში, ხოლო მეოთხე, დასავლეთის კედელში ერთი ორმაგი სათოფეა.

მესამე სართული ამ მხრივ უფრო რთულია. მისი დასავლეთის კედლის ცენტრში ბუხარია, შეისრული ფორმის თაღოვანი გადახურვით. მის მარჯვნივ კი ერთი სათოფეა. ხოლო დანარჩენ სამ გვერდზე სამ-სამი სათოფეა ჩამორიგებული. ეს ცალმაგი სათოფეები არათანაბრადაა განაწილებული.

კოშკის მეოთხე სართული სხვებზე მრავალფეროვანია. აქ სათოფეები სამ იარუსადაა განლაგებული. აღმოსავლეთით თითქმის ერთმანეთის ზემოთ ერთი დიდი და ერთიც პატარა სარკმელია. დასავლეთის მხარესაც დიდი სარკმელია, რომელიც კარსა ჰგავს, მაგრამ გარედან შვერილი აივნის ნაშთები არ შემორჩენია და ამიტომაც ჩვენ მხოლოდ სარკმლად ვღებულობთ. საშუალო ზომის თითო სარკმელიც სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების ცენტრებშია. რაც შეეხება სათოფეებს — დასავლეთით ორი, სამხრეთით სხვადასხვა დონეზე ხუთია, აღმოსავლეთით შვიდია და ამდენივეა ჩრდილოეთით. არის კედლებში მცირე ზომის სწორკუთხა ნიშებიც. ამათ გარდა, დასავლეთით, მარჯვენა კუთხეში საპირფარეშოს ნიშაა დარჩენილი. ცხადია, კოშკის მოქმედების დროს იგი წინიდან შემოფარგლული იქნებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, კოშკის ზედა ნაწილი მორღვეულია და მის გადაწყვეტაზე ზუსტად ვერაფერს ვიტყვით. რაც შეეხება სართულშუა გადახურვას, იგი ყველგან ხისა ყოფილა. კოჭების თავების ჩასაწყობი ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ყველა სართულზე ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით ყოფილან დაწყობილნი. სართულების სიმაღლეზე ზოგან 2,5, ზოგან კი — 3 მეტრია.

---

[1] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962, გვ. 175—188.

[2] ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, გვიანი ფეოდალური ხანის კოშკური საცხოვრებლის ერთი სახეობა, „მაცნე", № 2, 1967, გვ. 276—284.



სურ. 1. ციხედიდის ნასახლარი. გენგეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 2. ციხედიდი. კოშკი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.



სურ. 3. ციხედიდი. კოშკის გეგმები, განაკვეთი სამხრეთით, აღმოსავლეთის ფასადი და ჩრდილო-აღმოსავლეთის ხედი.



სურ. 4. ციხედიდი. წარწერა კოშკის ჩრდილოეთის ფასადზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 5. ციხედიდი. ეკლესიის გეგმა, განაკვეთი სამხრეთით და აღმოსავლეთის ფასადი.



სურ. 6. ციხედიდი. სამრეკლოს პირველი და მეორე სართულის გეგმები, განაკვეთი დასავლეთით და სამხრეთის ფასადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ბიბლიოთეკა

კოშკის კედლები მთლიანად ნაგებია ფლეთილი ქვით, მაგრამ შიდა კედლები, რადგან შელესილი იყო, ამიტომ არ გაუთლიათ. გარედან კი საკმაოდ ბევრია გათლილიც. კედლები კარგადაა ნაგები, მაგრამ მორთულობა არ გააჩნია, ხოლო ჩვენზე ადრე ათიოდე წლით მოსულ კოლეგებს კი სხვა სურათი დახვედრიათ. მათი აღწერით, მთავარ ფასადზე, კარის მხარეს, ზემოთ უნახავთ კედელში ჩასმული მწვანეთ მოჭიქული ორი ფიალა[3]. სამწუხაროდ, ეს ფიალები დღეს აღარაა.

კოშკის ჩრდილოეთის ფასადზე, მიწის დონიდან ოდნავ მაღლა, უფორმო ქვაზე, მხედრული წარწერაა მოთავსებული[4]. ჩვენ აქვე ვიძლევით წარწერის მონახაზს, რადგან დამწერლობის საინტერესო ფორმაა გვიანი საუკუნეებისათვის (სურ. 4).

წარწერა ქარაგმების გახსნით ასე იკითხება:

ქ. ჩ/ე/ნ, დეკანოზიძემ, თვით დეკა
ნოზმა ათ/ა/ნასემ აღვაშ/ე/ნ//ე/ კოშკი
ესე მოიხ/სე/ნ/ე/ უფალო და ძე მ/ი/სი ზ/ა/ლ და
ზურაბ, მ/ა/თ/ა/ოზა, გორ/ი/სას. ქ/ორონი/კ/ონ/სა ტნიᲩ

წარწერის შინაარსი გასაგებია, მაგრამ მისი გრამატიკული წყობა გაუმართავია.

წარწერის პირველი და მეორე სტრიქონი ადვილად იკითხება. მესამე სტრიქონი ცოტა გაუმართავია, მაგრამ წაკითხვა მაინც ხერხდება. მეოთხე სტრიქონის მეორე და მესამე სიტყვის გაშიფვრა ჭირს. ვიძლევით ერთ-ერთ ვარიანტს

რაც შეეხება ქორონიკონს, არც ესაა ჩვეულებრივი ფორმით გადმოცემული. ქვაზე წერია: „ტ ნ ი Ჩ“. პირველი ასო ასეულია (ტ=300), მეორე — ათეული (ნ=50), მესამეც ათეულია (ი=10) და მეოთხე — ერთეული (Ჩ=8). პირდაპირი, ჩვეულებრივი ხერხით ეს ქორონიკონი არ წაიკითხება. ამიტომ ჩვენ ვუშვებთ ერთადერთ ვარიანტს, რომ ოსტატს 60-ის აღსანიშნავად უნდა დაეწერა „ᲘᲐ“, მან კი დაწერა „ნ“ და „ი“, რომელთა შეერთებაც გვაძლევს 60-ს. თუ ამ ვარიანტს მივიღებთ, მაშინ ყველაფერი წესრიგში იქნება — ქორონიკონს წავიკითხავთ როგორც 368, რასაც მიმატებული მოქცევის აღმნიშვნელი 1312, მივიღებთ 1680 წელს.

აქედან გამომდინარე. ეს კოშკი დეკანოზ ათანასე დეკანოზის ძეს აუგია 1680 წელს.

სხვა საბუთებში ათანასე დეკანოზიძე არაა მოხსენიებული[5].

რაც შეეხება კოშკის სტილისტიკურ ანალიზს, უნდა აღინიშნოს, რომ კოშკი ტიპიურია XVII ს-ის მეორე ნახევრისათვის. ამაზე უპირველეს ყოვლისა მეტყველებს სწორკუთხა გეგმა, ფორმის პირამიდალურობა. დამახასიათებელია ისიც, რომ კოშკი ზემოთკენ მცირედ ვიწროვდება და სართულშუა

---

[3] Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели, Окрестности Тбилиси, Архитектурный путеводитель, Тб., 1960, გვ. 38. ციხედიდის ეს პატარა ანსამბლი პირველად ამ ავტორებმა შეიტანეს ლიტერატურაში და მოცემული აქვთ გზამკვლევისათვის საჭირო სათანადო მასალა.

[4] ეს წარწერა ბუჩქებით იყო დაფარული და ზემოდასახელებულ ავტორებს ვერ შეუმჩნევიათ. იგი პირველად ქვეყნდება.

[5] სავარაუდოა, ეს მხარე — ძეგვი, ნიჩბისი და მათი მიდამოები თუ შიო-მღვიმის მონასტერს ეკუთვნოდა, ათანასეც შიო-მღვიმის დეკანოზი ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახურვა ხისაა. ასევე დამახასიათებელია (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) სათოფეთა სიმცირე და ცალმაგ ფორმათა სიჭარბეც იმავე ეპოქაზე მიუთითებს[6]. თვით კოშკის აგების ტექნიკა და ფასადების შემოსვაც იმავე პერიოდში ჰპოვებს ანალოგიებს.

ცალკე მდგარი კოშკისათვის დამახასიათებელი არ არის პირველ სართულზე კარი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ კოშკს და მის გვერდებზე მდგარ ნაგებობებს საერთო გალავანი ჰქონოდათ. მართალია, ამჟამად გალავნის კვალი არა ჩანს, მაგრამ შესაძლოა ისიც ისევე დანგრეულიყო და ქვები გაეზიდათ, როგორც ეს მოხდა სხვა ნაგებობების მიმართ.

ციხედიდის ნასახლარის საკულტო უბანი, როგორც აღვნიშნეთ, იქვეა ჩრდილოეთით ასიოდე მეტრზე (სურ. 1). აქ ადრე მდგარი სამი ნაგებობიდან ორი ეკლესიაა და ერთი სამრეკლო. ერთი ეკლესია ისეა დაქცეული, რომ გეგმის აღდგენაც კი არ ხერხდება[7], ხოლო მეორე ეკლესია დგას ნაწილობრივ გადაკეთებული. სამრეკლო კი სანახევროდ დანგრეულია.

უკეთ შერჩენილი ეკლესია წმ. მარიამის სახელობისაა. იგი საშუალო ზომის ერთნავიან ნაგებობას წარმოადგენს (სურ. 5). მას შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდან აქვს (ამჟამად შესასვლელის წინ კარიბჭისმაგვარი ფარდულია მიშენებული. იგი ამ საუკუნის დასაწყისშია გაკეთებული და უბრალოა). შიგნით ეკლესიის დარბაზის კამარა შუაზე საბჯენ თაღს ეყრდნობა. ღრმა აფსიდი კონქით მთავრდება. აფსიდის გვერდებზე თითო მოზრდილი ნიშია. განათებისათვის თითო სარკმელი განლაგებულია აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ეკლესიის შიდა კედლები ისე სქლადაა შელესილი და შეთეთრებული, რომ არავითარი დეტალი არ ჩანს.

ეკლესიის ფასადები ნაგებია ფლეთილი ქვით, სადაც ურევია ზედაპირმოსწორებული ქვებიც. კარნიზი და გადახურვა არ შერჩენილა. ფასადები მორთული, ალბათ, თავდაპირველადაც არ იქნებოდა.

სამრეკლო ეკლესიიდან ჩრდილო-დასავლეთით ოციოდე მეტრზე დგას (სურ. 1). მისგან ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ქვედა სართული, ხოლო ზედა სართული გადანგრეულია[8] და ნანგრევები იქვე ყრია.

სამრეკლო ორსართულიანი პატარა ნაგებობაა და ისეთია, როგორიც შეეფერება ამ ანსამბლს. პირველი სართულის კუბური მასა, ეკლესიის მსგავსად, ნაგებია ფლეთილი ქვით, საკმაოდ წესიერი წყობით (სურ. 6), როგორც ჩვეულებრივ ეს სხვა სამრეკლოებშიც ხდება, აქაც პირველი სართული ჭიშკარს წარმოადგენს. მასში მოწყობილია სწორკუთხა გასასვლელი. მართალია, ახლა არ ჩანს გალავანი, მაგრამ თავდაპირველად იგი ეკლესიასთან ერთად იქნებოდა შემოფარგლული.

სამრეკლოს ფანჩატური ექვს სვეტზე დაყრდნობილი თაღედითაა შემოფარგლული. სვეტები თითო ქვისგანაა გამოთლილი და ზედვეა კაპიტელი და ბაზაც. ქვის მთლელს ყველაფერი ეს ისე უფორმოდ აქვს გამოკვეთილი, რომ ნახევარფაბრიკატი გეგონებათ. ოსტატი ვერ ყოფილა თავის სიმაღლეზე, თო-

---

[6] П. Закарая, Древние крепости Грузии, Тб., 1969, გვ. 207—209, სურ. 78.

[7] კედლებისა და სახურავის ქვები ერთმანეთზეა დახვავებული. ამიტომ გაწმენდის შემდეგ გეგმის დადგენა შესაძლებელი იქნება. ამ ეკლესიის გალავნის ნაშთი თითქმის სიგრძის ერთ მესამედზეა დარჩენილი.

[8] სამრეკლოს ნახაზზე მეორე სართული აღდგენილია იქვე ნანგრევებში მდებარე ექვსივე სვეტით და ძველი სურათით (სამრეკლოს ფანჩატური დანგრეულა ამ ათიოდე წლის წინათ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემ სხვა მხრივ, თუ შეიძლება ითქვას, ყველაფერი რიგზეა. ფანჩატური საერთო გადაწყვეტით თავისი ეპოქის ღვიძლია.

შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ იმავე ეპოქის ორი ძეგლი — თბილისის ანჩისხატის სამრეკლო და ანანურის ანსამბლში შემავალი სამრეკლო. პირველი მათგანი აგებულია 1675 წ.[9], ხოლო მეორე — 1689 წ.[10] განსახილველი ობიექტი, ციხედიდის სამრეკლო კი აგებულია მათ შორის — 1680 წ.

ანჩისხატის სამრეკლო წარმოადგენს სამსართულიან პირველხარისხოვან ნაგებობას, ანანურის სამრეკლო კი ადრე აგებული ეკლესიის ბანზეა დადგმული. ამიტომ ჩვენ შესადარებლად გამოგვადგება მხოლოდ ზარების დასაკიდად განკუთვნილი ფანჩატურები. ორივე შემთხვევაში ფანჩატურის თაღედი რვა სვეტზეა დაყრდნობილი. ციხედიდში კი ფანჩატურის პატარა ზომის გამო სვეტების რაოდენობა ექვსია. თაღების მოხაზულობა ანჩისხატში და ციხედიდში შეისრულია, ხოლო ანანურში — ნახევარწრიული. როგორც ცნობილია, XVII ს-ის მეორე ნახევარში ორივე ფორმა იხმარებოდა. სამივე შემთხვევაში ქვის სვეტები კაპიტელებითა და ბაზისებით მთავრდება, მაგრამ დიდი განსხვავებაა შესრულების ტექნიკაში. ცხადია, ამაში კარგად ჩანს ოსტატების შესაძლებლობანი, მათი შემოქმედებითი ვაქანება.

ეს პატარა ნასახლარი, ყველა თავისი ნიშნით, დამახასიათებელია გვიანი შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოსათვის. სამწუხაროდ, ეს ნასახლარი ისტორიულ წყაროებში არ არის მოხსენიებული[11]. მასზე მხოლოდ ის ვიცით, რასაც გვიყვება კოშკზე არსებული წარწერა და თვით ძეგლები.

---

[9] Г. Н. Чубинашвили, Иранские влияния, т. 1, თბ., 1970, გვ.312—314, ტაბ. 139, 140.

[10] ვ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953, გვ. 104—107, სურ. 67, 68, ტაბ. 32.

[11] ისტორიულ წყაროებში ციხედიდი იხსენიება, მაგრამ ესაა ანტიკური და მომდევნო ხანის დასახლება, რომელიც მდებარეობდა უფრო ქვემოთ, ხეობის დასაწყისში. მატიანეების ფურცლებზე ხშირად გვხვდება, აგრეთვე, ციხედიდის ხეობა, მაგრამ, კერძოდ, დეკანოზიძეების დასახლებაზე არაფერია თქმული.

წარმოადგინა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე მიწიშვილი

მოჭიქული კერამიკის განვითარების ძირითადი ეტაპები შუა საუკუნეების საქართველოში

თიხის ჭურჭლის გაჩენა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამ დროიდან (ნეოლითის ხანა) მოყოლებული იგი ადამიანის პირველმოხმარების საგანი ხდება და თან ახლავს მას კულტურის განვითარების ყველა ეტაპზე. ამიტომ თიხის ჭურჭელი წარმოადგენს მატერიალური კულტურის ერთ-ერთ მეტყველ ძეგლს, რომლის მეშვეობითაც მეცნიერები აღადგენენ ხოლმე ამა თუ იმ ხანის წარმოების ხასიათს, ორგანიზაციას და საერთოდ საზოგადოების განვითარების ეკონომიურ დონეს.

სადა თიხის ჭურჭლის გვერდით გარკვეული დროიდან ჩნდება მოჭიქული ჭურჭელი თუ სამკაული. ჭიქურით დაფარული ჭურჭელი წყალგაუმტარია, ქიმიურად გამძლე და ლამაზია.

მოჭიქული ჭურჭლის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ეგვიპტეში (V—IV ათასწლეულში)[1], მესოპოტამიაში (IX—VII სს.), ჩინეთში (ძვ. წ. 206 — ახ. წ. 220 წწ.), შუა აზიაში (ანტიკურ ფენებში)[2] და სხვ.

ამიერკავკასიაში მოჭიქული ჭურჭლის უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია აზერბაიჯანსა (ნოვოასტრახანსკაიაზე ახ. წ. I—III სს., მინგეჩაურში ახ. წ. I ს.)[3] და საქართველოში (მცხეთა-სამთავროში ძვ. წ. XI—IX სს.[4]), არმაზისხევში ახ. წ. III ს.[5], თრიალეთში ახ. წ. I ს.[6], ურბნისში ახ. წ. IV ს.[7]), სომხეთში კი მათი არსებობა არსად არაა აღნიშნული.

როგორც ჩანს, საქართველოში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის ადრეული ნიმუშები დროის გარკვეულ შუალედებში ჩნდება. ისინი უმრავლეს შემთხვევაში სამარხებში გვხვდება, მათ რომ ადგილობრივად ამზადებდნენ ამას ასაბუთებს არმაზისხევში აღმოჩენილი წუნდებული ჭურჭელი.

სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით ძვ. წ. XI—IX საუკუნეებიდან ვიდრე ახ. წ. IV საუკუნემდე, საქართველოში მოჭიქული ჭურჭელი ჩანს მზადდებოდა იშვიათად, როგორც ძვირფასი სამკაულის სწორი ნივთი.

---

[1] А. Лукас, Материалы и ремесленные производства древнего Египта, М., 1953, გვ. 252.

[2] М. Ахраров, К истории появления поливной керамики в Средней Азии, История материальной культуры Узбекистана, вып. 6, Ташкент, 1965, გვ. 147.

[3] Н. Наджафова, Художественная керамика Азербайджана, Баку, 1964, გვ. 5.

[4] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს და რკინის ათვისების ხანის ძეგლის დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX—XXI, 1952, გვ. 135—136.

[5] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა 1, თბ., 1955, გვ. 98—100.

[6] Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 52, გვ. 20.

[7] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 79, სურ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვა ვითარებაა შუა საუკუნეებში, როდესაც მოჭიქული ჭურჭელი ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის აუცილებელი საყოფაცხოვრებო საგანი ხდება.

1936 წლიდან ვიდრე დღემდე საქართველოში არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა ფეოდალური ხანის სხვადასხვა ხასიათის მრავალი ძეგლი: ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნაციხარი, ნამოსახლარი, კერამიკული სახელოსნო და სხვ. დასახლებულ ადგილებში მოპოვებული მასალის ერთ-ერთ დიდ ნაწილს მოჭიქული ჭურჭელი წარმოადგენს. მათში ძირითადად გამოიყო ადრე (IX—X)[8], შუა (XI—XII, XII—XIII, XIII სს. პირველი ნახევარი)[9] და გვიანშუასაუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი.

IX—X საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი კარგი ხარისხისაა, უმრავლესობას ჯამები წარმოადგენს. მათ დაბალი, ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ, ორნამენტი მეტ შემთხვევაში გამოიყვანება ფუნჯით, სხვა სახის ჭურჭელი მცირეა და ზომით პატარა.

IX—X საუკუნეების ჭურჭელი დადასტურებულია ადრეფეოდალური ხანის ქალაქებში — დმანისში, უჯარმაში, რუსთავში, თბილისში და სხვ. ეს ქალაქები შემდეგშიაც განაგრძობენ არსებობას, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობით.

მოჭიქული ჭურჭელი რომ IX—X საუკუნეებამდე არ მზადდებოდა, ეს კარგად ჩანს ნაქალაქარ ურბნისის გათხრებიდან. ადრეფეოდალური ხანის ქალაქი ურბნისი არსებობას სწყვეტს არაბთა შემოსევის შედეგად, VIII ს-ის პირველ ნახევარში. აქ წარმოებული გათხრების დროს მოჭიქული ჭურჭელი არ აღმოჩენილა[10].

ანალოგიური ვითარება დადასტურებულია შუა აზიის ქალაქ პენჯიკენტში (V—VIII სს. ძეგლი), სადაც მოჭიქული კერამიკის არცერთი ნატეხი არ არის აღმოჩენილი[11].

ასევე არა ჩანს მოჭიქული ჭურჭელი დვინის (სომხეთი) V—VIII საუკუნეების მასალებში[12].

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ მოჭიქული კერამიკის წარმოება VIII საუკუნემდე არ არსებობდა.

IX—X საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია — სომხეთში (ზვარტნოცი, დვინი, ანბერდი), აზერბაიჯანში (ორენ-ყალა, განჯა, კაბალა, ბაქო), შუა აზიაში (სამარყანდი, მერვი, სოგდა, აფრასიაბი), ირანში (ქაშანი, რეი), ეგვიპტეში (ფოსტატი, ქაირო), სირიაში (რაკკა), ინდოეთში (ბარაბანაბადი), ბიზანტიაში (კონსტანტინოპოლი) და სხვა.

აღნიშნულ ქვეყნებში არქეოლოგიური თხრით მოპოვებული მოჭიქული ჭურჭელი ზოგადად ერთმანეთის მსგავსის (დამუშავების ხასიათით, საერთო

---

[8] მ. მიწიშვილი, IX—X საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა, მაცნე, 1967, № 2, გვ. 285.

[9] მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკა ძველ საქართველოში (IX—XIII სს.), თბ., 1969, გვ. 21—50.

[10] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 169.

[11] Э. В. Сайко, История технологии керамического ремесла Средней Азии VIII—XII вв., Душанбе, 1966, გვ. 22, 30.

[12] А. Калантарин, Материальная культура Двини — VIII в., Автореферат, Ереван, 1966.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტილით), რაც მათ ერთობლიობას ასაბუთებს, ერთმანეთში მეტ მსგავსებას იჩენს ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი, რომელთაგან მკვეთრად განსხვავებულია (კეცისა და ორნამენტის მხრივ) დასავლეთისა (ბიზანტიური).

ამრიგად, როგორც ჩანს, მოჭიქული ჭურჭლის ხელოსნური წარმოება ამიერკავკასიაში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში, თითქმის ყველგან ერთდროულად, IX საუკუნიდან ისახება.

რას უნდა გამოეწვია, ამ ქვეყნებში მოჭიქული კერამიკის ერთდროული აღიარება და გავრცელება.

ვინაიდან ხელოსნური წარმოება დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებასთან, ამიტომ მისი განვითარების საწყისებიც სწორედ აქ უნდა ვეძიოთ:

ცნობილია, რომ VII—VIII საუკუნეებში არაბებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ მთელ მახლობელ აღმოსავლეთში, რამაც გარკვეული დროით შეაფერხა მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიური და კულტურული განვითარება[13]. ბუნებრივია ასეთ ვითარებაში ხელოსნობა ვერ განვითარდებოდა. მაგრამ, მაშინ როცა ბოლო მოეღო არაბთა ბატონობას (IX ს.) და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, საამიროებად, სამთავროებად იქცნენ, სწორედ ამ დროს, როგორც ჩანს, იქმნება ყველა პირობა მათი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

ამიტომ არის, რომ IX—X საუკუნეებში მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბით შეინიშნება დიდი ეკონომიური აღმავლობა. ე. ი. IX—X საუკუნეების საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ირანში, შუა აზიაში და სხვ. მიმდინარეობდა ერთობლივი ისტორიული პროცესი, რამაც საწარმოო ძალთა ახალი განვითარებისათვის ერთნაირი პირობები შექმნა.

ეკონომიურმა აღმავლობამ ხელი შეუწყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგების და სახელდობრ, მეთუნეობის (მოჭიქული კერამიკის) განვითარებასაც. ხოლო მისი ერთდროული (IX—X სს.) გავრცელება სხვადასხვა ქვეყნებში (ირანი, შუა აზია, ამიერკავკასია და სხვ.) იმ მჭიდრო ეკონომიური კავშირის შედეგი იყო, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ჯერ კიდევ არაბების ბატონობის ხანაში არსებობდა.

ცნობილია, რომ არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში შეიჭრა მათი რელიგია ისლამი და წმინდა წიგნი ყურანი. ვინაიდან ყურანის ერთ-ერთი სურა კრძალავდა ძვირფასი ლითონის ჭურჭლის ხმარებას, ამიტომ თითქმის ყველა მკვლევარი (ფ. ზარრე, ა. პოპი, ა. კუბე, ე. კვერფელტი და სხვანი) მოჭიქული ჭურჭლის გაჩენას ამ გარემოებას უკავშირებს.

შესაძლებელია ყურანს გარკვეული წვლილი მიუძღვის მოჭიქული ჭურჭლის გაჩენასა და გავრცელებაში, რომელიც ლითონის ჭურჭელს გარეგნულად (თავისი ბზინვარებით) მაინც ემსგავსებოდა. მაგრამ ჩვენი აზრით მოჭიქული ჭურჭლის მასობრივად გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მის ტექნიკურ-გამოყენებით ხასიათში (პრაქტიკული, იაფი, ლამაზი) უნდა ვეძიოთ.

ამრიგად, მოჭიქული კერამიკის წარმოება იწყება IX საუკუნიდან, რაც განპირობებული იყო საქალაქო მეურნეობის აღმავლობითა და საზოგადოების

---

[13] ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 57, გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხოვნილებით თანამედროვე ლამაზ და პრაქტიკულად გამოსაყენებელ ჭურჭელზე. ამ დროიდან იგი სწრაფად გავრცელდა და დამკვიდრდა აღმოსავლეთის ხალხთა ყოფაში. აქედან მოყოლებული მოჭიქული ჭურჭლის წარმოება აღმავლობას განიცდის და უკვე XI—XIII საუკუნეებში განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს.

XI—XIII საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი სრულიად განსხვავებულია IX—X საუკუნეების ჭურჭლისაგან. კეცით, ორნამენტის გამოყვანის ხერხით, ჭიქურით. თვით ჭურჭელთა ფორმებიც განსხვავებულია და მათთვის დამახასიათებელია შედარებით მსხვილმარცვლოვანი თიხა, ჭურჭელთა ზედაპირის ანგობით დაფარვა, ამოკაწვრის წესით ორნამენტის გამოყვანა. XI—XIII საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი შედარებით IX—X საუკუნეების ჭურჭელთან მეტად მრავალფეროვანია: ჯამები, ხელადები, სასმისები, საწვნეები, საყავილეები, ქვაბქოთნები, სამარილეები, ჭრაქები, ქილები, კოტოშები და სხვ. თუ წინა ხანებში ჭურჭლის ერთფერად მოჭიქვისას იყენებდნენ მხოლოდ მწვანე ჭიქურს, XI—XIII საუკუნეებში არის რამდენიმე ფერის (მწვანე, ცისფერი, ღვიძლისფერი, ლურჯი) ჭიქუროვანი საღებავი. ყოველგვარი ჭურჭლისათვის გამომუშავებულია ორნამენტის გარკვეული სახეები. ზოგი მათგანი კი სრულიად სადაა — ჭრაქები, სამარილეების მეტი ნაწილი, ცილინდრული ქილები, კოტოშები და სხვ.

მოჭიქული ჭურჭლის უმრავლესობას ამჯერადაც ჯამები წარმოადგენს, ყველა ერთი ფორმისა და თითქმის ერთი ზომისაა (საშუალო). თუ IX—X საუკუნეების ჯამებისათვის დამახასიათებელია *კარგად გამოყვანილი ბორბლისებური ქუსლი, ბრტყელი ძირი, XI—XIII* საუკუნეებში ქუსლის ფორმა მკვეთრად იცვლება, იგი გამოყვანილია, მაღალია (—1 სმ) და ამობურცული ძირი აქვს.

სავარაუდებელია, რომ ამ ხანებში დიდძალი მოჭიქული ჭურჭლის დამზადება გამოიწვია ჭურჭელთა ფორმების გამარტივებამ, რაც ხელს უწყობდა მათ სწრაფ კეთებას. ხოლო, მასობრივი პროდუქციის დამზადებას უნდა გამოეწვია ის თვისობრივი განსხვავება, რაც არსებობდა IX—X და XI—XIII საუკუნეების მოჭიქულ ჭურჭელს შორის.

XI—XIII საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია დმანისში, გუდარეხში, უჯარმაში, რუსთავში, თბილისში და სხვ. ისინი ყველგან დიდი რაოდენობით გვხვდება, მათში გამოიყოფა ერთფერად (XI—XII სს.) და მრავალფერად (XII—XIII სს.) მოჭიქული ჭურჭელი. ისინი სხვადასხვა ორნამენტული სახეებით (მარყუჟები, რგოლები, ოთხქიმიანი და ექვსქიმიანი ვარსკვლავები, ფრინველის, უფრო იშვიათად, ცხოველისა და ადამიანის გამოსახულებანი, მცენარეული და გეომეტრიული) არის შემკული. ეს ორნამენტები გვხვდება ქართული ხელოვნების სხვადასხვა (ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა, ხელნაწერები, მონეტები და სხვ.) ძეგლებზე. ე. ი. მას ხელოვნების ამ დარგებიდან ბუნებრივად გაუკაფავს გზა გამოყენებითი ხელოვნების ისეთ დარგში, როგორიც არის მხატვრული კერამიკა. როგორც ჩანს, ქართული კერამიკული ნაწარმი არ ჩამორჩებოდა სხვა უფრო დიდ დარგებს და კვალდაკვალ მისდევდა მათ.

კერამიკული სახელოსნოები ყველა დასახლებული პუნქტის აუცილებელი ატრიბუტი ხდება, დიდ ქალაქებში საგულისხმოა რამდენიმე კერამიკული სა-

ხელოსნოს არსებობაც კი. მოჭიქული ჭურჭლის რაოდენობა და ხარისხი იმაზეა დამოკიდებული თუ რა საწარმოო ცენტრიდან მომდინარეობს ეგი, რაც უფრო მნიშვნელოვანია ქალაქი მით უფრო უკეთესსა და მეტ ჭურჭელს ამზადებს. ქალაქებისა და ხელოსნობის აღმავლობა ერთდროული და ერთმანეთზე დამოკიდებული პროცესი ჩანს[14].

XI—XIII საუკუნეების კერამიკა ასევე აღმოჩენილია აზერბაიჯანში, სომხეთში, სპარსეთში, შუა აზიაში, რუსეთის ქალაქებში და სხვ. მიუხედავად მათი ზოგადი მსგავსებისა, ისინი მაინც თავისებურია, ვინაიდან ყოველი მათგანი საკუთარი ყოფით იკვებება.

მონღოლთა შემოსევების შედეგად ხელოსნობის ამ დარგის განვითარება ყველგან ერთდროულად, გარკვეული დროით წყდება.

მონღოლთა ბატონობის შემდეგი დროის მოჭიქული კერამიკა აღმოჩენილია სოხუმში (სოხუმისა და ბაგრატის ციხეებზე)[15], ბათუმის ციხეზე, ციხის ძირში[16], თბილისის ციხეზე[17], გრემში[18] და სხვ. აღნიშნული მასალა ჯერ შესწავლის პროცესშია. არც სომხეთსა და აზერბაიჯანში შეუსწავლიათ ისინი ჯერჯერობით. ჩვენ ხელთ არსებული (ბათუმის ციხე, ციხისძირი, თბილისის ციხე, და სხვ.) გვიან შუასაუკუნეების მოჭიქულ კერამიკაში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა.

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია მოჭიქული ჯამები შემკული: მკვეთრად ამოკაწრული ორნამენტით, ფერადი ნაღვენთებით და ანგობით მოხატულები. ისინი ანალოგიური მასალის მიხედვით XIV საუკუნით თარიღდებიან[19]. ეს ის დროა, როცა მონღოლთა ბატონობის დამხობის შემდეგ, ქვეყანა მცირე ხნით (თემურ ლენგის შემოსევამდე) მომძლავრდა. ამასთან დაკავშირებით ხელოსნობის სხვადასხვა დარგმაც იწყო გამოცოცხლება და მათ შორის მოჭიქული ჭურჭლის წარმოებაც აღდგა, რომელიც, როგორც ჩანს, ძველ ხერხებს (ანგობით მოხატვა, ნაღვენთებით შემკობა და სხვ.), ძ ვ ე ლ ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ს ა ღ ა დ გ ე ნ ს. ე. ი. ხ დ ე ბ ა ძველის აღორძინება.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია სრულიად განსხვავებული, ახალი ნიშნების მატარებელი მოჭიქული ჭურჭელი. უმრავლესობას ამჯერადაც ჯამები წარმოადგენს. მათთვის დამახასიათებელია ორმხრივ ანგობითა და ჭიქურით დაფარვა. მათ გამოყვანილი ბორბლისებური ქუსლი და ბრტყელი ძირი აქვთ. ორნამენტი გამოიყვანება ფუნჯით. ე. ი. ქრება შემკობის ძველი წესი (ამოკაწვრა) და მას ცვლის ფუნჯით მოხატვა.

მართალია, IX—X საუკუნეების მოჭიქულ ჭურჭელზე ორნამენტი ფუნჯით გამოჰყავდათ, მაგრამ იქ ვხედავდით აბსტრაქტულ სახეებს, რომლებიც ფერადი ნაღვენთებისაგან იყო შედგენილი. ამჯერად კი სრულიად განსხვავე-

---

14 IX—XIII საუკუნეების მოჭიქული კერამიკის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. მ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (IX—XIII სს.), 1969, გვ. 31—59.

15 დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

16 ბათუმის ციხეზე და ციხისძირში მოპოვებული მოჭიქული ჭურჭლის ნაწილი შესასწავლად გადმოგვცა ი. გრძელიშვილმა 1967 წლის ზაფხულში.

17 მ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის დედაციხეზე 1966, 1967, 1968 წლებში მოპოვებული მოჭიქული ჭურჭელი, ხელნაწერი.

18 П. П. З а к а р а я, Л. А. Ч и л а ш в и л и, Раскопки города Греми, Тезисы докладов посвященных итогам арх. иследовании в 1968 г. в СССР, М., 1969.

19 А. А. Я к о б с о н, К изучению позднесредневекового Херсонеса, Херсонесский сборник, 1959, გვ. 194, ტაბ. XV; В. Ф. Г а й д у к е в и ч, Боспорские города, Раскопки Мирмекия, 1935—38 гг., МИА, 25, გვ. 138, სურ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სურათი ჩანს, ფუნჯით გამოჰყავთ ფაქიზი და დახვეწილი მცენარეული სახეები, ისეთივე, როგორსაც ხელოსანი ფაიანსის ჭურჭელზე ხედავს.

აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანებული კერამიკა ზოგადად XV—XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. მათზე გამოსახული ორნამენტის შესწავლამ საშუალება მოგვცა ისინი ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოგვეთავსებინა. როგორც დავინახეთ, საქართველოში მოჭიქული კერამიკის წარმოება IX—X საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნეებამდე არსებობს. მაგრამ საინტერესოა ეს წარმოება როგორ ევოლუციას განიცდის ამ დროის განმავლობაში.

ჩვენი ვარაუდით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოჭიქული კერამიკის წარმოება მაღალ განვითარებას აღწევს XI—XIII საუკუნეებში, ხოლო XV—XVII საუკუნეებში დაქვეითების გზით მიდის.

ხელოსნობის სხვადასხვა დარგებში, სახელდობრ, კერამიკულ წარმოებაში მომხდარი ცვლილებანი პირველ რიგში დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასთან. თუ საქართველო IX—XIII საუკუნეებში არ ჩამორჩებოდა მეზობელსა თუ სხვა ქვეყნებს ხელოსნობის განვითარებით, ამჯერად იგი განზეა. საქართველოს მეტად რთული საგარეო და საშინაო პირობები აქვს. იგი გამუდმებულ ბრძოლებშია. ეკონომიურად და პოლიტიკურად დასუსტებულია. მას მხოლოდ მცირე პერიოდები აქვს მშვიდობიანი განვითარებისა. და სწორედ ამ დროს შეიმჩნევა ძველი დარგების აღორძინება და გახალისება. ამავე დროს ჩნდება ახალი სახის ჭურჭელი. ბუნებრივია, ძველზე მოთხოვნილება კლებულობს და მისი წარმოებაც მცირდება.

ეს ახალი სახის ჭურჭელი, რომელიც მასიურად ვრცელდება ყველა ქვეყანაში, არის ფაიანსი.

ცნობილია, რომ XV საუკუნიდან შეინიშნება სწრაფვა, კარგი ხარისხისა და ლამაზი ჭურჭლის დამზადებისაკენ, რასაც სტიმულს აძლევს ჩინური „ლურჯი“ ფაიფურის გაჩენა[27]. ყველა ქვეყნის ხელოსნები ცდილობენ ფაიფურის მსგავსი ჭურჭელი შექმნან. ვინაიდან ფაიანსი უფრო ახლოს დგას ფაიფურთან, ამიტომ წინა პლანზე გამოდის ფაიანსი. ამ დროს მისი წარმოებით გატაცებული არიან მთელი რიგი ქვეყნები. ამის შესანიშნავ ილუსტრაციას წარმოადგენს სახელმწიფო ერმიტაჟში გამოფენილი სხვადასხვა ქვეყნების (ჩინეთი, ირანი, თურქეთი, სირია, ერაყი, ეგვიპტე, იტალია, შუა აზია და სხვ.) ფაიანსი.

ყოველი ქვეყნის ხელოსანი თავისებურ ფაიანსის ნაწარმს ქმნის, ჩნდება მინაბაძებიც. ეს ახალი, კარგი ხარისხისა და ლამაზი ჭურჭელი გადის საერთაშორისო სარბიელზე. იგი ყველა ქვეყანაში ჩნდება, რასაც, ალბათ, ხელს უწყობდა მისი იაფობა, სიმრავლე და ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიური და კულტურული კავშირები.

როგორც ჩანს, ჭურჭლის გაბატონებული სახე — ფაიანსია. ამიტომ მეთუნეები ცდილობენ მოჭიქული ჭურჭელი მას მიამსგავსონ (გარეგნულად მაინც). ეს არის საფუძველი იმისა, რომ XV—XVIII საუკუნეების მოჭიქული ჭურჭელი იცვლის იერს, იძენს ახალ თვისებებს, ნიშნებს. ე. ი. ფაიანსის გავლენით იცვლება მოჭიქული ჭურჭლის გარეგნული სახე.

მართალია, იგი იცვლის გარეგნულ სახეს, მაგრამ როგორც ჩანს, თანამედროვე საზოგადოების სურვილებს ვერ აკმაყოფილებს, ფაიანსის მაგივ-

[20] Э. К. Квеффельдт, Керамика ближнего востока, Л., 1947, გვ. 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობას ვერ წევს. ამიტომ მასზე მოთხოვნილება ნაკლებია და საფიქრებელია, რომ ამ გარემოებამ განაპირობა მოჭიქული კერამიკის წარმოების შემცირებაც.

ამრიგად, ფაიანსის გავლენით იცვლება მოჭიქული ჭურჭლის გარეგნული სახე და მცირდება მისი წარმოებაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ IX—X საუკუნეებიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე მოჭიქული კერამიკის წარმოება სხვადასხვა მასშტაბებისაა. სახელდობრ, IX საუკუნიდან ვიდრე XIII საუკუნემდე იგი აღმავალი გზით მიიმართება, რასაც განაპირობებდა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობა და სიძლიერე. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან (მონღოლთა შემოსევიდან) ვიდრე XVIII საუკუნემდე მოჭიქული კერამიკის წარმოება დაქვეითების გზით მიდის. მცირდება წარმოების რაოდენობა და საწარმოოს მასშტაბები. რასაც აპირობებდა — ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სისუსტე და ახალი, უკეთესი ხარისხის ჭურჭლის (ფაიანსი, ფაიფური) გაჩენა, რომელიც სდევნიდა ბაზრიდან მოჭიქულ ჭურჭელს.

ჩვენს ხელთ არსებული მოჭიქული კერამიკა საშუალებას გვაძლევს შუასაუკუნეების მეთუნეობის ამ დარგის განვითარების ისტორიაში სამი ძირითადი პერიოდი გამოვყოთ:

პირველ პერიოდად უნდა ჩაითვალოს IX—X საუკუნეები, როდესაც მოჭიქული ჭურჭელი თითო-ოროლა კი არ არის, არამედ მას ვხედავთ, როგორც წარმოების შედეგს. მართალია, ჯერ წარმოება მცირე მასშტაბისაა, მაგრამ ამზადებს ყოველდღიურ მოსახმარის ჭურჭელს.

მეორე პერიოდი XI—XIII საუკუნეებზე მოდის, როცა მოჭიქული კერამიკის წარმოება ფართო ხასიათს ღებულობს. კერამიკული სახელოსნოები თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის აუცილებელი ნაწილი ხდება.

XIV საუკუნე გარდამავალი ხანაა, როცა გარკვეული დროით ხდება ამ წარმოების აღორძინება.

მესამე პერიოდი XV—XVIII საუკუნეებია, როცა მოჭიქული კერამიკის წარმოების მასშტაბები მცირდება, იგი არსებობს, მაგრამ ინერციით, საერთაშორისო სარბიელიდან მას ფაიანსი სდევნის.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების
არქეოლოგიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გაგუნია

ხის საწნახელი

ყურძნის დაწურვა საქართველოში უმთავრესად მამა-პაპური წესით, ფეხით წარმოებს საგანგებო ჭურჭელში — საწნახელში. საწნახელი გვხვდება ხის, ქვის და ქვიტკირის. ქვიტკირის საწნახელი განსაკუთრებით დამახასიათებელია ქართლ-კახეთისათვის. აქვეა გავრცელებული ხის საწნახელი, რომელიც არც თუ იშვიათად იმერელი ოსტატების მიერაა დამზადებული. დასავლეთ საქართველოში უმთავრესად ხის საწნახელი გამოიყენება, თუმცა აქა-იქ მთლიანი ქვისაგან (მონოლითისაგან) გათლილი საწნახლებიც დასტურდება.

ხის საწნახელი, ჩვეულებრივ, ცაცხვის (უფრო იშვიათად წაბლის, თელის და სხვ.) ხის გულამოღებულ და საგანგებოდ გათლილ მორს წარმოადგენს. საქართველოში იგი ნაირი სახელწოდებითაა ცნობილი: ნავი (ქართლ-კახეთი), საწნახელი (ქართლი, იმერეთი, გურია, რაჭა), ოჭინახ (სამეგრელო), ხორგო (რაჭა-ლეჩხუმი), ხაპი (რაჭა).

ხის საწნახლის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რაც წინამდებარე სტატიაში ქვემოთ იქნება მოტანილი, ემყარება შემდეგ ნიშანთვისებებს: ა. საწნახლის მოყვანილობა, მისი ღრუს თავისებურება ბ. თავ-ბოლოს გამოყვანის თავისებურება და თავის შეკვრის წესი. გ. ტკბილის გამოსასვლელი ჭრილის და ბაქანის (ინდურის) თავისებურება.

მოყვანილობის მიხედვით ერთმანეთისაგან ვასხვავებთ საწნახლის გაკუთხულ, მრგვალ და ნახევრადგაკუთხულ სახეობებს. გაკუთხულ საწნახელს აქვს სწორად ბრტყლად გათლილი, ოდნავ დაქანებული (შიგნით შეწეული) გვერდები, რომლებიც „ძროსთან“ (ფსკერთან) მახვილ კუთხეებს ქმნიან. ამგვარი საწნახელი უფრო ხშირად ერთი მორიდანაა გამოთლილი: თავები, ანუ შუბლები თავისავე ხისა აქვს. თავებს მეტი სიმტკიცისათვის მუხის ან წაბლის უღლებს უკეთებენ. უღელი ხის ჩარჩოა, ზემოდან მოხრილი, გვერდებიდან კი სოლებით გამაგრებული.

მრგვალ საწნახელს გარედან მორის მოყვანილობა აქვს შერჩენილი და მისი ღრუც მომრგვალებულია. ამგვარი საწნახელი უფრო ხშირად „თავგამოყენებულია“ — ბოლოებში ჩასმული აქვს მთლიანი, ანდა 2—3 ნაწილისაგან შედგენილი თავები. იშვიათად ვხვდებით, აგრეთვე, მთლიანი ხისაგან გამოთლილ „თავგამოყენებულ“ მრგვალ საწნახელს.

თავგამოყენებული საწნახლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავის და ბოლოს შეკვრის თავისებურებით. ცნობილია თავის შეკვრის, ანუ, როგორც იმერეთში ამბობენ, „თავის გაფსკვნის“ ორი ძირითადი წესი: თავის შიგნიდან გამოყენებისა და თავის ზემოდან ჩადგმისა. ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს საწნახლის ორი სახეობა: 1. შიგნიდან თავგამოყენებული; 2. ზემოდან თავჩადგმული[1].

---

[1] იხ. მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, სსმმ, ტ. XIX—B, 1956, გვ. 125—136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგნიდან თავგამოყენებული საწნახელი დამოწმებულია გურიაში, სადაც ის ცნობილია „თავგამოდებული“, აგრეთვე, „როგოგამოყენებული“ საწნახლის სახელით. როგოგამოყენებულ საწნახელს წინა ნაწილი, ე. წ. როგო, შიგნიდან აქვს მორგებული საგანგებოდ გაკეთებულ საფეხურის მაგვარ ამონაჭერზე. როგოს გასამაგრებლად მის ნაპირებს ტკბილში აზელილი ნაცრით ლესავენ. ზოგჯერ მიმართავენ კანაფის მეშვეობით როგოს დამატებით გამაგრების ხერხს. როგოს შუა ადგილას გახვრეტენ და კანაფს გაუყრიან. კანაფის ერთ ბოლოზე მოაბამენ ჩხირს, რომელიც შიგნიდან არის გამოდებული როგოზე, კანაფის მეორე ბოლოზე გამობმულია ჯოხი, რომელიც გარედან ებჯინება საწნახელს[2].

ზემოდან თავჩადგმული საწნახლის ბოლოები, ჩვეულებრივ, სამი ნაწილისაგანაა შედგენილი. ორი ნაპირის ფიცარია, ნახევარწრისებური ფორმისა, დასავლეთ საქართველოში ფალანგებად წოდებული, მესამე კი — მათ შორის ჩაჭედილი ვიწრო სოლისებური საჭექი ანუ „შუანა საფსკრავი“. აღმოსავლეთ საქართველოში სატიხრავ ფიცრებს სართაულები ეწოდება[3]. შუბლები გარედან ვიწრო ლატანით (ხმალა) მაგრდება. „საფსკრავი“ რომ არ მოირყას, მჭიდროდ იჯდეს საწნახლის თავსა და ბოლოში, მას კარგად გამომშრალი ხისაგან აკეთებენ. ამისათვის გამოიყენება ცაცხვის ხე (იმერეთი, რაჭა), აგრეთვე წაბლი (სამეგრელო).

გაკუთხული საწნახელი გავრცელებულია ქართლ-კახეთსა და ზემო იმერეთში. მრგვალი საწნახლის ინტენსიური გავრცელების არეალი მოიცავს გურია-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო იმერეთს. სადემარკაციო ხაზი მათ შორის შუა იმერეთზე გადის. ამასთან აღსანიშნავია, რომ თითოეული ამ ტიპის გავრცელების არეში ალაგ-ალაგ შეინიშნება მეორე ტიპის სპორადული გავრცელებაც; სახელდობრ: მრგვალ საწნახლისა — უპირატესად იმერეთის მოსაზღვრე შიდა ქართლის დასავლეთ რაიონებში, ხოლო გაკუთხული საწნახლისა — დასავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში (მაიაკოვსკის, ვანის რაიონები, გურია). უფრო ფართო მასშტაბით კი ამ ტიპების თანაარსებობას ადგილი აქვს ამ ძირითად არეალებს შორის მდებარე შუალედ ზოლში (შუა იმერეთი). ეს ზოლი წარმოადგენს არა მარტო ამ ორი ტიპის შეხვედრის ადგილს, არამედ, აგრეთვე, ნახევრადგაკუთხული ე. წ. „ნაშურიანი“ საწნახლის გავრცელების რაიონსაც. ნაშურიანი საწნახელი ერთგვარი ჰიბრიდული ფორმაა, რომელსაც ორივე ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია: მისი კედლის ზედა ნაწილი ბრტყლად არის გათლილი, გაკუთხულია, ქვედა ნაწილი კი მრგვლად არის დატოვებული[4].

ნახევრადგაკუთხული საწნახელი ჩვეულებრივ მაშინ ითლება, როდესაც სასაწნახლე ხე პატარაა და მისი მოცულობის მაქსიმალურად გამოყენებით არიან დაინტერესებული. იმერელი მთხრობლებისაგან ხშირად გაგვიგონია: „ხე პატარა იყო და საწნახელს ნაშური[5] შეჰყვა, ნაშურიანი გავთალეთო“. საქ-

2 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, დასახ ნაშრომი, იქვე.

3 ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960, გვ. 66.

4 ნაშურიანი საწნახლის აღწერილობას არ შევხვედრივართ ლიტერატურულ წყაროებსა თუ საარქივო მასალებში, არც დიალექტიკურ ლექსიკონებში იძებნება ხსენებული ტერმინი.

5 მთხრობლის განმარტებით, „საწნახლის გვერდი სისწორეში რომ არ არის გამოსული, ცოტა ურჩება გამოკბეჩილივით, — ნაშური იმას ქვია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ის არის, რომ ხის მორის გარედან გათლისას, გაკუთხვისას საწნახლის ღრუს მოცულობა, მისი ტევადობა საგრძნობლად მცირდება. გაკუთხულისაგან განსხვავებით მრგვალი საწნახელი იძლევა ხის მოცულობის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ მას, მორში ამოპობილი ჭურჭლისათვის მისი კონსტრუქცია, შეიძლება ითქვას, ოპტიმალურია. ძთხრობლები აღნიშნავენ, რომ შედარებით მცირე ზომის ხისაგან შეიძლება გაითალოს მრგვალი საწნახელი, რომელიც საწნახლის ზომის მინიმალურ სტანდარტს პასუხობს, მაგრამ ამავე ზომის ხისაგან ვერ გაითლება გაკუთხული საწნახელი. გაკუთხული საწნახლის ზემოაღნიშნული ნაკლი დაძლეულია, აგრეთვე, ნაშურიან საწნახელში, რომელსაც შენარჩუნებული აქვს მრგვალი საწნახლის არსებითი ნიშანი: მისი ღრუ თითქმის სავსებით მომრგვალებულია, მრგვალსაწნახლისებურია; ზედა ნაწილის გაკუთხვა არ ახდენს არსებით გავლენას მის ტევადობაზე. ამაშია ნაშურიანი საწნახლის უპირატესობა გაკუთხულ საწნახელთან შედარებით.

შეიძლება დავსვათ კითხვა, თუკი მთელი საწნახლის მოცულობის გაზრდითაა დაინტერესებული, რატომ არ უტოვებს იგი ხეს სავსებით მორისებურ ფორმას, როგორც ეს კეთდება სამეგრელოში ან ქვემო იმერეთის რიგ რაიონებში?

ნახევრადგაკუთხული საწნახლის არსებობა ბუნებრივი ჩანს იქ, სადაც გაკუთხვის წესს მისდევენ ან მას რაიმე მიზეზის გამო უპირატესობას ანიჭებენ. მაგალითად, ზემოიმერელ მთხრობელთა შეხედულებით, „შნოვება სწორედ გაკუთხულ საწნახელს აქვს“. მრგვალი საწნახელი, მათივე დახასიათებით, „გვამიანია დიდი, მაგრამ უშნოა“. მთლელს, რომელიც ცდილობს მორს ბრტყლად გათლილი იერი მისცეს, რამდენადაც ამის საშუალებას მისი ზომა იძლევა, ცხადია, ერთგვარ სახელმძღვანელო ნიმუშად გაკუთხული საწნახელი აქვს აღებული. ასე რომ არ ყოფილიყო, ის მრგვალ საწნახელს გათლიდა და საწნახლის ტევადობის პრობლემასაც იოლად გადაჭრიდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გავრცელებული საწნახლის ტიპები (მრგვალი და გაკუთხული) გარკვეულ კავშირს ამჟღავნებენ ღვინის ადგილობრივ ტექნოლოგიასთან. მთხრობლები მიუთითებენ, რომ ვიწროპირიანი, მორის მოყვანილობაზე დატოვებული და შიგნიდან მომრგვალებული საწნახელი კარგადაა მომარჯვებული ღვინის დასადუღებლად. („საწურად გაკუთხული ჯობს, სადუღრად კი მრგვალი“). დასავლეთ საქართველოს კუთხეებში (გურია-სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო იმერეთი) იგი ასრულებს არა მარტო ყურძნის დასაწური, არამედ, აგრეთვე, ღვინის დასადუღებელი ჭურჭლის დანიშნულებას[6].

ხის საწნახლის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ინდურისა და ტკბილის გამოსასვლელი ჭრილის თავისებურება. ჩვენ გამოვყოფთ ინდურისადინარის სამ ვარიანტს: ა. კახურს, ბ. ქართლურ-იმერულს (რაჭულ-ლეჩხუმურს), გ. გურულ-მეგრულს.

ა. კახური ნავის სადინარი წარმოადგენს ხის ან ტყავის მილს. მილი ჩასმულია ხვრელში, რომელიც დატანებულია ნავის კედლის ძირში შუა ადგილას.

---

[6] ლ. გ ა ბ უ ნ ი ა, ღვინის დაყენების ხალხური წესები იმერეთში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები (კრებული), თბ., 1970, გვ. 112; ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, საწნახელი, „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 16, გვ. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ნავს ფსკერზე გაკეთებული აქვს ღარები ტკბილის სადენად. წინიდან ფიცრის ბაქანი აქვს დაკრული ყურძნიანი გოდრების დასადგმელად[7]. გარდა ბაქნიანი ნავებისა გვხვდება უბაქნო ნავები[8].

ბ. სხვაგვარად აქვთ მოწყობილი ინდური და ტკბილის სადინარი ხვრელი ქართლურ და იმერულ (რაჭულ-ლეჩხუმურ) საწნახლებს: ტკბილის გამოსასვლელი ჭრილი დატანებულია საწნახლის თავის ძირში; ხვრელიდან გამოსული ტკბილი გადმოდის საწნახლის წინ წამოშვერილ ბაქანზე — ინდურზე, რომელიც შუაში დაღარულია ტკბილის სადენად.

გ. გურულ და მეგრულ საწნახლებს ინდური და ტკბილის გამოსასვლელი ხვრელი ხშირ შემთხვევაში არა აქვთ.

მრგვალი და გაკუთხული საწნახლის ტიპები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ინდურ-სადინარის სხვადასხვა ვარიანტს უკავშირდება: ვხვდებით გაკუთხულ საწნახელს კახურ ყაიდაზე მოწყობილი ინდურ-სადინრით, ქართლურ-იმერულ ყაიდაზე მოწყობილი ინდურ-სადინრით, უსადინარო გაკუთხულ საწნახელს (გურია); მრგვალ საწნახელს იმერულ ყაიდაზე მოწყობილი ინდურ-სადინრით (ქვემო იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი); უსადინრო მრგვალ საწნახელს (იმერეთი, რაჭა, სამეგრელო). ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არსებობს კორელაცია საწნახლის მოყვანილობასა და ინდურ-სადინრის თავისებურებებს შორის. სამაგიეროდ შეიმჩნევა გარკვეული მიმართება ინდურ-სადინრის თავისებურებებსა და ტკბილის ფილტრაციის წესებს შორის. ინდურ-სადინრის თითოეულ ვარიანტს ტკბილის ფილტრაციის განსაზღვრული წესი შეესატყვისება: კახურ ნავში, რომელსაც სადინარი გვერდზე აქვს დატანებული, ტკბილი იფილტრება საწნახლის სიგრძეზე ჰორიზონტალურად გადებული ლასტის ან საგანგებოდ დახვრეტილი ფიცრის — ტუპკირის მეშვეობით, რომელზედაც შლიან ჩადუნას, შალაფას ან ცოცხმაგარას[9]. იმერულ და რაჭულ საწნახლებში და ხშირ შემთხვევაში ქართლურ ნავში, რომელთაც ტკბილის სადინარი ხვრელი თავში აქვთ გაკეთებული, ფილტრაცია წარმოებს სადინართან მოთავსებული „ციცხვის“ (ლერწების კონა) დახმარებით; სამეგრელოში, სადაც უსადინრო საწნახლებია გავრცელებული, დამკვიდრებულია ტკბილის ფილტრაციის სრულიად განსხვავებული წესი: საწნახლის ბოლო ნაწილი ნედლი გვიმრით გადაიტიხრება დაწურული ტკბილი საწნახლის დაბალ ნაწილში გროვდება (საწნახელი ოდნავ დაქანებით დგას ხის „ძეკვებზე“), საიდანაც ხირკეთი (ყელიანი გოგრისაგან დამზადებული ჭურჭელი) კოკაში გადაასხამენ, იქედან კი ლაგვანში გადაიტანენ.

ხის საწნახლის ტიპოლოგია საბოლოოდ შემდეგ სახეს იღებს: ჩვენ გამოვყოფთ **1.** გაკუთხულ საწნახელს მისი სამი ვარიანტული სახესხვაობით: **ა.** კახური ნავი გვერდზე დატანებული სადინრით. **ბ.** ქართლურ-ზემოიმერული საწნახელი თავში დატანებული ხვრელით. **გ.** გაკუთხული უსადინრო საწნახელი (ე. წ. ჭანური საწნახელი გურიაში). **2.** ნახევრადგაკუთხულ ნაშურიან საწნახელს თავში დატანებული ხვრელით. **3.** მრგვალ საწნახელს შემდეგი ვარიან-

---

7 ა. ლეკიაშვილი, მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960, გვ. 66; ჯ. რუხაძე, ან. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, თბ., 1954, გვ. 154.

8 ი. ნანობაშვილი, ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, თბ., 1963, გვ. 120.

9 ჯ. სონღულაშვილი, მეღვინეობა კახეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960, გვ. 69.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული სახესხვაობებით: ა. თავგამოუყენებელი უსადინარო საწნახელი. ბ. თავგამოუყენებელი საწნახელი თავში დატანებული ხვრელით. გ. ზემოდან თავჩადგმული საწნახელი. დ. შიგნიდან თავგამოყენებული (როგოგამოყენებული) უსადინარო საწნახელი.

თუ ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად მაქსიმალურად დაშორებულ რეგიონებში, კახეთსა და გურია-სამეგრელოში გავრცელებულ საწნახლის ტიპებს ზემოგანხილული ნიშნების მიხედვით ერთმანეთს შევადარებთ, მათ შორის არსებით სხვაობას აღმოვაჩენთ. კახური ნავი ხშირად გაკუთხულია, ტკბილის სადინარი ხვრელი გვერდზე აქვს დატანებული და ბაქანიც გვერდზე აქვს მოდგმული. ამასთან, ჩვეულებრივ, მთლიანი მორისაგან ითლება. გურია-სამეგრელოში გავრცელებული საწნახლები მრგვალია, თავგამოყენებული, ტკბილის გამოსასვლელი ხვრელი და ინდური ხშირად სულაც არა აქვთ. თუ მხოლოდ გურიით შემოვიფარგლებით, თავის შეკვრის სპეციფიკურ, მრგვალი საწნახელისათვის დამახასიათებელ წესსაც დავადასტურებთ. (როგოგამოყენებული საწნახელი). ნაწილობრივ განსხვავებულია ხსენებულ კუთხეებში დამკვიდრებული საწნახლების ფუნქციაც — ყურძნის დაწურვა კახეთში, დაწურვა და ღვინის დადუღება გურია-სამეგრელოში.

გავაფართოოთ ჩვენ მიერ მოხაზული არეალები, ისე რომ მათ შორის წყალგამყოფი ხაზი შუა იმერეთზე გავიდეს ე. ი. დასავლეთის არეალში შეგვიყვანოთ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო იმერეთი. ამ ზოლში აღმოვაჩენთ მრგვალი საწნახლის სახეობას, რომელსაც ტკბილის სადინარი ხვრელი და ინდური თავში აქვს გაკეთებული, ხოლო აღმოსავლეთით, მის მომიჯნავე არეში (ზემო იმერეთი, ქართლი), გაკუთხული საწნახლის სახეობას, რომელსაც ინდური და ტკბილის გამოსასვლელი ჭრილი ზუსტად ასევე აქვს მოწყობილი.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან მაქსიმალურად დაშორებულ არეებში გვაქვს მრგვალი და გაკუთხული საწნახლის მაქსიმალურად განსხვავებული ვარიანტები, ხოლო მათ შორის მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე ამ ძირითადი ტიპების ისეთი სახესხვაობანი, რომლებიც, ინარჩუნებენ რა ზოგიერთ განმასხვავებელ ნიშანს, საერთო ნიშანთვისებებსაც ამჟღავნებენ. კერძოდ, ერთი მხრივ, მრგვალი საწნახლის იმ ძირითად ტიპს, რომელიც რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო იმერეთშია გავრცელებული და მეორე მხრივ, გაკუთხული საწნახლის ტიპს, რომელსაც ზემო იმერეთში და ქართლში ვადასტურებთ, მიუხედავად არსებითი სხვაობისა (მოყვანილობა, ფუნქცია) აქვთ საერთო ნიშანი — თავთან გაკეთებული ინდური და თავშივე დატანებული ტკბილის გამოსასვლელი ხვრელი.

* * *

ხის საწნახელი ქართულ წერილობით ძეგლებში პირველად ნიკორწმინდის სიგელში (XI ს.) მოიხსენიება. უფრო ადრეული ხანის ძეგლებში ტერმინი საწნახელი აღნიშნავს როგორც ყურძნის დასაწურ ჭურჭელს, ისე ზეთის გამოსახდელ ჭურჭელს თუ ხელსაწყოს. ამასთან ზოგჯერ ნათელი არ არის, რა მასალისაგან დამზადებულ საწნახელთან გვაქვს საქმე[10]. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ საქართველოში, მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ტრადიციების ქვეყანაში, რომელსაც ხე-ტყის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნდა, ხის საწნა-

[10] იხ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1, თბ., 1964, გვ. 27—28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ადრეულ ხანაშივე იქნებოდა გამოყენებული. ამაზე მიუთითებს ისეთი არქეოლოგიური მარნების არსებობა, სადაც ნანახია დიდი ქვევრები, ხოლო ქვის საწნახლები აღმოჩენილი არ არის[11].

XIX საუკუნისა და უფრო ადრეული ხანის მონაცემების მიხედვით არამც თუ არ შეიძლება ხის საწნახლის ცალკეული ტიპების გავრცელების არეების თუნდაც მიახლოებით მოხაზვა, არამედ საერთოდ არ მოგვეპოვება საწნახლეების ისეთი აღწერილობა, რომელიც მათი ტიპოლოგიის დადგენის საშუალებას მოგვცემდა.

თუ მივიღებთ, რომ ხის საწნახლის ტიპების გავრცელების აწინდელი სურათი რამდენადმე შეცვლილი სახით უფრო ადრეულ ვითარებას ასახავს, მაშინ მასზე დაყრდნობით შეიძლება წამოვაყენოთ ზოგიერთი ვარაუდი.

ჩვენი აზრით, მრგვალი საწნახელი შეიძლება დასავლეთ საქართველოსათვის, ხოლო გაკუთხული საწნახელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ელემენტად მივიჩნიოთ. მრგვალი საწნახლის გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში უნდა იყოს შედარებით გვიანდელი მოვლენა. ამის საბუთად ლაპარაკობს აღმოსავლეთ საქართველოში მისი გავრცელების თავისებურება: შედარებით უფრო ხშირი — იმერეთის მოსაზღვრე ან მის მახლობელ რაიონებში (ხამური, ქარელი) და უფრო იშვიათი — დასავლეთ საქართველოდან დაცილებულ რეგიონებში (ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი, კახეთი). შესაძლებელია, გაკუთხული საწნახლის გავრცელების ადრინდელ ერცელ რეგიონს, გარდა აღმოსავლეთ საქართველოსი, წარმოადგენს სამხრეთი საქართველო. უფრო თამამად ეს შეიძლება ვამტკიცოთ მესხეთის შესახებ, სადაც გაკუთხული საწნახელი ზოგ სოფელში ამჟამად არ წარმოადგენს დიდ იშვიათობას. მეტი სიფრთხილით ამგვარი ვარაუდი შეიძლება წამოვაყენოთ საქართველოს აწინდელ საზღვრებს მიღმა მდებარე ძველი ქართული პროვინციების მიმართ. ამის საფუძველს გვაძლევს: 1. გაკუთხული საწნახლის გავრცელება დასავლეთ საქართველოს მთელ სამხრეთ ზოლში (მაიაკოვსკის, ვანის რაიონები, გურია). ბუნებრივია დავუშვათ, რომ ეს ზოლი კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე ისეთი რეგიონის გაგრძელებას წარმოადგენს, რომელიც ოდესღაც გაკუთხული საწნახლის ინტენსიური გავრცელებით ხასიათდებოდა. 2. ამაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, გურიაში დამოწმებული გაკუთხული უსადინარო საწნახლის ადგილობრივი სახელწოდება — ჭანური საწნახელი.

---

11 ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 99.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული აბესაძე

ხელოსნური ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს ქალაქებში

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსანთა მსგავსად, ქ. ქუთაისშიც ხელოსნები ამქარში ერთიანდებოდნენ. აქ დასტურდება ხელოსნური ორგანიზაციის აღმნიშვნელი სახელწოდება ა მ ქ ა რ ი // ა ნ ქ ა რ ი. არ იცნობენ ამქარს, ტერმინსა და შესაბამისს ხელოსნურ ორგანიზაციას, ქ. ზუგდიდის ხელოსნები. რაც შეეხება ამქრის სტრუქტურას, ქ. ქუთაისში შემდეგი იერარქიაა დაცული: შეგირდი, ქარგალი, ოსტატი.

ამქარში შესვლა შეეძლო ყველა ხელოსანს ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად. ქუთაისსა და ზუგდიდში შეკრებილი მასალების მიხედვით[1], ხელოსნების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისაგან განსხვავებით (სადაც მათი ძირითადი მასა უმთავრესად სომხური ელემენტით იყო წარმოდგენილი) ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ქუთაისში იმერლებთან ერთად ბევრი იყო აგრეთვე სამეგრელოს სოფლებიდან ჩამოსული ხელოსანი.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, აქაც ხშირია მომიჯნავე ხელოსნური დარგების წარმომადგენელთა ერთ ამქარში გაერთიანების შემთხვევები. მაგ., დურგლებთან ერთიანდებოდნენ მექილეები, ხარატები, თერძებთან — მექუდეები (ევროპული და აზიური ქუდების მკერავები) და სხვ.

უსტაბაშის თანამდებობა აქაც არჩევითი იყო. ირჩევდნენ მას ორი-სამი წლის ვადით სრულუფლებიანი ხელოსნები. არჩევნები წარმოებდა ხელოსანთა გამგებლობის შენობაში ან სახელოსნოში მამასახლისის თანდასწრებით. იყო შემთხვევები, როდესაც უსტაბაში არჩეულ თანამდებობაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებოდა; ეს დამოკიდებული იყო მის უნარსა და გამოცდილებაზე.

უსტაბაშის ძირითად უფლება-მოვალეობას სამართლის წარმოება შეადგენდა. მას ორი მოადგილე-აღსაყალი ჰყავდა[2]. ქ. ქუთაისში ცნობილია იგითბაშის ინსტიტუტი. იგითბაში შიკრიკის როლში გამოდიოდა.

ამქრული ორგანიზაციის უმდაბლეს საფეხურზე შეგირდი იდგა. ამ ინსტიტუტის შესახებ ქუთაისსა და ზუგდიდში რაიმე განსაკუთრებული მასალა არ ჩანს. აქაც, შეგირდობის ვადა ხელობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა იყო; იგი, რასაკვირველია, დამოკიდებული იყო შესასწავლი დარგის სირთულეზე. მაგ., ხარაზებთან შეგირდობის ხანგრძლივობა 2—3 წლით განისაზღვრებოდა, ოქრომჭედლებთან კი იგი 9—10 წელს ვარაუდობდა. ასევე განსხვავებული იყო მათი ასაკი ხელობის სხვადასხვა დარგში. ჩვეულებრივ, შეგირდად იღებდნენ 7—8 წლის ბიჭებს, ქვისმთლელებთან კი 15—16 წლის ყმაწვილებს. ხელობის გარკვეული დარგი შეგირდისაგან ცოდნასაც მოითხოვდა. ასე, მაგ., ქვის ოსტატის კონსტანტინე მარგველაშვილის ცნობით, შეგირდს ორი კლასის განათლება უნდა ჰქონოდა, ყოველ შემთხვევაში წერა-კითხვა უნდა სცოდნოდა.

---

[1] ხელოსნობის შესახებ ქ. ქუთაისში მასალებს ვაგროვებდით 1969 წ. ხოლო ზუგდიდში— 1970 წ.

[2] შდრ. მეპურეთა ამქრის წესდების სათანადო მუხლი, შ. მ ე ს ხ ი ა, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1949, გვ. 151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგირდების უმრავლესობას სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდობა შეადგენდა. მათი უმეტესობა თავის ოსტატთან ცხოვრობდა, მაგრამ იყო დამოუკიდებლად ცხოვრების შემთხვევებიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ აქაც, ქ. ახალციხის მსგავსად, ძალიან ხშირია ხელობის მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევები. ხელოსანთა უმრავლესობა თავის ოსტატად მამას ან ბიძას გვისახელებს. მაგრამ შვილების გარდა ოსტატს მუდამ ჰყავდა ერთი ან ორი შეგირდი.

შეგირდი ხელობის შესწავლის შემდეგ უნდა დალოცილიყო. მათი დალოცვა ხდებოდა წელიწადში ერთხელ ხელოსანთა ტრადიციულ დღესასწაულზე. მას ყოველი ამქარი ცალ-ცალკე იხდიდა. როგორც წესი, ის ადრე გაზაფხულზე იმართებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალით სამღვთო აღდგომიდან ამაღლებამდე უნდა მოთავებულიყო. ასე იყო ქ. ქუთაისშიც. თუმცა მთხრობლები მისი მოწყობის ვადად შემოდგომასაც გვისახელებენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალებით, სამღვთოს ორგანიზაცია წინასწარ წარმოებდა. იგითბაშის მოვალეობას სწორედ ამქრის წევრებზე გაწერილი „ფსონის“ (თანხის გარკვეული ოდენობის) შეგროვება შეადგენდა. ქ. ქუთაისში მოპოვებული მასალებით, სამღვთოს ხარჯებს ძირითადად გაიღებდა დასალოცი შეგირდი, ან მისი მშობლები. ისინი სოფლიდან აგზავნიდნენ ხოლმე დანიშნულ დღეს სურსათ-სანოვაგეს. ერთი სიტყვით, დასალოცი ხარჯების მთელი სიმძიმე შეგირდს უნდა ეტვირთა. სამღვთო აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში განსაკუთრებული მონდომებითა და ბრწყინვალებით ტარდებოდა. სხვადასხვა დარგის ამქრები ერთმანეთს სამღვთოს კარგ ორგანიზებაში ეჯიბრებოდნენ. აქ იჩენდა ხოლმე თავს ხარაზებისა და საერთოდ ეკონომიურად შეძლებული ამქრის უპირატესობა. ქ. ქუთაისში ამგვარ ფაქტს ვერ ვამოწმებთ. მართალია, აქაც დასტურდება ქალაქგარეთ (მწვანეყვავილა, მოწამეთა, „ფერმა“) თუ კერძო მეპატრონეთა ბაღებში მათი ჩატარების შემთხვევები, მაგრამ უფრო ხშირად სამღვთო სახელოსნოშივე ტარდებოდა. შეგირდს გამოცდის მიზნით რაიმე ნიმუში უნდა დაემზადებინა, რასაც გამოცდილი ხელოსნები ამოწმებდნენ. მასვე თავისი ოსტატისათვის საჩოხე ან საახალუხე უნდა მიერთმია. „როცა შეგირდი ფეხს მოიდგამდა“, გადმოგვცემენ მთხრობლები, მაშინ მას ოსტატის მეუღლისათვის რაიმე უნდა ეყიდა. ილოცებოდა ერთად რამდენიმე შეგირდი. ოსტატი შეგირდს სილას სამჯერ გააწნიდა და ამით ყველაფერი მთავრდებოდა. ხშირად ოსტატი თავის შეგირდს ერთ ხელსაწყო იარაღს აჩუქებდა.

შეგირდის აყვანის ხელშეკრულება ხელოსანთა გამგებლობაში ფორმდებოდა. ხელობის შესწავლა ფასიანი იყო. სხვადასხვა დარგში ის სხვადასხვა ოდენობით ისაზღვრებოდა. ასე, მაგ., ოქრომჭედელ კონსტანტინე ზაქარიას ძე ცაგარეიშვილის (84 წ.) ცნობით, ხელობის შესწავლა ღირდა ხუთი თუმანი (ოქროთი), მექილე ვასილ ანტონის ძე უბილავას (75 წ.) ცნობით კი — ოთხი თუმანი.

შეგირდი დალოცვის შემდეგ ქარგალი ხდებოდა. შეკრებილი მასალის მიხედვით, ქარგალმა ერთი წელი მაინც უნდა იმუშაოს, რომ მომაგრდეს და მერე აქვს სახელოსნოს გახსნის საშუალება, მაშინ იღებს ის სახელოსნო სამართველოში „პატენტის“ უფლებას და ხდება უფლებიანი ხელოსანი. ასეთ ხელოსანს ჰქონდა უსტაბაშის არჩევის უფლება. მაშასადამე, მოტანილი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალის მიხედვით, ქარგალი შეგირდობის შემდეგი საფეხურია. არც ქუთაისში შეგროვებული მასალა იძლევა ცალკე შეგირდისა და ცალკე ქარგლის დალოცვის საფეხურების დადგენის შესაძლებლობას, როგორც ეს დამოწმებული აქვს ლ. ბოჭორიშვილს კახეთის ქალაქების ხელოსნობაში[3]. აქ, მთხრობლები ქარგალს, მართალია, მოიხსენიებენ როგორც შუალედურ საფეხურს შეგირდობიდან ოსტატობამდე, მაგრამ მათთვის ქარგალი სხვა არაფერია, თუ არა დაქირავებული ხელოსანი; ის, ვინც ხელობა შეისწავლა, მაგრამ დამოუკიდებელი ვერ ხდება მანამ, სანამ ფულს არ დააგროვებს სახელოსნოს გასახსნელად, სანამ სათანადო კვალიფიკაციას არ აიმაღლებს. ხელობა შეისწავლა, ჯამაგირი დაენიშნა და აქედან ხდება იგი უკვე დაქირავებული. ამიტომ, როდესაც ეკითხები მთხრობელს იმის შესახებ, თუ ვინ არის ქარგალი, ის აღნიშნავს, მხოლოდ მისი დაქირავების ფაქტს, მის მეხსიერებაში ადრინდელი საფეხური ქარგლისა წაშლილია უკვე. ოქრომჭედელ კონსტანტინე ბეროს ძე წულეისკირის ცნობით, დალოცვილი შეგირდი იმუშავებდა დიდი ერთი წელიწადი და გახდებოდა ქარგალი; ეს იყო ქარგლად მუშაობა, მერე ოსტატი გახდებოდა და გახსნიდა სახელოსნოს. 79 წლის კონსტანტინე გიორგის ძე მარგველაშვილის გადმოცემით, შეგირდი მოწაფეს აღნიშნავდა, ხოლო ქარგალი — კარგ მომუშავეს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დაქირავებას ქუთაისსა და ზუგდიდში მოჯამაგირეობას, ჯამაგირში ყოფნას უწოდებენ[4]. მაგალითად: „ქარგალი არის ხელოსანი ჯამაგირში (80 წლის არტემ კონსტანტინეს ძე გეგელაშვილი, მექუდე)"; „ქარგალი ის იყო, დაქირავებული რომ იყო, ჩაბრუნდებოდა თავის ხაზეინთან ჯამაგირში. ჩაბრუნდებოდა ჯამაგირის ანგარიშში (80 წლის აკაკი მიხეილის ძე ჯავახაძე, ხარაზი)"; „შეგირდი დაამთავრებდა, ხაზეინი თუ ჩაიბრუნებდა, მასთან მუშაობდა (72 წლის დავით აფრასიონის ძე კიკნაძე, მეუნაგირე)"; „დაამთავრებდა ხელობას და ჯამაგირი ეძლეოდა შეგირდს, მოჯამაგირე იყო (76 წლის ილარიონ ბესარიონის ძე მარგველაშვილი, მჭედელი); „ქარგალს დამთავრებული აქვს, ის ჯამაგირში მუშაობს (70 წლის სტეფანე იოსების ძე ცირამუა, ხარაზი)"; „ქარგალი მომუშავეა, რომ დაამთავრებს, ჯამაგირზე რომ გადავა, ის არის ქარგალი" (68 წლის ალექსანდრე ანტონის ძე ქობულაძე, ხარაზი); „ქარგალი არის მუშა უფროსი, ბრონობას (მოწაფეობას) რომ დაამთავრებს, ჯამაგირში რომ არის" (58 წლის აკაკი ვარდენის ძე იოვიძე, მეუნაგირე).

რის თქმა შეიძლება ქარგლის ინსტიტუტის შესახებ მოტანილი მასალის საფუძველზე? მართალია, ტერმინი ქ ა რ გ ა ლ ი უცნობია დასავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსნურ ამქარში, მაგრამ ჯამაგირში მყოფი ხელოსანი თავისი ბუნებით ქარგლის იდენტურია. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსნურ ამქარშიც შეგირდობის შემდეგ საფეხურზე მყოფ ხელოსანს ეწოდება ჯამაგირი. სწორედ აქედან ეყრება საფუძველი მისი დაქირავების მომენტს. მართალია, დასავლეთ საქართველოს ქალაქების (ქუთაისი, ზუგდიდი) ხელოსნობაში არ მოწმდება ქარგლის ორი სახეობის (1. ქარგალი შუა საფეხური შეგირდობიდან ოსტატობამდე და 2. ქარგა-

[3] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, მასალები კახეთის ქალაქების ოქრომჭედლობის შესახებ, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", 1956, VIII, გვ. 158.

[4] შდრ. მეპურეთა ამქრის წესდების სათანადო მუხლი, იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი — დაქირავებული ხელოსანი) არსებობის ფაქტები ერთდროულად, მაგრამ, ჯამაგირში მყოფი ხელოსანი, რომელიც განაგრძობს ცხოვრებას თავის ოსტატთან მის ხარჯზე და ვერ ახერხებს დამოუკიდებლად მუშაობას, თავისი ბუნებით მოგვაგონებს აღმოსავლეთ საქართველოს ხელოსნური ამქრის ქარგალს, შუა საფეხურს შეგირდიდან ოსტატამდე. ხელოსნის ამხანაგი კი სხვა არის. ხარაზ აკაკი პეტრეს ძე ნადარაიას (73 წ.) გადმოცემით, „მოჯამაგირეს გადაწყვეტილი ხელფასი ეძლევა, ამხანაგს კი შემოსავლის ნახევარი". ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჯამაგირში მყოფი ძირითადად ყოველთვის ამავე ოსტატის ნაშეგირდალია, ე. ი. ოსტატი გამოზრდიდა მას და თვითონვე ჩაიყენებდა ჯამაგირში. ხელოსნის ამხანაგის ცნების ქვეშ კი იგულისხმება დამოუკიდებელი ხელოსანი, რომელიც თავის ყოფილ ოსტატთან უკვე გათანაბრებულია და იგი ოსტატის კუთვნილი გასამარჯელოს ოდენა ხელფასს იღებს. ამდენად, დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის მაგალითზე ერთხელ კიდევ შეიძლება ითქვას, რომ ხელოსნის ამხანაგი და ქარგალი იურიდიულად და ეკონომიურად არ არის ერთმანეთის იდენტური[5]. ამ შემთხვევაში აქ იგულისხმება ქარგლის კლასიკური კატეგორია, რომელიც შუა საფეხურს წარმოადგენდა შეგირდობიდან ოსტატობამდე, და არა მისი გვიანდელი ფორმა, როდესაც ქარგალი უკვე დაქირავებული ოსტატის სახით წარმოგვიდგება.

მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში მოპოვებული მასალა არ იძლევა ქარგლის გამოკვეთილი საფეხურის დადგენის შესაძლებლობას. აქ ქარგლობა უკვე დაქირავებას აღნიშნავს მხოლოდ. გამქრალია ამ ინსტიტუტის ადრინდელი მნიშვნელობა. ქუთაისის ხელოსანთა ამქარში არ დასტურდება, აგრეთვე, ხაზინადარის ინსტიტუტის არსებობაც. ჯარიმებისა და სხვა სახის გადასახადებიდან შემოსული თანხა ინახებოდა უსტაბაშთან, რაც შეადგენდა ამქრის ძირითად საბრუნავ თანხას. არ მოწმდება აგრეთვე ბაირახტარის ინსტიტუტისა და შესაბამისად მისი კოსტუმის ცალკე არსებობის შემთხვევები.

ბაირაღის — ამქრის დროშის ტარება ევალებოდა ფიზიკურად ძლიერ ხელოსანს.

რაც შეეხება საამქრო დროშას, ის ქუთაისში თითქმის ხელოსანთა ყველა ამქარს გააჩნდა. როგორც ცნობილია, დროშით გამოდიოდა ამქარი სადღესასწაულო თუ სამგლოვიარო ცერემონიების დროს. მთხრობელთა ცნობით, ადგილი ჰქონდა დროშის გაქირავებასაც მიცვალებულთა დასაფლავების დროს, რაც ამქრის საბრუნავი თანხის ერთ-ერთ შემავსებელ წყაროს შეადგენდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რამდენიმე დროშა დაცულია ქ. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სათანადო ფონდში. სამი მათგანი (ხარაზების, მეუნაგირეებისა და, ვგონებთ, დურგლების) გამოფენაზეა წარმოდგენილი. მათ შესახებ საინვენტარო დავთარში ყოველთვის არ არის აღნიშნული თუ რომელი ამქრის კუთვნილებას შეადგენდა იგი. მოგვყავს ყველა მათგანის აღწერილობა.

საამქრო დროშა (კოლ. № 6426) ტარის თავზე გუმბათით (ქსოვილი). აქვს წარწერა „ყოველგვარი ფეხსაცმელების ამქარი" (გამოფენაზეა წარმოდგენილი).

საამქრო დროშა (კოლ. № 6427) წმიდა გიორგის გამოსახულებით, მეუნაგირეების (აბრეშუმის), სიმაღლე 110 სმ., ძლიერ დაზიანებულია (გამოფენაზეა წარმოდგენილი).

---

[5] შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, ქარგლის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქარში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1948, ტ. 9, № 6, გვ. 383.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამქრო დროშა (კოლ. № 6428) წმიდა გიორგის გამოსახულებით მუშამბა, სიმაღლე 100 სმ.

საამქრო დროშა (კოლ. № 6433) მთავარანგელოზისა და წმინდანის გამოსახულებით, სიმაღლე — 110 სმ.

საამქრო დროშა (კოლ. № 6434) ღვთისმშობლის და წმ. გიორგის გამოსახულებით, სიმაღლე —110 სმ., თავზე დამაგრებული აქვს ჯვარი (გამოფენაზეა).

საამქრო დროშა (კოლ. № 6436) იესო ქრისტეს და წმ. გიორგის გამოსახულებით, წარწერით, თავზე დამაგრებული აქვს ადამიანის ხელის მტევანი. ქსოვილი, სიმაღლე —115 სმ. ეს უნდა იყოს მჭედლების დროშა.

ქ. ქუთაისის ხელოსნებს შორისაც წმინდად იყო დაცული გადმოცემები ფირის შესახებ. ყველაზე პოპულარულია აქაც გადმოცემა ელიას თვალის დათხრის თაობაზე. მთხრობელთა ცნობით, ხარაზები ელიაობას უქმობდნენ, ამ დროს იხდიდნენ თავიანთ სამღვთოს.

ასეთია მოკლედ დასავლეთ საქართველოს ქალაქებში შეკრებილი მასალა ხელოსნური ორგანიზაციის — ამქრის შესახებ. მისი შესწავლისა და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსნობის საათანადო ორგანიზაციებთან შედარების შედეგად ცხადი ხდება, რომ მეტი არქაულობა შემორჩა თელავის, სიღნაღის, გორის და ახალციხის ამქრებს. ეს არქაულობა შეინიშნება უპირატესად შეგირდისა და ოსტატის ურთიერთობის, ქარგლისა და სამღვთოს ორგანიზაციის საკითხებში. ამ მხრივ ქუთაისის ხელოსნობის შესაბამისს ინსტიტუტებში უფრო გვიანდელ ფორმებთან გვაქვს საქმე. შეიძლება ეს იმის შედეგიც იყოს, რომ მთხრობელთა მეხსიერებაში კარგადაა შემონახული იმ დროის ამბები, რაც უკავშირდება ქუთაისში ე. წ. ხელოსანთა გამარტივებული გამგებლობის საქმიანობას (1883—1902 წწ.)[6]. ასეა თბილისში ხელოსანთა სამმართველოს დაარსების დროიდან, რომელიც ფაქტიურად ცდილობდა ცალკეულ ამქართა დამოუკიდებლობის მოსპობას. ის, რაც ასახული იყო აღნიშნული ორგანიზაციის კანონმდებლობაში, კარგად იცოდნენ მთხრობლებმა. მაგ., ხელოსანთა გამგებლობის წესდების მიხედვით მოწმობა ეძლეოდა ღირსეულ და სრულწლოვან ხელოსანს, რისთვისაც ის უნდა გამოცდილიყო ცოდნაში და წარმოედგინა თავისივე ნივთი შესამოწმებლად[7]. ზუსტად ასე გადმოგვცემენ მთხრობლები ხელოსნის გამოცდისა და მისი დალოცვის შესახებ. აღნიშნული წესდების სხვა მუხლის მიხედვით, ხელოსანთა გამგებლობა უმოწმობო ხელოსანს არ აძლევდა სახელოსნოს გახსნის უფლებას[8], ე. ი. დაულოცავი ხელოსანი სახელოსნოს ვერ გახსნიდა.

ჩვენ აქ იმის აღნიშვნა გვსურს, რომ შეიძლება ქუთაისსა და თბილისში დაარსებულმა სახელოსნო მმართველობამ უფრო გაამარტივა ის ურთიერთობა, რაც შეგირდსა და ოსტატს შორის არსებობდა. სწორედ შეიძლება ამის მიზეზი იყოს ისიც, რომ 1871 წ. შედგენილ ქუთაისის — „მეპურეთა“ ამქრის წესდებაში არ იხსენიება ოსტატის შუალედური საფეხური — ქარგალი (როგორც უკვე არარსებული და არა საერთოდ არარსებული ინსტიტუტი, როგორც ეს პროფ. შ. მესხიას მიაჩნდა[9]) და მოიხსენიება მისი გვიანდელი ფორ-

[6] მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის ხელოსანთა მმართველობა, „მაცნე“, 1964, № 2, გვ. 111—115.

[7] იქვე, გვ. 111.

[8] იქვე, გვ. 112.

[9] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии в XVII—XVIII вв., Тб., 1959, გვ. 375.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა — მოჯამაგირე. ამ ორგანიზაციის დაარსება ხომ ამქრების ლიკვიდაციას გულისხმობდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა სიღნაღი, თელავი, გორი, სადაც ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა, უკეთ შემოინახა ამქრული ორგანიზაციის ტრადიციები, ხელოსნური ურთიერთობა ყოფაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნო მმართველობა ამქრების დამოუკიდებლობის გაუქმებას და ყველა ხელოსნის ერთ საზოგადოებაში გაერთიანებას გულისხმობდა, ამქრები მაინც განაგრძობდნენ თავიანთ ტრადიციულ საქმიანობას, დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამის დადასტურებაა ქუთაისში შედგენილი მეპურეთა ამქარი 1871 წ. აქ დაარსებულ ხელოსნობის გამარტივებულ გამგებლობის შემდეგაც ამქრის მიერ გაცემულ საბუთს ორი ბეჭედი აქვს დასმული (ხელოსანთა გამგებლობისა და ამქრის)[10]. ამდენად, სავსებით მართალია მ. ნიკოლეიშვილი, როცა აკრიტიკებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მტკიცებას ამქრების არ არსებობაზე ხელოსანთა გამგებლობის შექმნამდე. ცალკეულ ხელოსანთა დამოუკიდებელი ცხოვრების მანიშნებელი, მ. ნიკოლეიშვილის აზრით, არის საამქრო დროშების, ცალკე უსტაბაშებისა და ხელოსანთა პირობის წიგნების არსებობა[11].

ქუთაისში წარმოდგენილი ამქარი განიხილება არა მარტო როგორც ამ ქალაქისათვის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი ხელოსნური ორგანიზაცია, ვინაიდან ქუთაისი წარმოადგენდა არა მარტო იმერეთის, არამედ მთელი დასავლეთი საქართველოს ხელოსნური წარმოების ცენტრს.

მაშასადამე, ამქრული ორგანიზაცია მაინც საერთო ქართული მოვლენაა (სხვა საკითხია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მისი განვითარების სხვადასხვა დონე) და მისი არსებობა საქართველოში არ შეიძლება მიეწეროს მუსლიმანური აღმოსავლეთის გავლენას, ვინაიდან, როგორც ეს შ. მესხიამ აჩვენა, „ქართულ ამქარს ისეთი საწყისი არ ჰქონია, როგორც ასნაფებს მუსლიმანურ აღმოსავლეთში (რელიგიური კავშირები) და ამდენად იგი თავიდანვე უფრო ეკონომიური-პროფესიონალური გაერთიანება იყო, ვიდრე რელიგიურ-მისტიკური. რელიგიური სამოსლის ქვეშ, რომელსაც ქართული ამქრებიც ატარებდნენ (საერთო დღესასწაული „სამღვთო", ამქართა ფირები და სხვ.) ყოველთვის სამეურნეო-ეკონომიური კავშირი იგულისხმებოდა. ამას სავსებით ადასტურებს, — განაგრძობს ავტორი, — ქუთაისის მეპურეთა „ხელნაწერი" და ამქრის უსტაბაშთა უპირველეს მოვალეობათა განმსაზღვრელი დოკუმენტები, სადაც ყოველთვის მითითებულია ამქრის, ამქრისათვისა და წევრთა პროფესიონალურ-ეკონომიური მოვალეობა-ინტერესებზე და არაფერია ნათქვამი ამქრის რელიგიური მიზნების შესახებ"[12].

---

[10] მ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[11] იქვე.

[12] შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 153.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებამ

დისკუსია და განხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ფურცელაძე

თერგდალეულთა მსოფლმხედველობის საკითხისათვის

ამ წერილით მიზნად დავისახეთ გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ დავასთან დაკავშირებით — თერგდალეულების დამოკიდებულების შესახებ რუსეთის რევოლუციური დემოკრატების მსოფლმხედველობისადმი.

XIX ს-ის დამდეგიდან საქართველო კარგავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარმა ამ რადიკალურმა ცვლილებამ წარმოქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ს. დოდაშვილისა და სხვა მოღვაწეთა სახელთანაა დაკავშირებული. აქ არ შევეხებით ამ მოღვაწეთა დამსახურებას; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თერგდალეულთა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „დროების“ ათი წლისთავზე განაცხადა: „... სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზღოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელიც უფ. ს. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავის მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებული სოლომონ დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან; საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“[1].

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რევოლუციურ დემოკრატებს გარკვეული გავლენა ჰქონდათ თერგდალეულებზე. ამ გავლენის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ თერგდალეულნი ეროვნული იდეების შემუშავებაში უფრო დამოუკიდებელნი იყვნენ, ვიდრე სხვაგან. სამართალი მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ დასასესხებელი აქაც ჰქონდათ თერგდალეულთ. რუსეთის განმათავისუფლებელთა პატრიოტიზმი წარსულის უშინაარსო სიყვარული, უსაქმო რომანტიზმი კი არ იყო, არამედ ეს იყო განახლებული სამშობლოს სიყვარული, ან უკეთ, ბრძოლით განახლების სიყვარული სამშობლოსი. თერგდალეულთა, კერძოდ, ილიას პატრიოტიზმი ამ მომენტით ჰგავს სოვრემენიკელთა პატრიოტიზმს, მაგრამ თერგდალეულებს ამ „შემოქმედების რომანტიზმში“ უშუალო წინაპარი აქვე საქართველოში 30—40-იან წლებში მოეძებნება (ნ. ბარათაშვილი)“[2]. ნ. ბარათაშვილზე მითითებით ავტორმა იმ გარემოებას გაუსვა ხაზი, რომ თერგდალეულებზე ადრე ეროვნული საკითხი ამ გენიალურ პოეტს ჰქონდა გააზრებული. ამდენად ძირითადი, განმასხვავებელი მომენტი რუსეთისაგან საქართველოსათვის იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა. საქართველოს ამ მდგომარეობის შესახებ ილია წერდა: „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვას ღაღადებს...

[1] გაზ. „დროება“, 1876, № 74 (მოტანილია თ. კუკავას ნაშრომიდან „ნარკვევები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან“, 1956, გვ. 176).

[2] ნ. ბერძენიშვილი, ა. კიკვიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 484.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის „სხვა რამეა“ — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... სხვა საგანი — ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს...“[3].

ამის გამო ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულთა ბელადმა და მისმა თანამებრძოლებმა ახალ პირობებში დასვეს ეროვნული საკითხი და იბრძოდნენ მისი გადაჭრისათვის.

XIX ს-ის 50-იანი წლების გასულსა და 60-იანი წლების დამდეგს საქართველო სოციალ-ეკონომიური განვითარების მხრივ, რუსეთთან შედარებით, დაბალ დონეზე იდგა, რაც უმთავრესად მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობაში უპირატესად ისეთი დარგები განვითარდა, რომლებიც ნედლეულს დაუმზადებდა რუსეთის მრეწველობას. ცნობილია, რომ ცარიზმის ხელისუფლებამ რიგი ღონისძიებანი გაატარა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში... რაც შეეხება მრეწველობის განვითარებას, ხელისუფლება შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ იმ დარგების განვითარებას, რომლებიც არ იქნებოდა საზიანო მეტროპოლიის მრეწველობისათვის. ხოლო დანარჩენი სახის პროდუქციას საქართველოში ძირითადად შინამრეწველები და ხელოსნები ამზადებდნენ, ან ის სხვა ქვეყნებიდან, პირველ რიგში რუსეთიდან შემოჰქონდათ.

რეფორმამდელ ხანაში საქართველოს სოფელში დაიწყო სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება, რომელშიც მემამულეებთან ერთად ჩაებნენ გლეხთა გარკვეული ჯგუფები (მდიდრები და შეძლებულნი). ეს კი იწვევდა ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმური წყობილების რღვევასა და კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოქმნისათვის ნიადაგის შემზადებას.

სოფლის მეურნეობის გვერდით, რეფორმამდელი ხანის საქართველოში გარკვეული ცვლილებები მოხდა მრეწველობაშიც. შინამრეწველობისა და ხელოსნობის გაბატონებული მდგომარეობის მიუხედავად, განვითარება ჰპოვა კაპიტალიზმის ელემენტებმა, რაც მანუფაქტურულ და ძალზე მცირე რაოდენობის საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა შექმნაში გამოიხატა.

ამ საკითხზე ახლად გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ნაშრომში ვკითხულობთ: „XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა... ცარიზმი განიხილავდა რა საქართველოს, როგორც კოლონიას, ცდილობდა გადაექცია იგი ნედლეულის ბაზად და საქონლის გასაღების ბაზრად, ხელს უწყობდა აქ სოფლის მეურნეობის და ნაწილობრივ მრეწველობის განვითარებას და ამდენადვე — საწარმოო ძალთა წინსვლას, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა საერთოდ ქვეყნის სამრეწველო განვითარებას“[4].

რუსეთში კი, შედარებით საქართველოსთან, ახალმა საწარმოო ძალებმა უფრო მეტი განვითარება ჰპოვა რეფორმამდელ პერიოდში. ეკონომიურად რუსეთი შედარებით უფრო მაღალ დონეზე იყო.

რეფორმამდელი ხანის საქართველოში გლეხთა მრავალი აჯანყება მოხდა.

---

[3] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, შინაური მიმოხილვა, „ივერია“, 1881, მაისი (ნაწერების კრებული, ტ. VI, 1927, გვ. 127—128) — ციტირებულია პავლე ინგოროყვას წიგნიდან „ილია ჭავჭავაძე, ნარკვევი“, 1957, გვ. 53.

[4] გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, „საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხები ლენინური მოძღვრების შუქზე“, კრებული—ქართული ისტორიოგრაფია, 2, 1971, გვ. 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი შედარებით ფართო და მრისხანე ხასიათს ატარებდნენ XIX ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დასაწყისში.

XIX ს-ის პირველი პერიოდის გლეხთა აჯანყებანი უმთავრესად ცარიზმის მიერ საქართველოში შემოღებული მძიმე საბეგარო სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა ზოგჯერ (განსაკუთრებით გურიის 1841 წლის გლეხთა აჯანყება) ბრძოლა ანტიბატონყმურ ხასიათს ღებულობდა.

1856—57 წლებში სამეგრელოში მოხდა გლეხთა ცნობილი აჯანყება, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა რუსეთში...

1857 წელს სერიოზული მღელვარება მოხდა საბატონო გლეხთა შორის იმერეთში. აჯანყებულმა გლეხებმა უარი განაცხადეს ვალდებულებათა შესრულებაზე მებატონეთა სასარგებლოდ. მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა სამხედრო ნაწილებითა და არტილერიით შეძლო გლეხთა მღელვარების ლიკვიდაცია[5].

ეს აჯანყებანი, ისევე როგორც მომდევნო აჯანყებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხის გლეხებისა, უმთავრესად ბატონყმობის წინააღმდეგ იყო მიმართული და თითოეული მათგანი ხასიათდებოდა მეტ-ნაკლები სიმწვავითა და გაქანებით.

XIX ს-ის 60-იანი წლების პირველ ნახევარში აღსანიშნავია გურიის 1862 წლის გლეხთა აჯანყება, სამეგრელოს 1863 წლის აჯანყება და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში 1863 წელს მომხდარი აჯანყებანი. დასასრულ, გლეხთა ცალკეული გამოსვლები, რომლებიც მიმართული იყო ბატონყმობისა და ცარიზმის პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ, მოხდა 1864 წელს თბილისისა და თიანეთის მაზრებში, ასევე სხვაგან.

როგორი ხასიათის იყო რუსეთის გლეხთა მოძრაობა? გლეხთა გამოსვლების საერთო რიცხვი რუსეთში 1826 წლიდან 1854 წლამდე 709-ს შეადგენდა. გლეხთა მოძრაობის გაქანება იმდენად დიდი იყო, რომ თვით შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ოფიციალურ ანგარიშებში მეფისადმი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საუკუნის მეორე მეოთხედში განუხრელად იზრდებოდა გლეხთა გამოსვლების რაოდენობა[6].

მოცემული პერიოდის ცალკეულ წლებში გლეხთა მოძრაობა რუსეთში მასობრივ ხასიათს ატარებდა და ვლინდებოდა აშკარა ბრძოლაში ბატონყმობის წინააღმდეგ.

გლეხთა მოძრაობა რუსეთში განსაკუთრებით ძლიერდება ყირიმის ომის წლებში. იგი, მიმართული იყო ბატონყმობის წინააღმდეგ და, იზრდებოდა რა ყოველწლიურად, წარმოადგენდა საფრთხეს თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფოს არსებობისათვის[7].

გლეხთა რევოლუციური ბრძოლა რუსეთში უფრო ფართო და უფრო მრისხანე ხასიათისა იყო, ვიდრე საქართველოში, რასაც აპირობებდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების შედარებით მაღალი დონე. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რუსეთში ეს ბრძოლა, საქართველოსაგან განსხვავებით, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ანტიბატონყმურ ხასიათს ატარებდა.

ასეთი იყო ზოგადად ის სოციალ-ეკონომიური ფონი რუსეთსა და საქარ-

[5] Ш. Чхетия, Документы по истории Грузии, 1954, გვ. 13.
[6] П. А. Зайончковский, Отмена крепостного права в Росии, М., 1954, გვ. 45.
[7] იქვე, გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოში, რომელზედაც აღმოცენდა რუსეთის რევოლუციურ დემოკრატების მოძღვრება, ერთი მხრივ, და ქართველი თერგდალეულებისა, მეორე მხრივ.

განვიხილოთ ქართველი თერგდალეულების მოღვაწეობა. ამ შემთხვევაში მართებულად მიგვაჩნია დავიწყოთ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიული მსოფლმხედველობის დახასიათებით და შემდეგ შევეხოთ ქართველი თერგდალეულების საქმიანობას, რადგან ამ ახალი იდეოლოგიის ძირითად კერას რუსეთი წარმოადგენდა.

ნ. ჩერნიშევსკი დარწმუნებული იყო რუსეთში გლეხური რევოლუციის აუცილებლობასა და გარდაუვალობაში. ის ჯერ თანამშრომლობდა, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობდა პეტერბურგის ჟურნ. „სოვრემენიკს". ნ. დობროლუბოვიც გლეხთა რევოლუციაზე ოცნებობდა. მათთან ერთად დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდა პოეტი ნ. ნეკრასოვი.

ჯერ კიდევ 1860 წელს რეფორმის წინ (1860 წლის ბოლოსა და 1861 წლის დამდეგს) ნ. ჩერნიშევსკიმ დაწერა პროკლამაცია „საბატონო გლეხებს სალამი მათ კეთილმოსურნეთაგან", რომელიც გლეხებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. იდგა რა გლეხთა რევოლუციის ნიადაგზე, ნ. ჩერნიშევსკი გლეხებს ნაჯახისაკენ მოუწოდებდა, მას შეგნებული ჰქონდა, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა მოეპოვებინათ მათ ნამდვილი თავისუფლება. მართალია ნ. ჩერნიშევსკის სოციალიზმის თეორია უტოპიური იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ის რევოლუციური იყო, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროის საზოგადოებრივი მოძრაობის მთავარი ძალის — გლეხობისათვის.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრად ფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შეჰქმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტ-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას. 61 წლის „საგლეხო რეფორმას", რომელსაც ლიბერალები ჯერ ალამაზებდნენ და შემდეგ კიდეც ადიდებდნენ, მან ს ი ს ა ძ ა გ ლ ე უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მის ბატონყმურ ხასიათს, ნათლად ხედავდა, რომ ბატონი ლიბერალური განმათავისუფლებელნი გლეხებს პირდაპირ ტყავს აძრობდნენ. 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი და ს უ ლ ე ლ ე ბ ი" უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათს უხასიათობას და ყურმოჭრილ მონობას ძლიერთა წინაშე"[8].

დაპატიმრების შემდეგ, პეტრეპავლეს ციხეში ნ. ჩერნიშევსკიმ დაწერა ცნობილი ნაწარმოები „უმისამართო წერილები", რომელიც მას განკუთვნილი ჰქონდა „სოვრემენიკის" 1862 წლის № 2-თვის. ეს ნაწარმოები ცენზურამ არ გაუშვა.

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. მარქსი სწავლობდა ნ. ჩერნიშევსკის შრომებს, კერძოდ, მის „უმისამართო წერილებს“, თარგმნიდა რა ზედმიწევნით ამ ნაშრომს, ხაზს უსვამდა მის შემდეგ ძირითად აზრს: „საქმე არადამაკმაყოფილებლად იყო შესრულებული; შესრულებული იყო; 1) ბიუროკრატიულად და 2) თავადაზნაურობისადმი მიკერძოებით; მისგან მოითხოვდნენ რაც შეიძლება ნაკლებ მსხვერპლს; ბიუროკრატია ეწოდა ფორმალისტიკას; იმიტომ შეცვლილი იყო უპირატესად ურთიერთობის ფორმა მებატონეებსა და გლეხებს შორის წინანდელი ურთიერთობის არსის რაც შეიძლება ნაკლები ცვლილებით. ამით ფიქრობდენ დაეკმაყოფილებიათ მემამულეები“[9].

ნ. ჩერნიშევსკის ამ ნაწარმოებიდან ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე ადგილს რათა შუქი მოეფინოს ავტორის კონცეფციას გლეხობის შესახებ. ნ. ჩერნიშევსკი ამბობს: „გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლების საქვეყნოდ გამოცხადების დროს“ ფაქტობრივად ღადასტურებული იყო „მისი შენარჩუნება“ და ეს მოხდა უკვე პირველ ნამდვილ სხდომაზე 1859 წლის 5 მარტს (4 მარტს შედგა პირველი, ე. წ. მოსამზადებელი სხდომა), როდესაც თავმჯდომარემ თქვა: „სავალდებულო საბეგარო ვალდებულებანი ვადიან სავალდებულო მდგომარეობის დროსაც (გახაზულია კ. მარქსის მიერ) მაინც შეადგენენ ბატონყმობის სახეს. კომისიის წევრები მაშინვე დაეთანხმნენ ამას და ჟურნალში შეიტანეს, მიიღეს რა მტკიცე სახელმძღვანელოდ“. მოტანილ ადგილს განმარტება არ ესაჭიროება: აქ მოცემულია სწორედ „ბატონყმობის შენარჩუნების“ აზრი.

თავის მეოთხე წერილში, რომელიც 13 თებერვლით არის დათარიღებული, ნ. ჩერნიშევსკი აღნიშნავს, რომ სარედაქციო კომისიებში არ იყო აზრთა თავისუფლება, რასაც ასაბუთებს შემდეგით: „თავმჯდომარის წინადადებაზე კომისიის მაშინდელი 9 წევრიდან არც ერთმა არ გამოთქვა „თავისი აზრი, ყველანი დაეთანხმნენ მას“. ნ. ჩერნიშევსკის შეუძლებლად მიაჩნია, რომ არც ერთ წევრს არ ჰქონოდა თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ 9 პუნქტზე არავითარი შეხედულება, განსხვავებული მის მიერ მიწოდებულ გადაწყვეტილებათაგან. მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რაც ნ. ჩერნიშევსკის თქმით შემდეგში გამოიხატება: თუ 1859 წ. 5 მარტის სხდომაზე თავმჯდომარე ჯერ კიდევ აყენებდა თავის შეხედულებებს, რომლებიც „უსარგებლო არ იქნებოდა მიეღოთ მხედველობაში“, ორნახევარი თვის შემდეგ, 20 მაისის სხდომაზე, ის უკვე შემდეგნაირად გამოთქვამდა თავის აზრს: გლეხის მიწის გამოსყიდვა, როგორც უკვე იყო ჩემს მიერ განმარტებული, უზენაესი ნებასურვილის საფუძველზე უნდა იყოს არა სავალდებულო, არამედ ნებაყოფლობითი, ე. ი. გამოსყიდვა არ შეიძლება ხდებოდეს მემამულის ფორმალური თანხმობის გარეშე — გაყიდოს, ხოლო გლეხისა — იყიდოს ადგილმამული, კარმიდამოს გამოკლებით, რომლის გაყიდვა სავალდებულოა იმ მემამულეთათვის, რომლებიც არ განაცხადებენ თანხმობას მინდვრის მიწების გაყიდვაზე[10].

ასეთ მოქმედებას ნ. ჩერნიშევსკი ბიუროკრატიულ მიდგომას უწოდებს „... ასეთი ბიუროკრატიული წესის დროს, — აცხადებს ის, — სრულიად გამოუსადეგარია იმ ადამიანთა ჭკუა, ცოდნა, გამოცდილება, რომლებსაც მინ-

[9] Архив Маркса и Энгельса, т. XI, 1948.
[10] იქვე, გვ. 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობილი აქვთ საქმე. ეს ადამიანები მოქმედებენ მანქანებივით, რომელთაც არ აქვთ თავისი აზრი"[11].

აქაც საჭიროდ არ მიგვაჩნია განმარტება.

ამრიგად, ნ. ჩერნიშევსკის თვით საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში საღად ჰქონდა წარმოდგენილი ის გარემოება, რომ თვითმპყრობელობისა და მებატონეთა ხელიდან გამოსულ გლეხთა „გათავისუფლება" მხოლოდ მათი მოტყუება და კაბალურ მდგომარეობაში ჩაგდება იყო.

ასეთია ძირითადად რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის შეხედულება გლეხობაზე, საერთოდ, და საგლეხო რეფორმაზე, კერძოდ. მან დასმულ საკითხზე იმ დროის მიხედვით მეტად რადიკალურ-რევოლუციური აზრი განავითარა და საკმაო კვალი დატოვა გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

განვიხილოთ ქართველ თერგდალეულთა დამოკიდებულება ეპოქის ძირითადი საკითხის — საგლეხო რეფორმისადმი.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვქონდა თერგდალეულთა მიმართ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატთა გავლენის შესახებ და მივუთითეთ, რომ მათ დიდი, საგრძნობი გავლენა ჰქონდათ თერგდალეულებზე სოციალურ საკითხში, რაც აიხსნებოდა რუსეთთან საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების იმ საერთო ნიშნებით და განვითარების მეტ-ნაკლები დონით, რაზედაც იყო საუბარი. ერთ განმსაზღვრელ წყაროს ის იდეური გავლენაც შეადგენდა, რომელიც თერგდალეულებმა რუსეთის უმაღლესი სკოლის კედლებსა და უშუალოდ თვით რევოლუციონერ დემოკრატებთან კავშირის შედეგად განიცადეს. მაგრამ თერგდალეულთა პროგრამას სოციალურ საკითხში ფესვი თვით საქართველოს სინამდვილეში ჰქონდა და მისთვის ამოსავლადაც საქართველოს განვითარების დონე და ხასიათი უნდა მივიჩნიოთ.

როგორც საგლეხო რეფორმის წინ, ისე მისი მომზადებისა და გატარების პერიოდში და შემდეგაც თერგდალეულები გლეხობის დასაცავად გამოდიოდნენ. მაგრამ ამ საერთო ხაზის მიუხედავად თერგდალეულთა შორის არსებობდა განსხვავებაც როგორც ცალკეული საკითხების დასმისა და გადაჭრის, ისე პრაქტიკული საქმიანობის მხრივ.

როგორი იყო ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობის საკითხისადმი? ჯერ კიდევ 1858 წელს დაწერილ ლექსში „გუთნის დედა" ილიამ დახატა ყმა გლეხის ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა... ხოლო პოემაში „აჩრდილი" (1860 წ.) მან დააყენა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის აუცილებლობის საკითხი. გლეხთა ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ ილიამ მოგვცა პოემაში „კაკო ყაჩაღი" (1860 წ.). ასეთივე აზრია გატარებული ილიას მოთხრობაში „გლახის ნაამბობი" (1862 წ.). ამ ნაწარმოებში მოცემულია წოდებათა შერიგების შეუძლებლობის აზრი.

ილია ჭავჭავაძის გმირები იარაღით უსწორდებიან აუტანელ მებატონეებს, რაც მიუთითებს მწერლის შეურიგებელ დამოკიდებულებაზე ბატონყმური ინსტიტუტისადმი.

ბატონყმობის გახრწნილება დაგვიხატა ილიამ „კაცია-ადამიანში"?!, რომელშიც წარმოდგენილია გადაგვარებული მებატონე, პირუტყვულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში რომ ატარებს თავის დღეებს.

---

[11] Архив Маркса и Энгельса, т. XI, 1948, გვ. 190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხილავს რა ილია ჭავჭავაძის ჩვენ მიერ დასახელებულ მხატვრულ ნაწარმოებებს, პროფ. პ. რატიანი აღნიშნავს, რომ ილია „მოუწოდებს გლეხებს იარაღით გაუსწორდნენ თავიანთ გულქვა ბატონებს. როგორც რუსეთში ჩერნიშევსკი მოუწოდებდა გლეხობას ნაჯახისაკენ, ისე ჩვენში ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა ყმა გლეხებს იარაღისაკენ“[12]. მაგრამ ავტორმა შემდეგ აღარ განავითარა ეს შედარება ილია ჭავჭავაძისა ჩერნიშევსკისთან. სინამდვილეში სულ სხვაგვარი იყო ის მოწოდება, რომლითაც ჩერნიშევსკი მიმართავდა გლეხებს და ასევე სხვაგვარი იყო ის შეხედულება, რომელიც მან მოგვცა ბატონყმობის დამხობის შესახებ, ვიდრე ილიას, ან რომელიმე სხვა თერგდალეულს ახასიათებს. ნ. ჩერნიშევსკი გლეხობას რევოლუციისაკენ მოუხმობდა, ის გლეხთა რევოლუციის იდეის ავტორად გვევლინება და სხვ. შეხედულებათა ეს სხვაობა აიხსნება რუსეთსა და საქართველოს შორის სოციალ-ეკონომიურ განვითარებასა და გლეხთა ბრძოლაში არსებული განსხვავებით.

ამდენად მართებულად უნდა მივიჩნიოთ აკად. გ. მელიქიშვილის შეხედულება თერგდალეულთა მსოფლმხედველობის შესახებ: „ღრმა განსხვავება, კერძოდ, რომელიც არსებობდა რუსეთისა და საქართველოს სინამდვილეს შორის, ორივე ქვეყნის პროგრესული ძალების წინაშე მდგომი განსხვავებული ამოცანები... ვფიქრობთ, საეჭვოდ ხდის ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების ნ. ჩერნიშევსკისა და ტ. შევჩენკოს ტიპის რევოლუციურ დემოკრატობის აზრს“[13].

როგორ აფასებდა ილია ჭავჭავაძე ბატონყმობას საქართველოში?

„... წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა. ამიტომაც... ჩვენი თავადაზნაურობა არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან... ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს. ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს ს ი კ ე თ ე ე რ თ ო ბ ი ს ა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს“ ... „ერთ ბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ ამ ბრძოლაში (ილია გულისხმობს ბრძოლას „ყოველგვარ შევიწროებასთან“). თუ ყველამ ცალკე გავიწიეთ, ყველამ ცალკე ვიბრძოლეთ. თუ ასეა, ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაეყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულიად აღმოიფხვრას ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი ს ძ ა ლ ი ს ა ს? ამიტომაც დ ი დ ა დ ს ც ო დ ვ ე ნ, — ამბობს ილია, — ქვეყანასა და ხალხსაც ნამეტნავად ჩვენში, — ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო“[14].

მოტანილი ადგილები აშკარად მიუთითებენ ილიას „წოდებათა შერიგებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის“ თეორიაზე.

---

[12] პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე—ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1954, გვ. 145.

[13] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე, (კრებული: „საისტორიო წერილები“, 1968), გვ. 27.

[14] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 61.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წოდებათა ბრძოლის ფაქტის უგულვებელყოფა საქართველოში და მათი შერიგების იდეა ილიასათვის წარმოადგენდა მისი უმთავრესი მრწამსის — საქართველოს ეროვნული განთავისუფლების საყრდენს[15].

ამჟამად ამას შეიძლება ის დავძინოთ, რომ თერგდალეულთათვის მთავარ პრობლემას ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა, რომელსაც მათ (განსაკუთრებით ილიამ და აკაკიმ) დაუქვემდებარეს სოციალური პრობლემის გადაჭრაც. სწორედ ამით აიხსნება ეს წოდებათა „შერიგების აზრი", რაც ეწინააღმდეგება ამავე საკითხზე ილიას მიერ მხატვრულ ნაწარმოებებში გატარებულ შეხედულებას.

როგორ შეაფასა ილია ჭავჭავაძემ საგლეხო რეფორმა? ამ საკითხზე თავისი აზრი მან განავითარა პუბლიცისტურ ნაწარმოებში „ცხოვრება და კანონი" (1877 წ.). ეხება რა რეფორმის იმ შეფასებას, რომელიც ილიამ მოგვცა, პ. რატიანი წერს: „თავდაპირველად იგი (ილია ჭავჭავაძე, — **გ. ფ.**) მომხრეა უსასყიდლოდ მიეცეს გლეხს ის მიწები, რომლებიც მას სახმარად უჭირავს, მაგრამ, რადგანაც ასეთი აზრის გაგონებაც არავის სურდა, ილია დასჯერდა გლეხებისათვის აღნიშნული მიწების დროებითს სარგებლობაში დატოვებას... რჩებოდა რა თავისი კონცეფციის ერთგული, — განაგრძობს ავტორი, — ილია სრულიადაც არ აყენებდა მიწაზე მემამულური საკუთრების მოსპობის საკითხს... მართალია, თავდაპირველად იგი მოითხოვდა გლეხობისათვის იმ მიწების უსასყიდლოდ გადაცემას, რომელიც მათ სახმარად ეჭირათ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ ღონისძიების გატარებაც ილიას წარმოდგენილი უნდა ჰქონოდა არა თავადაზნაურთათვის ამ მიწების იძულებით ჩამორთმევის სახით, არამედ ნებაყოფლობით, ან მთავრობის მიერ სათანადო ანაზღაურების გაცემის სახით. ამიტომ შემთხვევით როდია, რომ მან შედარებით იოლად დასთმო თავისი თავდაპირველი პოზიცია და დიდ სიკეთედ მიიჩნია გლეხობისათვის მიწის დროებითს სარგებლობაში დატოვება"[16].

სავსებით სწორია ეს შეხედულება და ჩვენც ამავე აზრისა ვართ ილიას პოზიციის შესახებ საგლეხო რეფორმის ძირითადი საკითხის — გლეხობისათვის მიწის გადაცემის პირობათა შესახებ. მაგრამ, რა გამომდინარეობს აქედან? — მხოლოდ ის, რომ ილია ჭავჭავაძე საგლეხო რეფორმის გატარების საკითხში არ იდგა ისეთ ნიადაგზე, როგორზედაც რუსეთის რევოლუციურ დემოკრატები ნ. ჩერნიშევსკის მეთაურობით.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი.

ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლთაგან პირველ რიგში განვიხილოთ აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმისადმი.

აკაკი წერეთლის შემოქმედების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ის განიცდიდა „სოვრემენიკის" იდეების გავლენას. ამიტომაა, რომ „აკაკის „იმერული ნანინა" და სხვა ლექსები თავისი თემატიკით და განწყობილებით ძალიან უახლოვდებიან ნეკრასოვის პოეზიას"[17].

გლეხობის საკითხში აკაკი წერეთელი დემოკრატიულ პოზიციაზე იდგა, რისთვისაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მის აღზრდას გლეხის ოჯახში.

---

15 გ. ფ ურ ც ე ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმისადმი, ჟურნ. „ცისკარი", 1964, № 4, გვ. 126.

16 პ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154 (ხაზი ჩვენია, — **გ. ფ.**).

17 ლ ე ვ ან ა ს ა თ ი ა ნ ი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1952, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიხატავს რა გლეხთა აუტანელ მდგომარეობას, პოეტი თანაგრძნობითაა მათდამი განწყობილი.

საგლეხო რეფორმის გამოცხადებას რუსეთში ის გამოეხმაურა ლექსით „მუშური“ (1861 წ. 15 აპრილი), რომელშიც გამოხატა ყმა გლეხთა აუტანელი მდგომარეობა. ამას მოყვა მეორე ლექსი „გლეხის აღსარება“, რომელშიც გაშიშვლებულია მებატონის აღვირახსნილი ძალადობა და გლეხის დამონება, პირველისაგან მომდინარე უსაზღვრო ექსპლუატაცია, ხოლო მეორის აუტანელი შრომა. როგორც ცნობილია, ამ ლექსმა საშინელი რეაქცია გამოიწვია თავადაზნაურთა წრეებში და თავადმა მიქელაძემ აკაკის მოსაკლავად შეუტია.

ლექსში „იმერული ნანინა“ (დაიბეჭდა „ცისკრის“ 1864 წლის მაისის ნომერში), რომელსაც ქვესათაურად წამძღვარებული აქვს „ვუძღვნი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს“ აკაკი ასე მიმართავს ამ ახალშობილს: „გაიზრდები გენაცვალე, თავისუფალიო, ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო“. ასეთი რწმენით უმღერა პოეტმა გლეხთა ახალგაზრდა თაობას ცოტათი ადრე საგლეხო რეფორმამდე. მაგრამ პოეტის ეს მოლოდინი არ გამართლდა საგლეხო რეფორმის მებატონური ხასიათის გამო, რაშიც ის მალე დარწმუნდა. ეს გარემოება პოეტმა მით გამოხატა, რომ „ჩემ თავგადასავალში“ წერდა: „... ბატონყმობა უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა და, რასაც ჩვენ ისე შევხაროდით, ისიც თავისთვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა“ (ხაზი ჩვენია, — **გ. ფ.**). მოტანილი ადგილი იმაზე მიუთითებს, რომ აკაკი წერეთელმა საგლეხო რეფორმის მართებული შეფასება მოგვცა — რეფორმა გლეხობისათვის მიუღებელი იყო.

ვიდრე სხვა თერგდალეულებს შევეხებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთა შორის ადგილი ჰქონდა შეხედულებათა სხვაობას. აზრთა ეს სხვაობა ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ჩაისახა და თავისი გამოხატულება საგლეხო რეფორმის შეფასებაში ჰპოვა. აზრთა სხვაობა თერგდალეულთა შორის უფრო მკვეთრად გამოისახა საგლეხო რეფორმის შემდეგ.

ცნობილია, რომ 1877—1878 წლებში ჩამოყალიბდა თერგდალეულთა ორი მიმდინარეობა: „პირველი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც ე. წ. „საერთო ნიადაგის“ თეორიას ავითარებდა და წოდებრივი (კლასობრივი) ბრძოლის შენელებისაკენ მოუწოდებდა, ხოლო მეორე — „დროების“ გარშემო შემოკრებილ თერგდალეულთა, რომელნიც სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას მოითხოვდნენ.

გარდა ამისა, უთანხმოების წყაროს, აგრეთვე, წარმოადგენდა აზრთა სხვაობა თავადაზნაურობის როლის საკითხში. ილია ჭავჭავაძე თვლიდა, რომ ახალი საზოგადოებრივი ვითარების დროსაც თავადაზნაურობა უნდა წარმოადგენდეს ხელმძღვანელ ძალას, ხოლო „დროების“ გარშემო დარაზმული თერგდალეულები ამ წოდებას უკვე დრომოჭმულად მიიჩნევდნენ.

თერგდალეულებს შორის ნ. ნიკოლაძე ითვლება ერთ-ერთ გამოჩენილ ქართველ მწერალ-პუბლიცისტად და საზოგადო მოღვაწედ. თერგდალეულები საერთოდ მეტ-ნაკლები ზომით განიცდიდნენ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატების გავლენას, მაგრამ „მათ შორის ყველაზე უფრო გამოირჩევა რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც პირადი, ისე იდეური დამოკიდებულების მიხედვით, ნ. ი. ნიკოლაძის ურთიერთობა დიდ რუს განმანათლებლებთან"[18].

სტუდენტთა ცნობილ დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო 1861 წლის სექტემბერში, თავის ამხანაგებთან ერთად (გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.), ნიკო ნიკოლაძემ იგემა ცარიზმის რეპრესია (დაპატიმრებული სტუდენტები ჯერ პეტრეპავლეს ციხეში მოათავსეს და შემდეგ კრონშტადტის ყაზარმებში გადაიყვანეს). ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მან გაიცნო ნ. ჩერნიშევსკი, რომელთანაც მჭიდრო კავშირი დაამყარა. 1864 წლის დასაწყისში პარიზში ის გაეცნო ა. გერცენს და „კოლოკოლში" დაბეჭდა საინტერესო ნაშრომი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში" (1865 წ. №№ 198, 199).

ნ. ნიკოლაძემ საგლეხო რეფორმის მეტად მკვეთრი დახასიათება მოგვცა, როდესაც განაცხადა „მეფემ ხალხი მოატყუა"[19], გლეხობა კიდევ უფრო მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მოექცა და სხვ. ნ. ნიკოლაძე შედარებით ვრცლად იხილავს საგლეხო რეფორმის 1864 წლის ადგილობრივ დებულებას და მიუთითებს მის აშკარა მებატონურ ხასიათზე. კერძოდ, მიწის გამოსყიდვის შესახებ ის შემდეგს წერს: „მთავრობამ მიწის გამოსყიდვა, საერთოდ, და მისი ყოველი პირობა, ცალ-ცალკე, გადასაჭრელად მიანდო... მემამულეთა „ნებაყოფლობით შეთანხმებას" გლეხებთან!.. უმიწაწყლო, ულუკმაპურო გლეხი, რომელსაც საშუალება არ გააჩნია რამე სამუშაო იშოვოს, უნდა დასთანხმდეს მემამულის ყველა შესაძლებელ და შეუძლებელ პირობას, რომ თავი დააღწიოს თავისი მეურნეობის ნაწარმოებთა მეოთხედი ან მესამედი ნაწილის გაღებას; ასეთ მდგომარეობას „ნებაყოფლობით შეთანხმებას" უწოდებენ! — დაასკვნის ავტორი[20].

ილაშქრებდა რა თავადაზნაურობის წინააღმდეგ, ნ. ნიკოლაძე წერდა: „ახალი თაობის ამოცანას შეადგენდა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების განხორციელება, რომლის დროსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსპობილი იქნებოდა ყოველგვარი პრივილეგიური კლასები, მაშასადამე, მოსპობილი იქნებოდა თავადაზნაურობაც"[21]. ამასთან ის გადაჭრით მოითხოვდა მიწის გადაცემას მშრომელი ხალხისათვის[22].

ზემოაღნიშნულიდან ის გამომდინარეობს, რომ თერგდალეულთაგან ნ. ნიკოლაძე გვევლინება გლეხობის დიდ ქომაგად, საერთოდ, და საგლეხო რეფორმის ყველაზე მკვეთრ მამხილებლად, კერძოდ.

დავახასიათოთ ნ. ნიკოლაძის ცნობილი თანამებრძოლი გ. წერეთელი.

როგორც აღნიშნული იყო გ. წერეთელსაც დაედო მეფის თვითმპყრობელობის მსჯავრი 1861 წ. სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო. ნ. ნიკოლაძის მსგავსად, გ. წერეთელიც უფრო რადიკალურ პოზიციაზე იდგა, ვიდრე თერგდალეულთა პირველი თაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ბატონყმობის შესახებ გ. წერეთელი იმ შეხედულების იყო, რომ ის „ან

---

[18] გ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1955, გვ. 70.

[19] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 1, ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს რედაქციით, 1931, გვ. 177.

[20] იქვე.

[21] გ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

[22] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახალ შემოსულ მოთხოვნილებებისამებრ"[29].

საგლეხო რეფორმის ანალიზს გ. წერეთელი გლეხობის ინტერესებიდან აწარმოებდა და შედარებით „მეტის" მოთხოვნის პრინციპით ხელმძღვანელობდა გლეხობის სასარგებლოდ და ამ მხრივ გვერდში ედგა ნ. ნიკოლაძეს. მაგრამ, ამის მიუხედავად, არც მას შეეძლო ამაღლებულიყო რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიული აზროვნებისა და კერძოდ ნ. ჩერნიშევსკის დონემდე. ეს მოვლენა საქართველოს საერთო მდგომარეობისა და განვითარების დონით იყო შეპირობებული, რაზედაც უკვე ითქვა.

საგლეხო რეფორმა მან ასე შეაფასა: „ხალხი... ერთი-ორად დაბეგრდა და ამას გარდა მას საკუთრებაც დაეკარგა"[24].

თერგდალეულთა „ახალი ახალგაზრდობის" შემადგენლობაში სერგეი მესხიც შედიოდა. გიორგი წერეთლის შემდეგ 1869 წლიდან ის გაზ. „დროების" ხელმძღვანელია.

სერგი მესხმა შეიცნო ისტორიული ჭეშმარიტება, რომ მემამულეებსა და გლეხებს შორის წარმოებდა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა. ის წერდა: „ბატონსა და ყმებს შუა სუფევდა მუდამ განხეთქილება და უთანხმოება"[25]. სერგეი მესხი მკაცრად აკრიტიკებდა ქართველ თავადაზნაურობას.

ს. მესხი აღიარებდა, რომ გლეხთა მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად საჭიროა მათ ჰქონდეთ მიწა, ფული და განათლება. მისი ეს დასკვნა გამომდინარეობდა საქართველოში იმ დროს შექმნილი ახალი სოციალ-ეკონომიური ვითარების შეცნობიდან. ს. მესხი თვლიდა, რომ გლეხთა აჯანყებანი ხელს უწყობდნენ ქვეყნის განთავისუფლების საქმეს, მაგრამ ის არ მოუწოდებდა ხალხს აჯანყებისაკენ „რადგან დაუყოვნებლივი აჯანყების გზით მისი ეროვნული და დემოკრატიული იდეალების განხორციელება 70-იან წლებში შეუძლებელი იყო"[26].

ს. მესხი ეხება ბატონყმობის ნაშთების საკითხს და აღნიშნავს, რომ „ჩვენს გლეხს უმიწაწყლოდ... ცხოვრება არ შეუძლია" ... გლეხებმა უნდა მიმართონ ნაბატონევს და ღალა გაიღონ; მათ უმეტესობას, — „სამესამედოდ და ზოგან სანახევროდაც აქვთ მიწები აღებული"[27]. ამ შემთხვევაში სწორად ახასიათებს ს. მესხი გლეხთა უნუგეშო მდგომარეობას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, რადგან რუსეთთან შედარებით, ჩვენი გლეხობა გაცილებით უარეს კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა; ამას აპირობებდა საქართველოს მცირემიწიანობა და რუსეთის ცარიზმის მხრივ ქართველი თავადაზნაურობისადმი მეტი მზრუნველობის გამოჩენა.

რაც შეეხება გლეხთა რევოლუციის საკითხს, ს. მესხს მიაჩნდა, რომ საქართველოში არ იყო პირობები ხალხის ჩაბმისათვის რევოლუციურ ბრძოლაში. ამრიგად ის ქვეყნის შიგნით არსებული ვითარებიდან გამოდიოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელთა რიგებს

---

[23] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, გვ. 31.

[24] „დ რ ო ე ბ ა", № 10, 1879 წ.

[25] ს. მ ე ს ხ ი, ნაწერები, 1903, გვ. 60 (მოტანილია მიხეილ გაფრინდაშვილის წიგნიდან „ქართული განმანათლებლობა", 1966, გვ. 177).

[26] მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[27] იქვე, გვ. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეკუთვნება ცნობილი პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი[28].

იაკობი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში; კერძოდ, მას (სხვებთან ერთად) დიდი წვლილი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნისა და ხელმძღვანელობის საქმეში. იაკობ გოგებაშვილიც ორი პრობლემის ირგვლივ რაზმავდა ქართველ ხალხს: ეს პირველ რიგში ეროვნული საკითხია, რომელსაც ის წინა პლანზე აყენებდა. ამასთან იაკობი იბრძოდა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მოითხოვდა ბატონყმობის ნაშთების მოსპობასა და გლეხობის მიწის მესაკუთრედ გადაქცევას.

XIX ს-ის 50—60-იან წლებში რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარებისა და მის ნიადაგზე გაშლილი საზოგადოებრივი მოძრაობის გათვალისწინება ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ამ ორ ქვეყანას შორის, ძირითადად საერთოსთან ერთად, ადგილი ჰქონდა განსხვავებასაც, რამაც განაპირობა დასახელებული პერიოდის იდეოლოგიური მსგავსებაგანსხვავებაც რუსეთის რევოლუციურ დემოკრატებსა და თერგდალეულებს შორის. პირველნი უფრო შორს წავიდნენ და გლეხთა რევოლუციის იდეოლოგებად მოგვევლინენ, ხოლო მეორენი, ორი პრობლემის გადაჭრისათვის თავდადებულად მებრძოლნი, საქართველოს სინამდვილის მიერ ნაკარნახევი ამოცანების შეცნობის სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და რუსული ჩერნიშევსკისებური რევოლუციონიზმი მექანიკურად არ გადმოიტანეს.

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ თერგდალეულთა შეფასებისათვის საყურადღებო აზრი მოგვცა ღრმად მოაზროვნე ქართველმა მეცნიერმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომელიც აღნიშნავს შემდეგს: „თერგდალეულთა ბელადმა (ილია ჭავჭავაძემ, — **გ. ფ.**) დიდი რეალისტი მხატვრის კალმით დახატა ბატონყმური საქართველოს კლასობრივი ურთიერთობის სურათები, პირველმა აღნიშნა და განმარტა „ჩატეხილი ხიდის“ სოციალური ფაქტი და ამ ხიდის ჩატეხის დროც სწორად განსაზღვრა.

მაგრამ თერგდალეულებმა, იმ დროის საქართველოს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ პირობებში, ვერ დასახეს რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ქადაგება თავს იდვეს.

ამის შემდეგ თერგდალეულთ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მდგარიყვნენ რევოლუციონერ-დემოკრატთა პოზიციაზე, ე. ი. იმ პოზიციაზე, რომლის ერთადერთი სწორი შემდგომი განვითარება იქნებოდა მარქსიზმი, ანუ რევოლუციური კლასთა ბრძოლის აღიარება საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზად. ამდენადვე თერგდალეულები ვ ე რ შ ე რ ჩ ნ ე ნ მარქსიზმის წინამორბედთა პოზიციებს“[29].

ქართველ თერგდალეულთა მსოფლმხედველობა ისეთივე სპეციფიკური იყო, როგორიც მათი დროის საქართველოს სინამდვილე.

---

[28] გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, იაკობ გოგებაშვილი — მონოგრაფია, 1952, გვ. 31.

[29] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები), თბ., 1964, გვ. 9—10 (ხაზი ჩვენია, — **გ. ფ.**).

წარმოადგინა პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სსრკ-ის ისტორიის კათედრამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, მზითვის წიგნები*

ქართულ დოკუმენტურ წყაროებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მზითვის წიგნებს, რომლებშიც ძალზე საინტერესო და მრავალმხრივი მასალაა დაცული საქართველოს სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიისათვის.

ზემოხსენებული სახის დოკუმენტებს, როგორც ძვირფას წყაროს საქართველოს წარსულის შესასწავლად ყურადღება მიაქციეს მ. ბროსემ, მ. ჯანაშვილმა, ექ. თაყაიშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, ს. კაკაბაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ს. ბარნაველმა და სხვებმა. მათ მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია XVII—XIX სს. მზითვის წიგნების ნაწილი, ზოგჯერ სათანადო კომენტარებითაც[1].

* ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა, თბ., 1974.

[1] M. Brosset, Notice sur un document géorgien du XVII-e s. Mélanges asiatiques tirés du «Bulletin de l'Académie impériale des sciences de St. Petersbourg, tome III (1857, 1859), St. Petersbourg, 1859; ივერია, 1889, № 234, 235; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფილისი, 1899, გვ. 403—408; ტ. II, 1909, გვ. 432—434; ტ. III, 1910, გვ. 477—491; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები XIII—XIX სს, წ. II, გამოსაცემად მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში დარეჯან მეგრელაძისა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ, თბილისი, 1974, გვ. 16—25; ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, მზითვის წიგნი დადიანის ქალის ქართლის დედოფლის მარიამის, 1634, საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფილისი, 1925, გვ. 17; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი 1955, გვ. 225, 339, 360, 396, 416, 444, 470, 484, 513, 520, 529, 530, 535; ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ოხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. III, თბილისი, 1963, გვ. 171—.181; ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე X—B, თბილისი, 1940, გვ. 205—233; ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დადიანის ასულის მარიამის მზითვის წიგნი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIII—B, თბილისი, 1962.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVI—XVIII სს საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობათა შუქზე, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან", თბ., 1966, გვ. 193; კ. კ უ ც ი ა, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 47; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, XVII—XVIII საუკუნეთა ქართული დოკუმენტური წყაროები ირან-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ (ზოგადი მიმოხილვა), „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", II, თბ., 1972, გვ. 104—131; მ ი ს ი ვ ე, თურქეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა XVII—XVIII საუკუნეების ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით. ჟურნ. „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1973, № 2, გვ. 143—150.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური ისტორიის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესასწავლად.

ქართული დოკუმენტური მასალების მიხედვით შეიძლება ვუჩვენოთ, მაგალითად, ირანის როგორც საშინაო ვაჭრობის სტრუქტურა, ისე მისი საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია (რა თქმა უნდა, საამისო ტერმინოლოგიის ანალიზისა და სათანადო აღმოსავლურ წყაროებთან შედარება-შეჯერების საფუძველზე"[3].

როგორც ვხედავთ, მზითვის წიგნების მონაცემები საშუალებას იძლევა საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესწავლისა, ამიტომაცაა, რომ მკვლევრები შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ და იჩენენ მათდამი.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მხოლოდ ნაწილი მზითვის წიგნებისა გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა დროს ქართველ მკვლევართა მიერ, თვით ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა შაჰნავაზის მზითვის წიგნი (1667 წ.) უკანასკნელ ხანებამდე არ ყოფილა გამოცემული[4].

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს წარსულით დაინტერესებულმა ქართველმა მკითხველმა კარგი საჩუქარი მიიღო: ისტორიკოსმა მზია იაშვილმა გამოსცა მზითვის წიგნების საკმაოდ ვრცელი კრებული[5].

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილია ძირითადად თბილისის სიძველეთსაცავებში დაცული მზითვის წიგნები, რომელთაგან ზოგი ადრეც იყო გამოცემული, ხოლო ზოგი კი პირველად ქვეყნდება. სულ, წინამდებარე პუბლიკაციაში 135 მზითვის წიგნია, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1597—1923 წწ. აქედან, XIX ს-ის 60-იან წლებამდე 94 მზითვის წიგნი მოდის, 41 — კი XIX ს-ის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდისა და XX ს-ის დასაწყისს განეკუთვნება. თვით გამომცემლის განცხადებით წინამდებარე პუბლიკაციასაც სისრულის პრეტენზია არა აქვს[6]. შესაძლოა, რომ კვლავ გამოჩნდეს ამ სახის დოკუმენტები!

წინამდებარე გამოცემაში მოქცეული მზითვის წიგნები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან (ფეოდალური არისტოკრატია, მოქალაქენი, ვაჭარ-ხელოსნები...), ამდენად მათი შინაარსიც სხვადასხვაა.

მზითვის წიგნების შინაარსის საშუალებით შესაძლებელი ხდება მისი გამცემის ქონებრივი, სოციალური მდგომარეობისა და კულტურის დონის დადგენა... სხვაგვარი საქონელია შაჰნავაზის, ელისაბედ ბატონიშვილის, ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს, ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნებში და სხვაა, ვთქვათ, გოგია ხოსრუაშვილის ქალის თალალას[7] ან მაია ბეგოვის[8] მზითვის წიგნებში.

ფეოდალური არისტოკრატიის ქალებისათვის გატანებულ მზითევში თვალ-მარგალიტისა, ძვირფასი ქსოვილებისა და ტანსაცმლის გვერდით ცენტრალურ ადგილზე გვხვდება სასულიერო და მხატვრული ლიტერატურა (რასაკვირველია, აუცილებლად „ვეფხისტყაოსანი"!).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოცემა ყველაზე სრულია მზითვის წიგნების გამოცემათა შორის. მას თან ახლავს ლექსიკონი და საგნობრივი საძიებელი, რაც მკითხველს უადვილებს წიგნით სარგებლობას.

სარეცენზიო წიგნი მზია იაშვილის ხანგრძლივი შრომის ნაყოფია. გამომცემელს მიზნად დაუსახავს მზითვის წიგნების პუბლიკაციის შემდეგ ნარკვევის გამოქვეყნება, სადაც „მოცემული იქნება მზითვის წიგნების ყოველმხრივი შესწავლის ცდა"[9].

გამომცემლის ეს განზრახვა უდავოდ მისასალმებელია და დაინტერესებული მკითხველი ამ კარგი პუბლიკაციის შემდეგ ასევე კარგ და საინტერესო გამოკვლევას ელის.

წინამდებარე გამოცემას აქვს მცირეოდენი ხარვეზი: გამოტოვებულია ადრე გამოცემული რამოდენიმე მზითვის წიგნი[10]. იმ დროს რო-

---

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის დოკუმენტური წყაროები, „მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები", თბ., 1968, გვ. 24, 25;

[4] როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა ხსენებული დოკუმენტის გამოქვეყნება. მისი პირი აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის არქივში და გამოიცა 1974 წ. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII—XIX სს), წიგნი II.

[5] მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, მზითვის წიგნები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა.

[6] მზითვის წიგნები, გვ. 5.

[7] იქვე, გვ. 144.

[8] იქვე, გვ. 173.

[9] იქვე, გვ. 5.

[10] იოანე დოლენჯიშვილის ქალის მზითვის წიგნი დათარიღებულია 1795 წლის აგვისტოს 15-ით. საქართველოს სიძველენი, I, ტფილისი, 1899, გვ. 403—408; მზითვის სია მიცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც გამოქვეყნებული მზითვის წიგნების ნაწილი შევიდა წინამდებარე გამოცემაში, ვფიქრობთ, რამოდენიმე მზითვის წიგნის გამოტოვება არაა გამართლებული.

ლექსიკონი საკმაოდ გულდასმითაა შედგენილი, მაგრამ არაა მითითებული სიტყვების წარმომავლობა. სასურველი იყო გამომცემელს ეჩვენებინა თუ სადაურია ესა თუ ის ტერმინი.

გამომცემელი წერს: „რიგი სიტყვების ახსნა, მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ცდებისა და სპეციალისტთა თავაზიანი დახმარებისა, ვერ შევძელით, მაგრამ ასეთი სიტყვების გატანა „ლექსიკონში“ მაინც მიზანშეწონილად ვცანით“[11].

ჩვენი აზრით, ზოგიერთი განმარტების გარეშე დატოვებული სიტყვის ახსნა შესაძლებელი უნდა იყოს, ზოგიერთი ტერმინის განმარტებას კი სიზუსტე აკლია.

მოვიტანთ ორიოდე მაგალითს: განმარტების გარეშეა დატოვებული „გუჯრათის ჩაქსული“ (გვ. 331).

გუჯრათი ერთ-ერთი პროვინციაა ინდოეთისა, ჩაქსული კი ზოლიანი ქსოვილია[12].

ლექსიკონში და საძიებელში არაა გატანილი „ნახლი“[13], არც ნახლაბები[14].

ნახლი ძვირფასი ქსოვილია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ნახლი-ნაქსოვი ძვირფასი არის“. დავით ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“, „რუსუდანიანის“ და „აბდულმესიის“ დამოწმებით ნახლს, როგორც „ზარიან ფარჩას“ ასე განმარტავს[15].

სიზუსტე აკლია ზოგიერთი სიტყვის განმარტებას: „ხათაია“ განმარტებულია როგორც მძიმედ ნაქსოვი ჩინური ფარჩა (გვ. 337) „ხათაია“ თავდაპირველად მართლაც ჩინეთში დამზადებულ მძიმედ ნაქსოვ ფარჩას ეწოდებოდა[16], მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგ იგი ძვირფასი ქსოვილის საზოგადო სახელწოდებად იქცა. მაგ., ერთ საბუთში გვხვდება „ჩაქსული მძიმე ინდის ხათაიის“[17]; ჩვენს განკარგულებაშია აგრეთვე სხვა საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ „ხათაიას“ ამზადებდნენ იეზდშიც[18]. ერთ საბუთში გვხვდება აგრეთვე „თურქესტან ხათაია“[19].

გამომცემელი წერს: ბადახშანი — ძვირფასი ლალი (ქალაქ ბადახშანიდან) გვ. 330.

ბადახში, ბადახშანი (ლალის სახელწოდება) დაკავშირებულია არა ქალაქის, არამედ მხარის სახელთან (თუმცა ქალაქი ბადახშანი არსებობდა!)[20]. ბადახშანის, ბადახშანური ლალის შესახებ ვრცელი განმარტებაა მოცემული აკად. ვ. ბარტოლდის და აკად. გ. წერეთლის ნაშრომებში[21].

ჩვენი შენიშვნების მიზანია: გამომცემელმა გაითვალისწინოს იგი გამოკვლევის წერისას და მცირედი ხარვეზიც აიცილოს თავიდან. შენიშვნები ვერ ჩქმალავს სარეცენზიო წიგნის დიდ ღირსებას.

დავით კაციტაძე

სიონის დეკანოზის იოსებ ავალიანის (იგივე ავალოვის) მიერ თავისი ასულის მარიასადმი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 470—473; მზითვის წიგნი, მიცემული გაბრიელ მაღალოვის მიერ თავისი ასულის სოფიოსადმი (შედგენილია 1833 წლის თებერვლის 1). მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 513—518; მზითვის სია კნეინა მარიამ თარხან-მოურავისა (შედგენილია 1843 წ. მარტის 28). მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 520.

[11] მზითვის წიგნი, გვ. 330.

[12] მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებელი შეადგინა მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ მა, თბილისი, 1957, გვ. 13, 48.

[13] გვხვდება შაჰნავაზის მზითვის წიგნში: „კიდევ ტყავი ალისფერის ნაახლის ზარბაბის ერთი“, გვ. 22.

[14] შაჰნავაზის მზითვის წიგნი: „კიდევ იეზდური ნახლბაბი თეთრი კაბა ერთი“. გვ. 25.

[15] ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 481; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 176.

[16] მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[17] ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, თბ., 1940, გვ. 216.

[18] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 271.

[19] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 270.

[20] В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, сочинения, VII, М., 1971, გვ. 51.

[21] В. В. Бартольд, Бадахшан, сочинения, III, М., 1965, გვ. 343; გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, ბალახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში, აღმოსავლური ფილოლოგია, II, თბ., 1972, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები*

(შესწავლის შედეგები და ამოცანები)

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს ქართველოლოგიური საკითხების შესასწავლად. ამ ძეგლებში წარმოდგენილია მასალები ქართული დამწერლობის განვითარების, ქართული ენის, ქართული ხელოვნების, საქართველოს და მისი მეზობელი ხალხების პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ისტორიის შესახებ. ამ საკითხების ზოგიერთი უმთავრესი პრობლემის შესასწავლად ძირითადი მონაცემები, ხშირად, მხოლოდ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებშია ასახული. აღნიშნულის გამო, მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბებიდანვე (XIX ს-ის 40-იანი წლები), ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლას (მათ შეკრებას, პუბლიკაციას) განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ჯერ კიდევ XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში აკად. ა. გიულდენშტედტმა, რომელმაც რუსეთის მთავრობის დავალებით შემოიარა ამიერკავკასიის სახელმწიფოები და მათ შორის საქართველო, თავისი მოგზაურობის ჩანაწერებში შეიტანა ორ ათეულამდე ქართული წარწერა.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები პირველად საგანგებოდ შეკრიბა ფრანგმა მოგზაურმა, გეოგრაფმა და ნატურალისტმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ. დიუბუამ XIX ს-ის 30-იან წლების დასაწყისში შემოიარა კავკასია და მოგზაურობისას შეკრებილი მასალები პარიზში გამოსცა ხუთ ტომად. მასალებში გამოქვეყნებულია რამდენიმე ათეული ქართული წარწერა, რომლებიც დიუბუასეული ჩანაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა მ. ბროსემ. ქართული წარწერების ეს პუბლიკაცია განსაკუთრებით ძვირფასია და მნიშვნელოვანი, რადგან რამდენიმე წარწერა (მათ შორის X და XI—XII საუკუნეებისა), დიუბუას მიერ გადმოღებული და გამოცემული, ამჟამად არ არსებობს: ეს წარწერები განადგურდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. ამ დროიდან დაწყებული დღემდე, არსებული პუბლიკაციების დახმარებით, ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ მეტად სავალალო სურათს, თუ როგორ ნადგურდებოდა ზოგჯერ უნებლიედ და ზოგჯერაც შეგნებულად, ადამიანის ჩარევით, ქართული წარწერები, რომელთაგან ბევრი ფასდაუდებელი იყო ქართველოლოგიური საკითხების შესასწავლად.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სისტემატიური შესწავლა პირველად აკად. მ. ბროსემ დაიწყო. 1841—1842 წწ. საქართველოში მოგზაურობის დროს შეკრებილი წარწერები მან გამოსცა თავის ცნობილ Rapports-ებში (1,2 Rapport-ი დაიბეჭდა 1849—1851 წწ. სამ წიგნად). მათში გამოქვეყნებულია 400-მდე ქართული წარწერა. მნიშვნელოვანია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლების ქართული წარწერების პუბლიკაცია, რომელიც მ. ბროსემ განახორციელა ნ. სარგისიანის მიერ მიწოდებულ ამ წარწერათა გრაფიკული გადმონახაზების მიხედვით. მ. ბროსე ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს აქვეყნებდა, აგრეთვე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა პერიოდულ ორგანოებში. მას ქართული წარწერების გამოცემაში დიდ დახმარებას უწევდნენ (გადმოწერილი და ხშირად გაშიფრული ტექსტების, წარწერათა გრაფიკული გადმონახაზებისა და აღწერილობათა მიწოდებით) დ. მეღვინეთხუცესისშვილი, რ. ერისთავი, პ. იოსელიანი, ბართოლომეი, საქართველოს ეგზარქოსი ევგენი და სხვები. მ. ბროსემ პირველმა დაიწყო ქართული წარწერების ტექსტების გამოცემა დედნისეული შრიფტით (ასომთავრული, მხედრული), თარგმანებით (ფრანგულ ენაზე) და კომენტარებით (რომელთა ერთ ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მ. ბროსემ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა თავისი დროის აკადემიური პუბლიკაციების დონეზე დააყენა.

---

* განხილვის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები შესწავლილი აქვთ საქართველოს ისტორიის ცნობილ მკვლევარებს XIX საუკუნეში პლ. იოსელიანს და დ. ბაქრაძეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დ. ბაქრაძის ნაშრომი—„Археологическое путешествие по Гурии и Адчаре“ (СПб., 1878), რომელშიც პირველად არის გამოქვეყნებული გურიისა და აჭარის ქართული წარწერები, ტექსტების დედნისეული შრიფტით, თარგმანებით რუსულ ენაზე და საყურადღებო კომენტარებით. ხატებზე მოთავსებული ქართული ჭედური წარწერების ნაწილი გამოქვეყნებულია დ. ბაქრაძის მეორე ნაშრომში — „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии“ (СПб., 1890, აღწერილობა შედგენილია ნ. კონდაკოვის მიერ; დ. ბაქრაძეს ამ ნაშრომში ეკუთვნის წარწერათა ტექსტების გამოსაცემად მომზადება და მათი თარგმანები რუსულ ენაზე).

საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის — ჯავახეთის, ქართული წარწერების მონოგრაფიული გამოცემის ცდას წარმოადგენს ივ. როსტომაშვილის ნაშრომი — „Ахалкалакский уезд в археологическом отношении“ (СМОМПК, XXV, 1898). მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა (კრებული არ არის სრული, არც ერთი წარწერის გრაფიკული გადმონახაზი არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას, ხშირად ტექსტების გაშიფრვა არ არის სრულყოფილი) ეს ნაშრომი 1959 წლამდე ერთადერთი კრებული იყო (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯავახეთის რამდენიმე წარწერის ცალკე პუბლიკაციას ზოგიერთი მკვლევრის მიერ), რომელიც რამდენადმე მთლიანი სახით წარმოგვიდგენდა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჯგუფს — ჯავახეთის წარწერებს.

ყვირილის ხეობის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე მოთავსებული წარწერების ერთი ნაწილი და გელათის მონასტრის წარწერები გამოსცა მწერალმა გ. წერეთელმა. ქართული წარწერების პუბლიკაციები (ხშირად მაღალხარისხოვანი ფოტოების თანხლებით) წარმოდგენილია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ორგანოს — „Материалы по археологии Кавказа“ (МАК)-ის სხვადასხვა ტომებში [т. III (1893), т. IV (1894), т. VII (1898), т. X (1904), т. XII (1909)]. ამ პუბლიკაციების ავტორები არიან საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პრ. უვაროვა, აკად. მ. პავლინოვი, მოგვიანებით ექ. თაყაიშვილი და სხვ.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეკრება-გამოცემის და შესწავლის საქმეში განსაკუთრებულია აკად. ექ. თაყაიშვილის დამსახურება. ექ. თაყაიშვილი ხუთეულად წელზე მეტი ხნის მანძილზე, მის მიერ დაარსებულ სპეციალურ კრებულებსა და სერიებში [„არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, 2 წიგნი: წ. I (1907), წ. II (1914); „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, 5 წიგნი: вып. I (1905), вып. II (1905), вып. III (1907), вып. IV (1913), вып. V (1915)], აგრეთვე, არქეოლოგიურ მოგზაურობათა ანგარიშებში და ცალკეულ სტატიებში, სისტემატიურად აქვეყნებდა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს. მიუხედავად ზოგიერთი არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებებისა (კრებულები არ არის სრული, მასალის პუბლიკაცია არ არის ერთგვაროვანი), ქართული წარწერების ექ. თაყაიშვილისეული პუბლიკაციები დღემდე წარმოადგენენ მკვლევართათვის დასაყრდენს ქართული ეპიგრაფიკის მონაცემების გამოყენებისას.

რაჭის ისტორიული ძეგლების წარწერები გამოსცა გ. ბოჭორიძემ [იხ. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. V (1928), ტ. VII (1931—1932), ტ. VIII (1933—1934)]. აღმოსავლეთ საქართველოს წარწერების [დმანისის სიონის (1938), ბოლნისის სიონის (1941), მცხეთის სვეტიცხოვლის (1941), სამშვილდის სიონის (1943) და სხვ.] საყურადღებო პუბლიკაციები განახორციელა ლ. მუსხელიშვილმა.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების უმთავრეს საცავს წარმოადგენს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდი. ამ ფონდის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ და ს. ბოლქვაძემ („საქართველოს სახ. მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი“, თბ., 1953). კატალოგში წარმოდგენილია 69 ქართული წარწერის პუბლიკაცია.

ცალკეული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები შეისწავლეს და გამოსცეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა, აკად. კ. კეკელიძემ, აკად. გ. ჩუბინაშვილმა, აკად. აკ. შანიძემ. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ცალკე აღებული ჯგუფის ყოველმხრივი შესწავლის ნიმუშია აკად. გ. წერეთლის მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“ (თბ., 1960).

ქართული ხელოვნების ძეგლების შესწავლისას მათზე არსებული წარწერების შესწავლა და პუბლიკაცია წარმოებდა და წარმოებს გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ის-

ტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების მიერ (აკად. ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე). ამავე ინსტიტუტის თანამშრომელმა თ. ბარნაველმა შეადგინა და გამოსცა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების სამი კრებული („ატენის სიონის წარწერები", თბ., 1957. „მანგლისის ტაძრის წარწერები", თბ., 1961; „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები", თბ., 1962) და რამდენიმე სპეციალური სტატია ქართული წარწერების პუბლიკაციით.

ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლები საგანგებოდ შეისწავლა და ამ კუთხის 80-მდე წარწერის კრებული გამოსცა ვ. ცისკარიშვილმა („ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო", თბ., 1959).

ქართული წარწერების შეკრებასა და შესწავლა-გამოცემას აწარმოებენ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლები და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები. ქართული წარწერების შესწავლა მიმდინარეობს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშიც.

ამრიგად, მასალა, რომელიც ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის 200 წლის მანძილზე დაგროვდა შემდეგი სახისაა:

1. შესწავლილია და გამოცემული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების უმთავრესი ნაწილი.

2. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების პუბლიკაციები მოთავსებულია სხვადასხვა ხასიათის და დანიშნულების გამოცემებში (სამეცნიერო, პოპულარულ, ისტორიულ, საენათმეცნიერო, ხელოვნებათმცოდნეობით და სხვ.). ამის გამო, ეს გამოცემები სხვადასხვა სამეცნიერო ღირსებისა და ხარისხისაა. ამავე დროს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

3. სხვადასხვა ტექნიკური შესრულებისა და მაშასადამე, ტიპობრივად არაერთგვაროვანი წარწერები ხშირად ერთად არის გამოცემული.

4. საგრძნობი ნაწილი ამ გამოცემებისა არასპეციალური დანიშნულებისაა, ეპიგრაფიკული ძეგლები მათში წარმოდგენილია როგორც დამხმარე მასალა.

5. საერთოდ, რამდენიმე მცირერიცხოვანი წარწერების შემცველი გამოცემების გამოკლებით, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების არსებული პუბლიკაციები ვერ აკმაყოფილებენ ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონის მოთხოვნებს.

6. ნაკლებად არის შესწავლილი ქართული ეპიგრაფიკის თეორიული საკითხები. ზოგიერთი წარწერის პუბლიკაციისას გამოთქმული ცალკეული შენიშვნების გარდა, არაფერი მოგვეპოვება ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით ქართული დამწერლობის განვითარების, მისი სახეობების, ცალკეული კალიგრაფიული სკოლების, მტკიცედ განსაზღვრული და ზუსტად შედგენილი პალეოგრაფიული ტაბულების და, აგრეთვე, სხვა თეორიული საკითხების შესახებ. ეს, ცხადია, მეორე რიგის ამოცანაა; მისი დამუშავება შესაძლებელია ეპიგრაფიკული ძეგლების სრული კრებულების შედგენის შემდეგ.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს. წარწერები ქართული წყაროთმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. V—XVIII სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილია ქართველი ხალხის ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალი სფერო და ამ ძეგლების თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად გამართული გამოცემების მომზადება გადაუდებელი ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კოორდინირებული მუშაობით, კვალიფიციურ მკვლევართა ჯგუფის მიერ. საჭიროა ამ საქმის დროულად მოგვარება იმიტომაც, რომ წარწერები, სხვა სახის წერილობითი ძეგლებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად განიცდიან როგორც ბუნებრივი, ასევე ხშირად ხელოვნური ზემოქმედების მავნე გავლენას, ნადგურდებიან და სამუდამოდ იღუპებიან შთამომავლობისათვის. ჩვენ მოგვეპოვება სამწუხარო ფაქტები იმისა, თუ როგორ განადგურდა და საბოლოოდ დაიღუპა უძვირფასესი ქართული წარწერები არა თუ XIX ს-ის II ნახ-ში, არამედ ჩვენი საუკუნის 20-იან, 30-იან და 60-იან წლებშიც კი. ამავე დროს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გამოცემული და უცნობია სამეცნიერო ლიტერატურაში. მარტო დასავლეთ საქართველოში, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ღარიბია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით (განსაკუთრებით ქვაზე შესრულებული წარწერებით), 1970—1972 წლებში აღმოჩნდა 250-ზე მეტი უცნობი ლაპიდარული წარწერა, რაც ამ კუთხის ლაპიდარული წარწერების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რამდენად გადაუდებელი საქმეა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ყოველმხრივი შესწავლა, მათი შეკრება და გამოცემა. ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ნახევარი საუკუნის წინ აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ „ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscriptionum Georgicarum-ის გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიად საქმეს შესაფერი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი“ (ივ. ჯ ავ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართულ დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ. 1926, გვ. 24—25).

* * *

ქართული წარწერების რაოდენობა, როგორც აღინიშნა, რამდენიმე ათასს აღწევს. მათი ქრონოლოგიური ფარგლები მოიცავს V—XVIII სს.; ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, იმის მიხედვით თუ რა მასალაზე რომელი იარაღითაა შესრულებული, სამი ტიპის დამწერლობის ძეგლებად იყოფიან: 1. ლაპიდარული დამწერლობის ძეგლები (ქვაზე გამოქანდაკებით, ამოკვეთით, ან ამოკაწრვით შესრულებული წარწერები). 2. ჭედური დამწერლობის ძეგლები (ლითონზე გამოჭედვით, ჩაჭდევით, ან ამოკაწრვით შესრულებული წარწერები) და 3. ფრესკული დამწერლობის ძეგლები (ეკლესიების კედლებზე გამოსახული ფრესკების თანმხლები, ან სხვა დანიშნულებისა და შინაარსის წარწერები, შესრულებული საღებავით). თითოეულ ამ ტიპს მისთვის დამახასიათებელი პალეოგრაფიული თავისებურებანი გააჩნია. ამიტომ, წარწერათა კრებულების შედგენისას საჭიროა წარწერათა დაჯგუფებას დამწერლობათა ტიპების მიხედვით საგანგებო ყურადღება მიექცეს.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების რამდენიმე გამოცემული კრებული, როგორც წესი, შედგენილია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით (მაგ. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, ჯავახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები...), ან ხუროთმოძღვრული ძეგლების მიხედვით (მაგ. ატენის სიონის წარწერები, მანგლისის ტაძრის წარწერები, გელათის წარწერები...). ამავე დროს, ამ კრებულებში სხვადასხვა ტიპის წარწერები ერთად არის თავმოყრილი.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემა გეოგრაფიული პრინციპით ქართული ეპიგრაფიკის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. საჭიროა ამ ძეგლების სრული კრებულების გამოცემა გეოგრაფიულ-ქრონოლოგიური პრინციპით.

სერია **„ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები“**, შეიძლება გამოიცეს ხუთ წიგნად, შემდეგი გეოგრაფიული რაიონებისა და ქრონოლოგიური საზღვრების მიხედვით:

წიგნი I. V—X სს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები.

წიგნი II. აღმოსავლეთ საქართველოს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (XI—XVIII სს.).

ნაკვეთი 1. ლაპიდარული წარწერები.

ნაკვეთი 2. ჭედური წარწერები.

ნაკვეთი 3. ფრესკული წარწერები.

წიგნი III. დასავლეთ საქართველოს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (XI—XVIII სს.).

ნაკვეთი 1. ლაპიდარული წარწერები.

ნაკვეთი 2. ჭედური წარწერები.

ნაკვეთი 3. ფრესკული წარწერები.

წიგნი IV. სამხრეთ საქართველოს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (XI—VXIII სს.).

წიგნი V. საქართველოს გარეთ არსებული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (XI—XVIII სს.).

პ ი რ ვ ე ლ წ ი გ ნ შ ი წარწერები განლაგდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ლაპიდარული, ჭედური და ფრესკული დამწერლობით შესრულებული ძეგლების ერთად თავმოყრით. აქ მოთავსდება, როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ აღმოჩენილი V—X სს. ქართული წარწერები. V—X სს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ერთად თავმოყრა და ერთ კრებულად გამოცემა აუცილებელია, როგორც მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის, ისე მათთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამო.

მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე წ ი გ ნ ე ბ ი ს შესაბამის ნაკვეთებში წარწერები განლაგდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დამწერლობის ტიპების მიხედვით. ცალკე ნაკვეთების გამოყოფა გამოწვეულია წარწერათა მრავალრიცხოვნებით. ფრესკული წარწერები შეიძლება თითოეულ ნაკვეთში მოთავსდეს ხუროთმოძღვრული ძეგლების მიხედვით.

მ ე ო თ ხ ე წ ი გ ნ შ ი მოთავსდება საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციების (ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ოლთისი) ეპიგრაფიკული ძეგლები (ლაპიდარული, ჭედური, ფრესკული წარწერები).

მ ე ხ უ თ ე წ ი გ ნ შ ი მოთავსდება ასევე ყველა ტიპის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ჩრდ. კავკასიიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, რუსეთიდან, ბულგარეთიდან და შუა საუკუნეების საქართველოს საზღვარგარეთული კულტურის ცენტრებიდან.

წარწერათა დასახელებული კრებულები, აქ წარმოდგენილი კუთხობრივ-ქრონოლოგიური და ტიპობრივი დანაწილებით, შეიძლება გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიცეს ნუმერაციის გარეშეც, საერთო სახელწოდებით **„ქართული წარწერების კორპუსი“**. ასეთ შემთხვევაში, წინასწარი ვარაუდით, კორპუსში შევა წარწერათა დაახლოებით 25 კრებული.

„ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების“ სერიის ნაკვეთებიდან გამოსაცემად მომზადებულია:

1. დასავლეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერები (მესამე წიგნის პირველი ნაკვეთი. მომზადდა ხელნაწერთა ინსტიტუტში, ვ. სილოგავა).

2. გამოსაცემად მზადდება V—X სს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (წიგნი I. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. სილოგავა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრა, ნ. შოშიაშვილი).

* * *

„ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების“ ნაკვეთებიდან დასავლეთ საქართველოს ლაპიდარული წარწერების კრებული მომზადებულია შემდეგი პრინციპების მიხედვით:

კრებულში წარწერათა ტექსტები წარმოდგენილია ორი შრიფტით: დედნისეული შრიფტით (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) და მათი თანამედროვე მხედრული ტრანსკრიპციით. დედნისეული შრიფტით დაბეჭდილ ტექსტებში დაცულია სტრიქონების დედნისეული განლაგება, განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნების იმ სახითვე წარმოდგენით, როგორც ეს წარწერაშია. წარწერათა ტექსტების მხედრული ტრანსკრიპციით გადმოცემისას დაცულია ის ნორმები, რომლებიც დღეს არის მიღებული ძველი ქართული ტექსტების გამოცემისას თანამედროვე პუნქტუაციით. როგორც დედნისეული, ისე თანამედროვე შრიფტით დაბეჭდილ წარწერათა ტექსტებს თან ერთვის კითხვასხვაობანი ყველა ადრინდელ გამოცემებთან. ასეთი სახით მომზადებულ წარწერათა ტექსტებს წინ უძღვის:

1. რიგითი ნომერი, რომელიც წარწერას მიკუთვნებული აქვს წინამდებარე კრებულში.

2. თარიღი; თუ თარიღი წარწერის ტექსტში არ არის წარმოდგენილი და დადგენილია გამომცემლის მიერ, ის ჩასმულია კუთხოვან კავებში.

3. წარწერის ადგილმდებარეობა. აღნიშნულია წარწერის ისტორიული ადგილმდებარეობა, ე. ი. ის სადაც წარწერა იყო მოთავსებული თავდაპირველად.

4. სახელწოდება (სამშენებლო; თუ მემორიალურია — ვის სახელზე არის შესრულებული; თუ საბუთს წარმოადგენს ტექსტში აღნიშნული სახელწოდებით — „ქართულად დაწერილი“).

5. წარწერისა და იმ საგნის (ძირითადად ქვის ფილის, იშვიათად ხის საგნის) აღწერილობა, რომელზედაც წარწერაა მოთავსებული. წარწერის აღწერილობაში აღნიშნულია:

ა. დამწერლობა, რომლითაც წარწერაა შესრულებული (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული, ნუსხურნარევი ასომთავრული ან პირიქით, ასომთავრულნარევი ნუსხური).

ბ. წარწერის შესრულების ტექნიკური სახეობა (ამოკვეთილი, რელიეფური, გრაფიტო).

გ. სტრიქონთა რაოდენობა.

დ. წარწერის ზუსტი და დაწვრილებითი ადგილმდებარეობა ხუროთმოძღვრულ ძეგლზე.

ე. წარწერის დაცულობა, ანუ შემონახვის ხარისხი.

ვ. დაწერილობის სახეობა, რომლითაც წარწერაა შესრულებული (კიდურწაისრული, კიდურწერტილოვანი, კიდურყვავილოვანი).

ზ. ასოების სიმაღლე.

ᲗᲐ. განკვეთილობის ნიშანი.

თ. ქარაგმის ნიშანი.

ფილის აღწერილობაში აღნიშნულია:

ა. ქვის ჯიში, თუ მისი განსაზღვრა შესაძლებელია.

ბ. ფილის ადგილმდებარეობა (შდრ. 5,დ).

გ. ფილის დაცულობა.

დ. ფილის ზომები.

ე. ფილის იმ ფართობის ზომა, რომელიც წარწერის ტექსტს უჭირავს, თუ ეს ფართობი მნიშვნელოვნად განსხვავდება ფილის საერთო ზომისაგან.

ვ. ფილაზე წარმოდგენილი გამოსახულების აღწერა, თუ წარწერა ამ გამოსახულებას ახლავს (ჯვარი — ზომების აღნიშვნით; წმიდანი; სხვადასხვა სიუჟეტური კომპოზიცია — ჯვრის ამაღლება, **ხარება, ვედრება და სხვა).**

6. წარწერის შენახვის თანამედროვე ადგილი, თუ ის ამჟამად თავდაპირველ ადგილას არ მდებარეობს.

7. წარწერის დათარიღება. წარწერის ტექსტში აღნიშნული თარიღი გადმოტანილია ისეთივე სახით (დასაბამითგან, ქრონიკონითი, ქრისტესითი წელთაღრიცხვით), როგორითაც ტექსტშია წარმოდგენილი და გვერდით მიწერილი აქვს მისი მნიშვნელობა წელთაღრიცხვის თანამედროვე სისტემაზე გადმოყვანისას. თუ წარწერის ტექსტში თარიღი არ არის აღნიშნული, ის დათარიღებულია:

ა. წარწერაში ასახული რეალიების (ისტორიული ფაქტი — ცნობილი და დადგენილი სხვა წყაროებითაც; ისტორიული პირი — მეფე, დედოფალი, კათალიკოსი, სახელმწიფო მოხელე) მიხედვით. ასეთი დათარიღებისას წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენილია გამომცემელის განკარგულებაში არსებული ყველა სახის არგუმენტი.

ბ. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. წარწერათა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღებისას დასაყრდენს წარმოადგენს X—XVIII სს. ქართული ლაპიდარული დამწერლობის შესწავლის თანამედროვე შედეგები. განმეორებათა თავიდან აცილების მიზნით, თითოეულ წარწერასთან, მისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღებისას, არ არის დასახელებული ის კონკრეტული პალეოგრაფიული ნიშნები, რომლებიც ასეთი სახის დათარიღების საშუალებას იძლევიან. თუ წარწერის ლეგენდაში არ არის საგანგებო მსჯელობა მისი თარიღის შესახებ, იგულისხმება, რომ წარწერა დათარიღებულია პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.

8. ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღნიშნულია წარწერის ტექსტის ყველა არსებული გამოცემა, როგორც ორიგინალის ენაზე, ასევე მაშინაც თუ ტექსტი მხოლოდ თარგმანის სახით არის გამოცემული. გამოცემები დასახელებულია შემოკლებულად, ხოლო მათი სრული სახელწოდება წარმოდგენილია კრებულისადმი დართულ ბიბლიოგრაფიულ სიაში. გამოცემების შემოკლებულად აღნიშვნისას აუცილებელია გამომცემლის გვარის დასახელება, რადგან ტექსტებისათვის დართულ გამოცემათა კითხვასხვაობებში ლიტერებად გამოყენებულია ის ქართული ასოები, რომელზედაც იწყება წარწერის გამომცემლის გვარი. ეს ლიტერები მითითებულია გამოცემებთან, მრგვალ კავებში. თუ ერთსადაიმავე ავტორს წარწერა გამოცემული აქვს რამდენიმეჯერ და ამ გამოცემებში განსხვავებული წაკითხვებია წარმოდგენილი, მისი გვარის ლიტერის ზედა მარჯვენა კუთხეში შესაბამისად დასმულია 1,2,3. წარწერის ტექსტის დედნისეული ჩვენება აღნიშნულია ლიტერით წრწ („წარწერაშია").

დასახელებულ სამეცნიერო-საცნობარო აპარატს მოსდევს წარწერათა ტექსტები. ტექსტის გამოცემისას გამოყენებულია შემდეგი ტექნიკური ნიშნები:

ა. ქარაგმები გახსნილია მრგვალ კავებში — ( ).

ბ. დაზიანებული ადგილები ჩასმულია ნახევარკუთხოვან კავებში — [ ], იმის მიხედვით, თუ ასოს რომელი (ზედა, ქვედა, ან ორივე ერთად) ნაწილია დაზიანებული.

გ. ტექსტის ნაკლული და გამომცემლის მიერ აღდგენილი ადგილები მოთავსებულია კუთხოვან კავებში — [ ].

დ. გამომცემლის მიერ დამატებული სიტყვები — ტეხილ კავებში < >.

ე. წარწერის შემსრულებლის მიერ შეცდომით ამოკვეთილი ზედმეტი სიტყვა, ან ასოკლაკნილ კავებში { }.

ვ. | — ერთი შვეული ხაზი აღნიშნავს სტრიქონის დასასრულს და მასთან დასმულია მომდევნო სტრიქონის რიგითი ნომერი. ნომრები დასმულია იმ შემთხვევაში, თუ წარწერაში სტრიქონთა რაოდენობა 5-ზე მეტია. თუ წარწერა ძირითადად შვეულად არის შესრულებული, ისე რომ თითოეულ სტრიქონში ერთი, ან ორი-სამი ასოა, ასეთ შემთხვევაში, შვეული ხაზები დასმულია მომდევნო სტრიქონის ნომრის აღნიშვნის გარეშე, მიუხედავად მათი რაოდენობისა.

ზ. || — ორი შვეული ხაზი დასმულია წარწერის ტექსტში მაშინ, თუ სტრიქონი გადადის ერთი ფილიდან მეორეზე, ან ტექსტი გრძელდება ერთი ფილიდან მეორეზე.

Თ. დედნისეული შრიფტით დაბეჭდილ ტექსტში და ზოგჯერ მხედრული ტრანსკრიპციით წარმოდგენილ ტექსტში (სადაც ის აღდგენილი არ არის) წერტილებით აღნიშნულია ნაკლული ასოების რაოდენობა, ისე, რომ ყოველი წერტილი თითო ასოს შეესაბამება.

თ. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლული ასოების ზუსტი რაოდენობის, ან ნაკლული ტექსტის სიდიდის დადგენა შეუძლებელია, ტექსტში დასმულია კუთხოვან კავებში მოთავსებული კითხვის ნიშანი [?].

ი. საეჭვო, ან გაუგებარი წაკითხვისას სიტყვას, ან ასოების ჯგუფს დასმული აქვს კითხვის ნიშანი მრგვალ კავებში (?).

გამოცემათა კითხვასხვაობების აღნიშვნისას გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები:

\+ გამოცემაში ტექსტს დამატებული აქვს.

— გამოცემაში ტექსტს აკლია.

] ნაცვლად გამოცემაში ტექსტი შეცვლილია.

ზომები აღნიშნულია სანტიმეტრებში.

ბოლოს, წარწერათა ტექსტებს ერთვის თარგმანი რუსულ ენაზე. თარგმნილი ტექსტის წინ აღნიშნულია:

ა. თარიღი.

ბ. ადგილმდებარეობა.

გ. სახელწოდება.

კრებულისადმი დართულ ტაბულებზე წარმოდგენილია წარწერების ფოტოსურათები და გრაფიკული მონახაზები.

ვალერი სილოგავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ლომთათიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

1974 წ. 26—27 ნოემბერს შედგა აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ცნობილი არქეოლოგისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლომთათიძის ხსოვნისადმი, მისი დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

სესია გახსნა აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა. მან მოკლედ აღნიშნა გ. ლომთათიძის ღვაწლი და დამსახურება ინსტიტუტის, ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა მეცნიერების წინაშე.

მოკლე მოგონებებით გამოვიდნენ: გეოლოგი კ. ჯავრიშვილი, ხელოვნებათმცოდნე აკადემიკოსი ვ. ბერიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგი ა. აფაქიძე და ისტორიკოსი პროფ. მ. დუმბაძე, უფრ. მეცნ. თანამშრომელი, არქეოლოგი რ. რამიშვილი.

მოხსენება გ. ლომთათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა ისტორიულ მეცნ. დოქტორმა ა. კალანდაძემ. მოხსენებაში გაშუქებული იყო გ. ლომთათიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გ. ლომთათიძის მოღვაწეობის პირველ პერიოდს, როცა იგი დაინტერესებული იყო საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოსა და რკინის ხანის ძეგლებით, მცხეთის სიძველეების შესწავლით. მოკლედ იყო დახასიათებული ამ პერიოდის ნაშრომები და გაშუქებული იყო მათი მნიშვნელობა. საველე და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეორე, მნიშვნელოვან პერიოდს გ. ლომთათიძის მოღვაწეობაში წარმოადგენდა ფეოდალური ხანის საქართველოს მრავალრიცხოვანი და დიდი მასშტაბის ძეგლების შესწავლა-პუბლიკაცია და შემაჯამებელი ნაშრომების გამოქვეყნება. ამ მხრივ მან კიდევ უფრო ღრმა კვალი გაავლო საქართველოს არქეოლოგიაში. ჯეროვნად იყო აღნიშნული გ. ლომთათიძის დამსახურება საქართველოს ანტიკური ძეგლების გამოვლინებისა და შესწავლის დარგში.

ამავე სხდომაზე უფრ. მეცნ. თანამშრ. ნ. უგრელიძემ წაიკითხა მოხსენება გ. ლომთათიძის იმ დამსახურების შესახებ, რომელიც მას მიუძღვის კუხეთის რუსთავის და მისი ნაციხარის გათხრებისა და შესწავლის საქმეში. მომხსენებელმა მოკლედ გააშუქა გ. ლომთათიძის მუშაობის შედეგები და რუსთავის ნაციხარის გათხრების დღევანდელი მდგომარეობა. გ. ლომთათიძის დაწყებულ საქმეს დღეს აქ აგრძელებს შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ექსპედიცია. სწორედ ამ მუშაობის განახლებას ცდილობდა გ. ლომთათიძე თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

საღამოს ამავე სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას უჩვენეს არმაზისხევის, რუსთავის და სხვა არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის დოკუმენტური კინოფილმები, რომლებშიც ასახული იყო გ. ლომთათიძის საველე მუშაობის ცალკეული ეპიზოდები.

27 ნოემბერს, მეორე სხდომაზე წაკითხული იყო 6 მოხსენება: პროფ. ო. ლორთქიფანიძისა — „პალეოურბანისტული კვლევის მიზანი, მეთოდი და პერსპექტივები". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ურბანიზაციას აქვს თავისი სპეციფიკური კანონები, რომელთა გამოვლენა და შესწავლა პალეორუბანისტული კვლევის უმთავრესი მიზანია. პალეოურბანისტული ცივილიზაციის ფართოდ შესწავლა საქართველოს ძველი ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რადგან საქართველოს ძველი ქალაქების შესწავლის დარგში ჯერ კიდევ გადაუჭრელია არსებითი ხასიათის პრობლემები. რამდენადაც ქალაქი არის ისტორიული კატეგორია, იგი უნდა განვითარდეს როგორც სისტემურ-სტრუქტურული წარმონაქმნი და, ამიტომ ქალაქის შესწავლის მეთოდიც სტრუქტურულ-სისტემურ ანალიზის პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული. პალეოურბნისტული კვლევის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძველი ქალაქების არქეოლოგიურ შესწავლას.

პროფ. ტ. ჩუბინაშვილმა თავის მოხსენებაში „გ. ლომთათიძის არქეოლოგიური კვლევის ადრეული ეტაპი", ყურადღება გაამახვილა გ. ლომთათიძის მიერ ჩატარებულ იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც მან განახორციელა მცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა-სამთავრული ადრეული კულტურის (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის ბოლო VIII ს-ის) შესწავლისათვის. ამ საკითხზე დაწერილმა მისმა მონოგრაფიულმა ნაშრომმა ახალი შუქი მოჰფინა საქართველოსა და, საეროოდ, ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის ბევრ რთულსა და მნიშვნელოვან საკითხს.

უფრ. მეცნ. თანამშრ. რ. რამიშვილის მოხსენება — „ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ზოვიერთი საკითხი ახალი არქეოლოგიური მასალების შუქზე", შეეხებოდა უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ახალ ძეგლებს; ამათგან მკვეთრად გამოიყოფა II—IV სს. ორიგინალურ ძეგლთა ერთი ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, განლაგებულია მეურნეობრივად დაწინაურებულ რეგიონებში და უძვირფასეს მასალებს შეიცავენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის თვალში საცემია კლასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული მკვეთრი ქონებრივი უთანასწორობა.

მომხსენებლის აზრით, ადრეფეოდალური ურთიერთობანი ჩასახული უნდა იყოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე I — ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში (ადრეარმაზანული ქვეპერიოდი) გაცილებით ადრე. ვანის, სტეფანწმინდის, ახალგორის, წინწყაროს, ყანჩაეთის მდიდრული კომპლექსები, სხვა მონაცემებთან ერთად, ამ მოსაზრების მატერიალურ საბუთად შეიძლება იყოს მიჩნეული.

აკად. ვ. ბერიძის მოხსენება შეეხებოდა გვიანფეოდალური ხანის ხიდებს საქართველოში; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ხანის ხიდების დათარიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხიდების ხუროთმოძღვრული ფორმების მკაფიოდ გამოხატულ სპეციფიკას. დას. საქართველოს ხიდებისაგან განსხვავებით, აღმ. საქართველოში შეინიშნება ხიდების მშენებლობაში ირანული დეკორაციული ფორმებისა და ხუროთმოძღვრული დეტალების შემოჭრა. მომხსენებელმა განიხილა იმდროინდელი ხიდები, აღნიშნა მათი დამახასიათებელი ნიშნები და ამ საფუძველზე, აგრეთვე წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, მოგვცა მათი დათარიღება.

გ. ცქიტიშვილის მოხსენება შეეხებოდა ს. გომიჯვარში (კასპის რაიონი) დღემდე შერჩენილ სასახლის კომპლექსს, რომელიც აშენებულია ვახტანგ V შაჰნავაზის შვილის — ლევან ბატონიშვილის მიერ, რასაც კარგად ადასტურებს ამ კომპლექსში შემავალი ეკლესიის წარწერა.

დასასრულ, პროფ. ვ. ჯაფარიძემ წაიკითხა მოხსენება „ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან (დმანისის არქეოლოგ. ექსპედიციის მასალების მიხედვით)". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიის იმ ნაწილში, რომელიც დღევანდელი დმანისის და ბოლნისის რაიონებს უჭირავთ, დაცულია ქართული მცირე ხელოვნებისა და ეპიგრაფიკის მეტად მნიშვნელოვანი უძველესი ძეგლები — ქვის სტელები, რომლებიც არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამომზეურებული. მან დამსწრე საზოგადოებას დიაპოზიტივებით უჩვენა დმანისის არქეოლოგ. ექსპედიციის მიერ მიკვლეული სხვადასხვაგვარი სტელების ფრაგმენტები, შემკული დიდი ოსტატობით შესრულებული არქაული ჩუქურთმებით და უძველესი ასომთავრული წარწერებით. მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა აღნიშნული ძეგლები, მოიტანა პარალელები იმ ანალოგიური მასალებიდან, რომლებიც სანდოთ არის დათარიღებული, გაამახვილა ყურადღება სტელების წარწერებზე, სტელების დანიშნულებაზე და დაასაბუთა მათი დათარიღება. განხილული მასალები მიგვითითებენ ძველი ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ამ ორიგინალური ძეგლების გავრცელებაზე ადრექრისტიანულ საქართველოში და წარმოადგენენ უტყუარ საბუთს ადრეფეოდალური საქართველოს მაღალი კულტურისა.

სამეცნიერო სესიასთან დაკავშირებით გამოიცა მოხსენებათა თეზისები ქართულ და რუსულ ენებზე.

ვახტანგ ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამირანაშვილი



ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სკკპ წევრი, ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი შალვა იასონის-ძე ამირანაშვილი.

მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და ენერგია შალვა ამირანაშვილმა მეცნიერების უანგარო სამსახურს მიუძღვნა. მრავალმხრივმა და ფართო დიაპაზონის მკვლევარმა სამეცნიერო მოღვაწეობის ხუთი ათეული წლის მანძილზე ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართულ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობას. შ. ამირანაშვილი თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნათა დონეზე, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე განიხილავდა ხელოვნების ისტორიას, როგორც ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის განუყოფელ ნაწილს, მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების კულტურას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ურთიერთობასა და მიმართებაში. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით წინაფეოდალური ხანის მხატვრული კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ქართული ხელოვნების ისტორიის ქრონოლოგია. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა აგრეთვე რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს.

შ. ამირანაშვილი დაიბადა 1899 წელს ქ. ონში. 1917 წელს დაამთავრა ფოთის კლასიკური გიმნაზია და ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, სადაც შეუდგა ქართული სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგის საფუძვლიან შესწავლას გამოჩენილი მეცნიერების ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით. სტუდენტობის პერიოდშივე დაიწყო ძველი ქართული ფრესკების კვლევა და 1929 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი უბისის კედლის მხატვრობის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას. ძველი ქართული ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი დარგის საეტაპო ძეგლების ხანგრძლივი კვლევის შედეგები შეჯამდა მის ნაშრომში „ქართული კედლის მხატვრობის ისტორია". მაღალი მეცნიერული ღირებულებისაა მისი გამოკვლევები ქართული ოქრომჭედლობის, დასურათებული ხელნაწერების, ტიხრული მინანქრის შესახებ, რომლებშიც მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით არის შესწავლილი მათი განვითარების ეტაპები ქართული კულტურის გენეზისის საერთო ფონზე.

მრავალი წლის დაუცხრომელი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგია შ. ამირანაშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნების ისტორია", რომელიც დღემდე რჩება ერთადერთ გამოკვლევად, სადაც საქართველოს ხელოვნების ისტორია წარმოჩენილია პალეოლითის ხანიდან მოკიდებული ვიდრე მეოცე საუკუნემდე. ამ ნაშრომში შ. ამირანაშვილმა პირველად მოგვცა ქართული კულტურის განვითარების მთლიანი სურათი და ნათელყო მისი სადავო კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის უძველეს ცივილიზაციებთან, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესის გაზრდას მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა შ. ამირანაშვილის სამეცნიერო შრომების არაერთგზის გამოცემა საფრანგეთში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომები მიეძღვნა ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებს — ხახულის კარედსა და მხატვარ დამიანეს შემოქმედებას.

შ. ამირანაშვილი შეუნელებელი ინტერესითა და აქტივობით მონაწილეობდა რესპუბლიკის სამხატვრო-შემოქმედებითს ცხოვრებაში. მისი წერილები, რეცენზიები თუ საჯარო გამოსვლები თანამედროვე საბჭოთა ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით იყო გამსჭვალული.

შ. ამირანაშვილი მეცნიერულ მუშაობას შესანიშნავად უთავსებდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სამხატვრო აკადემიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრებს და უდიდესი გულისხმიერებით ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს.

შ. ამირანაშვილი 1939 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სათავეში ედგა ქართული კულტურის საგანძურს — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, რომლის საგამოფენო დარბაზებს ამშვენებს მისი მეცადინეობით მიკვლეული და დაცული ხელოვნების არაერთი ბრწყინვალე ნიმუში. შემთხვევითი არ არის, რომ 1945 წელს სსრ კავშირის მთავრობის დავალებით იგი მიავლინეს პარიზს, მენშევიკების მიერ 1921 წელს გატანილი ეროვნული განძის სამშობლოში დასაბრუნებლად. ეს დავალება მან პირნათლად შეასრულა. გამოჩენილი მეცნიერი არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის მოთავე და ხელმძღვანელი იყო. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ ძეგლების გამოვლენასა და შესწავლაში, რომლებსაც ათასეული წლების მანძილზე ინახავდა საქართველოს მიწა. შ. ამირანაშვილის დიდმა სამეცნიერო დამსახურებამ საყოველთაო აღიარება პოვა. იგი არჩეული იყო სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს ნამდვილ წევრად, საფრანგეთის სააზიო საზოგადოების წევრად, საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის წევრად, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად და სხვ.

ქართველმა ხალხმა შ. ამირანაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა — იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ მეექვსე და მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს შ. ამირანაშვილის ღვაწლი სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე. იგი დაჯილდოვებული იყო ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით და მედლებით.

შ. ამირანაშვილი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ხალხი არასოდეს არ ივიწყებს და თაობებთან ერთად საუკუნეების მანძილზე ცოცხლობენ, როგორც ერის კულტურისათვის თავდადებული მოღვაწენი.

პ. ბილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, პ. მელნიკოვი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, გ. ძოწენიძე, გ. ჯავახიშვილი, თ. მოსაშვილი, შ. ყარყარაშვილი, ო. ჩერქეზია, ჟ. შარტავა, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ე. სეხნიაშვილი, ნ. ჩერქეზიშვილი, ო. თაქთაქიშვილი, ი. აბაშიძე, გ. ლოგჟანიძე, თ. ფერაძე, ა. ფრანგიშვილი, დ. ქიტიაშვილი, ა. შანიძე, დ. ჩხიკვიშვილი, გ. ჯიბლაძე.